

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ხატია ნიკლაური

მორწმუნეებისა და ათეისტების ღირებულებათა კვლევა საქართველოში

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

თბილისი 2018

ნიგნში განხილულია საქართველოში მცხოვრები მორწმუნე და ათეისტი ადამიანების ღირებულებათა სისტემების თავისებურებები; გამოკვლეულია, განსხვავდება თუ არა ისინი ერთმანეთისგან და, თუ განსხვავდება, რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავება, ხომ არ შეუქმნის ეს პრობლემას სხვადასხვა აღმსარებლობების ადამიანთა თანაცხოვრებას საქართველოში. ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია ამ სფეროში შესრულებული თეორიული და ემპირიული მასალა.

ნიგნი განკუთვნილია ფსიქოლოგების, რელიგიათმცოდნეების, სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი დიმიტრი ნადირაშვილი.

რეცენზენტები: ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი
მაია კალანდარიშვილი,
ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი
მაკა ხარშილაძე.

ავტორი მადლობას უხდის ბატონ მამუკა ბენაშვილს ნაშრომის შესრულების პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

© ხ. ნიკლაური
ISBN 978-9941-9534-3-9

სარჩევი

მნიშვნელოვანი ნაშრომი აქტუალურ თემაზე	5
შესავალი	9
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	
§1. ღირებულების ცნება	14
§2. ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება	31
§3. ღირებულებათა გაზომვა	35
§4. რელიგია და მისი გავლენა ადამიანზე	40
§5. რელიგიურობა და მისი სახეები	69
§6. კვლევების მიმოხილვა	77
თავი II. ემპირიული ნაწილი	
§1. საკვლევი საკითხი	118
§2. კვლევის მეთოდოლოგია	122
§3. კვლევის აღწერა და მონაცემთა დამუშავება	130
§4. კვლევის შედეგები და მათი ანალიზი	
4.1. კითხვარის აპრობაცია და ვალიდობა	139
4.2. ემპირიული მასალის აღწერითი სტატისტიკა	
ა) საშუალოთა განაწილება ტერმინალური ღირებულებების მიხედვით	143
ბ) საშუალოთა განაწილება ინსტრუმენტული ღირებულებების მიხედვით –	178
4.3. ღირებულებათა განაწილება და დისპერსიული ანალიზი სხვადასხვა ცვლადის მიხედვით	
ა) ჰიპოთეზის ტესტირება	203
ბ) საშუალოთა განაწილება ღირებულებათა 10 ჯგუფის მიხედვით	205

გ) ღირებულებათა განაწილება მორწმუნე და ათეისტი რესპონდენტების მიხედვით	208
დ) ღირებულებათა განაწილება და დისპერსიული ანალიზი სარწმუნოების მიხედვით	210
ე) ღირებულებათა განაწილება და დისპერსიული ანალიზი სხვადასხვა ცვლადის (ეროვნება, ასაკი, სქესი, დასაქმება, განათლება, მატერიალური მდგომარეობა) მიხედვით	219
4.4. ფაქტორული ანალიზი	237
4.5. რეგრესიული ანალიზი	
ა) სარწმუნოების გავლენა ღირებულებებზე	248
ბ) სხვადასხვა ცვლადის (ეროვნება, ასაკი, სქესი, დასაქმება, განათლება, მატერიალური მდგომარეობა) გავლენა ღირებულებებზე	257
4.6. ბედნიერების განცდა სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით	275
4.7. ტოლერანტულობა სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით	280
კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება	297
დასკვნა	300
დანართი №1. კითხვარი	306
დანართი №2. კითხვარის გასაღები	315
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)	316
გამოყენებული ლიტერატურა	319

მნიშვნელოვანი ნაშრომი აქტუალურ თემაზე

ჩვენი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სოციალური საკითხების შესახებ მეცნიერული კვლევები დიდი იმპიატობაა. ხშირად ხდება დასავლეთში ჩატარებულ კვლევათა კალკირება და მორგება ჩვენს რეალობაზე, რაც არ ითვალისწინებს ეროვნულ-კულტურულ თავისებურებებს და ამიტომ ამ კვლევათა ვალიდობა ჩვენი საზოგადოების პრობლემატურ საკითხთა მოგვარების თვალსაზრისით დაბალია.

ფსიქოლოგიის დოქტორის ხატია წიკლაურის ნაშრომი მრავალმხრივია აქტუალური და მნიშვნელოვანი. მასში თეორიული და კვლევითი მუშაობით პასუხია გაცემული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, თუ რა ფასეულობებია წარმოჩენილი ქართულ საზოგადოებაში, კერძოდ, მორწმუნეებსა და ათეისტებში; რითი ჰგავს და განსხვავდება მათი ფასეულობები ერთმანეთს; რა ღირებულებათა ფორმირებას უწყობს ხელს საქართველოში გავრცელებული ტრადიციული რელიგიური კონფესიები; რა მსგავსება და განსხვავებაა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა ღირებულებებს შორის.

ქალბატონი ხატია გავიცანი საქართველოს საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში, როგორც სამედიცინო განათლების მქონე დოქტორანტი, რომელიც ფსიქოლოგიის მეცნიერებით იყო დაინტერესებული. შემდგომ მომიხდა ლექციების წაკითხვა მის კურსთან, რომელშიც იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული მიზანსწრაფვით, სწავლაში შეუპოვრობით, ცოდნის გამდიდრებისა და სრულყოფის შესაშური მონდომებით. არაა გასაკვირი, რომ ამან ნაყოფი გამოიღო. მე სიამოვნებით დავეთანხმე მას სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე. თქვენ წინ არსებული ნაშრომი „მორწმუნეებისა და ათეისტების ღირებულებათა კვლევა საქართველოში“ ამ დიდი და ხანგრძლივი ძალისხმევის ნაყოფია, რომლითაც მე კმაყოფილი ვარ.

ავტორმა მაღალპროფესიულად გაართვა თავი კვლევის პროცესს. ძირითად კვლევამდე ჩატარდა პილოტური კვლევები. შერჩეულ იქნა სხვადასხვა აღმსარებლობის, ასაკის, სქესისა და ეროვნების რესპონდენტები და პირდაპირი ინტერვიუების გზით შეივსო კითხვარი. ინტერვიუს დროს იქნა ცდისპირთა დეტალური ინსტრუქტაჟი თითოეული მაჩვენებლის მიხედვით. აღინუსხა რესპონდენტთა შენიშვნები და მოსაზრებები. კვლევის დიზაინი საინტერესო და შთამბეჭდავია. ნაშრომში გამოყენებულია შვარცის ღირებულებათა საკვლევი კითხვარი, ამასთან მოხდა ამ კითხვარის ადაპტირება-აპრობირება. შეიქმნა აღნიშნული მეთოდიკის კვალიფიცირებული დასაბუთება, არამარტო კვლევის განსახორციელებლად, არამედ შემდგომში სხვა მკვლევართა მიერ გამოსაყენებლად. აღსანიშნავია მიღებულ შედეგთა მრავალმხრივი ანალიზი. მონაცემთა დამუშავებისას გამოყენებულ იქნა ფაქტორული, დისპერსიული, რეგრესიული ანალიზი. სტატისტიკური მონაცემების დამუშავების დონე სანდოობის თვალსაზრისით მაღალია.

კვლევა ჩატარებულია დღევანდელ საქართველოში. მასში მონაწილე ადამიანები და მიმდინარე პროცესები ჩვენი საზოგადოების, ცხოვრების დღევანდელ ვითარებას ასახავენ. როგორც ვიცით, ფასეულობები დროში იცვლება. ნაშრომში არა მარტო დაფიქსირებულია, არამედ დინამიკაშიცაა ნაჩვენები, თუ რა მიმართულებით ვითარდებიან ისინი, ნაჩვენებია არსებული ტენდენციები. ნებისმიერი საზოგადოება და ერი, ჩვენი ჩათვლით, იმდენად ვითარდება და აღწევს დასახულ მიზნებს, რამდენადაც კარგად, ადექვატურად ხედავს და აცნობიერებს საკუთარ თავს. ნაშრომი სწორედ ამ სფეროში ცოდნის დეფიციტს ავსებს.

ნაშრომის ჰიპოთეზები ასეთია: მორწმუნეთა ღირებულებები განსხვავდება ათეისტთა ღირებულებებისგან; განსხვავებულ რელიგიურ კონფესიათა მიმდევარი ადამიანების ღირებუ-

ლებები განსხვავდება ერთმანეთისგან. კვლევამ აჩვენა, რომ მორწმუნეთა ღირებულებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ათეისტთა ღირებულებებისგან; კერძოდ, მორწმუნეებს ახასიათებთ კოლექტივისტური, ხოლო ათეისტებს – ინდივიდუალისტური ღირებულებები და ორიენტაცია. კოლექტივისტური ღირებულებებიდან გამოიკვეთა მორწმუნეთა მეგობრებზე, ოჯახზე ორიენტაცია; გარშემომყოფებზე, საყოველთაო მშვიდობაზე ზრუნვა. ეს შინაარსები ტრადიციულობას, კონფორმულობას, კეთილგანწყობას გამოხატავენ. მორწმუნეებისაგან განსხვავებით, ათეისტებმა გამოავლინეს ინდივიდუალისტური ორიენტაცია და მსოფლხედვა. მათი ფასეულობები დამოუკიდებლობაზე, ძალაუფლებაზე, მიღწევაზე, თვითგანვითარებაზე, პიროვნულ სიამოვნებაზეა ორიენტირებული. ამ ორი კატეგორიის ადამიანთა ჯგუფის მსოფლმხედველობრივი განსხვავება სტატისტიკურად სანდო და აშკარაა. ეს მათი მრწამსიდან, პიროვნული ფასეულობების შინაარსობრივი კონტექსტიდან გამომდინარეობს.

ღრმა დისპერსიულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები თავისი კონფესიისთვის დამახასიათებელ და სხვებისგან განსხვავებულ ფასეულობებს ავლენენ. კონფესიებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან ფასეულობების მიხედვით. ამით დადასტურდა კვლევაში წარმოჩენილი მეორე ჰიპოთეზაც. ნაშრომში წარმოდგენილი შედეგები მრავალმხრივ იქნა გაანალიზებული და ურთიერთს შედარებული. თვალსაჩინოებისთვის მოტანილია მრავალი სქემა, ცხრილი, გრაფიკი და დანართი, რაც სათქმელ შინაარსს სიცხადეს ანიჭებს. მოცემულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული ღირებულებათა კვლევის რუკა. ამ რუკაზე საქართველოცაა წარმოდგენილი.

ნაშრომს მეცნიერულთან ერთად პრაქტიკული ღირებულებაც გააჩნია. მისი შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას სო-

ციალურ-კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, როგორცაა რელიგიური კონფლიქტების მოგვარება, ტოლერანტობის დამკვიდრება, რელიგიურ საკითხთა სწავლება და სხვა.

წინამდებარე წიგნი კარგი შენაძენია ფსიქოლოგებისა და რელიგიათმცოდნეთათვის, და ეს იმ ფონზე, როცა ჩვენი საზოგადოება არაა განებივრებული ამგვარი კვლევებით. იმედია, ავტორი ამ ნაშრომის შემდეგ კიდევ არაერთ კვლევას განახორციელებს ფსიქოლოგიისა და რელიგიის გადამკვეთ სფეროში, ხოლო ამ წიგნს ვუსურვებ მიელწიოს დაინტერესებულ ქართველ მკითხველთან, ჩვენს რეალობაში არსებული პრობლემების, კონფლიქტების ღრმად გასააზრებლად.

ქართული უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

დიმიტრი ნადირაშვილი.

თბილისი, 21 ნოემბერი, 2017 წელი.

შესავალი

პიროვნებისა და, ზოგადად, საზოგადოების ღირებულებათა სისტემის შესწავლა სოციალური ფსიქოლოგიისა და პიროვნების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ინდივიდისა და საზოგადოების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებას განსაზღვრავს პოლიტიკური და სოციალური გარემო, კულტურა, ოჯახი, პიროვნული მახასიათებლები, რელიგია. ღირებულებათა იერარქია მეტ-ნაკლებად სტაბილურია, თუმცა, იგი შეიძლება შეიცვალოს რადიკალური პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების პერიოდში, რასაც თან სდევს ძველი ღირებულებების გადაფასება და ახალი ღირებულებათა სისტემის შექმნა.

საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე მიმდინარეობდა ღირებულებათა შორის ბრძოლა, რაც გამონვეული იყო არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებების ცვლილებებით. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ფორმა მიიღო საბჭოთა ეპოქაში, როცა აქტიურად ინერგებოდა გაბატონებული იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც, ადამიანისთვის უპირველესი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს ინტერესები, ხოლო დანარჩენი – უმნიშვნელო. განსაკუთრებით მწვავედ დადგა რელიგიის ყოფნა-არყოფნის საკითხი. XX საუკუნის 20-30-იან წლებში, „აგრესიული ათეიზმის“ ხანაში, გააფთრებული ბრძოლა დაიწყო რელიგიური რწმენის წინააღმდეგ – ადმინისტრაციული წესით ხურავდნენ ეკლესია-მონასტრებს, მეჩეთებს, სინაგოგებს; სასულიერო პირებს აპატიმრებდნენ, ხვრეტდნენ ან აიძულებდნენ განმოსილიყვნენ და საჯაროდ დაეგმოთ რელიგია. 70-80-იან წლებში რელიგიისადმი დამოკიდებულება შედარებით ლოიალური გახდა.

საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები, ე. წ. „რკინის ფარ-

დის“ ჩამოსხნის შედეგად უცხოეთიდან შემოვიდა ახალი, განსხვავებული ინფორმაცია, რელიგია გათავისუფლდა საბჭოთა იდეოლოგიური წნეხისაგან. ამ პროცესებს არ შეიძლება, არ მოჰყოლოდა ადამიანისა და, შესაბამისად, საზოგადოების ღირებულებების გადაფასება.

ამდენად, მნიშვნელოვანი და აქტუალურია, როგორ შეიცვალა ჩვენი საზოგადოება ბოლო 20-25 წლის მანძილზე, რა ცვლილებები მოხდა მის ღირებულებათა სისტემაში, რა ღირებულებებია დომინანტური, რა ტენდენციებია საზოგადოებაში რელიგიურობის თვალსაზრისით, რამდენადაა რელიგიურობა მნიშვნელოვანი ადამიანებისათვის, განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან სხვადასხვა აღმსარებლობებისა და საზოგადოების არამორწმუნე ნაწილის ღირებულებათა სისტემები, და, თუ განსხვავდება, რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავება, ხომ არ შეუქმნის ეს პრობლემას სხვადასხვა აღმსარებლობების ადამიანთა თანაცხოვრებას საქართველოში.

ისტორიულად რელიგია დიდ როლს ასრულებდა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში საუკუნეთა მანძილზე არაერთი სერიოზული დაპირისპირება მოხდა რელიგიურ ნიადაგზე. მაგ.; XI-XII საუკუნეებში „ჯვაროსნული ომები“, რომელსაც არაერთი მსხვერპლი მოჰყვა; რელიგიური ომები ევროპაში; შიიტებსა და სუნიტებს შორის სისხლიანი დაპირისპირებები; ყოფილი იუგოსლავია კი რელიგიური დაპირისპირების ნიადაგზე დაიშალა.

საქართველო ოდითგან ტოლერანტული ქვეყანა იყო. აქ მართლმადიდებლებთან ერთად საუკუნეების მანძილზე მშვიდობიანად ცხოვრობდნენ სხვადასხვა რელიგიების მიმდევარი ადამიანები. თუმცა, ბოლო ათწლეულში ამ კუთხით აღინიშნა ძალადობის ფაქტები, რაც, შესაძლოა, მიუთითებდეს რელიგიური რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის წარმოქმნის საშიშროებაზე. ამდენად, ეს კვლევა გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქნის აღ-

ნიშნული პრობლემის შესახებ – სხვადასხვა აღმსარებლობების მიმდევართა ღირებულებათა სისტემები იმდენად არის თუ არა განსხვავებული, რომ ეს დაპირისპირება რელიგიური მიზეზითაა გამოწვეული, თუ ეს კონფლიქტები თავსმოხვეულია პოლტიკური და სოციალური გავლენის შედეგად.

პიროვნების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე სხვა აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რელიგია. თუ არამორწმუნის ღირებულებათა სისტემის სტრუქტურა მისი პიროვნული ინდივიდუალურობით არის განპირობებული, მორწმუნის ღირებულებები იმ რელიგიის შესაბამისი უნდა იყოს, რომლის აღმსარებელიც არის ის, რადგან თითოეული რელიგია თავის ღირებულებებს ამკვიდრებს. აქვე შეიძლება მოვიყვანოთ ინგლისელი სოციოლოგის ნ. სმელზერის კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვითაც, კათოლიკების 82% დაქორწინებულია კათოლიკეზე, პროტესტანტების 92,6% – პროტესტანტზე, იუდეველის 88,2% – იუდეველზე, რაც, ავტორის აზრით, სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ ერთი რელიგიის მიმდევარ ადამიანებს მსგავსი ღირებულებათა სისტემები აქვთ და ამიტომ არჩევენ თავისივე რელიგიის მიმდევარ, მსგავსი ღირებულებების მქონე ადამიანთან ოჯახის შექმნას [55].

რ. გრანოვსკიამ შეისწავლა ძირითადი მსოფლიო რელიგიები და გამოიტანა დასკვნა, რომ ზოგადად რელიგია დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკის, ღირებულებათა სისტემისა და სოციალურად მისაღები ქცევის ჩამოყალიბებაზე. განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა საზოგადოებაში არსებობს ურთიერთნდობის დეფიციტი, ძალადობის საფრთხე, გამწვავებულია ეკოლოგიური პრობლემები, გახშირებული – ნაციონალურ და რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტები. ასეთ დროს ადამიანები ეძებენ დასაყრდენს და ამ დასაყრდენის ძიებაში ბევრმა მიმართა რელიგიურ რწმენას. რელიგია მათ სთავაზობს არა მხოლოდ დაცვას, არამედ რომელიმე რელიგიისადმი

მიკუთვნებულობა ადამიანს აძლევს კონკრეტული ქცევის ნორმებსა და ტრადიციებს, და თუ იგი ცხოვრობს ამ ტრადიციებისა და ქცევის ნორმების შესატყვისობაში, იზიარებს კონკრეტული რწმენის სიღრმისეულ სიმბოლოებს, მას ექნება საყრდენი თავისი ცხოვრების ყველაზე რთულ და მშფოთვარე მომენტებში [38].

მ. სელიგმანის აზრით კი, მორწმუნეები მეტად ბედნიერნი და ცხოვრებით კმაყოფილნი არიან ათეისტებთან შედარებით, რადგან რელიგია მათებს მათ მომავლის რწმენასა და ოპტიმიზმს, რის გამოც მათ ადვილად გადააქვთ ცხოვრებისეული უსიამოვნებანი [53].

საქართველოში მცხოვრები მორწმუნეებისა და ათეისტების ღირებულებათა სისტემების საკვლევად და გასაანალიზებლად ჩავატარეთ გამოკვლევა, რომლის შედეგები წარმოდგენილია წინამდებარე ნაშრომში. ჩვენი კვლევის მიზანი იყო, გაგვეგო, განსხვავდება თუ არა მორწმუნე და არამორწმუნე (შემდეგში გამოვიყენებთ ტერმინს ათეისტი) ადამიანების ღირებულებათა სისტემები ერთმანეთისაგან, რამდენად მნიშვნელოვანია ეს განსხვავება, რომელი ღირებულებებია წამყვანი ტრადიციული რელიგიების აღმსარებელთა და ათეისტებისთვის, განსხვავდება თუ არა სხვადასხვა ტრადიციული რელიგიების აღმსარებელთა ღირებულებათა სისტემები ერთმანეთისაგან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კვლევა, რომელშიც შედარებული იქნებოდა ტრადიციული რელიგიების აღმსარებელთა და ათეისტების ღირებულებათა სისტემები, საქართველოში დღემდე ასეთი სახით ჩატარებული არ ყოფილა. გარდა ამისა, დღემდე საქართველოში, ღირებულებათა სისტემის კვლევის დროს, მორწმუნედ ითვლებოდა ადამიანი, რომლის რელიგიურობა მის თვითშეფასებაზე იყო დამოკიდებული. რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, ადამიანი თვლის თუ არა თვითონ თავს მორწმუნედ, მაგრამ ჩვენ გავითვალისწინეთ არა მარტო სუბიექტური

კრიტიერიუმი (თვითშეფასება), არამედ ობიექტურიც – თუ როგორ უყურებს კონკრეტული რელიგია რწმენის საკითხს და როგორ ახდენს მორწმუნის იდენტიფიცირებას. მორწმუნეც უნდა აცნობიერებდეს რელიგიური კონფესიის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც იგი მიეკუთვნება ამ კონკრეტულ კონფესიას. ამის გათვალისწინებით ჩვენს კვლევაში საკვლევი ჯგუფები შემდეგნაირად დაზუსტდა: მორწმუნედ მივიჩნიეთ ადამიანი, რომელიც იღებს და იზიარებს შესაბამისი რელიგიის დოგმატებს და არის მრევლის წევრი.

მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდების დახმარებით გავაკეთეთ პროგნოზირება, თითოეული რელიგიური ჯგუფის რაოდენობრივი მომატება ან შემცირება როგორ ცვლის საზოგადოებას, რა მსოფლმხედველობრივი ცვლილებები მოხდება ადამიანების ღირებულებათა სისტემაში.

კვლევის შედეგები, და იმის გაგება, თუ რა მსგავსება და განსხვავებაა საქართველოში მცხოვრები ტრადიციული რელიგიების აღმსარებელი და ათეისტი ადამიანების ღირებულებათა სისტემებს შორის, შესაძლებელია დაგვეხმაროს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში, სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის არსებული კონფლიქტების მოგვარებაში, როგორც სტრატეგია და, ამდენად, სახელმწიფო პოლიტიკის წარმოებაში, გამოყენებულ იქნას სხვა ქვეყნების შესაბამისი რელიგიების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში.

გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ ღირებულებათა პრობლემა დისციპლინათაშორისია, მიღებული შედეგები შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს სხვადასხვა დარგის (ფსიქოლოგია, სოციოლოგია) მკვლევარებისა და პრაქტიკოსებისათვის.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

§1. ღირებულების ცნება

რა არის ადამიანის, საზოგადოების სოციალური ღირებულება? სხვადასხვა ავტორი ამ ცნების სხვადასხვა განსაზღვრებას გვანდის.

„ფსიქოლოგიურ ენციკლოპედიაში“ ღირებულებები განმარტებულია, როგორც „სოციალური კეთილდღეობა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური ფუნქციონირებას და განვითარებას, მშვიდობას, სოციალურ სამართლიანობას, ადამიანის ღირსების დაცვას, ცხოვრებისა და სულიერი განვითარებისათვის ღირსეული პირობების შექმნას“ [8]. აქვე მოცემულია მათი კლასიფიკაცია:

1. ცხოვრებისეული (სიყვარული, მეგობრობა, ურთიერთობა, ოჯახი, ნათესავებზე ზრუნვა);

2. ცივილიზაციის (მატერიალური კეთილდღეობა, ტექნიკური სიახლეების ფლობა, კერძო და საზოგადოებრივი სიცოცხლის გარანტირებული უსაფრთხოება, პერსონალური საქმიანობის სხვადასხვა ასპექტები);

3. კულტურული (შემოქმედება, თავისუფლება).

ადამიანისა და საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერებების მიერ ღირებულება განიხილება, როგორც შეფასების კრიტერიუმი, რომელსაც ადამიანი იყენებს საკუთარი მოქმედების შესარჩევად და დასასაბუთებლად, ასევე საკუთარი თავის, სხვებისა და მოვლენების შესაფასებლად [33].

გ. ოლპორტის მიხედვით, ღირებულება არის წარმოდგენა სასურველის შესახებ, რომელიც ახასიათებს ინდივიდს ან ჯგუფს და რომელიც გავლენას ახდენს მოქმედების სახეების, საშუალებებისა და მიზნების არჩევანზე. ისინი წარმოადგენენ

სასურველ, ღრმად გამჯდარ სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ მომავალ და ამართლებენ წარსულ ქმედებებს [49]. ღირებულებები შეიძლება იყოს ზოგადი (ოჯახი, სამუშაო) და აბსტრაქტული (სიკეთე, პატრიოტიზმი). პიროვნებას საკუთარი ღირებულებების მიმართ გარკვეული პოზიცია უკავია, იგი ახარისხებს მათ და შესაბამის ადგილს მიუჩენს თავის ღირებულებათა იერარქიაში. ღირებულებები ხდიან ადამიანის ცხოვრებას შინაარსიანს. როცა პიროვნებას ღირებულებები ჩამოყალიბებული აქვს, მისი ქცევაც ჩამოყალიბებულია.

მ. როკიჩის აზრით, ღირებულებები წარმოადგენს „ძირითად, მტკიცე რწმენას, რომლის მიხედვითაც, ქცევის ან არსებობის საბოლოო მდგომარეობის კონკრეტულ ფორმას, სხვა, საპირისპირო ქცევის წესთან ან არსებობის საბოლოო მდგომარეობასთან შედარებით, პიროვნულად ან სოციალურად ენიჭება უპირატესობა“ [90].

ღირებულება შეგვიძლია შევაფასოთ ორი ძირითადი თვისების მიხედვით:

1. შინაარსი, რაც გვიჩვენებს, რომ ქცევის მანერა ან არსებობის საბოლოო მდგომარეობა ზოგადად მნიშვნელოვანია;

2. ინტენსიურობა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის ღირებულება პიროვნებისათვის.

ადამიანის სოციალური ღირებულებების როკიჩისეული კონცეფცია შემდეგი დებულებებისგან შედგება:

1. ღირებულებათა რიცხვი არ არის დიდი (დაახლოებით 30-მდე);

2. ყველა ადამიანს გააჩნია ერთი და იგივე ღირებულებები, ოღონდ მათი მნიშვნელობა ყველასათვის ინდივიდუალურია;

3. ღირებულებები დალაგებულია იერარქიის მიხედვით;

4. პიროვნების ღირებულებები სათავეს იღებს იმ კულტურრიდან, საზოგადოებიდან, რომლის წარმომადგენელიცაა იგი;

მ. როკინმა ღირებულებები დაყო ორ ძირითად ჯგუფად. ესენია:

1. საბოლოო (ტერმინალური), რაც არის არსებობის საბოლოო მდგომარეობა, ის მიზნები, რისი მიღწევაც სურს ადამიანს თავისი სიცოცხლის მანძილზე. ესენია: წარმატებული ცხოვრება, მშვიდობიანი სამყარო, აქტიური ცხოვრება, სილამაზის სამყარო, თანასწორობა, თავისუფლება, ბედნიერება, შინაგანი ჰარმონია, სიყვარული, სიამოვნება, საკუთარი თავისადმი პატივისცემა, სოციალური აღიარება, ნამდვილი მეგობრობა, სიბრძნე;

2. ინსტრუმენტული, რაც ნიშნავს ქცევის სასურველ მანერას ან ტერმინალური ღირებულებების მიღწევის საშუალებებს. ესენია: ამბიციური, უნარიანი, მხიარული, გამბედავი, მიმტევებელი, დამხმარე, პატიოსანი, მდიდარი ფანტაზიის მქონე, დამოუკიდებელი, მოსიყვარულე, მორჩილი, ზრდილობიანი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე [91].

რ. ინგლჰარტი გამოყოფს სოციალური ღირებულებების ორ სფეროს:

1. მატერიალისტურ ღირებულებებს, რომლებიც ემსახურებიან ადამიანთა ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, და 2. პოსტმატერიალისტურს, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურ და გამოხატვის მოთხოვნილებებს. მას შემდეგ, რაც მოხდება მატერიალისტური ღირებულებების დაკმაყოფილება, საზოგადოება გადადის განვითარების შემდგომ ეტაპზე, რომელზეც წამყვანი ხდება პოსტმატერიალისტური ღირებულებები [41]. ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე უპირატესობას ანიჭებს ღირებულებების გარკვეულ ნაწილს, რაც უფრო მეტად ფასეული აღმოჩნდება მისთვის. ასეთი არჩევანი აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანმა გარკვეული სოციალური ქცევა განახორციელოს.

მორისი განასხვავებს სამ სხვადასხვა სახის ღირებულებებს:

1. ოპერატიული – განაგებს ადამიანის ქცევას და გამოხატავს მის სურვილებს (დისპოზიციური მნიშვნელობა);

2. ჩასახული – ნიშნავს სასურველი საქციელის საერთო წარმოდგენებს, რომელიც ამა თუ იმ კულტურაშია მიღებული (ნორმატიული მნიშვნელობა);

3. ობიექტური – ანიჭებს საგანს ან მოვლენას გარკვეულ მნიშვნელობას ინდივიდუალური მიკერძოების ან ნორმატიული სტანდარტების მიუხედავად [105].

როგორც აღვნიშნეთ, ღირებულებები მნიშვნელოვნად განაპირობებენ ადამიანის სოციალურ ქცევას, რადგანაც წარმოადგენენ მისი ზნეობრივი პრინციპების საფუძველს. ინდივიდს ღირებულებათა სისტემა სჭირდება საკუთარი ცხოვრების ორგანიზებისათვის, საზოგადოებას კი – მისთვის მნიშვნელოვანი მიზნებისა და ქცევის ზოგადი ფორმების განსაზღვრისათვის. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა კულტურასა და საზოგადოებაში ყალიბდება განსხვავებული ღირებულებითი ორიენტაციები, რაც იმას განაპირობებს, რომ პიროვნებისა და საზოგადოების ქცევის მიღება-მიუღებლობის თვალსაზრისით გარკვეული მოთხოვნები არსებობს. როგორც ცალკეულ პიროვნებას, ასევე მცირე და დიდ სოციალურ ჯგუფებს უყალიბდებათ ისეთი ღირებულებათა სისტემები, რომლებიც შესაბამისია იმ საზოგადოების ღირებულებათა სისტემისა, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ადაპტაცია არსებულ გარემოსთან.

დ. უზნაძე ანალიზებს და მსჯელობს ღირებულებებზე „განწყობის თეორიაში“. მისი აზრით, ადამიანის ნებელობითი აქტივობა გამონჭვეულია აღნიშნულ ვითარებაში არსებულ ალტერნატივათა შორის არჩევანით და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით. არჩევანის ძირითადი დეტერმინანტი კი სათანა-

დო მოტივი ხდება. იგი აღნიშნავს: „მოტივი გაცნობიერებაა იმ ღირებულების უპირატესობისა, რომელიც ამა თუ იმ ქცევას აქვს ჩემთვის, და, ჩემი აზრით, ერთ-ერთი მათგანის გამართლებაა“. აღსანიშნავია, რომ ავტორი მოტივის ჩამოყალიბებისა და ამოქმედების საფუძველს ე. წ. „მაღალ მოთხოვნილებებში“ ხედავს: „ადამიანისთვის პირდაპირ დამახასიათებელი შეიქნა, რომ ყოველთვის თავის მოთხოვნილებას, რომელიც მას სრულიად გარკვეულს მომენტში და გარკვეულს პირობებში უჩნდება, თავისი „მე“-ს მუდმივს, მაღალს, გარდაუვალ მოთხოვნილებებს უკავშირებს და მათს დაკმაყოფილებაზე ამისდა მიხედვით ზრუნავს“ [2; 24]. ამასთან, გასათვალისწინებელია კონკრეტული ქცევის განხორციელებაში სიტუაციურად აღმოცენებული მორალური გრძნობის როლი (რაიმე ზნეობრივი საქციელი ადამიანში დადებითი შინაარსის გრძნობას უნდა იწვევდეს, ხოლო უზნეო მოქმედება – სანინალმდეგო ეფექტს).

შ. ნადირაშვილის „განწყობის ანტროპული თეორიის“ მიხედვით გამოყოფილია ადამიანის აქტივობის 3 დონე: ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების. თითოეულ დონეზე მყოფ ადამიანს განსხვავებული ღირებულებები გააჩნია – ინდივიდის დონეზე მყოფი ადამიანისთვის უპირველესი არის მისი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რასაც იგი ყველა საშუალებით ცდილობს. ე. ი. ინდივიდის დონეზე ქცევის განწყობა მისი მოთხოვნილებით, საგნობრივი გარემოსა და მოქმედების ოპერაციების გაერთიანების საფუძველზე ჩნდება. მეორე დონე სუბიექტის დონეა. აქ აქტუალური მოთხოვნილების საფუძველზე აღმოცენებულ განწყობას ცნობიერება უპირისპირდება, რითაც ადამიანს საშუალება ეძლევა „აქტუალური განწყობის მონობისგან თავი გაითავისუფლოს“. იგი მოაზროვნე ადამიანია. მესამე, პიროვნების დონეზე მყოფი ადამიანი კი სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ყალიბდება, ქმნის მაღალ ღირებულებებსა და კულტურას, მატერიალური სინამდვილისა-

გან განსხვავებულ ახალ სინამდვილეს, ცხოვრობს საზოგადოების წესების, კანონებისა და მორალის მიხედვით, ასრულებს გარკვეულ სოციალურ როლს [16].

ღირებულებების საკითხი განიხილება პიროვნების ფსიქოლოგიურ თეორიებში. კ. როჯერსის „პიროვნებაზე ცენტრირებული თეორიის“ თანახმად, შეფასების პროცესის ორი სახე არსებობს: საკუთარი ორგანიზმული შეფასებისა და ღირებულებათა პირობებზე დაფუძნებული. „ცუდად ფუნქციონირებად“ ადამიანებს დაბალ დონეზე აქვთ შეფასების პროცესი და მათი შეფასება მთლიანად ეყრდნობა ღირებულებათა პირობებს, რაც ამახინჯებს ბევრ ფაქტს საკუთარი გამოცდილებიდან. ხოლო „კარგად ფუნქციონირებად“ ადამიანებს ნაკლები ფასეულობის პირობები აქვთ, ამიტომ საკუთარი შეგრძნებების დიდ ნაწილს სწორად აღიქვამენ. როგორც კარგად, ისე ცუდად ფუნქციონირებად ადამიანებს გააჩნიათ აქტუალიზაციისაკენ მისწრაფება. „კარგად ფუნქციონირებადი“ ადამიანების „მე-კონცეფცია“ სენსორული და ვისცერალური გამოცდილების მიღების საშუალებას იძლევა (სიახლის მიღების მზაობა), ამიტომ ასეთი ადამიანების თვითაქტუალიზაციას არ მიეყვართ აქტუალიზაციის ტენდენციის ბლოკირებამდე. „ცუდად ფუნქციონირებადებში“ კი ხდება გახლენა და აქტუალიზაციის ტენდენცია შედის კონფლიქტში საკუთარ ეგოსთან. ამიტომ „კარგად ფუნქციონირებადი“ ადამიანები უკეთესად ახერხებენ სხვებთან და გარემოსთან ურთიერთობას.

ფ. პერლსის „გემტალტ-თეორიის“ მიხედვით, ადამიანის ორგანიზმი არის მთლიანი სისტემა, რომელიც უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მისი შემადგენელი ელემენტების ერთობლიობა, რომელშიც, რასაკვირველია, შედის მისი ღირებულებათა სისტემა, რაც დიდ როლს ასრულებს პიროვნების ცხოვრებასა და საქმიანობაში. მიუხედავდ იმისა, რომ ადამიანის ორგანიზმი მუდმივად განიცდის გარეგან და შინაგან დისბალანსს, იგი მი-

ისწრაფვის წონასწორობისა და ჰომეოსტაზის შენარჩუნებისაკენ, რომლის შედეგადაც იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს და აღიდგენს ბალანსს. თუ ასე არ მოხდა, ვითარდება ნევროზი, რომლის განვითარების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს ინტროექცია, რომლის დროსაც ინტროექტი აკეთებს იმას, რასაც სხვები ელოდებიან მისგან და, როგორც წესი, ეს ქცევა არის საზოგადოების ღირებულებათა სისტემისათვის მისაღები. ადამიანისა და საზოგადოების კონტაქტის საზღვარზე უნდა იყოს ეფექტური ბალანსი. დამოუკიდებელი ადამიანი იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ არსებობაზე და აქვს არჩევანის თავისუფლება, რის შედეგადაც მისი მთლიანობა დისბალანსს არ განიცდის, სხვაზე დამოკიდებული კი ანგარიშს უწევს გარშემომყოფთა აზრს, რის გამოც შეიძლება დისკომფორტი შეექმნას მის გო-ს.

„ეგზისტენციალური კონსულტირების თეორიის“ თანახმად (ფუქემდებლები ი. იალომი და რ. მეი), ეგზისტენციალური პრობლემები დაკავშირებულია ზოგადად არსებობასთან, მასთან დაკავშირებულ განგაშთან, სასონარკვეთასთან, სიკვდილთან, მარტოობასთან, აბსურდთან, თავისუფლებასთან, პასუხისმგებლობასთან და ა. შ. ამის გათვალისწინებით, ეგზისტენციალური შფოთვა 4 სახისაა:

1. პირველი ეგზისტენციალური კონფლიქტი წარმოიშობა სიკვდილის გარდაუვალობასა და სიცოცხლის გაგრძელების სურვილს შორის;

2. მეორე ეგზისტენციალური კონფლიქტი წარმოიშობა თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობასა და პასუხისმგებლობის შიშს შორის;

3. მესამე კონფლიქტი არის ადამიანის მიერ საკუთარი მარტოობისა და იზოლაციის შეცნობასა და სურვილს შორის, დაამყაროს კონტაქტები და იყოს მთელის ნაწილი;

4. მეოთხე ეგზისტენციალური კონფლიქტი კი არის ადამიანის მიერ აზრის მოთხოვნილებისა და გულგრილ სამყაროს შორის, რომელშიც არ არის აზრი.

რელიგია გარკვეულწილად უგვარებს მორწმუნე ადამიანს ამ პრობლემებს: უხსნის სიკვდილის შიშს იმქვეყნიური ცხოვრების იმედით; პასუხისმგებლობის შიში ეხსნება, რადგან რელიგია თავად კარნახობს სწორ არჩევანსა და სწორი ქცევის კრიტერიუმებს; რელიგიურ ადამიანს იზოლაცია და მარტოობა არ ემოქმედება, რადგან გარემოცულია თანამოაზრეებით; დაბოლოს, რელიგია ადამიანის ცხოვრებას აზრს აძლევს, რის შედეგად მეოთხე კონფლიქტიც შეიძლება დაიძლიოს.

რაც შეეხება ათეისტებს, მათ არ სწამთ იმქვეყნიური ცხოვრების და, ამდენად, მათში ეს ეგზისტენციალური პრობლემა რჩება; პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ცხოვრებაზე შეუძლიათ; მათი მარტოობა და იზოლაცია საკუთარი არჩევანია; დაბოლოს, ცხოვრების აზრი შეუძლიათ საკუთარი შეხედულებებისამებრ ჩამოაყალიბონ.

ზ. ფროიდის „ფსიქოანალიზის“ მიხედვით, ადამიანის ფსიქიკური აპარატი შედგება 3 ძირითადი სტრუქტურისაგან: იდი (რომელიც იბრძვის ინსტინქტების დაკმაყოფილებისათვის; ეს შეესაბამება შ. ნადირაშვილის მიერ გამოყოფილ ინდივიდის დონეს); ეგო (რომელიც ისწრაფვის იდის ინსტინქტების შესრულებისაკენ რეალობის გათვალისწინებით – სუბიექტის დონე) და სუპერ-ეგო (მშობლებისა და საზოგადოების მორალის გავლენით მოქმედება – პიროვნების დონე). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამივე დონეზე მყოფ ადამიანს გააჩნია თავისი ღირებულებები. და რადგან ფროიდის მიხედვით ადამიანში სამივე სტრუქტურა არსებობს, რომელი სტრუქტურაც ძლიერად არის წარმოდგენილი – იდი, ეგი თუ სუპერ-ეგო – ადამიანის ღირე-

ბუღალტერული სისტემა და მისგან გამომდინარე ქცევა შესაბამისი იქნება.

კ. გუსტავ იუნგის „პიროვნების ანალიტიკური თეორიის“ მიხედვით, ადამიანის ქცევას მართავენ თანდაყოლილი არქეტიპები – ფსიქიკური პირველხატი, რომელიც ჩამოყალიბებულია კოლექტიურ ქვეცნობიერში უძველეს დროში და დევს მითებისა და ზღაპრების სამყაროში (ეს არქეტიპებია: დედა, ბავშვი, გმირი, ღმერთი, სიცოცხლე და ა. შ). ეს კოლექტიური ქვეცნობიერი განაპირობებს როგორც ცალკეული პიროვნების, ისე საზოგადოების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებას. ფროიდის ლიბიდოსგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ სექსუალურ ენერჯიაზე არის ორიენტირებული, იუნგის ლიბიდო არის შემოქმედებითი სასიცოცხლო ძალა, რომელიც სხვადასხვა სახით ვლინდება, მაგ., რელიგიაში, ძალაუფლებისკენ სწრაფვაში და სხვა.

„ჰუმანისტური თეორიის“ ფუძემდებელი ე. ფრომი ადამიანის ჩამოყალიბებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ და ანთროპოლოგიურ ფაქტორებს. მისი აზრით, ადამიანის მთავარი ღირებულება და ქცევის ძირითადი მოტივაცია არის თავისუფლებისაკენ სწრაფვა და უსაფრთხოების შეძენის სურვილი. დიქტომია – „თავისუფლება-უსაფრთხოება“ არის ძირითადი ეგზისტენციალური მოთხოვნილება, რაც მოიცავს შემდეგ მომენტებს:

1. ურთიერთობების დამყარების მოთხოვნილება (ვიღაცაზე იზრუნოს და პირიქით);
2. გადალახვის მოთხოვნილება (დაძლიოს თავისი ცხოველური ბუნება და იყოს შემოქმედებითი და სოციალური);
3. დამკვიდრების მოთხოვნილება (იგრძნოს საყრდენი);
4. საკუთარი თავის შეცნობის მოთხოვნილება (რომ არის უნიკალური და თავისთავადი).

გ. ოლპორტის „პიროვნების ინდივიდუალურ თეორიაში“ ყურადღება გამახვილებულია ინდივიდის უნიკალურობასა და მისი ქცევის კონგრუენტულობაზე, გენეტიკური და სოციალური ფაქტორების როლზე. ამ თეორიის მიხედვით, პიროვნების ძირითადი ნიშანია ხასიათი. ხასიათი ასოცირდება ადამიანის მორალურ სტანდარტებთან და ღირებულებათა სისტემასთან, რომლებითაც ფასდება ადამიანის ქცევა. როცა ვამბობთ, რომ ადამიანს კარგი ხასიათი აქვს, ეს ნიშნავს, რომ მისი პიროვნული თვისებები სოციალურად და ეთიკურად მისაღებია. ესენია ინდივიდის მახასიათებლები, რომლებიც უნიკალურია თითოეული ადამიანისათვის და განსაზღვრავს მის პიროვნულ თვისებებს. იგი ჩართულია სოციალურ ცხოვრებაში (სამუშაო, ჰობი, ოჯახი, რელიგია, პოლიტიკა), პიროვნებათაშორის ურთიერთობებში (მეგობრობა, სამსახური) და ა. შ. ხოლო ზოგადი ნიშნები ახასიათებს ამა თუ იმ კულტურის ადამიანთა ჯგუფს, რადგან ისინი განიცდიან მსგავს ევოლუციურ და სოციალურ გავლენას და უყალიბდებათ მსგავსი ღირებულებითი ორიენტაციები.

ა. მასლოუს „ჰუმანისტური თეორიის“ თანახმად, ადამიანი ბუნებით არის დადებითი, ის მუდმივად მოძრაობს პიროვნული ზრდისკენ და არის საკუთარი ცხოვრების აქტიური შემოქმედი. ადამიანს აქვს მოთხოვნილებები, თუმცა იშვიათად აღწევს მათ სრულ დაკმაყოფილებას. ეს მოთხოვნილებები, რომლებიც ღირებულებათა ანალოგებია, ქმნიან იერარქიულ სისტემას:

1. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები – ემსახურება ფიზიკურ გადარჩენას. ისინი მინიმალურად მაინც უნდა დაკმაყოფილდეს, რომ ადამიანმა მომდევნოებზე იფიქროს;

2. უსაფრთხოებისა და დაცვის მოთხოვნილება – დღის წესრიგში დგება ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ. ეს არის სტაბილურობის, კანონის, წესრიგის

მოთხოვნილება, ავადმყოფობის, შიშის, ქაოსისგან დაცვის სურვილი;

3. კუთვნილებისა და სიყვარულის მოთხოვნილება – პიროვნებათაშორისი ურთიერთობები, მეგობრობა, სექსუალური ურთიერთობები. იგი პირველი ორის დაკმაყოფილების შემდეგ დგება დღის წესრიგში;

4. თვითპატივისცემის მოთხოვნილება – საკუთარი თავის პატივისცემა, მიღწევები, კომპეტენტურობა, დამოუკიდებლობა, თავისუფლება, პრესტიჟი, რეპუტაცია, სტატუსი;

5. თვითაქტუალიზაციისა და პირადი სრულყოფის მოთხოვნილება – გახდეს ის, რისკენაც ისწრაფვის, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები.

თუმცა ეს იერარქია ზოგჯერ შეიძლება დაირღვეს, მაგ., ადამიანმა შიმშილი მოითმინოს და შექმნას შედეგრი [62].

გასული საუკუნის 30-იან წლებში ჯ. ფერგიუსონის მიერ ჩატარებული კვლევით დადასტურდა, რომ სოციალურ ღირებულებათა მიმართ შემუშავებული განწყობები შინაარსობრივად უკავშირდება ერთმანეთს და განწყობათა „მტევნებს“ ქმნის. ხოლო მრავალ განწყობათა შორის გამოიყოფა გარკვეული თვალსაზრისით დომინანტური განწყობები, მაგ.: რელიგიის, ჰუმანურობის, ნაციონალურობის მიმართ, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია პროგნოზის გაკეთება იმის თაობაზე, თუ რა განწყობა ექნება ადამიანს ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, ხოლო ცალკეული ინდივიდების ღირებულებათა სისტემების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ მთლიანი საზოგადოების ღირებულებათა სისტემაზე [2].

XX საუკუნის 80-90-იან წლებში შ. შვარცმა ჩამოაყალიბა ადამიანის საბაზისო ღირებულებების თეორია, რომლის ძირითადი დებულებებია:

1. ღირებულებები არის ტრანსსიტიუაციური მიზნები, რომლებიც ადამიანის ცხოვრების მმართველ პრინციპს წარმო-

ადგენენ. ისინი ემყარება ინდივიდის ბიოლოგიურ საჭიროებებს, კოორდინირებული სოციალური ურთიერთქმედების აუცილებლობას და ჯგუფების გადარჩენისა და კეთილდღეობის მიზნების დაკმაყოფილებას;

2. ღირებულებები არის წარმოდგენები, რომლებიც დაკავშირებულია აფექტთან. როცა ხდება გარკვეული ღირებულების აქტივაცია, ის გრძნობებით გაჯერდება. მაგ., ვისთვისაც მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობა, გააქტიურდება მაშინ, როცა მისი დამოუკიდებლობა საფრთხის ქვეშ დადგება და ბედნიერია მაშინ, როცა შეუძლია მისით სარგებლობა;

3. ღირებულებები მიმართულია სასურველი მიზნებისაკენ, რომლებიც მოტივაციას აძლევენ ქმედებას. მაგ., ვისთვისაც სოციალური წესრიგი და სამართლიანობა მნიშვნელოვანია, მოტივირებულია, მისდიოს მას;

4. ღირებულებები კონკრეტულ მოქმედებებსა და სიტუაციებზე მაღლა დგებიან. მაგ., სურვილის მიუხედავად, მორჩილება და პატიოსნება საჭიროა სკოლაში, სამსახურში, სპორტში და ა. შ.;

5. ღირებულებები ითავსებენ სტანდარტებისა და კრიტერიუმების როლს, განაგებენ ინდივიდის მიერ ადამიანებისა და მოვლენების შეფასებასა და გადანყვეტილებების არჩევას. ადამიანები წყვეტენ, რა არის კარგი და რა არის ცუდი, გამართლებული ან უკანონო, რისი გაკეთება ღირს ან არ ღირს. თუმცა მათი გავლენა ყოველდღიური გადანყვეტილებების მიღებაში იშვიათადაა ცნობიერი. ცნობიერი ხდება მაშინ, როცა კონფლიქტში მოდის სხვა ღირებულებებთან;

6. ღირებულებები დალაგებულია ერთმანეთის მიმართ მათი მნიშვნელობის მიხედვით. ეს იერარქია ახასიათებს ადამიანს, როგორც ინდივიდს;

7. რამდენიმე ღირებულების ფარდობითი მნიშვნელობა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას. მაგ., ეკლესიაში სიარულმა

შეიძლება გამოხატოს ტრადიციულობის, კონფორმულობის და უსაფრთხოების ღირებულებები ჰედონიზმისა და სტიმულირების ხარჯზე. ერთმანეთის საწინააღმდეგო ღირებულებების ანონ-დანონა განაპირობებს ადამიანის დამოკიდებულებას სხვადასხვა მოვლენების მიმართ და მის მიერ არჩეულ საქციელს [107].

შვარცის თანახმად, ღირებულებებს შორის განსხვავების საფუძველია მათ მიერ გამოხატული მოტივაციური ტიპი. ამის გათვალისწინებით, შვარცი ღირებულებებს აჯგუფებს 10 ტიპად მათი ძირითადი მიზნების მიხედვით. ესენია:

1. ძალაუფლება, რომლის მოტივაციური მიზანია სოციალური სტატუსის, პრესტიჟის, ავტორიტეტის, იმიჯის, ადამიანებსა და მოვლენებზე დომინანტური პოზიციის მიღწევა-შენარჩუნება სოციალური სისტემის ფარგლებში;

2. მიღწევა, რომლის მოტივაციური მიზანია პირადი წარმატების მიღწევა არსებული სოციალური სტანდარტების ფარგლებში, კომპეტენციის დემონსტრირება, სოციალური აღიარება, მიზანდასახულობა, ნიჭიერება;

3. ჰედონიზმი – მისი მოტივაციური მიზანია ორგანიზმის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ამით გამოწვეული სიამოვნების მიღება, ხორციელი ტკბობა, სიცოცხლით ტკბობა;

4. სტიმულირება, რომლის მოტივაციური მიზანია სიახლის მიღების მზაობა, ღრმა განცდებისაკენ სწრაფვა, შთაბეჭდილებებით აღსავსე, მრავალფეროვანი ცხოვრება;

5. დამოუკიდებლობა – წარმოიშობა ავტონომიისა და კონტროლის ორგანიზმული მოთხოვნილებიდან და ნიშნავს აზროვნებისა და მოქმედების ხერხების არჩევანის თავისუფლებას, შემოქმედებითობას, პირადი ცხოვრების უფლებას;

6. უნივერსალიზმი, რომლის მოტივაციური მიზანია საყოველთაო თანასწორობის, ყველა ადამიანის კეთილდღეობის შენარჩუნება, მშვიდობა მთელ მსოფლიოში, ბუნებასთან ერთი-

ნობა, სიბრძნე (მონიფულობა), მშვენიერების სამყარო, სოციალური სამართლიანობა და შემწყნარებლობა;

7. კეთილგანწყობა – უნივერსალიზმთან შედარებით უფრო ვიწრო „პროსოციალურ“ ღირებულებათა ტიპია. მისი მოტივაციური მიზანია გარშემომყოფი ადამიანების, საკუთარი სოციალური ჯგუფის კეთილდღეობის შენარჩუნება-გაძლიერება. კეთილგანწყობის მოტივაციური ტიპი აერთიანებს ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა: ერთგულება, პატიოსნება, პასუხისმგებლობა, მიმტევებლობა;

8. ტრადიციულობა – მისი მოტივაციური მიზანია იმ კულტურული და რელიგიური ტრადიციებისა და ადათ-წესების პატივისცემა და ერთგულება, რომლებიც კონკრეტული კულტურის ან რელიგიის მიერ არის მოცემული;

9. კონფორმულობა – განპირობებულია საკუთარი ქმედებებისა და იმპულსების შეზღუდვით, რომლებმაც შესაძლოა სხვები დააზიანოს ან დაარღვიოს სოციალური ნორმები. მისი მოტივაციური მიზანია ზრდილობა, თავაზიანობა, კარგი მანერები, თვითდისციპლინა, სხვების პატივისცემა და კანონმორჩილება;

10. უსაფრთხოება, რომლის მოტივაციური მიზანია საზოგადოების, ოჯახისა და საკუთარი უსაფრთხოება, საზოგადოებისა და ურთიერთობების სტაბილურობა, სოციალური წესრიგი, ეროვნული უშიშროება, ოჯახის უსაფრთხოება, სოციალური კუთვნილება, ჯანმრთელობა (სულიერი და ფიზიკური).

ეს 10 მოტივაციური ტიპი დაჯგუფებულია ინდივიდუალისტური (მიღწევა, დამოუკიდებლობა, სტიმულირება, ძალაუფლება, ჰედონიზმი) და კოლექტივისტური (კეთილგანწყობა, კონფორმულობა, უნივერსალიზმი, ტრადიციულობა) ღირებულებების ჯგუფებად. უსაფრთხოება შერეულ ღირებულებას განე-


კუთვნება, რადგანაც უკავშირდება როგორც საკუთარ, ისე ოჯახისა და ქვეყნის უსაფრთხოების დაცვას [42].

როგორც ვხედავთ, ღირებულებათა თითოეული მოტივაციური ტიპი გარკვეული ინტერესების დაცვას ემსახურება და თავისი მიზნები აქვს, რაც ადამიანის მისწრაფებებსა და, შესაბამისად, ქცევას განსაზღვრავს. ამ ქცევას, თავის მხრივ, მოჰყვება ფსიქოლოგიური, პრაქტიკული და სოციალური შედეგები, რომლებიც შეიძლება იყოს ან კონფლიქტური, ანდა, პირიქით, თავსებადი. ამრიგად, ამ კონცეფციის მიხედვით, ღირებულებათა სისტემა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანის ქცევის სტრატეგიის განმსაზღვრელი სქემა [33].

აღნიშნული 10 მოტივაციური ტიპი შვარცმა განალაგა გრაფიკის სახით, რომელშიც მოცემულია ღირებულებებს შორის თავსებადობისა და კონფლიქტის მიმართებები. ღირებულებათა წრიული განლაგება წარმოადგენს მათ სამოტივაციო სპექტრს. რაც უფრო ახლოსაა ნებისმიერი ორი ღირებულება ერთმანეთთან ნებისმიერი მიმართულებით წრის გარშემო, მით უფრო მსგავსია მათი მამოძრავებელი მოტივაციები, და რაც უფრო დაშორებულნი არიან – მით უფრო ანტაგონისტური (იხ. გრაფიკი 1).

მიმართებები მოტივაციურ ტიპებს შორის

გრაფიკი 1



ამ 10 საბაზისო ღირებულებას შორის თავსებადობა და კონფლიქტი გვაძლევს ღირებულებათა ინტეგრირებულ სტრუქტურას, რომელიც შეიძლება მოკლედ აღინეროს ორი მართობული განზომილებით:

1. თვითსარგებლიანობა და აღტრუიზმი. ამ განზომილებაში ძალაუფლებისა და მიღწევის ღირებულება უპირისპირდება უნივერსალიზმსა და კეთილგანწყობას. პირველი ორი ხაზს უსვამს საკუთარ ინტერესს, ხოლო მომდევნო ორი გულისხმობს სხვების ინტერესსა და კეთილდღეობას.

2. ასევე ერთმანეთის საპირისპიროა ცვლილებებისადმი ღიაობა და კონსერვატულობა. ამ განზომილებაში დამოუკიდებლობისა და სტიმულირების ღირებულებები უპირისპირდება უსაფრთხოების, კონფორმულობისა და ტრადიციულობის ღირებულებებს. პირველი 2 ხაზს უსვამს დამოუკიდებელ მოქმე-

დებას, ფიქრსა და მზაობას ახალი შთაბეჭდილებებისადმი, და-
ნარჩენი კი – თვითშეზღუდვას, ნესრიგსა და ცვლილებებისად-
მი წინააღმდეგობას. ჰედონიზმი იზიარებს ღიაობისა და თვით-
სარგებლიანობის ელემენტებს.

გრაფიკზე გამოსახულ მოსაზღვრე ღირებულებებს შორის
საერთო მოტივაციები შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ძალაუფლება და მიღწევა – სოციალური წინსვლა და და-
ფასება;

მიღწევა და ჰედონიზმი – საკუთარ თავზე ორიენტირებუ-
ლი კმაყოფილება;

ჰედონიზმი და სტიმულირება – სასიამოვნო აფექტური აგ-
ზნების სურვილი;

სტიმულირება და დამოუკიდებლობა – სიახლით გულ-
ნრფელი დაინტერესება;

დამოუკიდებლობა და უნივერსალიზმი – საკუთარ გადან-
ყვეტილებებზე დაყრდნობა და არსებულ სხვადასხვა გარემოში
თავის კომფორტულად გრძნობა;

უნივერსალიზმი და კეთილგანწყობა – სხვების ინტერესე-
ბის საკუთარ, ეგოისტურ ინტერესებზე მაღლა დაყენება;

კეთილგანწყობა და ტრადიციულობა – საკუთარი ჯგუფის
ერთგულება;

კეთილგანწყობა და კონფორმულობა – ნორმატიული საქ-
ციელი, რომელიც ახლო ურთიერთობებს ავითარებს;

კონფორმულობა და ტრადიციულობა – საკუთარი თავის
დაქვემდებარება სოციალურად მოცემული მოლოდინების მი-
მართ;

ტრადიციულობა და უსაფრთხოება – არსებული სოცია-
ლური კონტაქტების დაცვა, რომლებიც ცხოვრებას ხდიან უფ-
რო პროგნოზირებადს;

კონფორმულობა და უსაფრთხოება – ურთიერთობებში
ნესრიგისა და ჰარმონიის დაცვა;

უსაფრთხოება და ძალაუფლება – რესურსებისა და ურთიერთობების კონტროლით საფრთხეების თავიდან არიდება ან მათი დაძლევა.

§2. ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება

როგორც აღვნიშნეთ, ღირებულება წარმოადგენს შეფასების კრიტერიუმს, რომელსაც ადამიანი იყენებს საკუთარი მოქმედების შესარჩევად და დასასაბუთებლად, აგრეთვე საკუთარი თავის, სხვებისა და მოვლენების შესაფასებლად [33].

როგორ ხდება შეფასების ამ კრიტერიუმის ჩამოყალიბება, რა ფსიქოლოგიური მექანიზმი უდევს მას საფუძვლად?

შ. ნადირაშვილის თვალსაზრისით, განწყობის თეორიის თანახმად, ნებისმიერი საგნისა თუ მოვლენის შეფასების საფუძველია დისპოზიციური განწყობა, რომელიც ჩამოყალიბებულია სიტუაციური განწყობის მრავალჯერ რეალიზაციის შედეგად, ან იმის გამო, რომ სიტუაციური განწყობის საფუძველზე განხორციელებულ ქცევას დიდი პიროვნული მნიშვნელობა აღმოაჩნდა ადამიანისათვის. ეს დისპოზიციური განწყობები ერთმანეთს უკავშირდება, ქმნის მთელ სისტემას, რაც, თავისთავად, გავლენას ახდენს ადამიანის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე [16].

განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიასა და განწყობის ანტროპულ თეორიაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალგაზრდის ღირებულებათა სისტემისა და მისი სოციალურად მისაღები ქცევის ჩამოყალიბებაზე მოქმედებს გარეგანი (ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორები) და შინაგანი (ფიზიკური და ფსიქოლოგიური – ასაკი, სქესი, ტემპერამენტი, უნარები, სუბიექტური მოთხოვნილებები, განვითარების დონე და სხვ.) ფაქტორები [15].

ახალგაზრდის სწორ აღზრდას, რომელიც ოჯახისა და საზოგადოების ხელშეწყობით უნდა განხორციელდეს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სწორი აზროვნების, მყარი ფსიქიკისა და ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, მოზარდში ნაკლებად იქნება გამოხატული ანტისოციალური ქცევა [3].

ღირებულებების დასწავლა სიცოცხლის ადრეული წლებიდან ხდება. ამ პროცესზე გავლენას ახდენს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული გარემო. ღირებულებების შესაცვლელად ხანგრძლივი დროა საჭირო. ეს უფრო ეხება ადრეულ ასაკში ფორმირებულ ცენტრალურ ღირებულებებს, ვიდრე მოგვიანებით ჩამოყალიბებულს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ, ერთის მხრივ, კოგნიტური ორგანიზაციის ცენტრალური ელემენტების ცვლილება დიდ ძალისხმევას მოითხოვს, და მეორეც, ცენტრალურ ღირებულებებზე უარის თქმა გაურკვეველობასა და შფოთს იწვევს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებში ასაკოვნებთან შედარებით უფრო ადვილად მიმდინარეობს ცვლილების პროცესი.

ღირებულებები თაობებს შორისაც იცვლება და ასახავს იმ პერიოდის საზოგადოების ღირებულებებს, რომელშიც თაობა აღიზარდა. მაგ., მეორე მსოფლიო ომის დროს აღზრდილი ადამიანები იყვნენ შრომისმოყვარენი და მორჩილნი, სჯეროდათ ავტორიტეტების. მ. როკიჩის ღირებულებათა შესახებ გამოკითხვის მიხედვით, ისინი მშვიდობასა და ოჯახის უსაფრთხოებას ანიჭებდნენ უპირატესობას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვეტერანები ოჯახებს დაუბრუნდნენ, დაიწყო სამოქალაქო უფლებებისა და ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა, ვიეტნამის ომი, გაიზარდა ხელისუფლებისადმი უნდობლობა. აღნიშნული თაობა პრაგმატიკოსია, ცდილობს იშრომოს, სოციალური აღიარება და კარიერული წინსვლა მოიპოვოს.

მეოცე საუკუნის ბოლოს ცხოვრების გლობალიზაციამ, შიდსთან ბრძოლამ, ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებამ ჩამოაყალიბა სკეპტიკურად განწყობილი თაობა, რომელნიც ამჯობინებენ ჯგუფზე ორიენტირებულ სამუშაოს, მათთვის ოჯახი და მეგობრული ურთიერთობები ძალზე მნიშვნელოვანია. მათ სურთ ხელფასების გაზრდა და დანინაურება შეუთავსონ თავისუფალ დროსა და გართობას.

უახლესი თაობა უახლესი ტექნოლოგიების ხანაში გაიზარდა, ისინი მუდმივად კონკურენციის პირობებში, სამუშაო ადგილისა და კარიერის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგანან, ორიენტირებული არიან ფულზე და ეძებენ ფინანსურ წარმატებას, არიან ძალზე თავდაჯერებულები და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავისუფლებასა და კომფორტულ ცხოვრებას [23].

როგორც აღვნიშნეთ, ინდივიდის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ოჯახი, მისი ტრადიციები, უფროსი თაობის ადამიანების მსოფლმხედველობა. ოჯახებსა და თაობებს შორის არსებული პრობლემები გარკვეულწილად ღირებულებათა განსხვავებების გამოც წარმოიქმნება. დღევანდელ საქართველოში ტრადიციული ოჯახები, სადაც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა და უფროსი თაობა იღებდა გადაწყვეტილებებს, ნელ-ნელა იცვლება ისეთი ოჯახებით, რომლებშიც მხოლოდ ცოლ-ქმარი და შვილები ცხოვრობენ დამოუკიდებლად, რამაც განაპირობა თაობათა შორის ღირებულებების მნიშვნელოვანი განსხვავება. კერძოდ, ტრადიციებისადმი ერთგულება, სხვადასხვა თაობის ერთად ცხოვრება და ბავშვის ისე გაზრდა, რომ ის იყოს დამჯერი, ღირებულია უფროსი თაობისთვის, ხოლო, ახალგაზრდების აზრით, ადამიანი უნდა იყოს დამოუკიდებელი და შვილიც ასე უნდა გაზარდოს [23].

ადამიანისა და საზოგადოების ღირებულებათა სისტემა გარკვეული დროის განმავლობაში სტაბილურია. ის, ვინც ხში-

რად იცვლის ღირებულებებს, არასაიმედო და არაპროგნოზირებადი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასევე საზოგადოებასაც უნდა ჰქონდეს სტაბილური და საერთო ღირებულებები, რის გარეშეც მოსალოდნელია კოლექტიური დეზორიენტაცია და დაბნეულობა.

მეორეს მხრივ, შეუძლებელია, რომ ღირებულებები აბსოლუტური სტაბილურობით ხასიათდებოდნენ. ინდივიდიც და საზოგადოებაც დროთა განმავლობაში, ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე და ვითარების შესაბამისად (ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული პირობების, იდეოლოგიის ცვლილება), იცვლის თავის ღირებულებით ორიენტაციებს. ორივე შემთხვევაში ღირებულებათა ცვლის ეს პროცესი შესაძლებელია მიმდინარეობდეს თანდათანობით და ნელა, ან მოულოდნელად და სწრაფად.

პიროვნების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს რელიგიაც. თუ ათეისტის ღირებულებათა სისტემის სტრუქტურა მისი პიროვნული ინდივიდუალურობით არის განპირობებული, მორწმუნის ღირებულებები იმ რელიგიის შესაბამისი უნდა იყოს, რომლის აღმსარებელიც არის ის. ყველა რელიგია ამკვიდრებს ადამიანში თავის ღირებულებებს. რელიგიით განპირობებული ღირებულებები მიმართულია ადამიანის ცხოვრების უმაღლესი საზრისის განხორციელებისაკენ. რელიგიის ქვეშ იგულისხმება განსაკუთრებული სულიერ-პრაქტიკული კავშირი იმ ადამიანებს შორის, რომელთათვისაც საერთო რწმენის ღირებულებები წარმოადგენენ ცხოვრების ძირითად აზრს. ძირითადი რელიგიური ღირებულება კი არის რწმენა, რომელიც ადამიანს აძლევს აბსოლუტურ დარწმუნებულობას თავისი მიზნების მიღწევის გზაზე (სულის გადარჩენა და მარადიული ცხოვრება). რელიგიური ღირებულებების სამყარო ადამიანის მიერ არ არის შექმნილი, იგი მას ეძლევა ღვთის შეცნობის პროცესში [47].

§3. ღირებულებათა გაზომვა

ერთი შეხედვით, ღირებულება შეუძლებელია გაიზომოს, თუმცა მათი გაზომვა ყოველდღიურად ხდება ადამიანების მიერ – ერთისთვის სამუშაო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოჯახი, მეორისთვის ოჯახი უფრო წინ დგას, ვიდრე მეგობრები და ა. შ. თუმცა, ეს არის ღირებულებათა იმპლიციტური გაზომვა. სოციალური კვლევების დროს კი მათი ექსპლიციტური გაზომვა ხდება (ტურსტონის, ლაიკერტის და ა.შ. სკალებით), რის შედეგადაც ირკვევა, შეესაბამება თუ არა ადამიანის წარმოდგენა საკუთარ ღირებულებებზე რეალობას [27].

ღირებულებათა შესწავლისას მკვლევართა უმეტესობა პირდაპირ სვამდა კითხვებს ბაზისური ღირებულებების შესახებ, ან ტარდებოდა გამოკვლევა ინტერვიუს, ესეების და დაუმთავრებელი წინადადებების სახით, რაც ბევრისთვის რთული გასაგები იყო.

ღირებულებათა გაზომვის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მიდგომად ითვლება მ. როკიჩის კონცეფცია. ეს არის მარტივი მეთოდი, რომლითაც ბევრი მკვლევარი სარგებლობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მ. როკიჩის აზრით, ღირებულებები წარმოადგენს ძირითად, მტკიცე რწმენას, ცხოვრების პრინციპს, რომლის მიხედვითაც იქცევა ადამიანი სხვადასხვა სიტუაციებში. მან გამოყო ტერმინალური ღირებულებები, რომლებიც წარმოადგენენ საბოლოო მიზნებს და თავისთავად ღირებულნი არიან, და ინსტრუმენტული ღირებულებები, რომლებიც წარმოადგენენ ქცევის ფორმებს და გარკვეული მიზნის მიღწევას ემსახურებიან (მაგ., პატიოსანი, კეთილი). მან ასევე მიუთითა ღირებულებათა იერარქიულ ხასიათზე და, შესაბამისად, მათი რანჟირების შესაძლებლობაზე [42].

მ. როკიჩის მეთოდის მიხედვით, ხდება რესპონდენტების გამოკითხვა, რამდენად ეთანხმებიან ისინი კითხვარში ჩამოთ-

ვლილ ღირებულებებს. გამოკითხვის ფორმატი იძლევა იმის სა-
შუალებას, შეფასების სკალის მეშვეობით გავიგოთ, რამდენად
მნიშვნელოვანია კონკრეტული ღირებულება რესპონდენტის-
თვის. თუმცა ამ მეთოდს ორი უარყოფითი მხარე აქვს: პასუხე-
ბის ტენდენციურობა და აზრის ექვივალენტურობა. ტენდენცი-
ურობა გულისხმობს იმას, რომ სხვადასხვა კულტურის წარმო-
მადგენელი რესპონდენტები ტიპიურად პასუხობენ შეფასების
სკალებს, ზოგი უკიდურეს პასუხებს აფიქსირებს, ზოგი – შუა-
ლედურებს (ამის გამოსარიცხად გამოიყენება რანჟირების პრო-
ცედურა). აზრის ექვივალენტურობა კი იმაში მდგომარეობს,
რომ სხვადასხვა კულტურებში და სხვადასხვა ენაზე ერთიდაი-
გივე ღირებულებას შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა
ჰქონდეს. ამის აღმოსაფხვრელად მკვლევარმა უნდა დაადგი-
ნოს ამა თუ იმ ღირებულების მნიშვნელობა ასოციაციების მეშ-
ვეობით (პოზიტიური, ნეგატიური, ნეიტრალური). თუ ღირებუ-
ლებებს სხვადასხვა კულტურებში მსგავსი მნიშვნელობა აქვთ,
მათ შორის ინტერკორელაციაც მსგავსი იქნება. კორელაციის
ხარისხი ფასდება ფაქტორული ანალიზით ან მრავალჯერადი
სკალირებით ცალკეული კულტურის ფარგლებში. შემდეგ შე-
დარდება ფაქტორები ან გაზომვის ღერძები და თუ ღირებულე-
ბებს ექვივალენტური მნიშვნელობა აქვს, ისინი განლაგდება
მსგავს ფაქტორებში ან ღერძის ერთ ნაწილში.

მ. როკიჩის ეკუთვნის ასევე ღირებულებების კვლევის მეთო-
დიკა, რომელიც 1973 წელს შეიქმნა და „Rokeach Value Survey“
(„როკიჩის ღირებულებების კითხვარი“) ეწოდება [42]. ის დამყა-
რებულია ღირებულებების პირდაპირ რანჟირებაზე. რესპონ-
დენტი პასუხს სცემს ორ ნუსხას, რომელთაგან თითოეულში 18
ღირებულება შედის. ამ მეთოდის მოწინააღმდეგეების აზრით,
ღირებულებების რანჟირების მაგივრად, უკეთესია თითოეული
მათგანი შეფასდეს მნიშვნელობის მიხედვით. გარდა ამისა, ეს
მეთოდი არ გამორიცხავს რესპონდენტის მხრიდან სოციალუ-

რად მისაღები პასუხის გაცემას. მეთოდის დადებითი კი არის მისი უნივერსალურობა, მოხერხებულობა, როგორც კვლევის ჩატარების, ისე მონაცემთა დამუშავების სიმარტივე.

მონაცემების გასაზომად მ. როკიჩმა გამოყო გაზომვის ორი ღერძი: 1. პიროვნული ღირებულებები (მაგ. კომფორტული ცხოვრება) – სოციალურის (მაგ. თანასწორობა) საპირისპიროდ; და 2. მორალური ღირებულებები (მაგ. პატიოსანი) – კომპეტენტურობის (მაგ. ლოგიკური) საპირისპიროდ. თუმცა, ზოგიერთი ავტორის (სმიტი, შვარცი) აზრით, მ. როკიჩის იდეა არ იყო სწორი, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების ფაქტორული ანალიზით არ აღმოჩნდა სხვადასხვა კულტურების ღირებულებათა სისტემების ინდივიდუალურ დონეებს შორის მსგავსება.

კულტურათა ღირებულებებს შორის საკვლევი სქემა შეიმუშავა გ. ჰოფსტიდმა მეოცე საუკუნის 70-იან წლებში [81]. ეს მეთოდი იკვლევს არა ინდივიდის, არამედ მთელი საზოგადოების სოციალურ კულტურას. მან კულტურის ღირებულებები განზომილების მიხედვით დაალაგა:

1. ინდივიდუალიზმი (დამოუკიდებლობა, პირადი მიღწევა) კოლექტივიზმის (ჯგუფური სოციალური სისტემა, სადაც ადამიანები დახმარებასა და დაცვას ელიან თავიანთი ჯგუფის წევრებისგან) პირისპირ;

2. მამაკაცურობა (რამდენად ანიჭებს უპირატესობას კულტურა ტრადიციულ მამაკაცურ როლებს – წარმატებას, ძალაუფლებას, კონტროლს, მამაკაცის უპირატესობის აღიარებას) ქალურობის (ქალური არ ნიშნავს, რომ კულტურაში ქალია მთავარი, არამედ ამ შემთხვევაში ქალი და მამაკაცი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ) პირისპირ;

3. ხანგრძლივი ორიენტაცია (ტრადიციული ფასეულობების ერთგულება და ადათ-წესების დაცვა) ხანმოკლეს (ცვლილებებისა და სიახლისათვის მზაობა) პირისპირ;

4. გაურკვეველობის თავიდან აცილება – ეს არის ხარისხი, თუ რამდენად ანიჭებენ ადამიანები უპირატესობას სტრუქტურულ მდგომარეობას არასტრუქტურულთან შედარებით. იმ კულტურებში, რომლებიც გაურკვეველობის თავიდან აცილებაში მაღალ ქულებს იღებენ, ადამიანები ღელავენ გაურკვეველობისა და ბუნდოვანების გამო. ასეთ საზოგადოებაში მნიშვნელოვანია კანონები, წესები და კონტროლი, რაც გაურკვეველობას ამცირებს. ხოლო იმ კულტურებში, რომლებიც გაურკვეველობის თავიდან არიდებაში დაბალ ქულებს მიიღებენ, ადამიანებს არ აშფოთებთ გაურკვეველობა და განსხვავებულ მოსაზრებებს უკეთ ეგუებიან. ასეთი კულტურა უფრო რისკიანია და მზად არის ცვლილებების მისაღებად [27].

ტრიანდისმა და მისმა კოლეგებმა (ბონტემპო, ბონდი, ლანგი) შეიმუშავეს 21 პუნქტიანი სკალა, რომლის მიზანი იყო გამოეყოთ გაზომვის ერთი ღერძი, რომელიც განასხვავებდა ინდივიდუალისტებს კოლექტივისტებისაგან, ანუ პიროვნულ ღირებულებებს (დამოუკიდებლობა, პირადი მიღწევა) კოლექტივისტურისაგან (ჯგუფური მიღწევა, ემოციური კუთვნილება) [96].

შემდგომში სხვა ავტორებმაც (სმიტი) სცადეს შეემუშაებინათ ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმის დამოკიდებულების გასაზომი სკალები, თუმცა ფართო გამოყენება ვერცერთმა ვერ ჰპოვა [27].

მ. როკინის მეთოდზე დაყრდნობით, XX საუკუნის 90-იან წლებში შ. შვარცმა შეიმუშავა ღირებულებების საზომი მეთოდიკა, რომელიც მოიცავს ღირებულებათა უფრო ფართო სპექტრს და გამოიყენება როგორც ჯგუფების, ისე ცალკეულ ინდივიდთა ღირებულებათა სისტემის შესასწავლად. ეს არის

ახალი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს როკიჩის კონცეფცია ტერმინალურ და ინსტრუმენტულ ღირებულებათა შესახებ და შვარცის კონცეფცია ღირებულებათა ორიენტაციების მოტივაციური მიზნების შესახებ [42].

როგორც აღვნიშნეთ, შ. შვარცი ღირებულებებს განსაზღვრავს, როგორც ტრანსსიტიუაციურ მიზნებს, რომლებიც ადამიანის ცხოვრების მმართველ პრინციპს წარმოადგენენ. მისი აზრით, ღირებულებები ემყარება ინდივიდის ბიოლოგიურ საჭიროებებს, კოორდინირებული სოციალური ურთიერთქმედების აუცილებლობას და ჯგუფების გადარჩენისა და კეთილდღეობის მიზნების დაკმაყოფილებას, ამიტომ ყველა კულტურას მიესადაგება.

შვარცის ადამიანის საბაზისო ღირებულებების თეორიის მხარდამჭერებს მოჰყავთ მასალები, რომლებიც ხსნიან თეორიის ინტერკულტურულ ხასიათს. კერძოდ, შვარცის ღირებულებათა საკვლევი კითხვარით 82 ქვეყანაში ჩატარდა 37 ეროვნების, სხვადასხვა ასაკის, სქესის, რელიგიის აღმსარებლების გამოკითხვა, რომლის შედეგების გაანალიზებით ამგვარი დაყოფა მოცემულია ყველგან, და სადაც გამოკვეთილი არ არის, ის ყოველთვის აღრეულია რომელიმე მოსაზღვრე ღირებულებასთან, რაც საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ თეორია სწორია.

კვლევებით დგინდება ასევე შვარცის თეორიის პანკულტურული ხასიათი – სხვადასხვა საზოგადოებაში მიღებულ იქნა დამაჯერებელი მსგავსება ღირებულებათა იერარქიასთან დაკავშირებით. კერძოდ, სხვადასხვა კულტურებში ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა უნივერსალიზმი, კეთილგანწყობა და დამოუკიდებლობა, ნაკლებმნიშვნელოვანი – ძალაუფლება და ჰედონიზმის ღირებულებები. რა არის ამის მიზეზი? ღირებულებებს აკისრია ადაპტაციური როლი საზოგადოების გადარჩენაში. ის ღირებულებები, რომლებიც ადამიანის ბუნებას უპირის-

პირდება, ძნელად თუ აღმოჩნდება მნიშვნელოვანი. იდენტიფიცირებულ 10 საბაზისო ღირებულებას ადამიანები ყველა კულტურაში აღიარებენ. ამ მტკიცების ვალიდურობა არაა დამყარებული ჩვენს გაზომვებზე, ისინი არსებობს იმის მიუხედავად, ჩვენ პირდაპირ ვკითხავთ ადამიანებს მათ შესახებ თუ გამოვიტანთ დასკვნებს მათი ქმედებებიდან გამომდინარე [105].

§4. რელიგია და მისი გავლენა ადამიანზე

„ქვეყნების საზღვრები იცვლება, მმართველები იცვლებიან, ღმერთი კი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. რელიგია, ჯერ ერთი, აკავშირებს ადამიანს ღმერთთან, მეორეც, აკავშირებს ადამიანებს ერთმანეთთან“
(ვ. სოლოვიოვი) [57].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიროვნების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რელიგია. რელიგიის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრობლემა რელიგიის ადექვატური დეფინიციის ძიებაა. რელიგიის ზუსტი განმარტება შეუძლებელია. ამერიკელი სოციოლოგი და ანთროპოლოგი ჯ. ინგერი აღნიშნავდა, რომ „რელიგიის ნებისმიერი განმარტება მხოლოდ მის ავტორს დააკმაყოფილებს, რადგან რელიგია არის, პირველ რიგში, შინაგანი და სუბიექტური მოვლენა, მკაცრად ინდივიდუალიზირებული და ემოციურად დატვირთული“ [98]. ამერიკელი ფსიქოლოგი ჯ. კოუ კი საერთოდ თავს იკავებდა რელიგიის განსაზღვრებისაგან, რადგან ნებისმიერი განსაზღვრება უფრო ნაკლებ ინფორმაციას შეიცავს, ვიდრე ფაქტები [76]. რელიგიის ცნობილი მკვლევარის ჰ. დრესერის აზრით, რელიგია, როგორც პოეზია, არ შეიძლება განისაზღვროს, თუმცა შეიძლება გამოიკვეთოს მისი დამახასიათებელი ნიშნები [78, 27].

„ფსიქოლოგიურ ენციკლოპედიაში“ რელიგია განმარტებულია, როგორც „ადამიანისათვის ის სივრცე, სადაც განლაგებულია ყველაზე იმედის მომცემი საგნები, რომ ადამიანი ამ ქვეყნის დატოვების შემდეგ კვლავ იარსებებს, მინიერ ყოფაში მას შეუძლია დაეხმაროს გაჭირვების ჟამს, სულიერად შეახვედროს თავის თანამედროვე თუ წინაპარ ადამიანებს; შთაგონებითი წყარო, საიდანაც იკვებება მისი გონება“. ხოლო რწმენა არის „ადამიანის მიერ არახილული პოსტულატებისა და წარმოდგენების სრული და უპირობო მიღება, რომლებიც შედიან მისი პიროვნების სტრუქტურაში, განსაზღვრავენ ქცევებსა და ურთიერთობას სინამდვილის მოვლენების მიმართ“ [8].

ამდენად, სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი ადამიანების ღირებულებათა სისტემებზეც გარკვეულწილად უნდა აისახოს შესაბამისი რელიგიის შეხედულებები, და ჩვენი კვლევის მიზანიც სწორედ ეს არის, რომ გავარკვიოთ, რითი განსხვავდება და ემთხვევა ისინი ერთმანეთს, რა არის თავად რელიგია, როგორც სოციალური ღირებულება და რა ადგილი უჭირავს მას კონკრეტული ადამიანის ღირებულებათა სისტემაში. შ. ნადირაშვილის მიერ განსაზღვრული დონეებით, რელიგიისადმი დამოკიდებულება, შესაძლოა, სამივე დონეზე მყოფ ადამიანს გააჩნდეს, მხოლოდ მათ სხვადასხვა დატვირთვა ექნებათ. მაგ., ინდივიდის დონეზე მყოფი ადამიანისთვის რელიგია შესაძლოა იყოს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება, ხოლო პიროვნების დონეზე მყოფისთვის – უმაღლესი ღირებულება.

რელიგიის სინონიმებად ქართულ ენაში გამოიყენება სიტყვები: „სარწმუნოება“ და „რჯული“. სარწმუნოება იგივე რელიგიური მოძღვრებაა, ხოლო რჯულს გარდა ამ მნიშვნელობისა, ადათ-წესის, ჩვეულების მნიშვნელობაც ენიჭება. მორწმუნე კი არის ადამიანი, რომელსაც სწამს ღმერთი, იღებს და იზიარებს შესაბამისი რელიგიის დოგმატებს და ასრულებს რელიგიურ წესებს.

რა დოგმატები უნდა სწამდეს ჩვენს მიერ გამოკვლეული რელიგიების წარმომადგენლებს?

საქართველოში არსებული ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობებიდან (მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, მონოფიზიტობა, იუდაიზმი და ისლამი), მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი და მონოფიზიტობა ქრისტიანულ რელიგიებს წარმოადგენენ. როგორც ვიცით, ქრისტიანობა საქართველოში IV საუკუნეში გახდა სახელმწიფო რელიგია. ქრისტიანი არის ადამიანი, რომელიც აღიარებს ქრისტეს სჯულს. ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლო – მრწამსი – მიღებულ იქნა კონსტანტინეპოლის II საეკლესიო კრებაზე 381 წელს (მსოფლიო საეკლესიო კრება არის იერუსალიმის მოციქულთა კრების მემკვიდრე და უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების მატარებელი). კრებებზე მსოფლიო ეპისკოპატის მიერ შემუშავებული კანონები სავალდებულოა ყველა ქრისტიანისათვის. II საეკლესიო კრებაზე მიღებულ მრწამსს იზიარებს მართლმადიდებელი, კათოლიკური, ანგლიკანური, ლუთერანული ეკლესიები ანუ ქრისტიანთა დიდი უმრავლესობა.

ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლო – მრწამსი – შემდეგში მდგომარეობს:

„მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისმპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა და არახილულთა;

და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა;

ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ქეშმარიტი ღვთისაგან ქეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთ-არსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩვენთვის, კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცილი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.

და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს-ზე, და ივნო, და დაეფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა, მსგავსად წერილისა.

და ამალდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სულიწმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.

ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევეებელად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკვდრებით და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ“ [13].

როგორც აქ არის აღნიშნული, ქრისტიანს უნდა სწამდეს: სამება – მამა, ძე და სულიწმიდა (მამა შობს ძეს, სულიწმიდა მამისაგან გამოვალს), მაცხოვრის ორი (ადამიანური და ღვთიური) ბუნება, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარადის ქალწულობა და შობა, საყოველთაო მკვდრებით აღდგომა. დღემდე ასეთი სახით მრწამსი მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეინარჩუნა.

1054 წელს მოხდა განხეთქილება და გაიყო მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიები, განხეთქილების მიზეზი იყო შეუთანხმებლობა სულიწმიდის მამისაგან და ძისაგან გამოსვლის დოგმატიზაციის თაობაზე. კათოლიკური ეკლესია აღიარებს, რომ სულიწმიდა „გამოვალს მამისაგან და ძისაგან“. ფლორენციის საეკლესიო კრება, რომელიც გაიმართა 1439 წელს, განმარტავს: „სული წმიდა თავისი არსითა და არსებით არსებობს მამისა და ძისაგან... და გამოვალს ერთისაგან და მეორისაგან, როგორც ერთი სანყისისაგან ქროლვით“. ეს არის Filioque, რომელიც აკლდა კონსტანტინეპოლში 381 წელს აღიარებულ სარწმუნოების სიმბოლოს და რომელიც 447 წელს რო-

მის პაპმა წმიდა ლეონმა აღიარა. გარდა ამისა, მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განსხვავებით, კათოლიკური ეკლესია აღიარებს ე. წ. „მარიოლოგიურ“ დოგმატებს: 1870 წელს, ვატიკანის პირველ კრებაზე, მიღებულ იქნა დოგმატი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის უბინოდ ჩასახვის, ხოლო 1950 წელს პაპმა პიუს XII-მ თავისი ენციკლიკით გამოაცხადა ღვთისმშობლის ხორციელად ზეცად ამალღების შესახებ. 1870 წელს კი, ვატიკანის პირველივე კრებაზე, დაემატა დოგმატი რომის ეპისკოპოსის (პაპის) ეკლესიის უმაღლეს ხელისუფლებაზე, ყველა სხვა ეპისკოპოსზე აღმატებულობასა და უპირატესობაზე, ანუ სწავლება რომის პაპის „სამოძღვრო უცდომელობის შესახებ“ [17].

IV საუკუნეში წარმოიშვა მონოფიზიტობა, რომლის მიმდევრები თვლიდნენ, რომ იესო ქრისტე ორბუნებოვანი იყო მხოლოდ ამალღებამდე, ამალღების შემდეგ კი ღვთაებრივმა ბუნებამ გადაფარა ადამიანური ბუნება, რის შედეგადაც ძე ღვთისა მხოლოდ ერთბუნებოვანია. 451 წელს, ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, მოხდა განხეთქილება და ახალი მიმდინარეობა სომხურმა, კოპტურმა და ნანილობრივ სირიულმა ეკლესიებმა მიიღეს. ამიტომ სომხური სამოციქულო ეკლესია სცნობს მხოლოდ პირველი სამი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებებს, განსხვავებით მართლმადიდებელი ეკლესიისაგან, რომლისთვისაც 7 მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებებია მისალევი [20].

რაც შეეხება ისლამის დოგმატებს, ესენია: ერთი ღმერთის -- ალაჰის რწმენა, მუჰამედის წინასწარმეტყველად და ალაჰის მოციქულად აღიარება, საყოველთაო მკვდრეთით აღდგომის რწმენა. მუსლიმობის უპირველესი პირობა „დამონმების სიტყვაა“: „ემჰუდუ ელლა ილაჰი ილლალლაჰ

ემჰუდუ ენნე მუჰამედენ რესულულლაჰ“,
რომელიც თარგანში ასე ჟღერს:

„ვამონმებ, რომ არ არსებობს ღმერთი თვინიერ ღმრთისა (ალაჰისა);

ვამონმებ, რომ ნეტარი მუჰამედი ღმერთის მოციქული და წარმომადგენელია“ [14].

ორთოდოქსული იუდაიზმის მიხედვით, სარწმუნოების პრინციპთა შორის სამი ისეთი მნიშვნელოვანია, რომ ებრაელის მიერ მათი უარყოფა თემიდან მის განკვეთას (ექს-კომუნიკაციას) იმსახურებს, თანაც მესიის მოსვლისას ის მკვდრებით ვერ აღდგება. ეს სამი პრინციპია:

- ერთი, ერთსახოვანი, საყოველთაო და მარადიული ღმერთის არსებობა;
- თორის („ბიბლიის“ პირველი 5 წიგნი) ღმერთისგან მიღება;
- ღვთიური მსჯავრის არსებობა [4, 99].

ამ პრინციპთა უარყოფელი ებრაელი აფიკოროსად (ურწმუნოდ) ითვლება. არის კიდევ ორი მნიშვნელოვანი პრინციპი: მოსეს ყველაზე დიდ წინასწარმეტყველად მიჩნევა და მომავალი მესიის რწმენა.

ე. შპრანგერი წიგნში „ადამიანთა ტიპები“ გამოყოფს შემდეგ ტიპებს:

1. თეორიული;
2. ეკონომიკური;
3. ესთეტიკური;
4. სოციალური;
5. პოლიტიკური;

6. რელიგიური (ადამიანი, რომელიც ისწრაფვის, შეიცნოს სამყაროს მთლიანობა და ცხოვრების საზრისი. ამათგან ნაწილი წარმოადგენს „იმანენტურ მისტიკოსებს“, რომელთა მიზანია თვითდაჯერება და ცხოვრებაში აქტიური ჩართვა, ხოლო „ტრანცენდენტური მისტიკოსები“ მიისწრაფვიან განმარტოე-

ბისა და უმაღლეს რეალობასთან შეერთებისაკენ, მაგ. მონაზვნები) [50].

რელიგია თავად ღირებულებაა. რელიგიურ რწმენას ადამიანი იღებს ღრმა მიზეზებით, რაც დაკავშირებულია ცხოვრების საზრისის ძიებასთან. რ. ემონსის აზრით, რელიგია არის სულიერების ორგანიზებული ძიება (სულიერება კი საზრისის, მთლიანობის, ტრანსცენდენტურობისა და უმაღლესი ადამიანური შესაძლებლობების ძიება) თანამორწმუნე საზოგადოების ფარგლებში [64]. სულიერება ადამიანის ცხოვრების მოტივაციური ძალაა და იგი გამოიხატება იმ მიზნებში, რომლებსაც ადამიანს სურს მიაღწიოს თავისი ცხოვრების მანძილზე. რწმენის და რელიგიური მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ფუნქციაა იმის განჭვრეტა, რისკენაც მიისწრაფვის ადამიანი და მისი მიღწევის სტრატეგიის განსაზღვრა [89].

რელიგიისთვის ცენტრალურია ძიების პროცესი. ძიება გულისხმობს საბოლოო მიზანს, რაც უნდა იქნას მიღწეული. საკრალური არის ღმერთი ან მისი სხვა დასახელებები: წმინდა ძალა, უმაღლესი გონი, საბოლოო ჭეშმარიტება. რელიგიური მისწრაფება განსხვავდება არარელიგიური, ცხოვრებისეული მისწრაფებისაგან, ის არის უსაზღვრო, მარადიული. ხოლო „ეს უმაღლესი მიზანი არის ის, გაატარებს თუ არა ადამიანი მრავალ წელს საუკეთესო ადგილას, როგორც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ უარეს ადგილას, როგორც კი წარმოგვიდგინია. დედამიწაზე სიამოვნებაში გატარებული 70 წელი არის ნაკლებ ფასეული, ვიდრე ჯოჯოხეთის დაუსრულებელი ტანჯვა, ხოლო ამ ცხოვრებაში განცდილი უსიამოვნებები, სიღარიბე და სევდა ასატანი გახდება, თუ ადამიანი ტრილიონ წელს განცხრომაში გაატარებს“ [86].

რელიგია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სულიერება, რადგან იგი მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე საკრალურის ძიებაა [88].

როგორც რელიგიისთვის, ისე სულიერებისთვის, ცენტრალურია ძიების პროცესი, ძიება კი ნიშნავს, რომ რაღაც უნდა იქნას ნაპოვნი.

სულიერი მისწრაფებები შეიძლება გაერთიანდეს „უმალ-ლესი მისწრაფებების“ ცნების ქვეშ, რომელიც ტილიხმა მოგვანოდა. „რელიგია არის ადამიანის უკიდურესი მისწრაფება, ხოლო უკიდურესი მისწრაფება კი ნიშნავს იმას, რომ იგი წარმოადგენს მაქსიმალურ ფასეულობას, რომლის გარშემოც არის ორგანიზებული ადამიანის მთელი ცხოვრება“ [58, 27].

საბოლოო მიზანი ანუ აბსოლუტი არის კოლექტიური ან ინდივიდუალური სურვილი, მიმართოს მისკენ ცხოვრება. ებრაელი ღვთისმეტყველი რაბი აბრამ ჰეშელი აღწერდა ღმერთის ძიებას, როგორც უკიდურესი მიზნის ძიებას, უკიდურესი მიზნის გარეშე კი არავინ და არაფერი არ არსებობს. [80].

ბეტსონი რელიგიას ახასიათებს შემდეგი ნიშნებით:

1. უნიკალური – რელიგიური გამოცდილება და რელიგიური ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ადამიანის ცხოვრებაში, ვიდრე სხვა ინტერესები;

2. ფსიქოლოგიურად რთული – რელიგიური გამოცდილება ბევრ კომპონენტს მოიცავს: ემოციებს, ღირებულებებს, ქცევას, სოციალურ გარემოს და სხვ.;

3. მრავალფეროვანი – რელიგიის განცდა და გამოხატვა სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვაგვარია [72].

რელიგია არის ინდივიდის შინაგანი გამოცდილება, როდესაც ის გრძნობს მიღმიერს, მით უმეტეს, თუ ეს აისახება მის ქცევაზე და თუ ის ცდილობს თავისი ცხოვრება ამ მიღმიერ სამყაროს დაუკავშიროს [75].

რელიგია არის ადამიანის მოღვაწეობის სფერო, რომელიც ვარაუდობს ზებუნებრივი არსების რწმენას და რომ ადამიანმა კავშირი უნდა დაამყაროს ამ არსებასთან. იგი მოიცავს განსაზღვრულ რიტუალებს, ცხოვრების დაყოფას საერო და სასულიერ-

როდ, იმის რწმენას, რომ მიღმიერი სამყარო თავის შესახებ ცნობებს გვანვდის თავისი წარმოგზავნილი ადამიანების მეშვეობით, იმის ცდას, რომ თავისი ცხოვრება ადამიანმა ჰარმონიაში მოიყვანოს ზეციურ სამყაროსთან. [74].

როგორც ჯ. ფაულერი აღნიშნავს, „რწმენა არის მთლიანი ადამიანის ორიენტაცია, რომელიც მიზანსა და მიმართულებას აძლევს მის იმედებსა და მისწრაფებებს, აზრებსა და მოქმედებებს“ [79]. ეს ციტატა რ. ემონსის მთელ წიგნს („უმაღლესი მისწრაფებების ფსიქოლოგია“) გასდევს ლაიტმოტივად: რწმენა ინტეგრირებულია პიროვნებასთან, ის პიროვნების ყველა დონეს ეხება, მათ შორის იმ ასპექტებს, რომლებიც გამოიხატება უმაღლეს მისწრაფებებში.

რელიგია ადამიანური გამოცდილების ბაზისური კატეგორიაა. 3,5 მილიარდი ადამიანი მთელ მსოფლიოში აღიარებს, რომ რელიგია ამა თუ იმ ფორმით გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე [87]. აშშ-ში 2001 წელს ჩატარებული გამოკითხვებით, ამერიკელების 90%-სთვის რელიგია მნიშვნელოვანია, 40% რეგულარულად ესწრება მსახურებებს, 71% გაიღებს შემოწირულობებს რელიგიური ორგანიზაციებისათვის, 71%-ს სჯერა იმქვეყნიური ცხოვრების [64, 27].

დიდი ამერიკელი ფსიქოლოგი უ. ჯემსი წიგნში „რელიგიური ცხოვრების მრავალფეროვნება“ რელიგიას განმარტავს, როგორც პიროვნების გრძნობების, ქცევისა და გამოცდილების ერთობლიობას იმის მიმართ, რასაც იგი მიიჩნევს ღმერთად. ასევე მიუთითებს იმ განმასხვავებელ ნიშნებზე, რომლებიც ახასიათებს რელიგიურ პიროვნებას (სამყაროს თავისებური აღქმა, ემოციური განცდები), აღწერს რელიგიურ მდგომარეობას (აბსოლუტური და სამარადისო ნეტარება) და არარელიგიურ მდგომარეობას (მხოლოდ ფიზიკური და ცხოვრებისეული ნეტარება); ცდილობს გაიგოს, რა სარგებლობა მოაქვს რელიგიურ

გამოცდილებას ადამიანისათვის (ეხმარება მას უმაღლესი მიზნის მიღწევაში – შეუერთდეს თავის შემოქმედს). რელიგიური გრძნობები (დამოკიდებულება რელიგიის ობიექტზე, მის მიმართ შიში, მისი სიყვარული) ადამიანში იწვევს სიხარულს, ექსპანსიურობას, დინამიურ აგზნებას, რომელიც აძლიერებს და აახლებს სასიცოცხლო ძალებს. ეს გრძნობა ძლევს მელანქოლიას, პიროვნებისთვის მოაქვს სულიერი წონასწორობა და ეხმარება მას ცხოვრების საზრისის ძიებაში [40]. ამდენად, რელიგია საკმაო გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე.

ფილოსოფოსებმა, სოციოლოგებმა და პოლიტიკურმა თეორეტიკოსებმა გააანალიზეს რელიგიისა და ღირებულებებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. კ. მარქსის თეორიის თანახმად, რელიგია ახშობდა საზოგადოების შეცვლის მოტივაციას და წინა პლანზე აყენებდა ადამიანურობასა და მორჩილებას, ხოლო აკნინებდა ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა: დამოუკიდებლობა და ძალაუფლება. რელიგიის თეოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური ანალიზის საფუძველზე მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ რელიგიურობას ძალუძს დადებითი ზეგავლენა იქონიოს ისეთ ღირებულებებზე, რომლებიც აძლიერებენ ტრანსცენდენტურობას, იცავენ საზოგადოებრივ წყობას, ეხმარებიან ინდივიდებს საკუთარ გრძნობათა წვდომაში, ხოლო უარყოფითად მოქმედებენ ისეთ ღირებულებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ შემწყნარებლობას საკუთარი ნაკლოვანებების მიმართ. მორწმუნეები უფრო მეტად აფასებენ ისეთ თვისებებს, როგორებიცაა: ტრადიციებისადმი პატივისცემა და საზოგადოებრივი კავშირები, ხოლო მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია სიმდიდრე, წარმატება, ამბიციურობა და საკუთარი სიამოვნებისათვის ზრუნვა.

სტატიაში „ადამიანის ღირებულებები: ყველა რელიგიის საერთო საფუძველი“ ვკითხულობთ, რომ ადამიანები ერთმა-

ნეთს განარჩევენ შეზღუდული რაოდენობის თვისებებით, როგორებიცაა: სქესი, რასა, რელიგია, ეროვნება. ამ განმასხვავებლებს მივყავართ კონფლიქტებამდე პირად და გლობალურ დონეზე. ყველა ინდივიდი კი არის გაცილებით იმაზე მეტი, ვიდრე ამ განმასხვავებლების ერთობა. ინდივიდი, უპირველესად, არის ადამიანი და ადამიანური ოჯახის ნაწილი.

ამავე სტატიაში მოცემულია რელიგიის 3 ასპექტი: ღირებულებები, რიტუალი და სიმბოლო. მორალური და სოციალური ღირებულებები საერთოა ზოგადად ტრადიციისათვის, ხოლო სიმბოლოები, რიტუალები და ადათები არის ის, რაც ქმნის ცხოვრებას რელიგიის შიგნით და განასხვავებს ტრადიციებს ერთმანეთისაგან. სიმბოლოებს მივყავართ რელიგიის არსთან, ხოლო ადათ-ჩვევები გვინებსენ, როგორ უნდა ჩაიცვას ადამიანი, რამდენი ცოლი ჰყავდეს, როდის უნდა იმუშაოს და ა. შ.

ადამიანის ზოგადი ღირებულებები კი არის საერთო სოციალური და ეთიკური ნორმა ყველა კულტურის, საზოგადოებისა და რელიგიისათვის. ისინი წარმოადგენენ სოციალური პროგრესის, სამართლიანობისა და სულიერების ნაერთს. ეს ღირებულებებია: ყველას სიცოცხლისათვის ზრუნვა, თანაგრძნობა და სიყვარული, ბუნებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება, არაძალადობა, მეგობრულობა, გულუხვობა, პატიოსნება, გულწრფელობა, ზომიერება, მსახურება, მშვიდობა. ბოროტების უმეტესობა, რაც რელიგიის სახელით მოდის, შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ ამ ღირებულებებს თავიდან გავაცნობთ ადამიანებს და ვიზრუნებთ სიყვარულისა და ურთიერთგაგების გაღრმავებაზე [106].

კონკრეტული რელიგიური მიმდინარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე, რადგან რელიგიური ლიდერები ქადაგებენ გარკვეულ ღირებულებათა ღირსებების სიკეთეს და უგულვებელყოფენ სხვა ღირებულებათა მნიშვნელობას. თუმცა, მიუხედავად იმი-

სა, რომ თეორეტიკოსთა აზრი ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბების პროცესზე რელიგიის გავლენის შესახებ განსხვავებულია, ერთ რამეში ყველა თანხმდება, რომ ცივილიზაციის არსებობის მანძილზე რელიგია ყოველთვის განმსაზღვრელ როლს ასრულებდა მის მიმდევართა ღირებულებებზე [94].

უ. ჯემსის აზრით, სრულიად ბუნებრივია სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობებისა და სექტების არსებობა, რადგან ადამიანები განსხვავებულ პირობებში ცხოვრობენ, განსხვავებული განვითარების დონე აქვთ და განსხვავებულია მათი ფუნქციები და მოვალეობები. თუმცა, მიუხედავად ცხოვრების განსხვავებული სტილისა, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ყოველდღიურ ცხოვრებაში არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

რაც შეეხება სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობებს, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი მიზნებითა და მათი განხორციელების საშუალებებით, მაგრამ ყოველი მათგანი ასრულებს გარკვეულ სოციალურ ფუნქციას. სწორედ ამით აიხსნება მათი სიცოცხლისუნარიანობა და შთამაგონებელი ძალა [12].

მ. სელიგმანი წიგნში „ახალი პოზიტიური ფსიქოლოგია“ წერს, რომ მორწმუნე ადამიანი ნაკლებად გამოიყენებს ნარკოტიკს, ნაკლებად ჩადის დანაშაულს, ნაკლებად ანგრევს ოჯახს და ნაკლებად ამთავრებს სიცოცხლეს თვითმკვლევლობით (რადგან რელიგიათა უმეტესობა უარყოფითად არის განწყობილი ნარკოტიკების, დანაშაულისა და ოჯახური ღალატის მიმართ). გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მორწმუნე მშობლები ნაკლებად ვარდებიან დეპრესიაში, ასევე ნაკლებად მტკივნეულად განიცდიან მორწმუნეები სამსახურიდან გათავისუფლებას, ავადმყოფობას, ახლობლის გარდაცვალებას [53]. ავტორს გამოაქვს დასკვნა, რომ მორწმუნეები მეტად ბედნიერნი და ცხოვრებით კმაყოფილნი არიან

ათეისტებთან შედარებით, რადგან რელიგია მათებს მათ მომავლის რწმენასა და ოპტიმიზმს, რის გამოც ადვილად გადააქვთ ცხოვრებისეული უსიამოვნებანი.

საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა ტორონტოს მეცნიერთა ჯგუფმა მაიკლ ინცლიჰტის ხელმძღვანელობით. მათ გაზომეს მორწმუნეებისა და ათეისტების თავის ტვინის აქტივობა ტესტური დავალების შესრულების პროცესში (კვლევის შედეგები გამოქვეყნდა ჟურნალში „Psychological Science“, 2006, №2). დავალების სახით გამოყენებულ იქნა ამერიკელი ფსიქოლოგის ჯონ რიჩარდ სტრუპის ტესტი. ამ ექსპერიმენტის არსი ასეთია: ცდისპირს აჩვენებენ სხვადასხვა ფერის აღმნიშვნელი სიტყვების რიგს; შრიფტის ფერი არ შეესაბამება სიტყვის მნიშვნელობას (მაგ. სიტყვა „წითელი“ შეიძლება ლურჯი შრიფტით იყოს დაბეჭდილი და ა. შ.). ცდისპირს შრიფტის ფერის დასახელება ევალება. აღსანიშნავია, რომ ცდისპირები ხშირად უშვებენ შეცდომებს სიტყვის წაკითხვის ქვეცნობიერი მისწრაფების გამო. დაშვებული შეცდომების რაოდენობით შეიძლება დასკვნის გაკეთება იმაზე, თუ რამდენად ახასიათებს ადამიანს ყურადღების გადართვისა და მოცემულ პირობებზე რეაგირების უნარი. დავალების შესრულებაზე პასუხისმგებელია თავის ტვინის სარტყელის ხვეულის წინა ნაწილი – თავის ტვინის უბანი, რომელიც შეცდომის დაშვების შემთხვევაში ატყობინებს ადამიანს, რომ საჭიროა ყურადღების გამახვილება, გულისყური. ექსპერიმენტის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სწორი პასუხების რაოდენობით უპირატესობა მორწმუნეებს აქვთ. მაიკლ ინცლიჰტის თქმით, ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული შემეცნებითი უნარის სპეციალიზებული ტესტების შემთხვევაშიც, რომლებიც მოგვიანებით ჩატარდა. კვლევის ავტორების აზრით, ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ რელიგია, რწმენა დადებით გავლენას ახდენს ადამიანზე: ის უფრო მშვიდი ხდება და ნაკლებად უშვებს შეცდომებს.

კ. გუსტავ იუნგი რელიგიურობას განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ფუნქციას, რომლის უარყოფაც პიროვნებისათვის საკმაოდ რისკიანი ქცევაა. მისი აზრით, რელიგიური გამოცდილება მთლიანად ადამიანის ფსიქიკიდან მომდინარეობს. კოლექტიური არაცნობიერი, მითები და სიმბოლოები, რომლებიც დამახასიათებელია კაცობრიობის რელიგიური ტრადიციისათვის, ათასწლეულების განმავლობაშია ჩამოყალიბებული. კოლექტიური არაცნობიერი არქეტიპები პროეცირდებიან შესაბამის სიმბოლოებზე, რომელთა შორის რელიგიის სიმბოლოებიც არის. ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე ამყარებს ურთიერთობას თავის არქეტიპებთან, რათა ჩასწვდეს საკუთარ მე-ს [65].

კ. გუსტავ იუნგმა თავის პაციენტებთან მრავალწლიანი ურთიერთობის შედეგად დაასკვნა, რომ ადამიანთა უდიდესი ნაწილი დაკავებულია რელიგიური შეხედულებების ძიებით. ისინი ავად ხდებიან, როცა კარგავენ მაცოცხლებელ რწმენას და არ განიკურნებიან მანამ, სანამ არ დაუბრუნდებიან რელიგიურ შეხედულებებს. იუნგს ადამიანის მიერ რელიგიური შეხედულებების ქონა მხოლოდ მრწამსის ერთგულებამდე ან რომელიმე რელიგიური ორგანიზაციის წევრობამდე არ დაჰყავს. მისი აზრით, ეს არის დამოკიდებულება ისეთ ძალასთან, რომელსაც ადამიანი თაყვანს სცემს და უყვარს.

კლინიკური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური კონსულტირება, ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციის ფსიქოლოგია სულ უფრო ღიად აღნიშნავენ სულიერებისა და რელიგიურობის ცენტრალურ ადგილს ადამიანთა ცხოვრებაში. კვლევები გვიჩვენებს, რომ ეს ფაქტორები დადებით გავლენას ახდენენ ადამიანის ფიზიკურ, ფსიქიკურ და პიროვნებათაშორის ფუნქციონირებაზე (კელი, 1995; კოენიგი, 1998; მარტინი, 1988). „რწმენის ფაქტორს“ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ცხოვრების ისეთი

მახასიათებლების გაუმჯობესებაში, როგორებიცაა: ცხოვრებით კმაყოფილება, ბედნიერება, თვითპატივისცემა, იმედი, ობტიმიზმი და სიცოცხლის საზრისის განსაზღვრა.

ფიზიკისა და რელიგიის პროფესორის იან ბარბურის აზრით, რელიგიური რწმენა განსაზღვრავს ადამიანის ძირითად რწმენასა და ვალდებულებას, რომლის მიმართაც ის ერთგულია თავის ცხოვრებაში, საბოლოო საფუძველს, რომლითაც ის ამართლებს მის სხვა ღირებულებებს [27; 71].

რელიგიისა და სულიერების ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა ის, რომ იგი აძლევს პიროვნებას შინაგან შეთანხმებულობას, ცხოვრების ერთიან ფილოსოფიას და არის გამაერთიანებელი და მასტაბილიზებელი ძალა გარემოს, კულტურის და სხვა პირობების ზემოქმედების შედეგად გამოწვეული პიროვნების ფრაგმენტაციის წინააღმდეგ [50]. პირადი სულიერება არის ეფექტური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ინტეგრაციის მიღწევა.

ყველა რელიგიის მიზანია ადამიანის გარდაქმნა ფრაგმენტაციიდან ინტეგრაციისაკენ, განდგომილობიდან – შეერთებისაკენ. მონიჭოს ადამიანს მთლიანობა, სული გაათავისუფლოს შინაგანი მოუწესრიგებლობისაგან და კონფლიქტისაგან – სწორედ ეს არის თეოლოგიური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზანი. რელიგია ანიჭებს ადამიანის არსებობას აზრს, უყალიბებს მიზნებსა და ღირებულებათა სისტემებს, რომლებიც მოიცავენ ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს [92, 27].

სტრეიტონმა პირველმა გამოთქვა პიპოთეზა, რომ პირადი რელიგიურობის საფუძველი შინაგან კონფლიქტშია [95]. ემოციური დისტრესი დაძაბული შინაგანი კონფლიქტის ფორმით არის გარდაქმნის წინაპირობა. რა ფაქტორები განაპირობებს გარდაქმნას? კლარკი მიდის დასკვნამდე, რომ „გარდაქმნის ყველაზე მთავარი ფსიქოლოგიური ელემენტი არის კონფლიქტი, ცხოვრების ორი ურთიერთშეუთავსებელი წესის მიზიდუ-

ლობა, მაგ. სამსახურსა და ოჯახს შორის“ [75]. ჯემსი მიუთითებდა, რომ „რელიგიური გამოცდილება – ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც „მე“, ამ დრომდე გაყოფილი, ცნობიერებაში განადგურებული და უბედური, ხდება მთლიანი, ამაღლებული ცნობიერებაში და ბედნიერი, თუკი ის მტკიცედ მიჰყვება რელიგიურ რეალიებს. ნაშრომში „რელიგიური ცხოვრების მრავალფეროვნება“ ჯემსი განიხილავს გაყოფილ მე-ს და მთლიანობის მიღწევის პროცესს [40, 27].

ფსიქოლოგიამ შეათავსა ცოდვების მიტევებისა და ხსნის რელიგიური გაგება ინტეგრაციის ფსიქოლოგიურ მექანიზმებთან და მთლიანობის შექმნასთან. ბიბლიის მიხედვით, ცოდვილი ადამიანები იბრძვიან ცოდვების მიტევებისთვის, ხოლო ფსიქოლოგიურად ფრაგმენტირებული ადამიანები ეძებენ ინტეგრაციას და შინაგან შეთანხმებულობას. ეს პარალელი ოლპორტიმაც გაავლო: რელიგია და თერაპია ორივე ხაზს უსვამს მეტერთიანობასა და წესრიგს პიროვნებაში. ორივე აღიარებს, რომ სულის სიჯანსაღე მოითხოვს გრძნობების იერარქიულ ორგანიზაციას, სადაც სათავეშია ერთი დომინირებადი გრძნობა. პრინციპში, ყოველსომცველ რელიგიურ ინტერესს შეუძლია იყოს ეს მაინტეგრირებელი ინსტანცია [50].

ლიტერატურის მიმოხილვა საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ პირადი რელიგიური მოტივაცია ხელს უწყობს პიროვნების ინტეგრაციას ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე კონფლიქტის დამლუპველი გავლენის შემცირების გზით. კვლევებით (ემონსი, ჩანგი, ტერანი, 1998) შემონმდა ჰიპოთეზა, რომ რელიგიურობა და სულიერება ადამიანის მთლიან სისტემაში კონფლიქტურობას ამცირებს და შეთანხმებულობას ზრდის. ემონსის, ჩონგის და ტერანის კვლევების შედეგებმა დაადასტურა ტილიხის, ოლპორტის და ჯემსის თეზისი, რომ სულიერი მისწრაფებების მაღალი წილი დაკავშირებულია ადამიანის მთლიან სისტემაში კონფლიქტების დაბალ მაჩვენებელთან,

რომ რელიგიას შეუძლია იყოს ძალა, რომელიც ამთლიანებს პიროვნებას [27, 64].

არაფერია გასაკვირი იმაში, რომ რელიგიას ხშირად მიმართავენ ტკივილის შესამსუბუქებლად. ზოგიერთი ისეთ აზრსაც გამოთქვამს, რომ „ტანჯვა – მიზეზია რელიგიისათვის“ [85]. აქ ის იგულისხმება, რომ, როცა სიცოცხლეს შეიძლება შეეხედოთ მარადიულობის პერსპექტივიდან, ტანჯვა „აქ და ახლა“ იღებს დროებით აზრს და ამიტომ ასატანი ხდება. რელიგიური ანუ სულიერი მსოფლმხედველობა უზრუნველყოფს სიცოცხლის ზოგად ორიენტაციას, ინტერპრეტაციას უკეთებს ცხოვრების ისეთ გამონწვევებს, როგორებიცაა ტანჯვა, სიკვდილი, ტრაგედია, უსამართლობა.

ვ. ფრანკლის აზრით, რაც უფრო მეტად ეჭიდება ადამიანი თავისი რელიგიის დოგმებს, მით უფრო სუსტია მისი რწმენა. მეორეს მხრივ, რაც უფრო მყარად დგას იგი თავისი რწმენის ფუნდამენტზე, მით უფრო თავისუფალია დოგმებთან მიმართებაში, მეტად გახსნილი მათ მიმართ, ვინც მის რწმენას არ იზიარებს. პირველ პოზიციას ფანატიზმამდე მივყავართ, მეორეს – მოთმინებამდე. მოთმინება არ ნიშნავს სხვების რწმენის მიღებას, ეს ნიშნავს ადამიანის პატივისცემას, მისი უფლების აღიარებას, თავისუფლად აირჩიოს რელიგია [60].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რ. გრანოვსკაიამ შეისწავლა ძირითადი მსოფლიო რელიგიები და გამოიტანა დასკვნა, რომ ზოგადად რელიგია დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკის, ღირებულებათა სისტემისა და სოციალურად მისაღები ქცევის ჩამოყალიბებაზე. წიგნში „რწმენის ფსიქოლოგია“ იგი რწმენას განიხილავს, როგორც ადამიანის მისწრაფებებისა და მოთხოვნილებების დასაყრდენს, რომელსაც დიდი როლი აკისრია ადამიანის განვითარებაში, მისი მსოფლმხედველობის, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ეთიკური ქცევის ფორმირებაში.

განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა საზოგადოებაში არსებობს ურთიერთნდობის დეფიციტი, ძალადობის საფრთხე, გამწვავებულია ეკოლოგიური პრობლემები, გახშირებული – ნაციონალურ და რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტები. ასეთ დროს ადამიანები ეძებენ დასაყრდენს და ამ დასაყრდენის ძიებაში ბევრმა მიმართა რელიგიურ რწმენას. ადამიანს რწმენის გარეშე არ შეუძლია ცხოვრება, მაშინ ის აღარ იქნება ადამიანი. რწმენა თავისებური „სულიერი ინსტინქტია“. რელიგია მათ სთავაზობს არა მხოლოდ დაცვას, არამედ რომელიმე რელიგიისადმი მიკუთვნებულობა ადამიანს აძლევს კონკრეტულ ქცევის ნორმებსა და ტრადიციებს, და თუ იგი ცხოვრობს ამ ტრადიციებისა და ქცევის ნორმების შესატყვისობაში, იზიარებს კონკრეტული რწმენის სიღრმისეულ სიმბოლოებს, მას ექნება საყრდენი თავისი ცხოვრების ყველაზე რთულ და მშფოთვარე მომენტებში. რწმენა იცავს ადამიანის ფსიქიკას, რაც მას საშუალებას აძლევს, ცხოვრებისეულ სირთულეებს პიროვნების რღვევის გარეშე გაუძლოს. გარდა ამისა, ის რელიგია, რომელსაც ეკუთვნის პიროვნება, აძლევს მას იდეალების ერთობლიობას, რაც მას აგებინებს თავისი არსებობის არსს და ასახვინებს საბოლოო მიზნების მისაღწევ გზებს. და როცა ადამიანი დარწმუნებულია, რომ მის სიცოცხლეს აზრი აქვს, პოულობს ძალას, გაუმკლავდეს არასასურველ პირობებს; აცნობიერებს, რომ დაძაბულობა უნდა მოიხსნას არა აგრესიით ან ნარკოტიკების მიღებით, არამედ სულიერი წონასწორობის მიღწევით [38]. ავტორს მოყვანილი აქვს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში რუსეთის ანალიტიკური ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომელთა მიხედვით ჩანს, რომ რელიგიაზე „მოთხოვნილება“ გაიზარდა. მაგ., თუ 1992 წელს პეტერბურგსა და მოსკოვში მორწმუნედ თვლიდა თავს გამოკითხულთა 28%, უკვე 1993 წელს ამ მაჩვენებელმა პეტერბურგში 53%-ს, ხოლო მოსკოვში – 54%-ს მიაღწია. რიაზანში ეს მაჩვენებლები შესაბა-

მისად 20% და 54%-ია. ამასთან, აღინიშნება ახალგაზრდების ხვედრითი წილის გაზრდა. ეს, სავარაუდოდ, გამონვეულია იმით, რომ პოლიტიკური ვითარების შეცვლის შედეგად რელიგია თანდათან გათავისუფლდა შეზღუდვისაგან, ან მიძიმე სოციალური ფონის შედეგად ადამიანები შველას ეძებენ რელიგიაში.

ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში ხალხი „მიტრიალდა“ რელიგიისაკენ, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ საფრთხე შეექმნება ურთიერთობებს და გაიზრდება კონფესიათაშორისი კონფლიქტები იმის გათვალისწინებით, რომ რელიგიები განსხვავდება ერთმანეთისაგან ძირითადი დოგმატებით? პასუხი უარყოფითია, რადგან რელიგია ასწავლის მოთმინებას სხვა ადამიანთა და სხვა სწავლებათა მიმართ, აყალიბებს ურთიერთტოლერანტულობას. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ დღევანდელი რელიგიურობის ნიშნით შენიღბული დაპირისპირებები სინამდვილეში ეკონომიკურ ან ეთნიკურ ნიადაგზეა წარმოებული [38].

1993 წელს ევროსაბჭოს ასამბლეის 44-ე სესიაზე მიიღეს დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ ეთიკური ღირებულებები წარმოდგენილია ყველა მსოფლიო რელიგიაში სხვადასხვანაირად, ამიტომ ახალგაზრდებმა უნდა შეისწავლონ სხვების რელიგიები, რათა გაიგონ სხვა ხალხების აზროვნება და ტრადიციები, განვითარდეს მათი მიმღებლობა.

მცირე კულტურებში ცხოვრების ყველა მხარე ზუსტადაა ასახული რელიგიით. რელიგიური შეხედულებები, ერთი მხრივ, ბადებენ ახალ იდეებსა და აზროვნებებს, მეორე მხრივ, ამყარებენ უკვე ჩამოყალიბებულ ღირებულებებს. რელიგიას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს საზოგადოება. გერმანელი მკვლევარის მაქს ვებერის აზრით, რელიგიურ და სოციალურ ცვლილებებს შორის არის გარკვეული კავშირი, და რომ რელიგია არ არის აუცილებლად კონსერვატიული ძალა. მაგ., პროტესტანტიზმმა საფუძველი ჩაუყარა დასავლეთის კაპიტალიზმის განვითარებას – პირველი მენარმეები სწორედ კალვინისტები იყ-

ვნენ. თუმცა აღმოსავლეთის რელიგიებმა შეაფერხეს იგივე დასავლური კაპიტალიზმის განვითარება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩამორჩენილები არიან, არამედ იმის გამო, რომ მათი ღირებულებები მკვეთრად იყო განსხვავებული ევროპაში გაბატონებულისგან [26].

ცხოვრების არსზე მეცნიერებასა და რელიგიას განსხვავებული შეხედულება აქვთ. მეცნიერული თეორია ცდილობს ჭეშმარიტებამდე მისვლას თანმიმდევრობით და ამიტომ არ არის დოგმატური, ის ესწრაფვის ზოგადსაკაცობრიო გამოცდილების ზოგადი მეთოდებით განვითარებას, ეფუძნება გარემომცველი სამყაროს შესახებ ცოდნის შექმნას. რელიგიური ცოდნა კი გვთავაზობს მზა სტრუქტურას, რომლის შინაარსშიც დევს გარკვეული იდეალები და ღირებულებები. რელიგიური მორალის ძლიერი მხარეა ის, რომ მას აქვს პასუხები ფუნდამენტურ საკითხებზე და არა მარტო აქვს, ეს პასუხები ძალიან მარტივია, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს, გაიგოს მოვლენები და დაამყაროს მათ შორის კავშირი. მეცნიერება ნაკლებად პასუხობს საკითხებს, რომელიც ეხება ცხოვრების გზის არჩევას. მეცნიერული ცოდნის საფუძველზე ითვლება, რომ ჩვენ და ჩვენი სამყარო მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის პროდუქტი ვართ, არ არსებობს ჭეშმარიტი თავისუფლება და არჩევანი, გვასწავლის, რომ ყველაფერი ცნობიერი, რაც მოიცავს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, არის ტვინის მოქმედების პროდუქტი, რომელიც რეალურ სამყაროზე ვერ ახდენს გავლენას. მეცნიერების განვითარებამ შეიძლება კაცობრიობა განადგურებამდე მიიყვანოს (ეკოლოგიური კატასტროფა, ომის საფრთხე), პროგრესს მიყვავართ ჰუმანურობის დეგრადაციამდე და ეს კონკრეტულ პიროვნებას აქცევს მოთხოვნილების საგნად, კინდება შეხედულება ადამიანის უნიკალურობაზე, მის მნიშვნელობასა და ღირებულებებზე, ძლიერდება სკეპტიციზმი და პესიმიზმი. ადამიანი, რომელსაც არა აქვს დასაყრდენი ამქვეყნიური არსებობის

იქით, დასაყრდენს ეძებს საკუთარ თავში და უარყოფს წარმოდგენებს შემთხვევითობის შესახებ. ეს არის პირდაპირი გზა იმისა, რომ ინტერესების ცენტრმა გადაინაცვლოს გარედან შიგნით, სულიერ ცხოვრებაზე.

ლ. ფეიერბახის აზრით, რელიგიური მოთხოვნილება ადამიანის ბუნების ნაწილია, ამდენად, ადამიანის ცოდნის გაზრდა სამყაროს შესახებ ვერ გააქრობს მას, რადგან რწმენა იმდენად გონების საქმე არ არის, რამდენადაც გრძნობის [59].

რელიგიას ვერავის ასწავლი, ის უნდა დაიბადოს შიგნით. ის რიტუალები და ტაბუები, რომლებიც ზღუდავენ ქცევას, აყალიბებენ მორალს. ზნეობრივი ვალის შესრულება ათეისტისგან მოითხოვს დიდ ძალისხმევას, მორწმუნე კი ამას განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე აკეთებს. მორწმუნე იღებს თავის ცხოვრებას ისეთს, როგორც არის და ემორჩილება ბედს შინაგანი ბრძოლის გარეშე, რის გამოც პრობლემებს ადვილად უყურებს.

კონფუცი თვლიდა, რომ რიტუალი განსაზღვრავს ადამიანის ქცევას, შედის მის ფსიქიკაში და გამოიმუშავებს პასუხისმგებლობასა და ზნეობრიობას. თუ ადამიანი თუნდაც მექანიკურად ასრულებს რიტუალს, მაინც იცვლება მისი შინაგანი სამყარო და ეს მოქმედებს მის სოციალურად მისაღები ქცევის ჩამოყალიბებაზე [43].

რ. გრანოვსკაიას აზრით, მსოფლიო რელიგიებმა ჩამოაყალიბეს ამქვეყნად საუკეთესო იდეალები. არ შეიძლება ითქვას, რომ ერთი ჭეშმარიტი რელიგია არსებობს. ყველა რელიგია ჭეშმარიტია, როგორც სინდისის გამოსახულება, ადამიანის სულის სხვადასხვა მხარის განვითარება. ფსიქოლოგიისთვის მნიშვნელობა აქვს არა იმას, ჭეშმარიტია თუ არა რელიგიის დებულებები, არამედ ის, თუ როგორ მოქმედებენ ისინი ადამიანის მსოფლმხედველობისა და ქცევის ჩამოყალიბებაზე. ამას აქვს პრაქტიკული ასპექტი, ეს ქმნის წინაპირობას მსოფლმხედველობრი-

ვი დიალოგის გამოცდილების შესაძენად, ადამიანთა ურთიერთგაგების ხელოვნების დასაუფლებლად, ხსნის სინდისის თავისუფლების რეალიზაციის საშუალებებს და უზრუნველყოფს პიროვნების მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებას.

ბოლო დროს გახშირდა რელიგიის სახელით წარმოებული ტერორისტული აქტები მაჰმადიანიური რელიგიის აღმსარებლების მხრიდან, საქართველოს მოქალაქეებიც ჩაერთვნენ ამ მოძრაობაში. ყოველივე ამან შეიძლება გააჩინოს ეჭვი, ხომ არ ქადაგებს ისლამი ძალადობას. საქართველოს მუსლიმთა წინამძღოლმა, მუფთმა ბეგლარ ქამაშიძემ "კვირის პალიტრასთან" საგანგებო განცხადება გააკეთა: „ტერორიზმი უმძიმესი დანაშაულია. წმინდა ყურანის მიხედვით, ერთი ადამიანის მოკვლა კაცობრიობის ამონყვეტის ტოლფასია. ვინც ამას სჩადის, უარყოფს წმინდა ყურანის მონოდებას, რის გამოც, ისლამური დოგმატის თანახმად, ურწმუნოდ არის შერაცხილი. მის სულს სამუდამო ჯოჯოხეთი ელის... აღმაშფოთებელია, როცა ტერორიზმს ისლამს მიაწერენ. ჭეშმარიტი მუსლიმი ვერ იქნება ტერორისტი, რადგან შუამავალი მუჰამედი მშვიდობასა და სიყვარულს ქადაგებს. ამბობენ, რომ კამიკაძემ, რომელმაც საკუთარი და სხვების სიცოცხლე ხელყო, ტერაქტამდე "აღლაჰ აქბარ" დაიძახა... ის მკვლელია, რომელმაც უმძიმესი ცოდვა საკუთარ თავზე აიღო. ამ შეძახილში ფიგურირებს სიტყვები – "მონყალე" და "მწყალობელი". განა შეიძლება "მონყალესა" და "მწყალობელს" წარმოთქვამდე და ადამიანს კლავდე?!“ ხოლო კითხვაზე, რატომ უშვებს ისლამი ჯიჰადს, მუფთი პასუხობს, რომ ჯიჰადს სახელმწიფო აცხადებს მაშინ, როცა საფრთხე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და აღმსარებლობას ემუქრება. ისლამი ნებას არ რთავს ცალკეულ დაჯგუფებას, ინდივიდუალურად გამოაცხადოს ჯიჰადი, თანაც – საბრძოლო ფორმით [11].

ისლამის შესახებ საინტერესო სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ „ისლამისმცოდნეობის“ 2015 წლის მე-2 ნომერში (ავტორი:

მ. იახაევი), რომელშიც ავტორი განიხილავს ისლამის სოციალურ-ისტორიულ ბუნებას, რელიგიური იდეოლოგიის გარდაქმნის შესაძლებლობას ექსტრემიზმად გარკვეულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ და სოციოკულტურულ პირობებში. ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ექსტრემისტული მეტამორფოზა შეიძლება განიცადოს ყველა რელიგიამ, ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ თვითონ რელიგიას მივყავართ ექსტრემიზმამდე. რელიგიური ექსტრემიზმი, როგორც ჭეშმარიტი რელიგიის გაუკუღმართებული სახე, ყოველთვის გამოვლინდება გარკვეული იდეოლოგიის ფონზე. რელიგიის ისტორიაში ექსტრემისტული მეტამორფოზების პერიოდები იყო მხოლოდ გარკვეული მომენტების სახით. ექსტრემისტული იდეოლოგიური მეტამორფოზა განიცადა ისლამმა და ეს გაუკუღმართებული მაჰმადიანური იდეოლოგია გამოიყენეს შეიარაღებისათვის გარკვეულმა ჯგუფებმა. ექსტრემისტული იდეოლოგიური ცვლილება ისლამში ძირითადი რელიგიისაგან განსხვავდება, თუმცა ამას იყენებენ ისლამის მოწინააღმდეგეები და აიგივებენ ისლამურ რელიგიას ექსტრემიზმთან, ფანატიზმთან, ტერორიზმთან [66].

თანამედროვე სამყაროში ნაციონალურისა და რელიგიურის ურთიერთობის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. ტერმინი „რელიგიური“ ეხება ინდივიდებსა და საზოგადოებებს, მათ შორის ეთნიკურსაც, რომლებიც ხასიათდებიან მსგავსი რელიგიური აზროვნებით და წარმოადგენენ მსგავსი რელიგიური მოღვაწეობისა და რელიგიური ურთიერთობების სუბიექტებს. რელიგიური მოღვაწეობა არის რელიგიური ინდივიდების, ჯგუფების, ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მოღვაწეობა, რომელიც გამოიხატება შესაბამისი სწავლებით და მისი პროპაგანდით, კადრების მომზადებით, საკულტო მსახურებების სხვადასხვაობით. ასეთი მოღვაწეობა, როგორც წესი, არ გამოდის რელიგიათაშორისი ურთიერთობების კომპონენტად. ასეთად წარმოგვიდგება უფრო რელიგიური სუბიექტების არარელიგიური მოღ-

ვანეობა – პოლიტიკური, ეკონომიკური. ასეთ შემთხვევაში არარელიგიური მოღვაწეობა იღებს გარკვეულწილად რელიგიურ შეფერილობას – „რელიგიური პოლიტიკა“, „ისლამური ეკონომიკა“. რელიგიისა და ეთნოსის ურთიერთკავშირის საკითხის განხილვა მოითხოვს ისეთი ცნებების კონცეპტუალურ გაგებას, როგორებიცაა: „კონფესია“, „კონფესიური სპეციფიკა“, „ეთნიკური სპეციფიკა“. სიტყვა კონფესია ლათინურად ნიშნავს: აღიარებას, რწმენას. კონფესია ნიშნავს აღმსარებლობით მიმართულებას, აღმოცენებულს ამა თუ იმ რელიგიურ სისტემაში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შესაბამისად და მოიცავს ამ სისტემის სწავლებებს, საკულტო და ორგანიზაციულ-სტრუქტურულ თავისებურებებს. ასეთია, მაგალითად, ქრისტიანობა, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული მრავალკონფესიურობით: მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, ლუთერანიზმი, ანგლიკანობა, კალვინიზმი, ბაპტიზმი. ამ ეკლესიების უმეტესობას აქვს მკვეთრად ეთნიკური ხასიათი, გამონკვეული ხანგრძლივი ეთნოკონფესიური ურთიერთობით. ამის საფუძველზე ადამიანის აზროვნებაში ხდება გაიგივება კონფესიური და ნაციონალური მიკუთვნებულობისა, რომელიც გამოიხატება დიქტომური სქემების სახით: „რუსი-მართლმადიდებელი“, „პოლონელი-კათოლიკე“.

ამ კუთხით საინტერესოა თანამედროვე კანადელი მეცნიერის მ. ბუშარის გამოკვლევები. შუა საუკუნეების რუსული სასულიერო წერილობითი ძეგლების შესწავლის შედეგად, ბუშარს გამოაქვს შემდეგი დასკვნები: რუსი ერი თავისი განათლების დონეს უნდა უმაღლოდეს არა იმდენად სახელმწიფოს, რამდენადაც მართლმადიდებლობას. სწორედ მართლმადიდებლობა იყო ის გამაერთიანებელი და შემაკავშირებელი ფაქტორი, რამაც განაპირობა ერთიანი რუსი ხალხის ჩამოყალიბება კიევის რუსეთისგან. 988 წელს რუსეთის გაქრისტიანება განიხილება, როგორც რუსული ნაციონალური თვითშეგნებისა და რუსული

ეთნოსის ჩამომყალიბებელი ფაქტორი. ეთნიკური და კონფესიური გაერთიანებები წარმოადგენენ კულტურალურ-სპეციფიკურ გაერთიანებებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან თანაბარმნიშვნელოვანი არც შინაარსობრივად, არც ქრონოლოგიურად. ეთნოგენეტიკური იყო დიდი ხნის წინ გამქრალი რელიგიები. ეგვიპტის, ბაბილონის, სირიის რელიგიების შესწავლისას დგინდება მჭიდრო კავშირი კონფესიური სპეციფიკისა ეთნიკურ სპეციფიკასთან იმ ხალხებისა, რომლებიც მისდევდნენ იმდროინდელ რელიგიებს. ეთნიკური და კონფესიური სპეციფიკების კავშირი იმაშიც ვლინდება, რომ ამა თუ იმ რელიგიისადმი კუთვნილება გამოხატავს ეთნიკურ კუთვნილებას. (ეს ჩვენს მიერ შერჩეულ კატეგორიებშიც არის, მაგ., იუდეველები საქართველოში, როგორც წესი, ეროვნებით ებრაელები არიან, სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლს კი სომხები წარმოადგენენ). ეთნოსის სოციალური სიმნიფე იმითაც ხასიათდება, რომ მას აქვს შექმნილი საკუთარი რელიგიურ-ღირებულებითი სისტემა. რელიგიისა და ეთნოსის კავშირის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ისტორიულ შემთხვევაში რელიგია თამაშობდა ეთნოსის შემაკავშირებელ როლს, რაც თავის მხრივ ხელს უშლიდა დამპყრობლებთან მათ ასიმილაციას. ამის საუკეთესო მაგალითია ებრაელი ხალხი, რომელიც, იუდაიზმით გაერთიანებული, ორი ათასი წლის მანძილზე იმყოფება დიასპორაში და, ამის მიუხედავად, არ იშლება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოიყოფა ორი ტენდენცია:

1. ეთნიკური მოვლენების კონფესიონალიზაცია – კულტურის თავისებურება დიდი ხნის ურთიერთობისას შეერწყმება საკულტოს და ხდება მისი შემადგენელი ნაწილი. მე-20 საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის ე. დიურკჰეიმის აზრით, რელიგია აძლიერებს საზოგადოების ფუნდამენტურ სოცი-

ალურ კავშირებს, რაც სოციალურ ჯგუფებს ანიჭებს მთლიანობას. ის, რაც წმინდაა, ცოცხლობს არა იმდენად ოფიციალურ კანონებში, რამდენადაც ცოცხალი ადამიანის სულსა და სინდისში.

2. კონფესიური მოვლენებისა და საკულტო მომენტების (განსაკუთრებით ზოგიერთი რიტუალის) ეთნიზაცია და მათი შერწყმა საზოგადოებრივი ცხოვრების ნაციონალურ ფორმებთან და ეთნიკურ ტრადიციებთან. რელიგიური მომენტები იჭრება საზოგადოების ყოფაში და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობა არ ნიშნავს მათ თანაფარდობასა და განუყოფელობას. ეთნოსის ბევრი მნიშვნელოვანი ნიშანი არ იგივედება რელიგიურ ერთობასთან. მაგ., პოლონელი-კათოლიკე განსხვავდება ბულგარელი-კათოლიკესგან, რუსი მართლმადიდებელი განსხვავდება ბულგარელი მართლმადიდებლისგან, ასევე ბელორუსი მართლმადიდებელი – ბელორუსი კათოლიკესგან. მორწმუნეები, რომლებიც ეკუთვნიან ამა თუ იმ რელიგიურ ერთობას, ჩვეულებრივ ცხოვრებაში არიან ყოველდღიური პრობლემებით დატვირთული: პოლიტიკური, სოციალური, სამეურნეო და სხვა [52].

აი, რას წერს უკრაინელი ხალხის ნაციონალური სულიერი ღირებულებების შესახებ ტ. ბოროზენეცი (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვალსაზრისი არ არის ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის პოზიციის გამომხატველი, რადგან უკრაინა თავისი პოლიტიკური კურსით ისწრაფვის, გახდეს ევროპისა და ნატოს წევრი ქვეყანა): უკრაინელი ხალხის ნაციონალური სულიერი ღირებულებები არის ისტორიულად ჩამოყალიბებული, ტრადიციული მორალურ-ეთიკური, ესთეტიკური, რელიგიური ღირებულებების კომპლექსი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება უკრაინელი ერის თვითიდენტიფიკაცია. უკრაინელ ერს კი წარმოადგენს ქვეყნის ყველა მოქალაქე განურჩევლად ეთნიკური

წარმომავლობისა. უკრაინელი ხალხის ნაციონალური სულიერი ღირებულებები ძირითადად გამოიხატება მათ რელიგიურ ტრადიციებში (თანამედროვე სტატისტიკის მიხედვით, უკრაინაში მართლმადიდებლები შეადგენენ მოსახლეობის 51,5%-ს, დანარჩენები არიან კათოლიკები, იუდეველები, მაჰმადიანები და სხვა). უკრაინელების ნაციონალური სულიერი ღირებულებები ქმნიან განსაზღვრულ იერარქიულ სტრუქტურას, რომლის ძირითადი ელემენტებია: ღმერთის რწმენა, სულიერის დომინირება ხორციელზე, სიკეთე, სიმართლისმოყვარეობა, მოთმინება, ნდობა, მიტევება, თვითკრიტიკულობა, უფროსების პატივისცემა, პატრიოტიზმი, ტოლერანტულობა სხვა ხალხებისა და ტრადიციების მიმართ, შრომისმოყვარეობა, მყარი ტრადიციული ოჯახი. ეს ყველაფერი ქმნის უკრაინულ მენტალობას ანუ უკრაინულ ხასიათს. აღნიშნული ღირებულებები ასრულებენ სულიერი იმუნიტეტის ფუნქციას. საზოგადოება, რომელიც გადააბიჯებს ამ ღირებულებებს, განწირულია ჯერ სულიერი, მერე კი ფიზიკური სიკვდილისათვის. ავტორის აზრით, დღევანდელი, რომელიც სავსეა ინფორმაციულობით, ადამიანს აცხოვრებს ხელოვნურ, ვირტუალურ სამყაროში. დასავლური კულტურული ღირებულებების მასობრივი პროპაგანდა ახდენს ტრადიციული ღირებულებების ტრანსფორმაციას არა მარტო უკრაინის, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ახალ ღირებულებებში ქარბობს ჰედონისტური ეგოიზმი, გამოყენებითობა, სხეულებრივი მოთხოვნილებების დომინირება სულიერზე, რაც დარტყმას აყენებს ტრადიციულ კულტურასა და მენტალობას. ამას ემატება უკრაინაში ბოლო დროს არატრადიციული რელიგიური მიმდინარეობების გავრცელება, რომლებიც გახვეული არიან დემოკრატიის საფარქვეშ. მათი მიმდევრების რიცხვი უკვე მოსახლეობის 4%-ს აღწევს. ამაში განსაკუთრებით ახალგაზრდო-

ბა, პოლიტიკური და კულტურული ელიტაა ჩართული, რაც საშუაშოა ტრადიციული ღირებულებებისათვის [36].

რაც შეეხება ათეისტებს, ანუ იმ ადამიანებს, რომელთაც ღმერთის არსებობის არ სწამთ და არ არიან არცერთი რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელი. ზოგი მეცნიერის აზრით, მათაც აქვთ მოთხოვნილება, სწამდეთ რაღაც, და არის კიდევ მცდელობები, შეიქმნას „რელიგია ათეისტებისთვის“. სწორედ ამ სათაურით გამოვიდა 2004 წელს დიდ ბრიტანეთში წიგნი, რომლის ავტორია პოპულარული თანამედროვე ფილოსოფოსი ალენ დე ბოტონი. მან დააარსა „ცხოვრების სკოლა“ („The school of life“), სადაც მცირეოდენი გასამრჯელოს გადახდისას შესაძლებელია ლექციების მოსმენა მრავალფეროვან თემებზე: „რამდენად საჭიროა სიყვარული ცხოვრებაში?“, „როგორ გავანაწილოთ დრო?“ და ა. შ. ავტორი ამბობს: „მე ვფიქრობ, შეიძლება არ გწამდეს ღმერთის და, ამავდროულად, გაინტერესებდეს, როგორ აერთიანებს რელიგია ადამიანებს, რომ ერთად ჩაატარონ რიტუალები და დღესასწაულები, რომლებიც შეიძლება ათეისტისთვის მეორეხარისხოვანი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია“. მისი აზრით, თანამედროვე სეკულარულ სამყაროში არის სიცარიელები, რომლებიც შეიძლება შევავსოთ მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიებიდან აღებული საუკეთესო ნიშნებით.

ათეისტური რელიგიის შექმნის იდეა არ არის ახალი. ეს იყო ლ. ფეიერბახის იდეა, რომლის აზრით, უნდა შექმნილიყო რელიგია, რომლის მიხედვითაც ღმერთი იქნებოდა ადამიანი და მის მიმართ იქნებოდა რაიმე ფორმით გამობატული თაყვანისცემა.

რელიგიათმცოდნისა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ევროპის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომლის რ. ლუნკინის აზრით, ათეისტები შეადგენენ საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის გარკვეულ რაოდენობას, ზოგიერთ ქვეყნებში კი მნიშვნელოვან რაოდენობას, მათ აქვთ გარკვეული ეჭვიანობა, რომ

რელიგიას გააჩნია საკმაო მონოპოლია ზნეობრივ-მორალურ ღირებულებებზე. თუმცა, ათეისტებსაც აქვთ მორალურ-ეთიკური კოდექსი, რომლის შესრულებასაც ცდილობენ და სწორედ ამის განსახორციელებლად ფიქრობენ თავიანთი ფსევდორელიგიის შექმნას. ბევრი მათგანისთვის, ვინც შორს დგას რწმენისა და ეკლესიისგან, საინტერესოა გარკვეული რელიგიური რიტუალები, ტრადიციები, დღესასწაულები, რელიგიური მუსიკა, რაც თითქმის მოდური გახდა დღევანდელობაში [104].

ს. ჰარისის წიგნში „მითები ათეიზმსა და ათეისტებზე“ ნათქვამია, რომ სხვადასხვა პერიოდში ათეიზმზე მრავალი მცდარი მოსაზრება გავრცელდა. ეს მოსაზრებები ეხება როგორც ზოგადად ათეისტებს, ისე მათ იდეოლოგიას, შეხედულებებს, ცხოვრების სტილს და ა.შ.

ავტორის აზრით, ათეიზმი ღმერთ(ებ)ის არსებობის უარყოფა კი არ არის, არამედ ღმერთ(ებ)ის მიმართ ურწმუნობაა. ურწმუნობა არ უტოლდება უარყოფას, არამედ უფრო მეტად რწმენის არქონას ან სკეპტიციზმს უახლოვდება. ზებუნებრივი და უჩვეულო მოვლენის ან არსების მიმართ ლოგიკური პოზიცია არის სკეპტიციზმი და მისი ბრმად მიღების უარყოფა, სანამ მტკიცებულება არ იქნება წარმოდგენილი.

წიგნში ასევე ნათქვამია, რომ ათეისტები ხშირად აკრიტიკებენ რელიგიებს გამომდინარე წარსულში მომხდარი მოვლენებიდან, როცა მორწმუნეები ღმერთის სახელით მრავალ დანაშაულს ჩადიდნენ. ათეიზმის დადანაშაულება იმავეში არ შეიძლება, რადგან იგი არ წარმოადგენს იდეოლოგიას ან ფილოსოფიას, არ მოიცავს რაიმე სახის დოგმას, იდეას, პრინციპებს ან რწმენის სისტემას. მისი ერთადერთი პუნქტი რწმენის არქონაა.

ათეისტებს მათი რელიგია, ღმერთი და წმინდა წიგნები სთავაზობენ ცხოვრების პრინციპებს, მორალურ და ეთიკურ ღირებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ ათეისტები რელიგიებს უარყოფენ, ისინი ჩვეულებრივად არიან მორალური ადამიანები, ისე-

ვე განიცდიან სიყვარულს და ისევე შეიძლება გამოავლინონ ალტრუიზმი, როგორც მორწმუნეებმა. უბრალოდ, ათეისტები საკუთარ მორალს აყალიბებენ გარემო პირობებიდან და იმ ცოდნის საფუძველზე, რაც კაცობრიობამ თავისი განვითარების პერიოდში დააგროვა. უფრო მეტიც, ათეისტური თვალთახედვით, სიკეთე უფრო მეტად ფასდება, როცა მისი მამოძრავებელი ფაქტორი არაა სამოთხის მიღების სურვილი ან ჯოჯოხეთის შიში.

მორწმუნეთა აზრით, რელიგიას ადამიანისთვის ბედნიერება მოაქვს, გასაჭირში ეხმარება და ამშვიდებს. მაგრამ ათეისტები ფიქრობენ, რომ რელიგიის მიღების შემთხვევაში მღელვარებისა და შიშის მიზეზიც ემატებათ. თუკი ღმერთი მართლაც ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნეა, მაშინ ადამიანს უნევს მასთან მუდმივი ურთიერთობა ჰქონდეს, რომლისაგან თავის დაღწევა შეუძლებელია – მაგალითად, ცუდი საქციელისთვის სამუდამოდ ჯოჯოხეთში იქნება და ა. შ.

ათეისტები არ აღიქვამენ ადამიანურ გრძნობებს ზეციურ საჩუქრად და ყოვლისშემძლე არსების მიერ გაღებულ მოწყალებად, მათ არაფერი უშლით ხელს იმაში, რომ უყვარდეთ, შექმნან ბედნიერი ოჯახი, გაერთონ მეგობრებთან, ჰქონდეთ ჰობი, შესაბამისად იყვნენ ბედნიერები და იცხოვრონ სრულფასოვნად. უფრო მეტიც, ბევრი ათეისტი მიიჩნევს, რომ რწმენის არარსებობა ამ საქმეში ხელის შემწყობიც კია. თუკი სიკვდილის შემდეგ ცხოვრება არ არსებობს, მაშინ ჩვენი ამქვეყნიური არსებობა კიდევ უფრო მეტად დასაფასებელია და მაქსიმალურად დადებითად უნდა იქცეს [109].

§5. რელიგიურობა და მისი სახეები

რელიგიურობა, როგორც ფსიქოლოგიური მოვლენა, დიდი ხანია, იქცევა მკვლევართა ყურადღებას, თუმცა, ეს თემა ნაკლებად არის შესწავლილი. იგი გარკვეულ ადგილს იკავებს ღირებულებათა იერარქიაში. რელიგიურობის უკან შეიძლება იდ-

გეს გარკვეული მოთხოვნები და თვისებები – „როგორც არის ადამიანი, ისეთია მისი რელიგია“ [44].

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) რელიგიურ ადამიანს უწოდებს მას, ვინც საკუთარი თავისა და სხვების მიმართ სიყვარულით არის გამსჭვალული, განიცდის სიცოცხლის სიხარულს, გამოირჩევა მაღალი ტოლერანტულობით, გარემოსადმი პოზიტიური დამოკიდებულებით. მისთვის ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები ორპოლუსიანია: სასიამოვნო ან უსიამოვნო, კეთილი ან ბოროტი, სიხარული ან მწუხარება, ხოლო რელიგიურ გრძნობებთან მიმართებაში ასეთი დაყოფა არ არის: „როგორი წმინდაც უნდა იყოს ამქვეყნიური სიხარული... მასში მაინც არის რაღაც ისეთი, რაც სრულ კმაყოფილებას არ გვანიჭებს. რაც უფრო დიდი და ძლიერია ეს სიხარული, მით უფრო ძლიერია რეაქცია, რადგან ყველამ იცის, რომ ძლიერი სიხარულის შემდეგ ადამიანს სევდა ეუფლება. ასეთი როდია რელიგიური სიხარული. ის შეიცავს თავის თავში იმას, რაც კმაყოფილებას ჰგვრის სულს“ [25].

შედარებით გავრცელებულია რელიგიურობისადმი ფუნქციონალური მოდგომა, რომელიც შემოიტანა უ. ჯემსმა, რაც ნიშნავს არა კონკრეტული რელიგიური რწმენის, არამედ რელიგიის ფსიქოლოგიური და სოციალური ფუნქციების განხილვას. ხოლო გ. ოლპორტის მიერ გარეგანი და შინაგანი რელიგიურობის ცნებების შემოტანამ რელიგიის ფსიქოლოგიაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო [27].

მანამდე არსებობდა რელიგიურობის დიქოტომიური ტიპოლოგიები: უ. ჯემსის გარეგანი და შინაგანი, ა. მასლოუს მისტიკური და კანონიკური, ე. ფრომის ავტორიტარული და ჰუმანისტური. ყველა მათგანს აქვს მსგავსება – მათი შეფასებითი ხასიათი, გარეგანისა და შინაგანის ურთიერთსაწინააღმდეგო ნიშნები, რამაც მოამზადა ნიადაგი გ. ოლპორტის ტიპოლოგიისთვის.

პიროვნების ფსიქოლოგი გ. ოლპორტი დაინტერესდა რელიგიური გრძნობის ონტოგენეზით და „ჭეშმარიტი“ რელიგიურობით. ჯერ კიდევ 1937 წელს გამოცემულ ნაშრომში „პიროვნება: ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია“, იგი ახსენებს „ჭეშმარიტი“ რელიგიურობისთვის დამახასიათებელ მოტივებს, ხოლო 1950 წელს გამოცემულ წიგნში „ინდივიდი და მისი რელიგია“ აღწერილია რელიგიური გრძნობის სტადიები. მომნიფებული რელიგიურობა განსხვავდება მოუმნიფებლისგან ეგოცენტრული ელფერით, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე რჩება. მომნიფებული რელიგია დიფერენცირებულია, მოუმნიფებელი კი – მარტივი, უკრიტიკო. მომნიფებული მთლიანი, ყველაფრისმომცველი და სტრუქტურებადი ცხოვრების ფილოსოფიაა, რომელიც იძლევა სიცოცხლის მიზანსა და ფასეულობათა სისტემას. იგი ფუნქციონალურად ავტონომიურია, გააჩნია საკუთარი „მოტივაციური ენერგია“ [69]. ოლპორტისათვის მნიშვნელოვანია, რომ პიროვნებაში არსებობს ჰარმონიული და მტკიცე რწმენა, ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანი პოულობს მისთვის შესაფერის შეხედულებას და იზიარებს მას.

მომნიფებული და მოუმნიფებელი რელიგიურობა, როგორც ოლპორტი აღნიშნავდა, შემდეგ ტრანსფორმირდა ურთიერთსაწინააღმდეგო გარეგან და შინაგან ფორმებად, ეს უკანასკნელი განსაზღვრებები ნიშნავს extrinsic/intrinsic ორიენტაციებს. ისინი განიხილვიან ერთმანეთისაგან პიროვნების მოტივაციურ სტრუქტურაში რელიგიის ადგილით. ერთნი რელიგიას იყენებენ, მეორენი – მისით ცოცხლობენ, ერთებისთვის ის მიზანია, მეორეთათვის – საშუალება. გარეგანი რელიგიურობის შემთხვევაში რელიგია ადამიანისთვის არის ერთგვარი ინსტრუმენტი მისი მოთხოვნილებების, პირადი კომფორტის, უსაფრთხოებისა და სოციალური სტატუსის მისაღებად. ეს არის რელიგიისადმი უტილიტარული დამოკიდებულება.

ამის საპირისპიროდ, შინაგანი რელიგიურობა რელიგიას განიხილავს, როგორც უმაღლეს ღირებულებას, რაც აიძულებს ადამიანს, გამოვიდეს საკუთარი მოთხოვნილებებიდან და პირველ ადგილზე დააყენოს „ძმობის“ მცნება, რომელიც არის ნებისმიერ რელიგიაში გამონაკლისის გარეშე. 1966 წელს, სტატი-აში „ცრურწმენების რელიგიური კონტექსტი“, ოლპორტმა რელიგიურობის კლასიფიკაციას დაამატა ის ემპირიული ფაქტი, რომ რელიგიურობის გამოხატვა ირიბად დაკავშირებულია ტაძარში სიარულის სიხშირესთან. ავტორი ასკვნის, რომ გარეგანი რელიგიურობის მქონე პირები ნაკლებად დადიან მსახურებებზე („ზოგიერთი მხოლოდ ნათლობაზე, ქორწილში და გასვენებაში“), თუმცა ეს არ უშლით მათ ნომინალურად მიაკუთვნონ თავი საკუთარ კონფესიას, მაგ.: მძიმე წუთებში მიიღონ დამშვიდება [67]. იმ ადამიანებისთვის კი, ვინც რეგულარულად დადის ეკლესიაში, რელიგია შინაგანია, რელიგიის პრინციპები შესულია მისი პიროვნების სტრუქტურაში.

შინაგანი რელიგიურობა არ არის საკუთარი სურვილების ასრულების საშუალება. ეთნიკური პრობლემები, პირადი ცხოვრება, დანაშაულის გრძნობა, ონტოლოგიური შფოთვა – ეს ყველა რეგულირდება ყველაფრისმომცველი ვალდებულებით, ფუნდამენტური მოტივაციით, რომელიც მოიცავს მთელ პიროვნულ გამოცდილებას – როგორც ინტელექტუალურს, ისე ემოციონალურს. ასეთი რელიგია თვითონ კი არ ემსახურება ადამიანს, არამედ ადამიანი ემსახურება მას. არც არის გასაკვირი, რომ ასეთი ადამიანები მეტად ტოლერანტული არიან და გარშემომყოფთა ინტერესებს აყენებენ პირადად მაღლა.

გარეგანი ორიენტაციის მქონე ინდივიდის პრინციპია: „მთავარი, რასაც მაძლევს რელიგია, არის სულიერი კომფორტი უბედურებისა და პრობლემების დროს“, შინაგანი ორიენტაცი-

ის: „ჩემი რელიგიური შეხედულებები ნამდვილად განსაზღვრავენ ჩემი ცხოვრების ფილოსოფიას“ [67].

პიროვნების ფსიქიკურ ჯანმრთელობას განსაზღვრავს შინაგანი და არა გარეგანი რელიგიურობა. ადამიანი ნანობს წარსულს, არ მოსწონს ანმყო და ეშინია მომავლის. რელიგია კი მას უმსუბუქებს მდგომარეობას: შეუძლებს წარსულს, აზრს აძლევს ანმყოს და მომავლის იმედს უსახავს. თუმცა, არ არის დადასტურებული, რომ რელიგიური ადამიანები ფსიქიკურად უფრო ჯანმრთელები არიან, ვიდრე არარელიგიურები.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რელიგიას აქვს უარყოფითი მხარეებიც: ზედმეტი დაშინება, მეცნიერების მიმართ მტრული დამოკიდებულება და ა. შ. მაგრამ ეს თვისებები არ დევს არცერთ მსოფლიო რელიგიაში, ესენი არის გარედან შეტანილი ატრიბუტები ცალკეული ადამიანების ან ჯგუფების მიერ.

ამრიგად, რელიგიურობის შესახებ ოლპორტმა ჩამოაყალიბა თეორიული მიდგომა, რომლის მიხედვითაც არსებობს გარეგანი და შინაგანი რელიგიურობა. „გარეგანი რელიგიურობის მქონე ადამიანები იყენებენ რელიგიას საკუთარი მიზნების მისაღწევად. ისინი რელიგიას მიიჩნევენ სასარგებლოდ სხვადასხვა მიზეზების გამო – საკუთარი დარწმუნებულობის, დამშვიდების, ურთიერთობების, გართობის, საზოგადოებრივი სტატუსის მისაღწევად“. „შინაგანი რელიგიურობის მქონე ადამიანისთვის კი რელიგია ძირითადი მოტივია, სხვა მოთხოვნილებები, რაც არ უნდა ძლიერი იყოს ისინი, ნაკლებად მნიშვნელოვანია მისთვის და ცდილობს შესაბამისობაში მოიყვანოს თავის რელიგიურ მოსაზრებებთან. ისინი ცდილობენ, გაითავისონ თავისი რელიგია და მიჰყვნენ მის სწავლებას, ისინი „ცხოვრობენ რელიგიით“ [70]. ეს თეორიული მიდგომა ჰიპოთეზაზე იყო დამყარებული და საჭირო ხდებოდა მისი ემპირიული შემოწმება.

ოლპორტის კონცეფციის საფუძველზე რელიგიურობის საკვლევე კითხვარის შედგენის პირველი ცდა ჰქონდა ვილსონს. მან გამოიყენა ცალმხრივი მიდგომა და ყურადღება გაამახვილა მხოლოდ გარეგან რელიგიურ ორიენტაციაზე. მისი სკალა ასახავდა ეკლესიისადმი დამოკიდებულებას დამყარებულს რელიგიისადმი უტილიტარულ მიდგომაზე. მცირე გამოკითხვების დროს სკალამ კარგი საიმედოობა აჩვენა [27].

შემდგომში, როცა გამოიკვეთა გარეგანი და შინაგანი რელიგიურობის განსაზღვრებები, ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა გ. ოლპორტის ხელმძღვანელობით, შეიმუშავა პუნქტები, რომლებიც ასახავდნენ ორივე ამ კონსტრუქტს. ხოლო გ. ოლპორტმა და ჯ. როსმა გამოიყენეს 20 პუნქტისგან შედგენილი სკალა და დაამტკიცეს, რომ მასში არსებობს ორი ორთოგონალური სკალა (რაც უფრო კონსერვატიულია შერჩევა, კორელაცია მით უფრო უარყოფითია) [70].

ბოლო 20 წლის მანძილზე ოლპორტის კონცეფცია წარმოადგენს რელიგიის ფსიქოლოგიის ძირითად თეორიულ და ემპირიულ პარადიგმას და გვაძლევს მრავალ მნიშვნელოვან შედეგს. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ შინაგანი რელიგიურობა დადებითად არის დაკავშირებული ემპათიასთან, ალტრუიზმთან, კონტროლის შინაგან ლოკუსთან, ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასთან და უარყოფითად – დეპრესიასთან. გარეგან რელიგიურობასთან მიმართებაში კი ყველაფერი პირიქითაა – არის კავშირი ეგოს სისუსტესთან, პარანოიასთან, შფოთვისთან [77].

კვლევებით ასევე დასტურდება, რომ რელიგიური მიკუთვნებულობა და მსახურებაში მონაწილეობა დადებით გავლენას ახდენს ცხოვრებით კმაყოფილებაზე, ბედნიერების დონეზე, ეგზისტენციალურ კეთილდღეობაზე (ჩემბერლენი, 1992; ლევინი, 1995). გასათვალისწინებელია გარეგანი და შინაგანი რელიგიურობაც. გარეგანი რელიგიურობის მქონე ადამიანებისთვის რე-

ლიგიურობა უარყოფით კორელაციაშია კეთილდღეობასთან, ხოლო შინაგანი რელიგიურობის მქონეთათვის – პირიქით [27].

უარყოფით ფსიქოლოგიურ მდგომარეობებს შორის მნიშვნელოვანია სიკვდილის შიში. შინაგანი რელიგიურობა გარეგანთან შედარებით უკეთ უმკლავდება მას, რადგან რელიგია სიკვდილს ანიჭებს აზრს. გარეგანი რელიგიურობის მქონე ადამიანებში კი სიკვდილის გახსენება იწვევს დისკომფორტს, შფოთვას.

პიროვნების რელიგიურობის დადგენა ფსიქოლოგებისთვის არ არის ახალი და მარტივად გადასაწყვეტი პრობლემა. 2013 წლის აგვისტოში ქ. ლოზანაში ჩატარებულ რელიგიის ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილ ევროპულ კონგრესზე სიტყვით გამოვიდა რელიგიის ფსიქოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ვ. საროგლოუ, რომლის მოხსენებაც მიეძღვნა სწორედ პიროვნების რელიგიურობის გაზომვისა და შეფასების საკითხებს. რელიგიის ფსიქოლოგიაში ფსიქომეტრული მიდგომა კონგრესზე წარმოდგენილი იყო არა მხოლოდ ტესტომეტრული კვლევების შედეგებით, არამედ ტესტების ადაპტაციებითა და ახალი სკალების შედგენით [63].

ჩ. გლოკის მიერ მოწოდებულია რელიგიურობის შეფასების 5 საზომი:

1. ემპირიული – იგულისხმება ინდივიდის რწმენაში ემოციურობის ხარისხი;

2. რიტუალური – ლოცვების, აღსარებებისა და ეკლესიაში სიარულის სიხშირე;

3. იდეოლოგიური – რელიგიური დოქტრინების რწმენის ხარისხი;

4. თანმიმდევრული – რამდენად ჩანს რელიგიური რწმენა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში;

5. ინტელექტუალური – ადამიანის მიერ იმ რელიგიის ისტორიისა და დოგმების ცოდნის ხარისხი, რომლის მიმდევარიცაა ის [72].

ფსიქოლოგიის ამოცანაა, გამოარკვიოს, რა გზებით ახდენს რელიგია გავლენას ადამიანის შინაგან სამყაროზე. ამ შემთხვევაში რელიგია განხილული უნდა იყოს მის მიერ შესრულებული ფუნქციების განხილვის პოზიციიდან, რამეთუ იგი ემსახურება რიგი ინდივიდუალური, სოციალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ფსიქოლოგიური ანალიზი ეყრდნობა რელიგიის გავლენას ინდივიდუალურ თავისებურებებზე მაშინ, როცა სოციოლოგიური და ანთროპოლოგიური ანალიზი რელიგიას განხილავს საზოგადოებასა და კულტურაში. ეს განსხვავება ძნელად გამოსაყოფია, რაც ადასტურებს პრობლემის დისციპლინათაშორის ხასიათს.

რელიგიურობასა და სულიერებას იკვლევდნენ ისეთი ცნობილი ფსიქოლოგები, როგორებიც არიან: უ. ჯემსი, გ. ხოლი. ჟ. მარშალი, გ. ოლპორტი. რ. ხუდმა ნაშრომში „რელიგიისა და სულიერების კვლევის გზები ფსიქოლოგიაში“, სისტემაში მოიყვანა რელიგიურობის საკვლევი მრავალრიცხოვანი მეთოდები, რომლებიც მოიცავს: პერსონალური დოკუმენტების კვლევას, ანკეტებს, გამოკითხვებს, სკალებს, კლინიკურ ფსიქონალიზს, ობიექტურ დამოკიდებულებას, ექსპერიმენტებს, კონფესიურ კვლევას, ნეიროფიზიოლოგიურ კვლევას [82]. ასევე პ. ჰილის და რ. ხუდის ნაშრომში „რელიგიურობის საზომები“, წარმოდგენილია დღესდღეობით არსებული რელიგიურობის საზომი 125-მდე სკალა [83].

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ოლპორტისა და დ. როსის „რელიგიური ორიენტაციის სკალა“, რომელიც მიმართულია რელიგიური ორიენტაციის გამოვლენისაკენ. ამ მეთოდით გამოიყოფა რელიგიურობის შემდეგი ტიპები: თანმიმდევრული შინაგანი რელიგიურობა, თანმიმდევრული გარეგანი რელიგიურობა, არათანმიმდევრული რელიგიურობა, არარელიგიური ადამიანები [70].

მ. ჩიტაშვილი ნაშრომში: „რელიგიურობის ფსიქოლოგია: ემპირიული კვლევები“ რელიგიურობის შემდეგ განსაზღვრებებს გვთავაზობს:

1. ადამიანის პიროვნული თვისება, რომელიც მას დაჰყვება და აუცილებლად იჩენს თავს მეტ-ნაკლები სიძლიერით იმის მიხედვით, თუ როგორია მისი პიროვნული სტრუქტურა (ტემპერამენტი, შფოთვის ხარისხი და სხვ.);

2. სოციალიზაციის გზაზე ინტერნალიზებულ ღირებულებათა სისტემა, რაც გამოიხატება პიროვნების ღირებულებით ორიენტაციაში [27].

აღნიშნული საკითხის კვლევის პროცესში ჯერჯერობით სიძნელეს წარმოადგენს როგორც თვითონ პრობლემის სირთულე, ასევე კვლევის მეთოდების არასრულყოფილება. ამის გამოა, რომ სამამულო ლიტერატურაში მსგავსი კვლევები დამყარებულია რელიგიურობის თვითშეფასებაზე [6; 7; 18; 21; 23; 27; 31]. ასეთი მიდგომის შედეგად გათვალისწინებული არ არის ყველაზე მთავარი – რელიგიურობის ტიპი, განსხვავება გარეგან (უტილიტარულ) და შინაგან (ქეშმარიტ) რელიგიურობას შორის.

§6. კვლევების მიმოხილვა

ყველაზე მასშტაბური კვლევითი პროექტი, რომელიც იკვლევს ადამიანების ღირებულებათა სისტემებს და მათ გავლენას სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე, არის World Values Survey („ღირებულებათა მსოფლიო გამოკვლევა“ WVS). მასში გაერთიანებული არიან სხვადასხვა ქვეყნების სოციოლოგები და ფსიქოლოგები. კვლევა ჩატარებულია 97 ქვეყანაში (ბოლო წლებში დაემატა მუსულმანური ქვეყნებიც), რაც მოიცავს მსოფლიოს მოსახლეობის 90%-ს [102]. WVS არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის შტაბბინა არის სტოკჰოლმში. იგი სხვადასხვა ქვეყნებში გზავნის წარმომადგენლებს,

რომლებიც ხელმძღვანელობენ გამოკითხვის პროცესს. კვლევები დაიწყო 1981 წელს და დღემდე 6-ჯერ არის ჩატარებული (1981, 1990-91, 1995-97, 1999-2001, 2005-07, 2011-12 წწ.). გამოკითხულია მოსახლეობის ყველა ფენა სტანდარტული კითხვარებით, რომლებიც მოიცავს ცხოვრების სხვადასხვა სფეროს. ძირითადად ფასდება და ანალიზდება ისეთი მონაცემები, როგორცაა: დემოკრატიის პრინციპები, ქვეყნის მართვის სისტემა, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა, გარემოს დაცვა, ტოლერანტულობა უცხოელებისა და ნაციონალური უმცირესობების მიმართ, გენდერული თანასწორობა, რელიგიის როლი და რელიგიურობის ხარისხი, გლობალიზაციის გავლენა, შეხედულება სამსახურზე, ოჯახზე, პოლიტიკაზე, კულტურაზე, კეთილდღეობის შეგრძნება და სხვა. კვლევის ავტორების (შ. შვარცი, რ. ინგლჰარტი, გ. ჰოფსტიდი) აზრით, მოსახლეობის შეხედულება ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობაში, სქესთა შორის თანასწორობაში. კვლევები ტარდება სხვადასხვა რეჟიმისა (ავტორიტარული, დემოკრატიული) და განსხვავებული ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში.

სპეციალისტები ქვეყნებს ადარებენ ღირებულებათა ორ კატეგორიად კლასიფიკაციის საფუძველზე. ესენია: 1. გადარჩენის ღირებულებები/ თვითგამოხატვა; 2. ტრადიციულობა/სეკულარიზმი-რაციონალიზმი. გადარჩენის ღირებულებებს წარმოადგენს ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოება, მატერიალური ღირებულებები, განსხვავებული აზრის მიუღებლობა, თავისუფლებისა და ადამიანთა უფლებების დაბალი ხარისხი, ავტორიტარიზმის მიღების მზაობა, მორჩილება. თვითგამოხატვის ღირებულებებს მიეკუთვნება პიროვნების შეფასების, თავისუფლების ხარისხის, ადამიანთა უფლებების მაღალი დო-

ნე, სწრაფვა პიროვნული წინსვლისაკენ, ტოლერანტულობა უცხოებისა და უმცირესობების მიმართ, გენდერული თანასწორობა. მაგ.: თვითგადარჩენის ღირებულებები მაღალია პოსტკომუნისტურ, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ხოლო თვითგამოხატვის ღირებულებები – დასავლეთ ევროპასა და ინგლისურენოვან ქვეყნებში. ტრადიციული ღირებულებები გულისხმობს რელიგიურობისა და დაქვემდებარებულობის მაღალ ხარისხს, პატრიარქალურ ოჯახს, მშობლებისა და შვილების მტკიცე კავშირს, მაღალ ნაციონალურობას, სოციალურ კონფორმიზმს. ასეთი ადამიანებისთვის მიუღებელია აბორტები, განქორწინება, ევთანაზია, თვითმკვლელობა. სეკულარული ფასეულობები კი აღნიშნულის საპირისპიროა: რელიგიას და ტრადიციებს დიდი როლი არ ენიჭება, აბორტები, განქორწინება, ევთანაზია, თვითმკვლელობა მისაღებია [33].


ყოველივე ეს უკეთ რომ წარმოვიდგინოთ, განვიხილოთ პროექტის შედეგების საილუსტრაციოდ შედგენილი ე. წ. „ღირებულებათა რუკა“. რუკის ვერტიკალურ ღერძზე ასახულია ტრადიციულობის (ქვემოთ) და სეკულარობა–რაციონალურობის (ზემოთ) ურთიერთდამოკიდებულება. ჰორიზონტალურ ღერძზე კი გამოსახულია გადარჩენის ღირებულებები (მარცხნივ) და თვითგამოხატვის ღირებულებები (მარჯვნივ).

რუკაზე ქვეყნები დაჯგუფებულია რამდენიმე ჯგუფად, ესენია: პოსტსაბჭოთა, ინგლისურენოვანი, კათოლიკური და პროტესტანტული ევროპა, კონფუციანური, სამხრეთ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები. ერთ ჯგუფში გაერთიანებულ ქვეყნებს მსგავსი ღირებულებათა სისტემები ახასიათებს. მაგ.: ტრადიციულობის მაღალი ხარისხი და გადარჩენის ფასეულობები (ქვედა მარცხენა კვადრანტი) დამახასიათებელია სამხრეთ აზიისა და აფრიკის ქვეყნებისათვის, როგორც ცაა: ზიმბაბვე, მაროკო, იორდანია, პაკისტანი, ბანგლადეში.

მაღალი ტრადიციულობა და თვითგამოხატვის ფასეულობები (ქვედა მარჯვენა კვადრანტი) გამოიკვეთა ლათინური ამერიკისა და ინგლისუროვანი ქვეყნების მოსახლეობის ღირებულებათა სისტემებში, როგორებიცაა: აშშ, ირლანდია, არგენტინა, ბრაზილია, ვენესუელა.

მაღალი ხარისხის სეკულარულ–რაციონალური მაჩვენებლები და გადარჩენის ფასეულობები (ზედა მარცხენა კვადრანტი) დამახასიათებელია რუსეთის, უკრაინის, ესტონეთის, ლიტივის, ბულგარეთის, ანუ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის.

სეკულარობა–რაციონალურობის მაღალი მაჩვენებლისა და თვითგამოხატვის ფასეულობების მქონე საზოგადოება (ზედა მარჯვენა კვადრანტი) არის ევროპასა და კონფუციანურ ჯგუფში: შვეციაში, ნორვეგიაში, დანიაში, იაპონიაში.



როგორც ვხედავთ, როდესაც ქვეყანაში დგას გადარჩენისა და სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხი, საზოგადოების ღირებულებათა სისტემაში წინა პლანზე გადმოდის ფიზიკური და ეკონომიკური უსაფრთხოება. ხოლო თუ კეთილდღეობის გარკვეული დონე მიღწეულია და პირველადი სასიცოცხლო მოთხოვნილებები – დაკმაყოფილებული, მაშინ საზოგადოება და ადამიანები ორიენტირებული არიან უფრო თვითგამოხატვის და არა თვითგადარჩენის ღირებულებებზე.

საქართველო ამ რუკაზე განთავსდა პოსტსაბჭოთა და სამხრეთ აზიის ქვეყნების გადაკვეთაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებაში თანდათან ძლიერდება სეკულარულ-რაციონალური ღირებულებები, თუმცა ისევ არის შენარჩუნებული ტრადიციული, ეროვნული ფასეულობები. სავარაუდოდ, ასეთი სურათი განპირობებულია საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური მოვლენებით. კერძოდ, ქვეყანა გამოვიდა საბჭოთა კავშირის დაქვემდებარებიდან, როდესაც წამყვანი იყო კომუნისტური ქვეყნისთვის მისაღები ღირებულებები, საზოგადოება გათავისუფლდა იდეოლოგიური წნეხისაგან, საზღვარგარეთის ქვეყნებთან დაახლოებამ შემოიტანა უცხოური ფასეულობები. თუმცა იმ ტრადიციულ ღირებულებებზე უარის თქმა, რომლებიც, აღნიშნული იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, მაინც იყო საზოგადოებაში, ერთბაშად არ ხდება. საქართველოს ადგილი რუკის მარცხენა ნახევარში კი იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანაში წინა პლანზე ისევ თვითგადარჩენის ღირებულებებია. სოციალურ-ეკონომიკური ფონი ჯერ-ჯერობით მძიმეა, რაც აისახება საზოგადოების დიდი ნაწილის ცხოვრების პირობებზე, რის გამოც ფიზიკური და ეკონომიკური უსაფრთხოება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითგამოხატვის ღირებულებები.

სხვადასხვა წლებში ჩატარებული კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ გლობალიზაციის პროცესი, ტექნოლოგიების

განვითარება გარკვეულ გავლენას ახდენს ღირებულებათა სისტემებზე. აღნიშნული პროცესები იწვევენ ღირებულებათა დაახლოებას სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობაში (აღამიანები კითხულობენ ერთსა და იმავე წიგნებს, უყურებენ ერთსა და იმავე ფილმებს, სტუმრობენ ერთსა და იმავე საიტებს, უყურებენ ერთსა და იმავე არხებს). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევების ისტორიის მანძილზე აღმოჩნდა ღირებულებები, რომელთაც ნაკლებად განიცადეს ცვლილება. ეს ეხება ოჯახს, სხვადასხვა სქესის მიმართ დამოკიდებულებას, ნაციონალურ თვითშეგნებას. მაგრამ თანდათან მაინც მცირდება მათი რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ მამაკაცი უფრო კარგი ლიდერია, ვიდრე ქალი. ეს აღინიშნება უფრო მეტად განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში, ასევე ახალგაზრდებში, ქვეყნის განვითარების მიუხედავად.

რაც შეეხება გამოკითხვას რწმენის შესახებ, უმეტესი ქვეყნების მოსახლეობის 95% ამტკიცებს, რომ მისთვის ღმერთი ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა რელიგიაზე და ტრადიციულობაზე დაბალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში მეტი აქცენტი კეთდება, რაც, ალბათ, აიხსნება იმით, რომ აღამიანები თავიანთი პრობლემების ფონზე შვებას პოულობენ რელიგიაში [102].

სოციალური კვლევები ტარდება ევროპის მასშტაბითაც (European Values Survey – EVS „ევროპულ ღირებულებათა გამოკვლევა“), რომლის შედეგები ასევე საინტერესოა ჩვენთვის [100]. 2007 წელს ჩატარებულ კვლევებში მონაწილეობდა შემდეგი ქვეყნები: ბელგია, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, გერმანია, დანია, ესპანეთი, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ფინეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, შვეცია, ესტონეთი, რუსეთი.

კვლევის შედეგების მიხედვით:

უსაფრთხოებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ უნგრეთში, ბულგარეთში, რუსეთში, ესტონეთში და შედარებით ნაკლებს – შვეიცარიაში, ნორვეგიაში, შვეციასა და დანიაში;

კონფორმულობა მნიშვნელოვანია პოლონეთის, რუმინეთის, ნორვეგიის მოსახლეობისათვის და ნაკლებად მნიშვნელოვანი – საფრანგეთისა და შვეიცარიისთვის, რუსეთი, ესტონეთი, სლოვენია შუალედურ ადგილზეა;

ტრადიციული ღირებულებები ძლიერია ბულგარეთში, სლოვენიაში, პოლონეთში და შედარებით სუსტი – ნორვეგიასა და დანიაში, რუსეთი აქაც შუალედურ ადგილზეა;

დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანია შვეიცარიის, დანიის, გერმანიის მოსახლეობისათვის, ნაკლებ მნიშვნელოვანი – რუსეთის, ესტონეთისა და ბულგარეთისათვის;

ჰედონიზმის მიხედვით პირველ ადგილზეა საფრანგეთი, ბელგია, დანია, ხოლო ბოლო ადგილებზე – რუსეთი, სლოვენია, რუმინეთი, პოლონეთი;

მიღწევა მნიშვნელოვანია ბულგარეთის, რუმინეთის, რუსეთის მოსახლეობისათვის და ნაკლებად მნიშვნელოვანი – ესპანეთისა და საფრანგეთისათვის;

ძალაუფლებას უპირატესობას ანიჭებენ რუმინეთში, რუსეთსა და ესტონეთში, ხოლო საფრანგეთში, ფინეთსა და ესპანეთში – ნაკლებად.

კვლევებიდან ჩანს, რომ სოციალისტური სისტემის რღვევის შემდეგ, როცა სახელმწიფომ პასუხისმგებლობა მოიხსნა და პასუხისმგებლობა გადავიდა თითოეულ ადამიანზე, ეს პროცესი აისახა ღირებულებათა სისტემის იერარქიაზე. კერძოდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ადამიანებისთვის პრიორიტეტული აღმოჩნდა უსაფრთხოება, მიღწევა, ძალაუფლება, ხოლო ჰედონიზმი, კონფორმულობა, ტრადიციულობა – ნაკლებად [100].

1990-92 წლებში შ. შვარცმა და ს. ჰუისმენსმა შვარცის მე-
თოდის გამოყენებით ჩაატარეს კვლევა, რომლის შედეგებიც
შეაჯამეს სტატიაში „ღირებულებათა პრიორიტეტულობა და
რელიგიურობა დასავლეთის ოთხი რელიგიური მიმდინარეობის
ბაზაზე“ [94]. ამ შედეგების საფუძველზე მათ ჩამოაყალიბეს სა-
ერთო ჰიპოთეზა, რომელიც ინდივიდთა რელიგიურობას უკავ-
შირებდა იმ ადამიანურ ღირებულებებს, რომლებიც ყველაზე
მეტად ფასდება რელიგიურ ჯგუფებში. ამ ჰიპოთეზის ტესტი-
რება მოხდა სხვადასხვა ქვეყნების რესპონდენტთა გამოკით-
ხვის საფუძველზე. კერძოდ, კვლევაში მონაწილეობა მიიღო ის-
რაელის ზრდასრული ასაკის უმაღლესი განათლების მქონე
635-მა მოქალაქემ (იუდეველები), ესპანეთის კათოლიკური
მრწამსის 472-მა, ჰოლანდიის კალვინისტური პროტესტანტიზ-
მის მიმდევარმა 217-მა და საბერძნეთში მცხოვრებმა 400-მა
ორთოდოქსმა ქრისტიანმა.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის საგანი იყო ემპირიული კავ-
შირის დადგენა ღირებულებათა პრიორიტეტულობასა და რე-
ლიგიურობას შორის. არსებობს თუ არა ღირებულებათა სისტე-
მის მოდელი, რომელიც საერთოა სხვადასხვა რელიგიური მიმ-
დინარეობების წარმომადგენლებისათვის? ღირებულებათა სის-
ტემა დამოკიდებულია თუ არა იმ რელიგიაზე, რომლის მიმდე-
ვარიცაა ადამიანი?

ამ კითხვებზე გარკვეული პასუხი გასცა წინამდებარე
კვლევამ, რომლის შედეგები მოცემულია ცხრილში 1:

რელიგიურობის კორელაცია ღირებულებათა
ტიპებთან მიმართებაში

ცხრილი 1

მოტივაციური ტიპი	იუდევე- ლები (ისრაე- ლი)	პრო- ტესტან- ტები (ჰოლან- დია)	კათო- ლიკები (ესპანე- თი)	ორთო- დოქსები (საბერ- ძნეთი)
კეთილგანწყობა	0.13	0.29	0.13	0.03
კონფორმულო- ბა	0.20	0.16	0.33	0.45
მიღწევა	-0.13	-0.18	-0.04	-0.18
უსაფრთხოება	0.12	0.10	0.17	0.31
უნებერსალიზმი	-0.20	-0.13	-0.23	-0.39
დამოუკიდებ- ლობა	-0.31	-0.32	-0.30	-0.37
ტრადიციულო- ბა	0.61	0.45	0.53	0.57
სტიმულირება	-0.26	-0.28	-0.36	-0.44
ძალაუფლება	-0.06	-0.13	-0.09	-0.03
ჰედონიზმი	-0.32	-0.34	-0.49	-0.39

როგორც ცხრილიდან ჩანს, რელიგიურობა დადებით კორე-
ლაციაშია ისეთ ღირებულებებთან, როგორებიცაა: კეთილგან-
წყობა, უსაფრთხოება, კონფორმულობა, ტრადიციულობა, რაც
იმას ნიშნავს, რომ რელიგიურობა გარკვეულწილად განსაზ-
ღვრავს აღნიშნული (ძირითადად კოლექტივისტური) ღირებუ-
ლებების ჩამოყალიბებას ადამიანში. ხოლო უარყოფით კორე-
ლაციაშია ძირითადად ისეთ ინდივიდუალისტურ ღირებულე-
ბებთან როგორებიცაა: მიღწევა, დამოუკიდებლობა, სტიმული-
რება, ძალაუფლება და ჰედონიზმი. თუმცა ჯგუფებს შორისაც

არის გარკვეული განსხვავება, კერძოდ. კეთილგანწყობა ყველაზე მეტად აქვთ გამოხატული პროტესტანტებს და ყველაზე ნაკლებად – ორთოდოქსებს; კონფორმულობა ყველაზე მეტი აქვთ ორთოდოქსებს და ყველაზე ნაკლები – პროტესტანტებს; უსაფრთხოება ასევე ყველაზე მეტია ორთოდოქსებში და ნაკლები – პროტესტანტებში; ტრადიციულობაში შედარებით ნაკლებადაა განსხვავება იუდეველებს, კათოლიკებსა და ორთოდოქსებში, ყველაზე ნაკლებადაა იგი გამოხატული პროტესტანტებში.

ავტორების აზრით, მიღებულმა შედეგებმა აჩვენა რელიგიურობის გავლენა ღირებულებათა პრიორიტეტებზე. რელიგიური სოციალიზაციის მოთხოვნაა, ზემოქმედება მოახდინოს პიროვნების ცნობიერებაზე იმგვარად, რომ მან მიიღოს ის პრიორიტეტები, რომლებიც ასახავენ და მხარს უჭერენ ძირეულ თეოლოგიურ დოქტრინებსა და ინსტიტუციურ ინტერესებს. თეორიული კავშირები ღირებულებათა პეროგატივასა და რელიგიურობას შორის ემყარებოდა ზოგადად რელიგიის სწავლებებისა და ფუნქციების თეორიულ ანალიზს და არა რომელიმე კონკრეტული რელიგიური მიმდინარეობის სწავლებასა და ზეგავლენას. შესაბამისად, ავტორების აზრით, მიღებული შედეგები შეიძლება გავავრცოთ ნებისმიერი რელიგიის მიმართ. ის, რომ ნებისმიერი რელიგია ერთმნიშვნელოვნად ზრუნავს ტრადიციების განმტკიცებისა და კოლექტივისტური ღირებულებების წინ წამოწევისთვის და უარყოფს ჰედონიზმს, იმის ნათელი მაგალითია, თუ რა მნიშვნელოვანი გავლენა აქვს რელიგიურ სოციალიზაციას. ამდენად, ასეთი შედეგი ძალიან საყურადღებოა რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაში.

შვარცის კითხვარის გამოყენებით ჩატარებულია კვლევები იმის დასადგენად, თუ როგორ არის დამოკიდებული ღირებულებათა სტრუქტურა სხვადასხვა ფაქტორზე. მაგ., სხვადასხვა დროს 67 ქვეყანაში ჩატარდა კვლევები, რომლებშიც გათვა-

ლისწინებული იყო ასაკი, განათლება, შემოსავალი და რელიგიურობა (იხ. ცხრილი 2).

სხვადასხვა ფაქტორის გავლენა ღირებულებათა სისტემაზე
ცხრილი 2

მოტივაციური ტიპი	ასაკი	განათლება	შემოსავალი	რელიგიურობა
უსაფრთხოება	0.24	0.11	-0.12	0.07
კონფორმულობა	0.23	-0.18	-0.22	0.17
ტრადიციულობა	0.26	-0.13	-0.22	0.48
კეთილგანწყობა	0.14	0.13	-0.04	0.03
უნივერსალიზმი	0.13	0.05	0.06	0.08
დამოუკიდებლობა	-0.16	0.17	0.19	-0.16
სტიმულირება	-0.29	0.12	0.16	-0.08
ჰედონიზმი	-0.35	0.10	0.08	-0.16
მიღწევა	-0.24	0.04	0.14	-0.19
ძალაუფლება	-0.07	-0.12	0.02	-0.14

აღნიშნული კვლევა გვიჩვენებს, რომ ინდივიდუალური რელიგიურობა დადებით კორელაციაშია უსაფრთხოებას, კონფორმულობას, ტრადიციულობას, კეთილგანწყობასა და უნივერსალიზმთან, ხოლო უარყოფით კორელაციაში – ინდივიდუალისტურ ღირებულებებთან.

რაც შეეხება სხვა ფაქტორებს, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება კოლექტივისტური და მცირდება ინდივიდუალისტური

ღირებულებების გავლენა. განათლება კი უარყოფით კორელაციაშია მხოლოდ კონფორმულობას, ტრადიციულობასა და ძალაუფლებასთან. რაც შეეხება შემოსავალს, იგი დადებით კორელაციაშია უნივერსალიზმსა და ყველა ინდივიდუალისტურ ღირებულებასთან, ხოლო უარყოფით კორელაციაშია უსაფრთხოებასა და კოლექტივისტურ ღირებულებებთან [105].

შვარცის ღირებულებათა სტრუქტურის თეორიის მიხედვით განსაზღვრული ღირებულებათა სისტემის მოდელის სანდოობა სხვადასხვა დროს შემონმდა რიგი ავტორების მიერ სხვადასხვა კვლევებით. მაგ., კანადაში მარკეტინგის მიმართულების 150 სტუდენტზე ჩაატარეს გამოკითხვა მორისის კითხვარის „ცხოვრების სხვადასხვა გზები“, კილმანის „შინაარსობრივი ტესტისა“ და მაკ ლელანდის „პირადი ღირებულებების კითხვარის“ გამოყენებით, რომელთა შედეგადაც შვარცის ღირებულებათა სისტემის მოდელით განსაზღვრული ღირებულებების სტრუქტურის უმეტესი ნაწილის სისწორე დადასტურდა [105].

2009 წელს გერმანიასა და ისრაელში ჩატარდა კვლევა ახალგაზრდებში ღირებულებათა განვითარების შესასწავლად. კვლევის ავტორებს აინტერესებდათ ადგილობრივ და მიგრანტ ახალგაზრდებში ღირებულებათა სტრუქტურის განსხვავება, ახდენდა თუ არა გავლენას მიგრაცია მათი პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე, რადგან ღირებულებები არის დებულებები, რომლებიც ეხება ადამიანის მიზანს და მოქმედებს, როგორც ცხოვრების მამოძრავებელი სტანდარტები.

გამოსაკვლევად აღებული იყო 3-3 ჯგუფი თითოეული ქვეყნიდან. კერძოდ, გერმანიაში: 1. ადგილობრივი გერმანელები (რომელთა ორივე მშობელი გერმანელია), 2. თურქი მიგრანტები და 3. მიგრანტები პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან; ისრაელში: 1. ადგილობრივი ებრაელები (რომელთა ორივე მშობელი ებრაელია), 2. არაბი მიგრანტები და 3. მიგრანტები პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან [108].

კვლევაში მონაწილეობდნენ 9-18 წლის ახალგაზრდები. გერმანიაში გამოკვლეულ იქნა 2880 (1359 – ადგილობრივი გერმანელი, 664 – თურქი მიგრანტი და 857 – მიგრანტი პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან), ხოლო ისრაელში 1851 (991 – ადგილობრივი ებრაელი, 425 – არაბი მიგრანტი და 435 – მიგრანტი პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან) ახალგაზრდა. გამოკვლეულ იქნა ღირებულებათა სისტემები სხვადასხვა კონტექსტში:

1. სკოლასთან მიმართებაში;
2. ოჯახთან მიმართებაში;
3. როგორ აღიქვამენ საკუთარ თავს როგორც გერმანელები (ან ებრაელები);

4. როგორ აღიქვამენ საკუთარ თავს მემკვიდრეობით მიღებულ ეთნოსში მიგრანტებისთვის (ცხრილში მონაცემები შეტანილია აღნიშნული ნუმერაციით)

კვლევის შედეგები მოტანილია ცხრილში 3:

გერმანიისა და ისრაელის ახალგაზრდების ღირებულებათა სისტემების კვლევის შედეგები

ცხრილი 3

	მიღწევა	კონფორ- მულობა	კეთილ- განწყობა	დამოუკი- დებლობა
ადგილობ- რივი გერმანე- ლები	1.- 4.0	1.- 4.0	2.- 4.8	3.- 4.1
	3.- 3.8	2.- 4.0	3.- 4.3	1.- 4.0
	2.- 3.7	3.- 4.0	1.- 4.1	2.- 3.9
თურქი მიგრანტე- ბი	1.- 4.1	2.- 4.2	2.- 4.5	3.- 3.9
	4.- 4.0	4.- 4.2	3.- 4.3	1.- 3.7
	2.- 3.9	1.- 4.1	4.- 4.3	4.- 3.7
	3.- 3.9	3.- 4.1	1.- 4.2	2.- 3.5

პოსტსაბ- ჭოთა მიგრანტე- ბი	1.- 4.2 4.- 4.0 3.- 3.9 2.- 3.8	2.- 4.2 3.- 4.1 4.- 4.1 1.- 4.0	2.- 4.6 3.- 4.3 4.- 4.2 1.- 4.0	3.- 3.8 4.- 3.7 1.- 3.6 2.- 3.5
ადგილობ- რივი ებრა- ელები	1.- 4.2 3.- 4.1 2.- 4.0	1.- 4.0 2.- 4.0 3.- 4.0	2.- 4.3 3.- 4.1 1.- 3.9	1.- 4.0 3.- 3.9 2.- 3.7
არაბი მიგ- რანტები	1.- 4.2 3.- 4.1 2.- 4.0 4.- 4.0	2.- 4.0 4.- 3.9 1.- 3.8 3.- 3.8	2.- 4.0 4.- 4.0 1.- 3.9 3.- 3.9	3.- 4.1 1.- 4.0 4.- 4.0 2.- 3.9
პოსტსაბ- ჭოთა მიგრანტე- ბი	1.- 4.3 3.- 4.2 4.- 4.1 2.- 4.0	1.- 4.0 2.- 4.0 3.- 4.0 4.- 4.0	2.- 4.2 3.- 4.0 4.- 4.0 1.- 3.8	1.- 4.0 3.- 4.0 4.- 4.0 2.- 3.7

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, ყველა ჯგუფისთვის მიღ-
წევა მნიშვნელოვანია სკოლასთან მიმართებაში და კეთილგან-
წყობა – ოჯახთან მიმართებაში. გერმანიაში თურქი და პოს-
ტსაბჭოთა მიგრანტებისთვის მიღწევა და კონფორმულობა უფ-
რო მაღალია, როცა ისინი თავს აიგივებენ საკუთარ ეთნოსთან,
ვიდრე გერმანელთან. დამოუკიდებლობა მაღალია გერმანე-
ლებთან მიმართებაში, ვიდრე ეროვნულ კონტექსტში. რაც შეე-
ხება ისრაელში არაბ და პოსტსაბჭოთა მიგრანტებს, სამივე
ჯგუფისთვის მიღწევა და დამოუკიდებლობა მაღალია ებრაე-
ლობასთან მიმართებაში. კეთილგანწყობას ოჯახის შემდეგ
არაბი მიგრანტები გამოხატავენ საკუთარ ეთნოსთან, ხოლო
პოსტსაბჭოთა მიგრანტები – ებრაელებთან მიმართებაში.

კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივი და მიგრანტი ახალგაზრდების ღირებულებათა სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება, რაც, კვლევის ავტორთა აზრით, იმითაა გამოწვეული, რომ მიგრანტები განიცდიან „კულტურულ შოკს“ – მემკვიდრეობით მიღებულ და ახალ ღირებულებათა შორის შეჯახებას.

2012 წელს მოსკოვში ჩატარდა სემინარი „ახდენს თუ არა გავლენას რელიგია ადამიანთა ბაზისურ ღირებულებებზე“. სემინარზე მოხსენება გააკეთა მოსკოვისა და იერუსალიმის ევროპული უნივერსიტეტების პროფესორმა შალომ შვარცმა [48]. მისი გამოსვლა ემყარებოდა 2002-2010 წლებში ევროპის მასშტაბით ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკითხვას, რომელშიც მონაწილეობდა 15-დან 102 წლამდე ასაკის 198 791 რესპონდენტი 33 ქვეყნიდან: პორტუგალია, ესპანეთი, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, დანია, ბელგია, გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, შვეიცარია, იტალია, საბერძნეთი, ჩეხეთი, ავსტრია, სლოვენია, ხორვატია, უნგრეთი, სლოვაკია, პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უკრაინა, ფინეთი, შვედეთი, ისრაელი, ნორვეგია, რუსეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, თურქეთი, კვიპროსი. რესპონდენტებს შორის იყო 19 911 მართლმადიდებელი, 61 607 კათოლიკე, 28 486 პროტესტანტი, 5 326 იუდეველი, 8 125 მაჰმადიანი და 75 336 ათეისტი. მათ გასცეს პასუხები კითხვებზე, რომლებიც ეხებოდა ადამიანთა ღირებულებებს. გაანალიზებული იყო ღირებულებათა პროფილები, რომლებიც ახასიათებს კონკრეტული რელიგიის წარმომადგენლებს. აღმოჩნდა, რომ რელიგიისადმი კუთვნილება გარკვეული ფაქტორია ღირებულებათა ორიენტაციებს შორის განსხვავებაში. მათთვის, ვინც თავს არ აკუთვნებს არცერთ რელიგიას, უფრო მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობა და სტიმილაცია. მორწმუნეები კი თავს უფრო დაცულად გრძობენ, მათთვის მნიშვნელოვანია ტრადიციებისადმი ერთგულება და სუ-

ლიერი ცხოვრება. ამ კვლევის თანახმად, ინდივიდუალისტურ ღირებულებათა შორის განსხვავებას რელიგია ნაკლებად განაპირობებს, ამაზე უფრო მოქმედებს ასაკი, სქესი, განათლება, ქვეყნის ტრადიციები და კულტურა.

2013-14 წლებში რუსი მკვლევრების მიერ 65 ქვეყნის 70000 რესპონდენტის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტის (59%) აზრით, რელიგია დადებით როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში, სანინალმდეგო შეხედულებისაა 22%. რუსეთში ყოველი თითქმის მეორე (49%) ფიქრობს, რომ რელიგია დადებით როლს ასრულებს, სანინალმდეგო შეხედულებისაა 28%, 18%-ის აზრით, არავითარ როლს არ ასრულებს, ხოლო 5%-მა თავი შეიკავა. ყველაზე მეტი ადამიანი, რომელიც თვლის, რომ რელიგია დადებით როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში, დაფიქსირებულია აფრიკაში, ამერიკის ორივე კონტინენტზე და ახლო აღმოსავლეთში. დასავლეთ ევროპაში გამოვლინდა ამ მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, დანიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, ესპანეთსა და შვედეთში. ყველაზე მეტი, ვინც მიიჩნევს, რომ რელიგია დადებით როლს ასრულებს, იყო ინდონეზიის მაცხოვრებლებში (95%), აშშ-ში (43%) (შედარებისთვის დიდ ბრიტანეთში – 6%). მორწმუნეებიდან ყველაზე მეტი, ვინც რელიგიას დადებით როლს ანიჭებს, გამოვლინდა მაკმადიანებში (76%) და პროტესტანტებში (72%), ყველაზე ნაკლები – ინდუისტებში (55%).

ამ ფაქტზე კომენტარები სთხოვეს სასულიერო პირებს. მოსკოვის ოლქის ერთ-ერთი მართლმადიდებლური გიმნაზიის ხელმძღვანელმა, პროტოპრესვიტერმა ა. ნოვიჩკოვმა განაცხადა, რომ, როგორც არ უნდა შეიცვალოს ცხოვრება და შემოვიდეს ახალი პროპაგანდირებული ღირებულებები, ადამიანს დას-

კვნები გამოაქვს თავისი ბუნებიდან, თავისი რწმენიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად ეს არის ღმერთის რწმენა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ყველა ქვეყნისა და ყველა ნაციონალობის ადამიანებში არსებობს ის საფუძველი, რაც ღმერთის მიერ არის ჩადებული. თუმცა, არც ახალი ინფორმაცია იკარგება უკვალოდ. ის ნელ-ნელა აცილებს ადამიანს თავის ბუნებრივ საწყისს და უქმნის ხელოვნურ წარმოდგენას სამყაროს შესახებ. ინფორმაციის ამ ნაკადში კი ადამიანი იბნევა, მას უყალიბდება ახალი, შეცვლილი ღირებულებები, განსხვავებული შეხედულება სიკეთესა და ბოროტებაზე.

გაზეთ „მართლმადიდებელი მოსკოვის“ რედაქტორის, პროტოპრესვიტერ მ. დუდკოს აზრით კი, მაჰმადიანებში ცხოვრებაზე რელიგიის გავლენის ასეთი მაღალი პროცენტი არ არის გასაკვირი, რადგან ისლამი არ ყოფს აღმსარებლობასა და ყოველდღიურ, თუნდაც პოლიტიკურ ცხოვრებას ერთმანეთისგან. ისლამურ ქვეყნებში შერწყმულია ცხოვრება და რელიგია. არც რუსეთის მაჩვენებელია გასაკვირი, რადგან, მიუხედავად მრავალწლიანი ათეისტური პროპაგანდისა, რუსმა ხალხმა შეინარჩუნა მართლმადიდებლური რწმენა. სანკტ-პეტერბურგის ეპარქიის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი, პროტოპრესვიტერი კ. გოლოვაცკი ფიქრობს, რომ რელიგია აყალიბებს ადამიანების ღირებულებათა სისტემას და განამტკიცებს საზოგადოების ცხოვრების საფუძველს. მუსულმანურ ქვეყნებში რელიგიას მყარი ადგილი უჭირავს საზოგადოების ცხოვრებაში, ევროპაში კი, სადაც სეკულარიზაციის პროცესი მიმდინარეობს, რელიგიას ადამიანები მინიმალურ მნიშვნელობას ანიჭებენ, ეს არის პოსტინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი [103].

2001 წელს რუსეთში „РОМИР – Gallup International“-ისა და კომპლექსური სოციალური კვლევების ცენტრის მიერ ჩა-

ტარდა რუსეთის მოსახლეობის რელიგიურ-ზნეობრივი ფასეულობების კვლევა [54]. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის 79,6% მორწმუნედ თვლის თავს, მათი 73,6% მართლმადიდებელია, მაჰმადიანი – 4%, სხვა კონფესიებს 2% მიაკუთვნებს თავს, ხოლო 18,5% ათეისტია. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის თითქმის ნახევარი არ დადის ეკლესიაში და არ იცავს რელიგიურ წესებს. ამავე კვლევით აღმოჩნდა, რომ რუსული მართლმადიდებელი ეკლესია და პატრიარქი ალექსი II იკავებს პრეზიდენტის შემდეგ მეორე ადგილს მოსახლეობის ნდობის მიხედვით. ის უსწრებს ისეთ ინსტიტუტებს, როგორებიცაა: მთავრობა, არმია, სასამართლო, ძალოვანი სტრუქტურები, ტელევიზია.

საინტერესოა 2008 წელს სანკტ-პეტერბურგში ჩატარებული უფროსკლასელთა და მასწავლებლების ზნეობრივი ღირებულებებისა და რელიგიური ორიენტაციების კვლევის შედეგები [35]. ზოგადად, რუსეთის მოსახლეობის 86,5% (დაახლოებით 126 მლნ ადამიანი) თავს თვლის მართლმადიდებლად, რადგან რუსული კულტურულ-ისტორიული ტრადიციები მჭიდროდ არის დაკავშირებული ქრისტიანულ სარწმუნოებასთან. აღნიშნულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 13 სკოლის 1280-მა უფროსკლასელმა და 516-მა პედაგოგმა. გამოკითხვა ჩატარდა 3 კითხვარით. პირველი მიმართული იყო უფროსკლასელთა და მასწავლებლების ქცევის თავისებურებებზე სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში, როცა იდგა ზნეობრივი არჩევანის აუცილებლობა; მეორე კითხვარი ამოწმებდა პიროვნების სულიერ-ზნეობრივ ორიენტაციებს თანამედროვე სამყაროში; მესამე კითხვარი იკვლევდა წინა თაობებთან ახალი თაობის დამოკიდებულებას. (კითხვარების საიმედოობა მოწმდებოდა განმეორებითი ტესტირების საშუალებით პილოტურ რესპონდენტებში). კვლევა ტარდებოდა შემდეგი მიმართულებებით:

დამოკიდებულება რელიგიის მიმართ;

დამოკიდებულება წმინდანებისა და ხატების მიმართ;

დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ;

საკუთარი ცხოვრების აზრის განსაზღვრა.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მასწავლებელთა 23% და უფროსკლასელთა 38% თვლის, რომ რელიგია არის ღმერთის არსებობის რწმენა და საიდუმლოებებში (ნათლობა, აღსარება, ზიარება და ა. შ.) მონაწილეობის მიღება. მასწავლებელთა და ასევე უფროსკლასელთა 22%-ის აზრით, რელიგია სამარადისო ცხოვრებისაკენ მიმავალი გზაა, ხოლო უფროსკლასელთა 5%-ისა და მასწავლებელთა 1%-ის აზრით, ეს არის წარსულის მავნე გადმონაშთი. მთლიანი რესპონდენტების 2/3 თვლის, რომ ყველა რელიგია არ არის კარგი და სულის გადამრჩენელი. მასწავლებელთა და უფროსკლასელთა 29%-ს სჯერა, რომ არსებობდნენ ქრისტესთვის შეწირული ადამიანები, რომლებიც შემდეგ წმინდანებად შეირაცხნენ. უფროსკლასელთა 19%-ისა და მასწავლებელთა 27,5%-ის აზრით, ხატები გვეხმარებიან ღმერთისკენ მიმავალ გზაზე და მათთან ახლოს დგომით უფრო ღრმა ხდება ლოცვა. რესპონდენტთა მხოლოდ 2% თვლის, რომ წმინდანებისადმი ინტერესი მოდის აყოლაა. ასეთი შედეგი გვაფიქრებინებს, რომ მიუხედავად ათეიზმის ხანგრძლივი პერიოდისა რუსეთში, რელიგიისადმი და წმინდანებისადმი ინტერესი მოზრდილებშიც და ახალგაზრდებშიც შენარჩუნებულია.

რაც შეეხება ეკლესიისადმი დამოკიდებულებას, უფროსკლასელთა 59%-ისა და პედაგოგთა 81,5%-ის აზრით, ეკლესიაში სიარული რელიგიის განუყოფელი ნაწილია, ხოლო უფროსკლასელთა 30% და პედაგოგთა 12,5% თვლის, რომ ეკლესია რუსული კულტურის ტრადიციას და მასში, როგორც მუზეუმში, ისე დადიან.

განსხვავებულია შეხედულება ცხოვრების არსზეც. მიუხედავად აქამდე მოყვანილი შედეგებისა, უფროსკლასელთა 26% და მასწავლებელთა 51% თვლის, რომ ცხოვრების არსი არის

ოჯახის შექმნა და შვილების აღზრდა, მეორე ადგილზე დგას პასუხი — საკუთარი შესაძლებლობების ადამიანების სამსახურში გამოყენება (უფროსკლასელთა 17% და მასწავლებელთა 24%) და მხოლოდ მცირე ნაწილი თვლის, რომ ეს არის სულის ხსნა და სასუფევლის მოპოვება (უფროსკლასელთა 3% და მასწავლებელთა 9%).

სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების მშვიდობიან თანაარსებობას ქვეყანაში ბევრი დადებითი მხარე აქვს. უპირველეს ყოვლის, ეს არის განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანების მიმართ ტოლერანტულობის განვითარება. 2014 წლის სექტემბერში სანკტ-პეტერბურგში ჩატარდა სრულიად რუსეთის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „რუსეთის რელიგიები კულტურის წლის ფარგლებში“. კონფერენციის მიზანი იყო იმ წვლილის განხილვა, რომელიც შეაქვთ რუსეთის რელიგიურ ორგანიზაციებს რუსეთის კულტურულ ცხოვრებაში. კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია რუსეთში არსებული ყველა რელიგიის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა, რადგან თვით ის ფაქტი, რომ სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობები არსებობს, უკვე ითვლება ქვეყნის ღირსებად, გარდა ამისა, ეს არის რუსეთში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიის აღმსარებელი ხალხების ჰარმონიული ურთიერთობის წინაპირობა [56].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ღირებულებათა სისტემის კვლევა ჩატარდა „კონფლიქტებისა და საერთაშორისო კვლევითი ცენტრის“ ეგიდით, თბილისის მასშტაბით რეპრეზენტაბელურ შერჩევაზე [31]. სულ გამოკითხულ იქნა 18-70 წლის ასაკის 1034 პირი. კვლევა ჩატარდა შვარცის ღირებულებათა საკვლევო კითხვარის პირველი ნაწილის გამოყენებით, რომელშიც რესპონდენტები აფასებენ ღირებულებებს მისი მნიშვნელოვნობის მიხედვით (პასუხები ფასდება „-1“ ქულიდან „7“ ქულამდე). შესაბამისად, რაც უფრო დიდია რიცხვითი მაჩ-

ვენებელი, მით უფრო დიდიაპროგნოზისთვის ღირებულების მნიშვნელობა.

კვლევის მიხედვით, პირველ სამ ადგილზე გავიდა კეთილგანწყობა, კონფორმულობა და მიღწევა (იხ. ცხრილი 4).

2011 წლის კვლევის შედეგები

ცხრილი 4

№	მოტივაციური ტიპი	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა
1	კეთილგანწყობა	5.28	0.98
2	კონფორმულობა	5.04	1.07
3	მიღწევა	4.92	1.07
4	უსაფრთხოება	4.66	0.98
5	უნივერსალიზმი	4.65	0.91
6	დამოუკიდებლობა	4.45	1.19
7	ტრადიციულობა	4.22	1.36
8	სტიმულირება	3.90	1.63
9	ძალაუფლება	2.94	1.42
10	ჰედონიზმი	2.80	1.86

აქედან კეთილგანწყობა და კონფორმულობა მიმართულია ჯგუფური ინტერესების დაცვისაკენ, მიღწევა – ინდივიდუალურისკენ. ამ შედეგიდან გამომდინარე, ავტორების აზრით, ქართული საზოგადოების ღირებულებათა სისტემა არც მკვეთრად ინდივიდუალისტურია და არც კოლექტივისტური. „საქართველოს მოსახლეობისთვის პრიორიტეტულია საკუთარი ჯგუფისა და არა მთლიანად საზოგადოების ინტერესების დაცვა-გაძლიერება, რაც უპირისპირდება ამ ჯგუფის წევრების კეთილდღეობის გაძლიერების მიზანს და პრობლემების წარმოქმნის წყარო ხდე-

ბა. ამგვარ ღირებულებათა სისტემას შეიძლება „ვინრო კოლექტივისტური“ ვუნოდოთ“ [18]. გ. ნიჟარაძემ ამ ჯგუფს "ნოსტრია" (ლათინური „ნოსტრი“ – "ჩვენები") უწოდა. „შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ არასტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში უსაფრთხოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება ჯგუფთან (ოჯახი, კლანი, კლასი) გაიგივების, აგრეთვე ამ ჯგუფის წევრთა მხრიდან მოწონების დამსახურებისაკენ მუდმივი სწრაფვის გზით. შესაბამისად, სულაც არ არის გამორიცხული, რომ საკუთარი ჯგუფის პრიორიტეტულობა ადაპტაციური, დაცვითი მექანიზმის მოქმედებით არის განპირობებული. ხოლო „ნოსტრიას“ ფარგლებში ამკარად გამოსატყუია პირადი წარმატებისაკენ სწრაფვა. ამიტომ უწოდა ავტორმა ასეთი ტიპის ღირებულებათა სისტემას „ვინრო-ინდივიდუალისტური“.

კვლევის მიხედვით, ძალაუფლება და ჰედონიზმი გავიდა მე-9-მე-10 ადგილებზე, რაც მოსალოდნელი იყო საქართველოსთვის, როგორც ქრისტიანული კულტურის ქვეყნისათვის.

კვლევის შედეგებით კიდევ ერთი ფაქტი აღინიშნა: ტრადიციულობამ დაიკავა მე-7 ადგილი, სტიმულაციამ – მე-8, ე. ი. დაბალია როგორც სიახლის მიღებისადმი მზაობა, ისე ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებისაკენ სწრაფვა. როგორც ავტორებს მიაჩნიათ, საქართველოში აღინიშნება ტრადიციულ, საზოგადოებაში დამკვიდრებულ ღირებულებებზე უარის თქმის ტენდენცია, მაგრამ, ამასთანავე, ახალ ღირებულებათა მისაღებად საკმარისი მზაობის არარსებობის პირობებში. ეს ნიშნავს, რომ რადიკალური გარდაქმნების პირობებში საზოგადოება ახალი ღირებულებათა სისტემის მისაღებად მზად არ აღმოჩნდა, ძველი კი უარყოფილ იქნა, რის გამოც გარკვეული „ვაკუუმი“ წარმოიქმნა. ეს, შესაძლოა, ფსიქოლოგიური პრობლემების (დეზორიენტაციის, დეზორგანიზაციის) წარმოქმნის მიზეზი გახდეს.

ღირებულებათა სტრუქტურის ანალიზის უფრო სრულად წარმოდგენის მიზნით, კვლევის ავტორებმა შემოგვთავაზეს ფაქტორული ანალიზი. მონაცემების ფაქტორიზაციის შედეგად გამოიყო ფაქტორთა ორი ჯგუფი, რაც წარმოდგენილია მე-5 ცხრილში.

ფაქტორული სტრუქტურა

ცხრილი 5

მოტივაციური ტიპი	I ფაქტორი	II ფაქტორი
კონფორმულობა	0.839	
კეთილგანწყობა	0.788	
უნივერსალიზმი	0.765	
უსაფრთხოება	0.764	
ტრადიციულობა	0.712	
მიღწევა	0.586	0.556
ჰედონიზმი		0.807
ძალაუფლება		0.733
სტიმულაცია		0.723
დამოუკიდებლობა		0.705

პირველი ფაქტორი ხსნის საერთო დისპერსიის 50,39%-ს, ხოლო მეორე ფაქტორი – 14,13%-ს (ახსნილი დისპერსია ჯამში არის 64,52%).

პირველ, მთავარ ფაქტორს ავტორებმა „ტრადიციული ღირებულებები“ უწოდეს, მეორეს კი – „ინდივიდუალისტური ღირებულებები“. როგორც ვხედავთ, მიღწევის ღირებულებები ორივე ფაქტორში შევიდა. ამრიგად, არის ერთი მოტივაციური ნინააღმდეგობა მთავარი ფაქტორის მიხედვით – მიღწევისა და დანარჩენ მოტივაციურ ტიპებს შორის.

ფაქტორული ანალიზის შედეგად კვლევაში გამოიყო ორი გამონაკლისი – სამეცნიერო ხარისხის მქონე და სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ რესპონდენტთა ქვეჯგუფები. შესაბამისი მონაცემები წარმოდგენილია მე-6 და მე-7 ცხრილებში.

სამეცნიერო ხარისხის მქონე ქვეჯგუფის
ფაქტორული სტრუქტურა

ცხრილი 6

მოტივაციური ტიპი	I ფაქტორი	II ფაქტორი
ჰედონიზმი	0.846	
დამოუკიდებლობა	0.833	
სტიმულაცია	0.812	
ძალაუფლება	0.779	
მიღწევა	0.641	
კონფორმულობა		0.849
ტრადიციულობა		0.773
უნივერსალიზმი		0.614
კეთილგანწყობა		0.596
უსაფრთხოება	0.422	0.564

ამ ჯგუფში პირველი ფაქტორი ხსნის საერთო დისპერსიის 49,40%-ს, ხოლო მეორე ფაქტორი – 15,67%-ს (ახსნილი დისპერსია ჯამში არის 65,06%).

როგორც ვხედავთ, ამ ქვეჯგუფში წამყვანია ინდივიდუალისტური ღირებულებები, ტრადიციული ღირებულებების წილი კი გაცილებით ნაკლებად მნიშვნელოვანია.

სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებთა
ქვეჯგუფის ფაქტორული სტრუქტურა

ცხრილი 7

მოტივაციური ტიპი	I ფაქტორი	II ფაქტორი	III ფაქტორი
კონფორმულობა	0.877		
უნივერსალიზმი	0.855		
უსაფრთხოება	0.734		
ჰედონიზმი		0.855	
დამოუკიდებლობა		0.762	
სტიმულაცია		0.714	
ძალაუფლება		0.652	
მიღწევა		0.618	
ტრადიციულობა			0.868
კეთილგანწყობა	0.576		0.628

ამ ჯგუფში პირველი ფაქტორი ხსნის საერთო დისპერსიის 43,34%-ს, მეორე ფაქტორი – 19,33%-ს, ხოლო მესამე ფაქტორი – 10,57%-ს (ახსნილი დისპერსია ჯამში არის 73,24%).

ამ ქვეჯგუფში პირველ ფაქტორად გამოიყო „თვითგადარჩენის ღირებულებები“, მეორედ – „ინდივიდუალისტური ღირებულებები“, მესამედ კი – „ტრადიციული ღირებულებები“. ავტორები ასე ხსნიან მიღებულ შედეგს: როცა რეალური ეკონომიკური პირობები არ იძლევა სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას, ადამიანი შიშით ფიქრობს მომავალზე. მასლოუს სიტყვებით რომ ითქვას: „ეს არა მარტო წარმართავს ადამიანის ქცევას, არამედ განაპირობებს მისი მომავლის ფილოსოფიას, ღირებულებათა ფილოსოფიას“ [46]. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული საზოგადოებისათვის და-

მახასიათებელი აღმოჩნდა თვითგადარჩენის ღირებულებებზე ორიენტაცია.

რელიგიურობისადმი დამოკიდებულების პირველი გასაზომი სკალა შეიმუშავეს ლ. ტურსტონმა და ე. ჩავემ 1929 წელს. სკალა იკვლევდა დამოკიდებულებას ღმერთის, ბიბლიის მიმართ, ღმერთის რეალური არსებობის რწმენას, რწმენის გავლენას ქცევაზე [27]. მ. კინგი და რ. ჰანთი 1969-1975 წლებში წარმოებულ კვლევებში ყურადღებას ამახვილებდნენ ისეთ რელიგიურ ფაქტორებზე, როგორებიცაა: მრწამსის აღიარება, ეკლესიაში სიარული, რელიგიური ცოდნა, ბიბლიის კითხვა, ფინანსური დახმარების განევა და სხვ. კვლევების შედეგად, მორწმუნეებსა და არამორწმუნეებს შორის ზოგიერთი პიროვნული მახასიათებლის მხრივ განსაკუთრებული განსხვავება არ აღინიშნებოდა. მკვეთრი განსხვავება აღინიშნა ნარკოტიკებისა და სექსის მიმართ დამოკიდებულებაში. მორწმუნეებისათვის მიუღებელი იყო ნარკოტიკების მოხმარება და ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობა. კვლევამ გამოავლინა, რომ არამორწმუნე პირებში მეტია უკმაყოფილების და უბედურების მაჩვენებელი.

ადორნოსა და მისი თანამშრომლების მიერ 1950 წელს ჩატარებული კვლევით გამოიკვეთა რელიგიურობის ორგვარი ტიპი: გარეგნული რელიგიურობა, რომელიც უფრო რიტუალების შესრულებას აქცევს ყურადღებას, და ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა, რომლისთვისაც გარეგნული მხარე მეორეხარისხოვანია. ამ კვლევების საფუძველზე 1954 წელს ოლპორტმა გამოყო რელიგიური ორიენტაციის ორი ძირითადი ტიპი: ექსტრისინგ ორიენტაცია (რომლისთვისაც დამახასიათებელია რელიგიის საკუთარი კონკრეტული სოციალური მიზნებისთვის გამოყენება) და ინტრისინქ ორიენტაცია (რომლისთვისაც რელიგია მთავარი და ყველა სხვა მოთხოვნილება – მეორეხარისხოვანი). გარდა ამისა, ოლპორტი თავის სტატიაში „პიროვნული რელიგიური

ორიენტაცია და წინასწარმზაობები“ გამოთქვამს აზრს, რომ ექსტრემიზმი ორიენტაცია კავშირშია ეთნიკურ კუთვნილებასთან [28].

რელიგიური ორიენტაციის საზომი სკალა კიდევ უფრო გააუმჯობესეს ოლპორტმა და როსმა 1967 წელს და გორსაჩმა 1984 წელს. სწორედ ეს სკალები გამოიყენა თავის კვლევებში მ. ჩიტაშვილმა, რომელმაც საკითხი შემდეგნაირად დააყენა: რა განასხვავებს მორწმუნეს არამორწმუნისაგან – რაიმე კონკრეტული პიროვნული მახასიათებელი თუ მისი სოციალური კოგნიციების სისტემა? ეს კვლევა ჩატარდა ქართველ მართლმადიდებლებთან და არამართლმადიდებლებთან. მისი ძირითადი მიზანი იყო, გამოერკვია, რა თავისებურებებით ხასიათდება რელიგიური ორიენტაციის ტიპი ქართველ მართლმადიდებლებში, როგორი დამოკიდებულებაა მართლმადიდებლების სოციალურ ურთიერთობებსა და რელიგიურ ორიენტაციას შორის, რა არის მართლმადიდებლისთვის ღმერთის ხატი, რა პიროვნული მახასიათებლებით ხასიათდებიან ქართველი მართლმადიდებლები და რა განასხვავებს მათ არამართლმადიდებლებისგან [27]. აღნიშნულ კვლევაში პიროვნების რელიგიურობა განისაზღვრებოდა მისი თვითშეფასებით, თუ რამდენად რელიგიურად მიაჩნია მას საკუთარი თავი. ეს კი არ გამოორიცხავს გარკვეულ შეცდომებს, რადგან ზოგიერთ (და მათ შორის ქართულ) კულტურაში რელიგია სოციალური იდენტურობის ერთ-ერთი ფაქტორია.

ავტორი რელიგიურობასთან მიმართებაში გამოყოფს ემპირიული კვლევების სხვადასხვა სახეს:

1. კოგნიტური, რომელიც შეისწავლის იმ კოგნიციებს, რომელიც მორწმუნეს გააჩნია (დამოკიდებულებების სისტემები, ღირებულებები, პიროვნული მახასიათებლები);
2. ბიჰევიორალური, რომელიც იკვლევს იმ კანონზომიერებებს, რომელიც არსებობს რელიგიური ქცევის სიხშირესა და

სხვა სოციალურ ცვლადებს შორის (მაგ., კრიმინალური ქმედებების სიხშირე);

3. ფსიქოდინამიკური, რომელიც იკვლევს პიროვნების სტრუქტურის იმ კანონზომიერებებს, რომელიც მორწმუნეს ჰქონდა ბავშვობაში და ემოციურ-მოტივაციური სფეროს თავისებურებებს, რომელიც მას ამჟამად გააჩნია. ამას მიეკუთვნება ის გავლენაც, რაც მის მორწმუნედ ყოფნაზე აქვს ბავშვობის-დროინდელ გამოცდილებასა და მშობლებთან ურთიერთობას [27].

მ. ჩიტაშვილს თავის ნაშრომში მოჰყავს მორწმუნეების ოლპორტისეული კლასიფიკაცია, თუმცა აღნიშნავს, რომ ეს ჯგუფები სუფთა ტიპების სახით რეალობაში არ არსებობენ. ესენია:

1. სალოსები – ცხოვრობენ მხოლოდ თავიანთი რწმენით, სრულად აქვთ ინტერნალიზებული რწმენების სისტემა და არ ითვალისწინებენ მისი გამოხატვის ფორმებისას სოციალურ გარემოს;

2. ათეისტები – მათ არ გააჩნიათ რწმენის სისტემა და არ ფლობენ მისი გამოხატვის სოციალურ ფორმებს;

3. ნამდვილი მორწმუნეები – მათი ცხოვრების წესი მათი რელიგიაა. ისინი ცდილობენ სოციუმში გამოიტანონ თავიანთი ღირებულებები სოციალურად მისაღები ფორმებით;

4. რელიგიური მარკიტანტები – მათთვის რელიგია საკუთარი მიზნების მიღწევის გზაა, არ გააჩნიათ ინტერნალიზებული რწმენის სისტემა, მაგრამ აქვთ მორწმუნის შესატყვისი ქცევები.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართველი მორწმუნეები და არამორწმუნეები განსხვავდებიან რელიგიური ორიენტაციის, რელიგიისადმი დამოკიდებულებისა და რელიგიური ქცევის (ეკლესიაში სიარული, სასულიერო ლიტერატურის კითხვა,

ლოცვა) შესრულების თვალსაზრისით, ასევე განსხვავებაა სქესის მიხედვით, კერძოდ, ქალები უფრო რელიგიურები არიან კაცებთან შედარებით. მორწმუნეები არამორწმუნეებთან შედარებით დაბალი ტოლერანტულობით ხასიათდებიან სხვა აღმსარებლობების წარმომადგენელთა მიმართ, მათთვის ასევე მიუღებელია ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობა. ტოლერანტულობა და ლიბერალიზმი უფრო მაღალი აქვთ არამორწმუნეებს, სამაგიეროდ ცხოვრების ხარისხით კმაყოფილების და სოციალურ ყოფაში ჩართულობის ხარისხი მორწმუნეებში გაცილებით მაღალია. მორწმუნეებს მეტად აქვთ გამოხატული მშობლებთან მიჯაჭვულობა, არ ახასიათებთ უიმედობა, მათთვის მიუღებელია გაყრა, ახასიათებთ პრობლემის გადაჭრის თანმიმდევრულობა, სოციალური მხარდაჭერის მეტად გამოხატვა. მორწმუნეები უფრო მეტად ორიენტირებული არიან ოჯახზე, არამორწმუნეები კი – საკუთარ თავზე.

მ. ჩიტაშვილმა განსაზღვრა მორწმუნისა და არამორწმუნის ქცევა კრიტიკულ სიტუაციაში, კერძოდ, კონფლიქტის შემთხვევაში. მის მიერ გამოყენებული ტესტი მოიცავს ქცევის 5 სტილს:

1. თანამშრომლობა;
2. კომპრომისი;
3. გაქცევა (თავიდან აცილება);
4. შემგუებლობა;
5. შეჯიბრი.

კონფლიქტის შემთხვევაში მორწმუნეებისა და არამორწმუნეების ქცევა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან: კომპრომისი ორივეგან პირველ ადგილზეა. სქესის გათვალისწინებით კი მორწმუნე კაცებში უფრო კომპრომისია მნიშვნელოვანი, ქალები – გაქცევა, ხოლო არამორწმუნეებში – ორივეგან კომპრომისი.

2005-2006 წლებში ავტორთა ჯგუფის მიერ (ლ. თარხნიშვილი, დ. აფრასიძე, გ. ზედანია, გ. თევზაძე, ს. რატიანი, გ. ხელაშ-

ვილი, ე. ჯგერენაია) ჩატარდა ქართული საზოგადოების ღირებულებათა კვლევა რ. ინგლჰარტისა და მისი ჯგუფის მიერ შემუშავებული მსოფლიო ღირებულებების საკვლევი კითხვარისა და საკუთრივ ავტორთა მიერ შედგენილი კითხვარის მიხედვით [6; 7; 21]. გამოკითხულთა 77% მართლმადიდებელია, 11,3% – მაჰმადიანი, 2,3% – სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლი (მონოფიზიტები, რომელთაც „გრიგორიანელებსაც“ უწოდებენ), 1,6% – კათოლიკე, 0,5% – „იელოვას მონმე“, 0,3% – პროტესტანტი, 0,2% – იეზიდი. კვლევამ საინტერესო შედეგები მოგვცა. მოკლედ განვიხილოთ ეს შედეგები.

ზოგადად, მსოფლიო ღირებულებების კვლევის შედეგად გამოყოფილია სამი ტიპის საზოგადოება, რომლებსაც გააჩნია საკუთარი ღირებულებათა სისტემები:

1. ტრადიციული ღირებულებების მქონე საზოგადოება, რომელიც აგრარულ ქვეყნებს შეესაბამება (ამ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ოჯახი და რელიგია);

2. მატერიალისტური ღირებულებების მქონე ინდუსტრიული საზოგადოება, რომელიც მორგებულია თვითგადარჩენასა და ეკონომიკური ცხოვრების პირობებზე;

3. პოსტმატერიალისტური ღირებულებების მქონე პოსტინდუსტრიული საზოგადოება, რაც ნიშნავს იმას, რომ როცა დაკმაყოფილებულია საკვებისა და ფიზიკური უსაფრთხოების მოთხოვნები, პრიორიტეტული ხდება ცხოვრების სტილის დახვეწა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველო პირველი ტიპის საზოგადოებას მიეკუთვნება, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ტრადიციული ღირებულებები – ოჯახი და რელიგია. თუმცა ავტორს (ს. რატიანი) ეჭვი შეაქვს რესპონდენტების რელიგიურობაში. მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნეთა 67% თვლის, რომ რელიგიური აღზრდა ოჯახში მიიღო, ეს არ შეიძ-

ლება სანდო იყოს, რადგან საბჭოთა ოჯახი რელიგიურ აღზრდას შვილს ვერ მისცემდა. მართლაც, კვლევით საკმაოდ მოულოდნელი შედეგი იქნა მიღებული, კერძოდ, ღმერთის სწამს გამოკითხულთა 94%-ს, მაგრამ რელიგიურ მსახურებას კვირასში ერთხელ მხოლოდ 11,5% ესწრება. სხვა ქვეყნებში არ აღინიშნება ასეთი მკვეთრი განსხვავება. (მაგ., ესპანეთში – 26%, არგენტინაში – 25%, მექსიკაში – 55%, აშშ-ში – 46%). რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი იმის მანიშნებელია, რომ ქართული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია სეკულარიზმი, რაც ნიშნავს რელიგიური აქტივობის შემცირებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების დიდი უმრავლესობა თავს რელიგიურად თვლის, მათი მხოლოდ 14% უყურებს რელიგიურ გადაცემებს, 13% კითხულობს რელიგიურ ლიტერატურას, 55%-ის აზრით, რელიგიური შეხედულებების მსგავსება არ არის აუცილებელი წარმატებული ქორწინებისთვის. ამ შედეგების მიხედვით ავტორი (ლ. თარხნიშვილი) აკეთებს დასკვნას, რომ საქართველოში (რელიგიური კუთვნილების მიუხედავად) რელიგიას და ეკლესიას უფრო ტრადიციული დატვირთვა აქვს, ვიდრე რეალურად მოქმედ საზოგადოებრივ ინსტიტუტს.

იგივე კვლევა გვიჩვენებს, რომ ეკლესია ყველაზე მაღალი ნდობის მქონე ინსტიტუტია საქართველოში, თუმცა რესპონდენტთა მხოლოდ 38,4% ამბობს, რომ ეკლესია იძლევა ადექვატურ პასუხს მოსახლეობის წინაშე მდგარ სოციალურ საკითხებზე.

რაც შეეხება ტოლერანტულობას, პიროვნების თავისუფლებას, თვითგამოხატვას, ნდობის ფაქტორს, რაც დემოკრატიული საზოგადოების განვითარების უმთავრესი მაჩვენებელია. ნდობის მაჩვენებელი საქართველოში დაბალია (13%), აქ მცხოვრები ქართველები, ასევე სომხები და აზერბაიჯანელები

საზოგადოებას ყოფენ „თავისიანებად და სხვისიანებად“, გამოკითხულთა 79% შეუწყნარებელია ჰომოსექსუალების მიმართ, 48% – სექტების, 37% – შიდსით დაავადებულთა მიმართ. აღსანიშნავია, რომ სექსუალური უმცირესობების მიმართ განსაკუთრებულ შეუწყნარებლობას იჩენენ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ეგვიპტე (99%), ირანი (94%), ჩინეთი (92%), ხოლო სტაბილურ დემოკრატიულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი დაბალია: აშშ – 32%, კანადა – 26%, გერმანია – 19%.

2011 წელს ნ. სუმბაძის მიერ ჩატარდა ღირებულებების კვლევა სხვადასხვა თაობის ადამიანებში [23]. ავტორის აზრით, სხვადასხვა თაობის ადამიანთა ღირებულებების კვლევა მნიშვნელოვან ცოდნას გვაძლევს კონკრეტულ საზოგადოებაში და კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში თაობების მამოძრავებელი ძალის, თაობებს შორის მსგავსებისა და განსხვავების შესახებ, ასევე საშუალებას იძლევა შევაფასოთ საზოგადოების განვითარების შესაძლო მიმართულებები. კვლევამ მოიცვა ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა: ინდივიდუალიზმი /კოლექტივიზმი, მატერიალისტური/პოსტმატერი-ალისტური ღირებულებები, ჯანმრთელობა, განათლება, რელიგია, სხვების მიმართ ნდობა, ოპტიმიზმი, თვითშეფასება. კვლევაში მონაწილეობდა თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები 1058 ინდივიდი (18-24, 40-50, 60-70 წლის ასაკის; 45,3% კაცი და 54,7% ქალი). კვლევა ტარდებოდა პირდაპირი ინტერვიუს სახით 30-45 წუთის განმავლობაში, წინასწარ შერჩეული ადგილიდან ყოველ მეხუთე სახლში კვოტით განსაზღვრული ასაკისა და სქესის რესპონდენტთან. გამოკითხვა ჩატარდა 102 კითხვისგან შემდგარი კითხვარით, რომელიც ეხებოდა რესპონდენტის ღირებულებებს, ეკონომიკურ მდგომარეობას, ურთიერთობებს, დემოკრატიას, თანასწორობას, რელიგიურ ქცევას, პიროვნულ მახასიათებლებს და სხვ.

ჩვენთვის საინტერესოა კვლევის ის ნაწილი, რომელიც ეხება რელიგიურ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 93,4% მართლმადიდებელია, 2,4% – მაჰმადიანი, 1,7% – კათოლიკე, 0,6% – სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლი (მონოფიზიტები), 0,6% – „იელოვას მონმე“, 0,3% – სხვა აღმსარებლობის ადამიანი, ხოლო 1,0% არ არის მორწმუნე. კვლევის შედეგების მიხედვით, სხვა რელიგიების მიმართ შემწყნარებლობა დაბალია, გამოკითხულთა მხოლოდ 23,7%-ს მიაჩნია, რომ სხვა რელიგიებს უნდა ჰქონდეთ ისეთივე უფლებები, როგორც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს. ახალგაზრდა თაობის რესპონდენტები ნაკლებ ტოლერანტულნი არიან სხვა რელიგიების წარმომადგენლების მიმართ, ვიდრე უფროსი თაობისა. განსაკუთრებით ნაკლებ ტოლერანტულობა აღინიშნება „იელოვას მონმეების“ მიმართ (0,18%). ავტორის აზრით, სხვა აღმსარებლობების მიმართ ნაკლებ ტოლერანტული დამოკიდებულება გასაკვირი არ არის იმის გათვალისწინებით, რომ უმრავლესობას მიაჩნია, რომ არსებობს ერთი ჭეშმარიტი რელიგია. გარდა ამისა, უფროსი თაობის ადამიანები აღიზარდნენ საბჭოთა კავშირის პირობებში, როცა რელიგიას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ამდენად, რელიგიური განსხვავებები მინიმუმამდე იყო დაყვანილი. ამდენად, რელიგია უფრო მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობისთვის. რესპონდენტთა 65,9%-სთვის ქრისტიანობა უფრო მეტად წარმოადგენს თვითიდენტურობის საფუძველს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეობა, თუმცა რელიგიურ რიტუალებს გამოკითხულთა მხოლოდ 37,0% ასრულებს. მრევლის ნევრი ახალგაზრდა თაობაში უფრო მეტია (49,7%, 38,7%, 27,2%). გამოკითხულთა 96,7%-ს სწამს ღმერთის, 80,7% რელიგიაში შვებასა და ძალას პოულობს. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია პასუხობს ადამიანის სულიერ მოთხოვნებს და აქვს პასუხი

მორალურ, ოჯახის და სოციალურ პრობლემებზე (78%). რესპონდენტთა 49,4%-ს მიაჩნია, რომ პოლიტიკოსები, რომლებსაც ღმერთი არ სწამთ, არ უნდა იყვნენ არჩეული მაღალ თანამდებობაზე, ხოლო 53,1% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ რელიგიური ლიდერები არ უნდა ერეოდნენ ქვეყნის მართვაში.

რაც შეეხება კვლევის მიხედვით მიღებულ სხვა შედეგებს, ახალგაზრდებში სჭარბობს ინდივიდუალისტური ორიენტაცია, კოლექტივისტური კი ასაკთან ერთად მატულობს, რაც, ავტორის აზრით, გამომწვეულია საქართველოში არსებული ცხოვრების წესით -- ტრადიციებისადმი ერთგულება, ოჯახური თანაცხოვრება და ბავშვის მშობლების გავლენის ქვეშ დიდხანს ყოფნა. პოლიტიკის მიმართ ინტერესი ახალგაზრდებში დაბალია ასაკოვნებთან შედარებით, ხოლო გენდერული თანასწორობა და უმცირესობების მიმართ ტოლერანტულობა -- მაღალი, გარდა სხვა რელიგიების მიმართ შემწყნარებლობისა. სხვების მიმართ ნდობა ყველა თაობაში დაბალია, ოპტიმიზმი კი ახალგაზრდებში მეტია ასაკოვნებთან შედარებით.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, საქართველოში მართლმადიდებლებთან ერთად საუკუნეების მანძილზე მშვიდობიანად ცხოვრობდნენ სხვადასხვა რელიგიების მიმდევარი ადამიანები. ამდენად, შესაძლოა ითქვას, რომ საქართველო ტოლერანტული ქვეყანა იყო რელიგიური თვალსაზრისით. თუმცა, გასარკვევია, რას ნიშნავს ტოლერანტულობა – გამოხატულად მტრული დამოკიდებულების არარსებობას თუ რწმენის თავისუფლების უფლების აღიარებასა და პატივისცემას. სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულში აღინიშნა ამ კუთხით ძალადობის ფაქტები, რაც, შესაძლოა, მიუთითებდეს რელიგიური რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის წარმოქმნის საშიშროებაზე. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოში ბოლო დროს შემოსულ რელიგიურ დენომინაციებსა და სექტებს („იელოვას მოწმეები“, „ბაპტისტები“, „კრიშნაიდები“ და სხვ.).

სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის მიზნით, საქართველოში 2004 წელს ჩატარდა კვლევა [32], რომლის შედეგებიც საკმაოდ საინტერესოა. კვლევის ავტორებმა გაითვალისწინეს რელიგიურ ორგანიზაციათა მიერ მიღებული კლასიფიკაცია, რომელიც განასხვავებს რელიგიური ორგანიზაციის ოთხ ტიპს:

1. ეკლესიას (საზოგადოების შიგნით მოქმედი და საზოგადოების ფართო ფენებთან მჭიდრო კავშირების მქონე რელიგიური ორგანიზაცია);

2. სექტას (რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც უარყოფს საზოგადოების ძირითადი ნაწილის რელიგიურ ღირებულებებს და უპირისპირდება ეკლესიას: „იელოვას მონმეები“, „მეშვიდე დღის ადვენტისტები“);

3. რელიგიურ დენომინაციას (ეს არის შუალედური რგოლი ეკლესიასა და სექტას შორის: ბაპტისტები, მეთოდისტები, პრესვიტერიანელები);

4. კულტს.

როგორც წესი, დენომინაციებთან და სექტებთან საზოგადოების ურთიერთობა უფრო დაძაბულია, ვიდრე სხვა ეკლესიებთან.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1200-მა რესპონდენტმა, მათ შორის 948 იყო მართლმადიდებელი, 38 – კათოლიკე, 17 – იუდეველი, 19 – მონოფიზიტი, 41 – მაჰმადიანი, 43 – ბაპტისტი, 49 – „იელოვას მონმე“, 35 პირი იყო ბასილ მკალავიშვილის მიმდევარი („ფუნდამენტალისტები“), 10 – ათეისტი. ადამიანის ამა თუ იმ რელიგიისადმი კუთვნილება განისაზღვრებოდა თვითშეფასების ანუ ამ ადამიანის მიერ საკუთარი თავის აღნიშნული რელიგიის მიმდევრად ჩათვლის საფუძველზე, რაც, თავისთავად, არ ნიშნავს, რომ იგი ნამდვილად მორწმუნეა. თუმცა, როგორც ავტორი აღნიშნავს, კვლევის მიზანი იყო არა მორწმუნეთა პიროვნული დისპოზიციებისა და რელიგიური განწყობების,

არამედ სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების სოციალური განწყობების შესწავლა, რისთვისაც აუცილებელია შესაბამის ჯგუფთან იდენტიფიცირება და ამ ჯგუფის სოციალური განწყობების გაზიარება.

აღნიშნული კვლევის მიხედვით, მართლმადიდებელთა 97%-სა და იუდეველთა 81%-ს მიაჩნია, რომ საქართველოში მათი რწმენის თავისუფლება არ ირღვევა. ასეთივე პასუხს იძლევა მაჰმადიანებისა და მონოფიზიტების მხოლოდ ნახევარი (52% და 47%), დანარჩენები არ აზუსტებენ, ვის მიერ და რა ფორმით ხდება ეს დარღვევა. რაც შეეხება კათოლიკებს, „ბაპტისტებს“ და „იელოვას მიწმეებს“, კათოლიკების 85% თვლის, რომ ადგილი აქვს მათ მიმართ მორალურ და სიტყვიერ ზემოქმედებას, ძირითადად მართლმადიდებლების მხრიდან. ხოლო „ბაპტისტებისა“ და „იელოვას მიწმეების“ 100%-ის აზრით, მართლმადიდებლები და, განსაკუთრებით, „ფუნდამენტალისტები“ მათ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებენ.





გამოკითხულთა 97%-ისათვის ტრადიციული რელიგიური ჯგუფების (იუდეველები, მაჰმადიანები, მონოფიზიტები, კათოლიკები) არსებობა მისაღებია, დენომინაციების და სექტებისა კი – არა. აქედან ავტორი დაასკვნის, რომ რელიგიური შემწყნარებლობა მხოლოდ ტრადიციულ რელიგიებზე ვრცელდება, რომელთა აღმსარებლები ამავდროულად განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობისა არიან, ხოლო დენომინაციებისა და სექტების მიმდევართა (ანუ ეთნიკურად ქართველთა) მიმართ კი – არა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველთა რელიგიური ტოლერანტულობა უფრო ეთნიკური ტოლერანტულობაა.




ამ კვლევის მიხედვით, სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების მიმართ ყველაზე შემწყნარებლური დამოკიდებულება აქვთ ათეისტებს. „იელოვას მიწმეებს“ და „ფუნდამენტალისტებს“ ყველაზე ნაკლებად შემწყნარებლური დამოკიდებულება აქვთ სხვა რელიგიის მიმდევართა მიმართ. ყველაზე დადებითი და-

მოკიდებულება გამოვლინდა მართლმადიდებელთა მიმართ – რელიგიური მრწამსის მიუხედავად, ყველა მზადაა იმეგობროს მათთან. ასევე ყველა მზადაა იმეზობლოს ათეისტთან, კათოლიკესთან, მონოფიზიტთან და იუდეველთან, ხოლო მაჰმადიანთან ურთიერთობას მოერიდებიან. „ბაპტიტებისა“ და „იელოვას მონმეების“ მიმართ ყველას მკვეთრად უარყოფითი განწყობა აქვს. რადიკალური მართლმადიდებლები – „ფუნდამენტალისტები“ – მართლმადიდებლების გარდა ყველასთვის მიუღებელია.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საქართველოში თავს ყველაზე დაცულად მართლმადიდებლები, სხვა ჯგუფებიდან კი ყველაზე მშვიდად ათეისტები და იუდეველები გრძნობენ, „ფუნდამენტალისტები“ და „იელოვას მონმეები“ თვლიან, რომ მათ მიმართ დამოკიდებულება შეუწყნარებელია. ქვეყნის რელიგიური უმრავლესობის დამოკიდებულება იუდეველთა მიმართ მაღალი ტოლერანტულობით გამოირჩევა, რასაც ალბათ სახელმწიფო პოლიტიკაც განსაზღვრავს. მაჰმადიანები, მონოფიზიტები და იუდეველები ერთმანეთის მიმართ უნდობლობით არიან განწყობილი, რაც, ალბათ, ასევე სახელმწიფო პოლიტიკით არის განპირობებული.

ეს სქემატურად ასე შეიძლება გამოვხატოთ:





აღსანიშნავია ნინო ჩიკვილაძის სადოქტორო ნაშრომი „მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები“, რომელიც შესრულებულია 2006 წელს. ავტორი მიიჩნევს, რომ რელიგიურობა გარკვეულწილად გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე. მაგ., ქრისტიანული და მაჰმადიანური სარწმუნოების ხალხებში იწვევს განსხვავებული ინტენსივობის დემოგრაფიულ პროცესებს – შო-

ბადობისა და მრავალშვილიანობის, ქორწინების ასაკის განსხვავებულ დონეს [26].

მკვლევარმა ჩაატარა 1500 მართლმადიდებელი მორწმუნის გამოკითხვა, რომლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართველი მართლმადიდებლებისათვის პირველ ადგილზეა ოჯახი, მეორე ადგილზე – რელიგია. სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს შორის ქორწინება დაუშვებლად მიაჩნია გამოკითხულთა 81,75%-ს, უშვებს მხოლოდ – 7,92%. ეროვნება ნაკლებად მნიშვნელოვანია რელიგიასთან შედარებით: სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ქორწინების წინააღმდეგია მხოლოდ 49,29%. გამოკითხულთაგან 14,54%-ს აქვს ჰარმონიული ოჯახი, 84,46%-ში არის უთანხმოება, მაგრამ მალე ივინყებენ, რაც, ავტორის აზრით, არც არის გასაკვირი, რადგან მორწმუნე მართლმადიდებელს რწმენა ასწავლის სიყვარულსა და მიმტყვებლობას.

მაჰმადიანებსა და იუდეველებს ადვილად შეუძლიათ განქორწინება, ქრისტიანობა კი ქორწინებას განიხილავს, როგორც ღმერთის მიერ დადგენილს და ის დაურღვეველი უნდა იყოს – „ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე, ნუ განაშორებს კაცი“ (მათე 19,6). ცოლ-ქმრული კავშირის დაშლის საპატიო მიზეზი მხოლოდ მეუღლის გარდაცვალებაა. კვლევის შედეგების მიხედვით, „თუ წყვილი ვერ ეწყობა, უნდა გაშორდნენ“, დადებითი პასუხი გასცა მორწმუნე რესპონდენტების მხოლოდ 27,59%-მა.

მართლმადიდებელი ეკლესია ნებისმიერ მკვლევლობას მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევს, ამიტომ აბორტების და კონტრაცეპტივების წინააღმდეგია. ეკლესიურად მცხოვრები რესპონდენტების 14,3%-ს ჰყავს 1 შვილი, 41%-ს – 2, 30,4%-ს – 3, 6,3%-ს – 4 შვილი, ხოლო ეკლესიურად არამცხოვრები რესპონდენტების 22,16%-ს ჰყავს 1 შვილი, 38,64%-ს – 2, 13,64%-ს – 3 და 2,27%-ს – 4. რაც შეეხება კონტრაცეპტივების გამოყენებას, არაეკლესიური ადამიანების 71,15%-ში არ ხდება შვილების რა-

ოდენობის დაგეგმვა, კონტრაცეპტივებს იყენებს 19,23%, აბორტს იკეთებს 9,62%. ხოლო ეკლესიურ ადამიანებში შვილების რაოდენობას არ გეგმავს 96%, კონტრაცეპტივს იყენებს მხოლოდ 2,25% და აბორტს მიმართავს 1,76%.

თავი II. ეკიერიული ნაწილი

§1. საკვლევი საკითხი

კვლევის დასაწყისში ჩვენ მიზნად დავისახეთ საქართველოში მცხოვრებ, სხვადასხვა ტრადიციული რელიგიების (მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, მონოფიზიტობა, ისლამი, იუდაიზმი) აღმსარებელთა და ათეისტების ღირებულებათა სისტემების გამოკვლევა, რათა შეგვესწავლა როგორია აღნიშნული ჯგუფების ღირებულებათა სისტემები, რომელი ღირებულებებია დომინანტური, რა ტენდენციებია საზოგადოებაში რელიგიურობის თვალსაზრისით, რამდენადაა რელიგიურობა მნიშვნელოვანი ადამიანებისათვის, განსხვავდება თუ არა ერთმანეთისაგან სხვადასხვა რელიგიების აღმსარებელთა და ათეისტების ღირებულებათა სისტემები, და, თუ განსხვავდება, რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავება, ხომ არ შეუქმნის ეს პრობლემას სხვადასხვა აღმსარებლობების ადამიანთა მშვიდობიან თანაცხოვრებას საქართველოში.

საკვლევ კატეგორიებად არჩეულ იქნა ტრადიციული რელიგიების აღმსარებლები, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებას საკმაო დრო ესაჭიროება, ტრადიციული რელიგიები საქართველოში უკვე საუკუნეების მანძილზეა გავრცელებული და, ჩვენი აზრით, უფრო მეტად ახდენს გავლენას საქართველოში მცხოვრებ მორწმუნეთა ღირებულებათა სისტემების ჩამოყალიბებაზე, ვიდრე ბოლო პერიოდში შემოსული და გავრცელებული რელიგიური მიმდინარეობები.

კვლევის პროცესში ჩვენ ორი ჰიპოთეზა გამოვკვეთეთ:

1. მორწმუნე და ათეისტი ადამიანების ღირებულებათა სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან;

2. სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების აღმსარებელი ადამიანების ღირებულებათა სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი ამოცანა იყო, გამოგვეკითხა საქართველოში მცხოვრები ტრადიციული რელიგიების აღმსარებლები (მართლმადიდებლები, კათოლიკები, მონოფიზიტები, მაჰმადიანები, იუდეველები) და ათეისტები ღირებულებათა სისტემის თავისებურებების საკვლევადაც, დაგვემუშაებინა და გაგვეანალიზებინა კვლევის შედეგები შემდეგი კუთხით:

1. აღწერითი სტატისტიკა (გამოკითხვით მიღებული შედეგების აღწერა და შეფასება);

2. დისპერსიული ანალიზი (მიღებული შედეგების ურთიერთმიმართებების გაანალიზება და შედეგების სანდოობის განსაზღვრა);

3. ფაქტორული ანალიზი (მიღებული შედეგების ფაქტორებად დაჯგუფება იმის გამოსავლენად, თუ რომელი მოტივაციური ტიპებით ხელმძღვანელობს პიროვნება ცხოვრებაში და რა ძირითადი ფაქტორები ახდენენ გავლენას მის სოციალურ ქცევაზე);

4. რეგრესიული ანალიზი (მიღებული შედეგების საფუძველზე სამომავლო პროგნოზის გასაკეთებლად).

საზოგადოების ღირებულებათა სისტემის კვლევა ტარდება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში (World Values Survey, European Values Survey), მათ შორის საქართველოშიც. სამამულო ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ქართული საზოგადოების ღირებულებათა სისტემის თავისებურებათა პრობლემას ეძღვნება გ. ნიჟარაძის 2 სტატია („სოციალიზაციის თავისებურებები თანამედროვე ქართულ კულტურაში“ და „ლეპტოპი და ჯვარი“); ჩატარებულია რამდენიმე ემპირიული კვლევა: ბ. არუთინოვი, ვ. გამსახურდია, ნ. სუმბაძე; ლ. თარხნიშვილი, დ. აფრასიძე, გ. ზე-

დანია, გ. თევზაძე, ს. რატიანი; 2011 წელს „კონფლიქტებისა და საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ეგიდით ჩატარდა გამოკითხვა თბილისის მასშტაბით რეპრეზენტაბელურ შერჩევაზე (ე. ჩომახიძე, კ. კოპალიანი, შ. ლორთქიფანიძე); აგრეთვე ჩატარებულია სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულების ემპირიული კვლევა (ე. ჩომახიძე); რელიგიურობის ფსიქოლოგიას ეძღვნება მ. ჩიტაშვილის ვრცელი და საყურადღებო ნაშრომი „რელიგიურობის ფსიქოლოგია: ემპირიული კვლევები“, თუმცა ბოლო დასახელებულ ნაშრომში ავტორი იკვლევდა მორწმუნეთა და არამორწმუნეების პიროვნულ მახასიათებლებს და არა ღირებულებათა სისტემებს. გარდა ამისა, დღემდე ჩატარებულ კვლევებში მორწმუნედ ითვლებოდა პიროვნება, რომელიც თვითონ მიიჩნევდა თავს მორწმუნედ, ანუ მისი მორწმუნეობა მისსავე თვითშეფასებაზე იყო დამყარებული. გამონაკლისია ნ. ჩიკვილაძის ნაშრომი „მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები“, რომელზე მუშაობის პროცესშიც გათვალისწინებულია რესპონდენტის მიერ ეკლესიაში სიარულის სიხშირე, მარხვების შენახვა, წირვა-ლოცვებზე დასწრება. თუმცა აღნიშნული კვლევა მხოლოდ მართლმადიდებელ მორწმუნეებზეა ჩატარებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია, ადამიანი თვლის თუ არა თვითონ თავს მორწმუნედ, მაგრამ ჩვენ გავითვალისწინეთ არა მარტო სუბიექტური კრიტერიუმი (თვითშეფასება), არამედ ობიექტურიც – თუ როგორ უყურებს კონკრეტული რელიგია რწმენის საკითხს და როგორ ახდენს მორწმუნის იდენტიფიცირებას. ამის გათვალისწინებით ჩვენს კვლევაში საკვლევი ჯგუფები შემდეგნაირად დაზუსტდა: მორწმუნედ მივიჩნიეთ ადამიანი, რომელიც იღებს და იზიარებს შესაბამისი რელიგიის დოგმატებს და არის მრევლის წევრი.

ამისათვის შესაბამის ლიტერატურაში მოვიძიეთ მასალა, თვითონ ამა თუ იმ რელიგიის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები ვის თვლიდნენ მორწმუნედ. მაგ.: წმიდა მამა მაქსიმე აღმსარებელი ამბობს: „ქრისტიანი შემდეგი სამი საშუალებით განიბრძნობა: მცნებებით, დოგმატებით, რწმენით. მცნებები ჭკუას ვნებებისაგან წმენდს; დოგმატებს შეჰყავთ მარადი არსის შემეცნებაში; ხოლო რწმენა სამების ჭვრეტამდე გვამალლებს“ [5].

ამავს აღნიშნავს სომხური სამოციქულო ეკლესიის არქივისკოპოსი (შემდეგში კონსტანტინეპოლის სომეხთა პატრიარქი 1896-1908 წლებში) მაგაკია ორმანიანი: „Догмат есть положение, извлеченное из священных книг и выраженное в ясной и отчетливой формуле. Она должна быть признана верующими данной церкви, если они не желают быть отлученными от ее лона... Догматэто постановление церкви“ [51]. „კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმოში“ კი ვკითხულობთ: „დოგმებსა და ჩვენს სულიერ ცხოვრებას შორის ორგანული კავშირია. დოგმები ლამპარია ჩვენი სარწმუნოების გზაზე, ანათებს მას და უსაფრთხოს ხდის. თუ ჩვენი ცხოვრება წრფელია, ჩვენი გონება და ჩვენი გული გახსნილი იქნება სარწმუნოებრივი დოგმების მისაღებად“ [10]. აღნიშნული გავავრცეთ ყველა რელიგიაზე, ათეისტად კი ჩავთვალებთ პიროვნება, რომელსაც ზოგადად ღმერთის რწმენა არ აქვს.

ათეიზმი (ფრ. Atheisme – ძვ. ბერძნ. „უღმერთო“) უცხო სიტყვაა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „რელიგიური წარმოდგენების ისტორიულად სხვადასხვაგვარი უარყოფის ფორმები, ზებუნებრივი ძალების (სულების, ღმერთების და სხვ.) არსებობის დაუჯერებლობა“ [9] ანუ ღმერთის არსებობის და ყოველგვარი რელიგიის უარყოფა. აქედან გამომდინარე, ათეისტი არის ადამიანი, რომელსაც ღმერთის არ სწამს.

§2. კვლევის მეთოდика

თანამედროვე მეცნიერება და პრაქტიკა მოითხოვს კვლევის ისეთი ინსტრუმენტული მეთოდების გამოყენებას, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ისეთი გამოკვლევების ჩატარება, რომლებსაც აქვთ თეორიული საფუძველი და ეფექტურია როგორც ჯგუფების, ისე ცალკეული ინდივიდების ღირებულებათა სისტემების შესასწავლად.

ასეთ მეთოდებს მიეკუთვნება პროფესორ შ. შვარცის მიერ შემუშავებული კითხვარი, რომელიც შეიქმნა მ. როკინის მეთოდიკაზე დაყრდნობით და არის უფრო ფართო და მოდიფიცირებული, მოიცავს ღირებულებათა უფრო ფართო სპექტრს და გამოიყენება როგორც ჯგუფების, ისე ცალკეულ ინდივიდთა ღირებულებათა სისტემების შესასწავლად. ეს არის ახალი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს როკინის კონცეფცია ტერმინალურ და ინსტრუმენტულ ღირებულებათა შესახებ და შვარცის კონცეფცია ღირებულებათა ორიენტაციების მოტივაციური მიზნების შესახებ. დღესდღეობით მთელ მსოფლიოში (World Values Survey), და მათ შორის საქართველოშიც, ღირებულებათა სისტემების კვლევა სწორედ აღნიშნული მეთოდიკით ტარდება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ღირებულებათა შესასწავლად შ. შვარცმა შეიმუშავა ორი მეთოდიკა: პიროვნების დონეზე (ინივიდუალური განსხვავებების შესასწავლად) და კულტურათა დონეზე (სოციალურ კულტურებს შორის განსხვავებების საკვლევად). ჩვენ მიერ კვლევაში გამოყენებულია პიროვნების ღირებულებათა საკვლევი კითხვარი.

პიროვნების ღირებულებები განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ღირებულებების ინდივიდუალური ფორმით რეპრეზენტაცია. მრავალი თეორეტიკოსის შრომების განზოგადე-

ბის საფუძველზე, შვარცი და ბილსკი გამოყოფენ ღირებულება-
თა შემდეგ მახასიათებლებს:

1. ღირებულება არის რწმენა – ობიექტური იდეა;
2. ღირებულება არის ადამიანის სასურველი მიზანი და ქცე-
ვის ნორმა, რომელიც ამ მიზანთან მიღწევას აახლოებს;
3. ღირებულება არ არის შეზღუდული გარკვეული მოქმედე-
ბით და სიტუაციით (ტრანსცენდენტურია);
4. ღირებულება არის სტანდარტი, რომლითაც ხელმძღვანე-
ლობს ინდივიდი საკუთარი ქცევის შერჩევისას და ადამიანთა
და მოვლენათა შეფასებისას;
5. ღირებულებები დალაგებულია პრიორიტეტების მიხედ-
ვით და ქმნის განსაზღვრულ იერარქიას. ამ პრიორიტეტების
გამოვლენით შესაძლებელია სხვადასხვა კულტურებისა და ინ-
დივიდების დახასიათება.

პიროვნების ინდივიდუალური ღირებულებების შესწავლი-
სას ანალიზის ერთეულს წარმოადგენს ცალკეული პიროვნება,
რომლისთვისაც ღირებულებები წარმოადგენს მოტივაციურ
მიზნებს, ცხოვრების მმართველ პრინციპებს. სხვადასხვა ღირე-
ბულებებს შორის დამოკიდებულება აისახება მათ თანხვედრასა
ან კონფლიქტზე, რასაც განიცდის ინდივიდი, როცა ყოველ-
დღიურ ცხოვრებაში იქცევა საკუთარი ღირებულებების შესა-
ბამისად. მაგ.: ადამიანი ერთდროულად ვერ შეძლებს იბრძო-
ლოს ავტორიტეტის მოსაპოვებლად და ამავე დროს იყოს მორი-
დებული. თუმცა, შესაძლებელია ერთდროულად ბრძოლა ავ-
ტორიტეტის მოსაპოვებლად და მატერიალური კეთილდღეობი-
სათვის.

შვარცის თანახმად, ღირებულებებს შორის განსხვავების
საფუძველია მათ მიერ გამოხატული მოტივაციური ტიპი. ამის
გათვალისწინებით, შვარცი ღირებულებებს აჯგუფებს 10 ტი-
პად მათი ძირითადი მიზნის მიხედვით. ესენია: ძალაუფლება,
მიღწევა, ჰედონიზმი, სტიმულირება, დამოუკიდებლობა, უნი-

ვერსალიზმი, კეთილგანწყობა, ტრადიციულობა, კონფორმულობა, უსაფრთხოება (იხ. გვ. 18).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეს 10 მოტივაციური ტიპი დაჯგუფებულია ინდივიდუალისტური (მიღწევა, დამოუკიდებლობა, სტიმულირება, ძალაუფლება, ჰედონიზმი) და კოლექტივისტური (კეთილგანწყობა, კონფორმულობა, უნივერსალიზმი, ტრადიციულობა) ღირებულებების ჯგუფებად. უსაფრთხოება შერეულ ღირებულებას განეკუთვნება, რადგან უკავშირდება როგორც საკუთარ, ისე ოჯახისა და ქვეყნის უსაფრთხოების დაცვას.

როგორც ვხედავთ, ღირებულებათა თითოეული მოტივაციური ტიპი გარკვეული ინტერესების დაცვას ემსახურება და თავისი მიზნები აქვს, რაც ადამიანის მისწრაფებებსა და შესაბამისად, ქცევას განსაზღვრავს. ამ ქცევას, თავის მხრივ, მოჰყვება ფსიქოლოგიური, პრაქტიკული და სოციალური შედეგები, რომლებიც შეიძლება იყოს ან კონფლიქტური, ანდა, პირიქით, თავსებადი. ამრიგად, ღირებულებათა სტრუქტურა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანის ქცევის სტრატეგიის განმსაზღვრელი სქემა.

აღნიშნული 10 მოტივაციური ტიპი განლაგებულია ორ ბიპოლარულ ღერძზე: პირველ ღერძზე ერთმანეთის საპირისპიროდ თავსდება სიახლის მიღებისადმი მზაობა (დამოუკიდებლობა, სტიმულირება) და კონსერვატიზმი (უსაფრთხოება, კონფორმულობა, ტრადიციულობა), მეორე ღერძზე კი – თვითგაძლიერება (მიღწევა, ძალაუფლება) და თვითტრანსცენდენტურობა (უნივერსალიზმი, კეთილგანწყობა) ერთმანეთის საპირისპიროდ. ჰედონიზმი შეიცავს როგორც სიახლის მიღებისადმი მზაობის, ისე თვითგაძლიერების ელემენტებს. ღირებულებათა მოტივაციური ტიპები ან თავსებადია ან წინააღმდეგობრივი. გაზომვის ღერძის ერთ პოლუსზე განლაგებული ღირებულებე-

ბი თავსებადია, სანინალმდეგო პოლუსებზე განლაგებული კი – წინაალმდეგობრივი, რაც ქმნის მოტივაციურ კონფლიქტს. ეს მოტივაციური კონფლიქტი ან განვითარების მამოძრავებელი ძალა გახდება, ანდა, შესაძლოა, ფსიქოლოგიური პრობლემების გამომწვევი მიზეზი [33].

გარდა ამისა, შ. შვარცის თეორიის თანახმად, ღირებულებები არსებობს ორ დონეზე: ნორმატიული იდეალებისა და ინდივიდუალური პრიორიტეტების დონეზე. პირველი ასახავს ადამიანის წარმოდგენებს ქცევის მისაღები ფორმების შესახებ, მეორე კი დამოკიდებულია სიტუაციაზე და ადამიანის კონკრეტულ ქმედებას შეესაბამება.

ამ თეორიის გათვალისწინებით, შვარცმა შეიმუშავა 57 ღირებულებისგან შედგენილი კითხვარი. ღირებულებები აღებულია ყველა ძირითადი მსოფლიო რელიგიიდან და ფილოსოფიური სწავლებიდან. 90-იან წლებში ამ კითხვართ გა მოკითხულ იქნა 54 ქვეყნის 44 000 რესპონდენტი. მიღებული შედეგების დამუშავების საფუძველზე (მრავალგანზომილებიანი სკალირება) დადგინდა შესაბამისობა თეორიულ მოსაზრებასა და რეალურ შინაარსს შორის – 45-მა ღირებულებამ აჩვენა სხვადასხვა კულტურებში მოტივაციური ტიპების ექვივალენტურობა, რის შედეგადაც გაკეთდა დასკვნა, რომ აღნიშნული მეთოდი არის უნივერსალურთან მიახლოებული ღირებულებათა სისტემის საკვლევად როგორც განსხვავებულ კულტურებში, ასევე ინდივიდუალური განსხვავებების შესასწავლად.

შ. შვარცის კითხვარი წარმოადგენს სკალას, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი შეისწავლის ღირებულებათა სტრუქტურას ნორმატიული იდეალების დონეზე, რომელიც გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე (თუმცა, შესაძლებელია, ყოველთვის არ გამოვლინდეს სოციალურ ქცევაში); მეორე ნაწილი კი სწავლობს ღირებულებებს ადამიანის რეალური ქცევის დონეზე. კითხვარი შესაძლებელია გამოყენებულ იქ-

ნას სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა საკვლევად 14 წლის ასაკიდან, როცა ღირებულებათა სისტემა ძირითადად უკვე ფორმირებულია და კითხვარის შევსებაც აღარ წარმოადგენს სირთულეს. პასუხების გაცემას საშუალოდ სჭირდება 30-50 წთ.

კითხვარის პირველი ნაწილი (რომელიც ჩვენს კვლევაში იქნა გამოყენებული) შედგება ღირებულებათა ორი ნუსხისაგან: პირველში წარმოდგენილია 30 ტერმინალური, ხოლო მეორეში – 27 ინსტრუმენტული ღირებულება. პირველ შემთხვევაში ღირებულებები წარმოდგენილია მიზნისა და მდგომარეობის ცნებებში, რომლებიც არსებითი სახელებითაა გამოხატული, მაგ. თვითდისციპლინა, თავისუფლება და ა. შ. მეორე შემთხვევაში კი ღირებულებები წარმოდგენილია ინსტრუმენტული მიზნების ცნებებში, როგორც მოქმედებები და გამოხატულია ზედსართავებით, მაგ. თავშეკავებული, მიზანდასახული და ა. შ. რესპონდენტს უნდა შეეფასებინა თითოეული მათგანი 9 ქულიან სკალაზე „1“-დან „7“-მდე ციფრით იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის ესა თუ ის ღირებულება.

კითხვარის მეორე ნაწილში კი მოყვანილია ადამიანის 40 სახის დახასიათება და რესპონდენტი აფასებს, რამდენად ჰგავს მას ადამიანის ესა თუ ის ტიპი (არის 5 პოზიცია – „ძალიან მგავს“ „საერთოდ არ მგავს“ და ა. შ.).

კითხვარის პირველი ნაწილის პირველი ნუსხის ტერმინალური ღირებულებებია:

1. თანასწორობა (თანაბარი შესაძლებლობები ყველასათვის);
2. შინაგანი ჰარმონია (ჰარმონია საკუთარ თავთან);
3. სოციალური ძალა (სხვებზე კონტროლი, დომინანტობა);
4. სიამოვნება (სურვილების დაკმაყოფილება);
5. თავისუფლება (აზრისა და მოქმედების თავისუფლება);

6. სულიერი ცხოვრება (აქცენტი სულიერ და არა მატერიალურ სფეროზე);

7. სოციალური კუთვნილება (განცდა იმისა, რომ სხვები შენზე ზრუნავენ);

8. სოციალური წესრიგი (საზოგადოების სტაბილურობა);

9. შთაბეჭდილებებით აღსავსე ცხოვრება (სიახლისაკენ სწრაფვა);

10. ცხოვრების საზრისი (ცხოვრების მიზნები);

11. ზრდილობა (თავაზიანობა, კარგი მანერები);

12. სიმდიდრე (ქონება, ფული);

13. ეროვნული უშიშროება (ერის დაცულობა გარეშე მტრისაგან);

14. საკუთარი თავის პატივისცემა;

15. სხვისი აზრის პატივისცემა (სხვების ინტერესების გათვალისწინება, კონფრონტაციისათვის თავის არიდება);

16. შემოქმედებითობა (უნიკალურობა, თვითმყოფადობა, მდიდარი წარმოსახვა);

17. მშვიდობა მთელ მსოფლიოში;

18. ტრადიციების პატივისცემა (ეროვნული ტრადიციების, ადათ-წესების შენარჩუნება);

19. მონიფული სიყვარული (ღრმა ემოციური და სულიერი სიახლოვე);

20. თვითდისციპლინა (თვითშეზღუდვა, ცდუნების დაძლევა);

21. განმარტოების უფლება (პირადი ცხოვრების უფლება);

22. ოჯახის უსაფრთხოება (ახლობლების უსაფრთხოება);

23. სოციალური აღიარება (პატივისცემა სხვების მხრიდან);

24. ბუნებასთან ერთიანობა;

25. მრავალფეროვანი ცხოვრება (სიახლით, ცვლილებებითა და რისკით აღსავსე ცხოვრება);

26. სიბრძნე (მონიფულობა);
27. ავტორიტეტი (ლიდერობის ან მბრძანებლობის უფლება);
28. ნამდვილი მეგობრობა;
29. მშვენიერების სამყარო (ბუნება და ხელოვნება);
30. სოციალური სამართლიანობა (უსამართლობის გამოსწორება, სუსტზე ზრუნვა).
ხოლო მეორე ნუსხაში შედის შემდეგი ინსტრუმენტული ღირებულებები:
 1. დამოუკიდებელი (საკუთარ თავში დარწმუნებული);
 2. თავშეკავებული;
 3. ერთგული (თავისი მეგობრების, ჯგუფის);
 4. მიზანდასახული (თავდადებულად მომუშავე, მიზანსწრაფული);
 5. შემწყნარებელი (სხვადასხვა იდეის, სარწმუნოების მიმართ);
 6. თავმდაბალი (არ ცდილობს ყურადღების მიპყრობას);
 7. მამაცი (ექვს თავგადასავალს, რისკს);
 8. გარემოს დამცველი;
 9. გავლენიანი (გავლენას ახდენს ადამიანებსა და მოვლენებზე);
 10. მშობლებისა და უფროსების პატივისმცემელი;
 11. თავად განსაზღვრავს (ირჩევს) თავის მიზნებს;
 12. ჯანმრთელი (სულიერად და ფიზიკურად);
 13. ნიჭიერი (მცოდნე, ეფექტურად მოქმედების უნარის მქონე);
 14. ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი;
 15. პატიოსანი (გულმართალი, წრფელი);
 16. იცავს საკუთარ იმიჯს (ცდილობს საკუთარი „სახის“ შენარჩუნებას);

17. კანონმორჩილი;
18. ჭკვიანი (ლოგიკურად მოაზროვნე);
19. სასარგებლო (მუშაობს სხვათა კეთილდღეობისათვის);
20. ტკბება ცხოვრებით (საკვებით, გასართობით და სხვ.);
21. ღვთისმოსავი;
22. პასუხისმგებელი (სანდო);
23. ცნობისმოყვარე (ყველაფრით დაინტერესებული, მაძიებელი);
24. მიმტევებელი;
25. წარმატებული (მიზნების მიმღწევი);
26. აკურატული;
27. განებივრებული (სასიამოვნოს კეთებისაკენ მიმართული).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ კვლევის პროცესში გამოვიყენეთ შვარცის კითხვარის პირველი ნაწილი, რომელიც ღირებულებათა ორი ნუსხისაგან შედგება და ჩვენი მხრიდან დაფუძნებით ორი შეკითხვა. შეკითხვები ეხებოდა ადამიანის მიერ ბედნიერების განცდასა და ტოლერანტულობას სხვა რელიგიების აღმსარებელთა და განსხვავებული ცხოვრების წესის მქონეთა მიმართ, რაც, ჩვენი აზრით, დაგვეხმარებოდა კვლევის პროცესში. კითხვარის სრული ვერსია წარმოდგენილია დანართი 1.

მეთოდის საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შეფასდეს ღირებულებათა 10-ვე მოტივაციური ტიპის მნიშვნელობა ნორმატიული იდეალებისა და ინდივიდუალური პრიორიტეტების დონეზე. მონაცემთა დამუშავება ხდება პასუხების შედარებით კითხვარის გასაღებთან (იხ. დანართი 2). კითხვარის პირველი ნაწილის ორივე ნუსხის პასუხები ჯამდება და თითოეული ღირებულებისათვის გამოითვლება საშუალო მაჩვენებელი, რის შემდეგაც დგინდება თითოეულის რანგი 1-დან 10-მდე. პირველი რანგი მიენიჭება იმ ღირებულებას, რომელსაც ყველაზე მა-

ღალი საშუალო მაჩვენებელი აქვს, მეათე – ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებლის მქონეს.

გასათვალისწინებელია, რომ კითხვარის პირველი და მეორე ნაწილის მონაცემები შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვას, რადგან ნორმატიული იდეალების დონეზე არსებული ღირებულებები ყოველთვის არ რეალიზდება რეალურ ქცევაში სხვადასხვა მიზეზების გამო.

§3. კვლევის აღწერა და მონაცემთა დამუშავება

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის პროცესში ჩვენ გამოვიყენეთ შ. შვარცის მიერ შემუშავებული ღირებულებათა საკვლევი კითხვარი, რომელიც მან მ. როკიჩის მეთოდის დაყრდნობით შექმნა 1978 წელს (მომდევნო წლებში კითხვარი დაიხვეწა). ეს არის ახალი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც ბოლო წლებში აქტიურად გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებული კვლევების ჩასატარებლად, როდესაც ტარდება გამოკითხვები ადამიანთა ძირითადი ღირებულებების გამოსავლენად.

გამოკითხვა ჩატარდა 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

გამოსაკითხი რესპონდენტები: საქართველოში მცხოვრები ტრადიციული რელიგიების (მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, მონოფიზიტობა, იუდაიზმი, ისლამი) აღმსარებლები და ათეისტები. სულ 600 რესპონდენტი.

შერჩევის მოდელი: კლასტერული+სისტიმური შემთხვევითი შერჩევა.

შერჩევის ცდომილება დამოკიდებულია არა მარტო გამოკითხული ადამიანების რიცხვზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად ერთგვაროვანია ამა თუ იმ საკითხზე რესპონდენტების პასუხი. ის, რომ ჩვენ ვეკითხებით მორწმუნე ადამიანებს, მათი აზრი ძი-

რითად საკითხებზე სავარაუდოდ იქნება ერთგვაროვანი, რაც სერიოზულად ამცირებს შერჩევის ცდომილებას.

აქვე მოვიყვანთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად გამოქვეყნებულ მონაცემებს, რომელშიც წამოდგენილია საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობა აღმსარებლობის მიხედვით (იხ. ცხრილი 8):

საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობა აღმსარებლობის მიხედვით (2014 წ.)

ცხრილი 8

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
საქართველო	3.713.804	83,4	10,7	2,9	0,5	0,3	0,2	0,07	0,04	0,04	0,5	0,2	0,9
ქ. თბილისი	1.108.717	92,4	1,5	2,6	0,1	0,4	0,7	0,1	0,1	0,1	0,4	0,2	1,2
აჭარის ავტ. რესპუბლ.	333.953	54,5	39,8	0,3	0,0	0,1	0,0	0,0	0,0	0,0	2,8	1,3	1,2
გურია	113.350	86,7	11,4	0,1	0,3	0,1	0,0	0,1	0,0	0,0	0,3	0,2	0,7
იმერეთი	533.906	98,8	0,2	0,0	0,0	0,3	-	0,0	0,0	0,0	0,1	0,1	0,5
კახეთი	318.583	85,7	12,1	0,1	0,1	0,3	0,1	0,1	0,0	0,0	0,3	0,1	1,0
მცხეთა-მთიანეთი	94.573	96,1	2,4	0,0	0,0	0,5	0,0	0,1	0,0	0,0	0,1	0,1	0,5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი	32.089	99,2	0,0	0,0	-	0,2	-	0,0	0,0	0,0	0,1	0,1	0,4
სამეგრელო-ზემ. სვანეთ.	330.761	98,6	0,2	0,0	0,0	0,4	-	0,0	0,0	0,0	0,1	0,1	0,5
სამცხე-ჯავახეთი	160.504	45,2	3,8	39,9	9,4	0,2	-	0,0	0,0	0,0	0,6	0,1	0,8
ქვ. ქართლი	423.986	51,4	43,0	3,3	0,4	0,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,2	0,3	1,2
შიდა ქართლი	263.382	95,9	2,1	0,0	0,0	0,9	0,0	0,1	0,0	0,0	0,2	0,1	0,5

1 – მოსახლეობის რაოდენობა (კაცი); პროცენტულად: 2 – მართლმადიდებელი; 3 – მაჰმადიანი; 4 – მონოფიზიტი; 5 – კათოლიკე; 6 – „იელოვას მონმე“; 7 – იეზიდი; 8 – პროტესტანტი; 9 – იუდეველი; 10 – სხვა; 11 – არცერთი; 12 – უარი პასუხზე; 13 – აღმსარებლობა მითითებული არ არის.

კვლევის პროცესში კლასტერებად არჩეულ იქნა თითოეული ტრადიციული რელიგიის საქადაგებელი ადგილი (ეკლესია – მართლმადიდებლური, კათოლიკური, მონოფიზიტური; მეჩეთი;

სინაგოგა) და ათეისტები, სულ 6 კლასტერი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედებს 2000-მდე მართლმადიდებლური ეკლესია, 14 – კათოლიკური, 55 – სომხური (მონოფიზიტური), 312 – მეჩეთი, 8 – სინაგოგა (მათ შორის მოქმედია 3).

რადგანაც ჩვენ ინფორმაცია არ გვქონდა თითოეული ადგილზე მრევლის რაოდენობის შესახებ, ამიტომაც ყურადღება არ მივაქციეთ სამლოცველოს სიდიდეს და თითოეული სამლოცველო ჩავთვალეთ ერთ თანაბარმნიშვნელოვან პუნქტად. შემთხვევითი მოქმედი ფაქტორების გამორიცხვის მიზნით, კვლევა ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, აჭარა, იმერეთი). ამ მიდგომით დაცული იქნა პროპორციები რეგიონებისა და სამლოცველოების მიხედვით. სამლოცველოთა ბაზიდან სამლოცველოთა შერჩევა მოხდა სისტემური შერჩევის გზით (იხ. ცხრილი 9).

კლასტერული ჯგუფების რაოდენობა

ცხრილი 9

კლასტერული ჯგუფები	გამოკითხული პუნქტების რაოდენობა	გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობა
მართლმადიდებელი	12	100
კათოლიკე	3	100
მონოფიზიტი	3	100
მაჰმადიანი	6	100
იუდეველი	2	100
ათეისტი	7	100

თითოეულ კლასტერში რესპონდენტების საკმაო რაოდენობა იქნა გამოკითხული სხვადასხვა პარამეტრების გათვალისწინებით (სარწმუნოება, ეროვნება, სქესი, ასაკი, განათლება, მა-

ტერიალური მდგომარეობა, დასაქმება). თვისებრივი ანალიზისათვის სრულიად დასაშვებია, საერთო აზრი მიღებულ იქნეს, როგორც ტრადიციული რელიგიების აღმსარებლების საერთო აზრი, როცა ყველა სამლოცველო თანაბარმნიშვნელოვანია.

რელიგიურობის ფაქტორის უკეთ შესწავლის მიზნით, გამოკვლევა ჩატარდა სხვადასხვა ეროვნების რესპონდენტებს შორის. გამოკითხულ რესპონდენტთაგან მართლმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლები არიან ქართველები, რუსები და ბერძნები; კათოლიკეები – ქართველები, რუსები, იტალიელები, ბერძნები და ფრანგები; მაჰმადიანები – აზერბაიჯანელები და ქართველები; ათეისტები – ქართველები, რუსები, სომხები და ბერძნები; ხოლო სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლი (მონოფიზიტები) და იუდეველები არიან შესაბამისად ეთნიკური სომხები და ებრაელები (იხ. ცხრილი 10).

გამოკვლეულ რესპონდენტთა სტრუქტურა
ეროვნების მიხედვით

ცხრილი 10

ეროვნება	რაოდენობა	პროცენტი
სულ	600	100
მათ შორის:		
ქართველი	205	34.2
რუსი	58	9.7
სომეხი	104	17.3
აზერბაიჯანელი	60	10
ბერძენი	38	6.3
იტალიელი	25	4.2
ფრანგი	10	1.7
ებრაელი	100	16.7

თითოეულ რელიგიურ ჯგუფში (მართლმადიდებელი, კათოლიკე, მონოფიზიტი, იუდეველი, მაჰმადიანი, ათეისტი) გამოსაკითხი რესპონდენტების რიცხვი ავიღეთ 100. თითოეული ჯგუფის 100 ადამიანიდან 50 ქალია და 50 კაცი, ხოლო აღნიშნული 50-დან გამოკითხულ იქნა ორი თაობის ინდივიდი: 25 პირი არის 30 წლამდე ასაკის და 25 კი – 30 წლის ასაკის ზემოთ (იხ. ცხრილი 11).

გამოკვლევულ რესპონდენტთა განაწილება აღმსარებლობის, სქესისა და ასაკის მიხედვით

ცხრილი 11

	სულ	მათ შორის:					
		ქალი			კაცი		
		მათ შორის:			მათ შორის:		
		30 წლამდე ასაკის	30 წლის ზემოთ		30 წლამდე ასაკის	30 წლის ზემოთ	
სულ	600	300	150	150	300	150	150
მათ შორის:							
მართლმადიდებელი	100	50	25	25	50	25	25
კათოლიკე	100	50	25	25	50	25	25
მონოფიზიტი	100	50	25	25	50	25	25
იუდეველი	100	50	25	25	50	25	25
მაჰმადიანი	100	50	25	25	50	25	25
ათეისტი	100	50	25	25	50	25	25

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს განათლების ორი დონის, დასაქმების ორი დონისა და მატერიალური მდგომარეობის სამი დონის რესპონდენტებმა (იხ. ცხრილი 12):

გამოკვლეულ რესპონდენტთა სტრუქტურა დასაქმების, განათლებისა და მატერიალური მდგომარეობის მიხედვით
ცხრილი 12

	რაოდენობა	პროცენტი
სულ	600	100
დასაქმება		
მათ შორის:		
დასაქმებული	402	67,0
უმუშევარი	198	33,0
განათლება		
მათ შორის:		
საშუალო	207	34,5
უმალლესი	393	65,5
მატერიალური მდგომარეობა		
მათ შორის:		
კარგი	69	11,5
საშუალო	514	85,7
სიღარიბის ზღვარს მიღმა	17	5.0

მიუხედავად იმისა, რომ ჩასატარებელი სამუშაო იყო შრომატევადი და, ამასთან საინტერესო, მას თან ახლდა გარკვეული სიძნელეები. კვლევამ აჩვენა, რომ ტრადიციული კონფესიები, რომლებიც საქართველოშია წარმოდგენილი, მაინც ქართული სახელმწიფოებრივი სივრცის მიღმა არიან და გარკვეული ჩაკე-

ტილობა იგრძნობა მათში (ეს ეხება ათეისტებსაც). რესპონდენტები გაუბედავად შემოდინდნენ კონტაქტში და ცდილობდნენ, დაეცვათ სიფრთხილე. კვლევამ ასევე დაგვანახა, რომ როცა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ცდილობს საქართველოს მსგავს მრავალკონფესიურ საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დამკვიდრებას, უნდა ეყრდნობოდეს წინასწარ ჩატარებულ სერიოზულ კვლევებს და ამის შემდეგ იღებდეს გადაწყვეტილებებს. სხვა შემთხვევაში ამ გადაწყვეტილებებს შედეგი არ ექნება.

რესპონდენტების მოძიებასა და მათთან დიალოგების გამართვაში დახმარება გამიწიეს: კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ; სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის წინამძღოლმა საქართველოში, ეპისკოპოსმა ვაზგენ მირზახანიანმა; კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენელმა საქართველოში ჰაჯ-ალი ალიევმა; ევროპულ ებრაელთა რელიგიური საზოგადოების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დიმიტრი თაფლიაშვილმა, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ.

კითხვარში წარმოდგენილი იყო 4 საკითხი, რომელთაგან პირველი ორი შეიცავს შვარცის მიერ შემუშავებული ღირებულებების ჩამონათვალს, რომელიც საშუალებას იძლევა შევისწავლოთ ძირითადი ნორმატიული იდეალები, ღირებულებათა სტრუქტურა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ადამიანის მთელ პიროვნებაზე (თუნდაც ყოველთვის არ ხდებოდეს მისი რეალიზება სოციალურ ქცევაში). პირველ სიაში მოცემული იყო 30 ტერმინალური ღირებულება, ხოლო მეორეში – 27 ინსტრუმენტული ღირებულება. ექსპერიმენტში მონაწილე პირი თითოეულ ღირებულებას ანიჭებდა რიცხვით მნიშვნელობას „1“-დან „7“-მდე იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის კონკრეტული ღირებულება. ამასთან, პირველ სიაში რესპონდენტი ყველა ღირებულების გაცნობის შემდეგ ჯერ შეარჩევდა

იმ ერთს, რომელიც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო (და აღნიშნავდა „7“-ით), შემდეგ იმ ერთს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მის პრინციპებს (და აღნიშნავდა „-1“-ით), რის შემდეგაც თითოეულ ღირებულებას აფასებდა იმ ციფრით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის ის.

მომდევნო ორი კითხვა ჩვენს მიერ იყო შეტანილი კითხვარში. პირველი ეხებოდა რესპონდენტის მიერ ბედნიერების განცდას, ხოლო მეორე – მის დამოკიდებულებას ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების (სხვა რელიგიების აღმსარებლები, სხვა რასის წარმომადგენლები, უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელი, ჩვენთან მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, შიდსით დაავადებული, განსხვავებული ცხოვრების წესის მქონე ადამიანები) მიმართ.

ბედნიერების განცდა რთული ფენომენია, მისი ზუსტი განსაზღვრება არ არის ჩამოყალიბებული. იგი წარმოადგენს სუბიექტური შეფასების პარამეტრს, რომელიც არ დაიყვანება ერთ რომელიმე მახასიათებელზე. ბედნიერების განმსაზღვრელია უსაფრთხოების შეგრძნება-დაცულობა, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მისაღები გარემო პირობები, ჯანმრთელობა და სხვ. ჩვენს კითხვარშიც არ იყო დაკონკრეტებული, რა იგულისხმებოდა ბედნიერებაში, რესპონდენტი საკუთარი შეხედულებისამებრ სცემდა მას პასუხს. ჩვენ ამ კითხვაზე პასუხი გვანტერესებდა იმდენად, თუ როგორ კავშირშია ბედნიერება რელიგიურობასთან ან არარელიგიურობასთან, არის თუ არა რელიგია ბედნიერების განცდის მომტანი.

რაც შეეხება მეორე კითხვას, ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია. ჩვენი კვლევის ინტერესს წარმოადგენდა ის, თუ რამდენად უწყობს ან უშლის ხელს რელიგიურობა ადამიანთა განსხვავებული ჯგუ-

ფების მიმართ მიმღებლურ განწყობას, რელიგიურ ნიადაგზე შესაძლებელია თუ არა კონფლიქტების წარმოშობა სოციუმში.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მიზანს წარმოადგენდა სარწმუნოების როლის განსაზღვრა ადამიანის ღირებულებათა ტიპების ფორმირებაში, კვლევა მოიცავდა სქესობრივი ქრილის, ასაკის, განათლებისა და დასაქმების ორ-ორ დონეს, მატერიალური მდგომარეობის სამ დონეს და ეროვნების რვა დონეს. აღნიშნულ მიდგომას კვლევისათვის დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან დონეების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მინიმუმამდეა დაყვანილი ძირითადი საკითხების მნიშვნელობების ხელოვნური ნანაცვლება რომელიმე პოლუსისაკენ და მიღებული შედეგები მაქსიმალურად მიუახლოვდება გენერალური ერთობლიობის აზრს.

კვლევა ჩატარდა პირდაპირი ინტერვიუების ფორმით უშუალოდ რესპონდენტთან გასაუბრების სახით. ინტერვიუების დროს მას საშუალება ჰქონდა სიღრმისეულად გასცნობოდა და გაეაზრებინა კითხვარის თითოეული პუნქტი და ინტერვიუერის აზრის გავლენის გარეშე დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების კომპიუტერში შეყვანა და პირველადი კონტროლი განხორციელდა საბაზო პროგრამა MS ACCESS-ის საშუალებით. მაჩვენებლების შემდგომი არითმეტიკული და ლოგიკური კონტროლი, ჰიპოთეზის შემოწმება, მაჩვენებელთა შორის ურთიერთდამოკიდებულების დონისა და ხარისხის განსაზღვრა და ძირითადი ანალიზი შესრულდა SPSS-ში. საშედეგო ცხრილებისა და გრაფიკების საბოლოო ვერსიის ფორმირება მოხდა MS EXCEL-ში. სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია MS WORD-ში. საპრეზენტაციოდ და მომხმარებელთა ფართო წრისათვის გასაცნობად სადოქტორო ნაშრომის ძირითადი პოსტულატები და საკვანძო საკითხები გადმოცემულია MS POWERPOINT-ის საშუალებით.

§4. კვლევის შედეგები და მათი ანალიზი

4.1. კითხვარის აპრობაცია და ვალიდობა

ჩვენი კვლევის დაწყებამდე შვარცის ღირებულებათა საკვლევი კითხვარი საქართველოში რამოდენიმეჯერ იქნა გამოყენებული. თუმცა შედეგების გამოქვეყნებისას არსად არ იყო მითითებული, რამდენად მოხდა აღნიშნული კითხვარის ქართულ (საქართველოს მოქალაქე) საზოგადოებაზე ადაპტირება და კვლევის შემდეგ მიღებული შედეგების სანდოობის განსაზღვრა. რადგანაც ჩვენი კვლევა ითვალისწინებდა ღირებულებათა შეფასებას სხვადასხვა ჭრილში (სარწმუნოება, ეროვნება, ასაკი, სქესი, დასაქმება, განათლება, მატერიალური მდგომარეობა), ამიტომ გადაწყვიტეთ კვლევის ფარგლებში შვარცის ღირებულებათა საკვლევი კითხვარის ყოველმხრივ ტესტირება, რათა ჩვენი მიზნებისთვისაც და მომავალი კვლევებისთვისაც შეგვექმნა მისი გამოყენების დასაბუთებული დასკვნა.

ძირითადი კვლევის დაწყებამდე 6 თვით ადრე (პირველადი პილოტაჟი) შემთხვევით შევარჩიეთ სხვადასხვა აღმსარებლობის, ასაკის, სქესისა და ეროვნების 40 რესპონდენტი და პირდაპირი ინტერვიუების გზით შევავეთ კითხვარი. ინტერვიუს დროს ხდებოდა ცდისპირთა დეტალური ინსტრუქტაჟი თითოეული მაჩვენებლის მიხედვით, ვინერდით მათ შენიშვნებსა და მოსაზრებებს. კვლევის პროცესში დაიხარჯა დაახლოებით სამჯერ მეტი დრო, ვიდრე შემდგომ ძირითადი კვლევისას. შენიშვნების გაანალიზების შემდეგ შევიტანეთ გარკვეული კორექტირება კითხვარის თარგმანში და ინსტრუქტაჟის შინაარსში. შევსებული კითხვარის მაჩვენებლები გავაანალიზეთ და მივიღეთ გარკვეული შედეგები.

პირველადი პილოტაჟის დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ იგივე კონტინგენტს განმეორებით (მეორადი პილოტაჟი) შევავე-

სებინეთ შვარცის ღირებულებათა საკვლევი კითხვარი. რესპონდენტებს შენიშვნები თითქმის აღარ ჰქონდათ და კითხვარი ადვილად შეავსეს. მეორე რაუნდის შედეგები შევადარეთ პირველი რაუნდის შედეგებს და მაჩვენებლები დაახლოებით იდენტური აღმოჩნდა.

მიღებული შედეგებით ნათლად გამოჩნდა, რომ კითხვარი ადაპტირებული და ვალიდურია ქართულ საზოგადოებაზე და მისი გამოყენება შეიძლებოდა ძირითადი კვლევისათვის.

ძირითადი კვლევის დასრულების შემდეგ SPSS-ის დახმარებით დავთვალეთ მაჩვენებელთა სანდოობა როგორც ძირითადი კითხვარისთვის, ისე დამატებითი კითხვებისათვის კრომბახის ალფას გამოყენებით. მონაცემები როგორც ჯამური ($>0,7$), ასევე თითოეული მაჩვენებლის მიხედვით აღმოჩნდა სანდო – 0,73 (იხ. ცხრილი 13):

კომპონენტები – ჯამური სტატისტიკა

ცხრილი 13

კომპონენტები	სკალის საშუალო	სკალის ვარიაცია	ჯამური კორელაცია	კვადრატული მრავლობითი კორელაცია	კრომბახის ალფა
კონფორმულობა	42.33	46.01	0.17	0.35	0.71
ტრადიციულობა	43.10	47.60	0.04	0.47	0.73
კეთილგანწყობა	42.31	47.18	0.12	0.50	0.72
უნივერსალიზმი	42.86	44.11	0.34	0.32	0.70
დამოუკიდებლობა	43.09	39.35	0.62	0.48	0.70
სტიმულირება	43.93	35.91	0.56	0.44	0.69
ჰედონიზმი	44.98	34.56	0.44	0.47	0.73

მიღწევა	42.69	39.56	0.62	0.48	0.70
ძალაუფლება	44.74	37.52	0.55	0.57	0.72
უსაფრთხოება	42.42	45.95	0.27	0.32	0.70
სარწმუნოება	44.16	40.56	0.25	0.26	0.72
საერთო ჯამში შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ ხართ....	63.84	53.73	0.10	0.08	0.70
სხვა რასის წარ- მომადგენელი	64.36	56.27	0.11	0.13	0.72
შიდსით დაავა- დებული	64.39	56.21	0.03	0.12	0.69
უცხოეთიდან ჩამოსული მუ- შახელი	64.34	56.29	0.05	0.07	0.72
ჰომოსექსუალი	64.86	55.53	0.09	0.12	0.71
სხვა რელიგიის ან კონფესიის მიმდევარი	64.35	56.76	0.00	0.16	0.71
ლოთი	64.99	55.92	0.07	0.23	0.70
ქორწინების გა- რეშე ერთად მცხოვრები წყვილი	64.36	56.48	0.03	0.09	0.73
ჩვენთან ტრადი- ციულად მცხოვ- რები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენე- ლი	64.31	56,64	0.04	0.09	0.70
ნარკომანი	65.11	56.07	0.07	0.28	0.70

მონაცემები დამატებით შევაფასეთ ჯამურად ფრიდმანის ტესტის დახმარებით. ამ შემთხვევაშიც სანდოობა ($p=0.000$) და ფრიდმანის χ^2 -კვადრატი (2527,150) აღმოჩნდა მისაღები, რაც

იმას ნიშნავს, რომ კვლევის შედეგად (600 რესპონდენტზე) მიღებული შედეგები შეგვიძლია განვაზოგადოთ საქართველოს მთელ პოპულაციაზე. ამ მონაცემების, ასევე დისპერსიული ანალიზისა და t სტატისტიკის გათვალისწინებით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯგუფებს შორის განსხვავება არის სტატისტიკურად სანდო და არ ატარებს შემთხვევით ხასიათს (იხ. ცხრილი 14).

დისპერსიული ანალიზი ფრიდმანის ტესტის მიხედვით

ცხრილი 14

		კვადრატების ჯამი	თავისუფლების ხარისხი	კვადრატული საშუალო	ფრიდმანის კვადრატის კვადრატული	სანდობა
ჯგუფის შიგნით		2668.393	599	4.455		
	კომპონენტების შიგნით	5601.544 ^a	10	560.154	2527.150	0.000
ჯგუფებს შორის	ნაშთი	7697.729	5990	1.285		
	სულ	13299.273	6000	2.217		
სულ		15967.664	6599	2.420		

უმაღლესი საშუალო = 4.333

კენდალის კოეფიციენტი $W = .351$

4.2. ემპირიული მასალის აღწერითი სტატისტიკა

ა) საშუალოთა განაწილება ტერმინალური ღირებულებების მიხედვით

როგორც ნაშრომის დასაწყისში იყო აღნიშნული, კვლევის პროცესში ჩვენ ორი ჰიპოთეზა გამოვკვეთეთ:

1. მორწმუნე და ათეისტი ადამიანების ღირებულებათა სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან;

2. სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების აღმსარებელი ადამიანების ღირებულებათა სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ გამოთქმული ჰიპოთეზების შემოწმების მიზნით, შვარცის ღირებულებათა საკვლევი კითხვარის გამოყენებით გამოვკითხეთ საქართველოში მცხოვრები ტრადიციული რელიგიების აღმსარებლები (მართლმადიდებლები, კათოლიკები, მონოფიზიტები, მაჰმადიანები, იუდეველები) და ათეისტები (სულ რესპონდენტთა 6 ჯგუფი).

პირველ რიგში, ჩვენ შევაჯამეთ და შევაფასეთ გამოკითხვის შედეგად მიღებული შედეგები, შევადარეთ საშუალოთა განაწილება ტერმინალური ღირებულებების მიხედვით როგორც ყველა ჯგუფის რესპონდენტებისთვის, ასევე ცალ-ცალკე მორწმუნეთა და ათეისტთათვის და მორწმუნეთა ხუთივე ჯგუფისათვის.

კვლევის შედეგების დამუშავებისას მაჩვენებელთა საშუალოების შედარებით დადგინდა, რომ ყველა ტრადიციული რელიგიის აღმსარებლებისა და ათეისტებისთვის ტერმინალური ღირებულებების შეფასების 9 ქულიანი სკალიდან მაღალი შეფასებები მიიღო შემდეგმა ღირებულებებმა:

1. „ოჯახის უსაფრთხოება (ახლობლების უსაფრთხოება)“ – 5.87;
2. „მშვიდობა მთელ მსოფლიოში“ – 5.82;

3. „ნამდვილი მეგობრობა“ – 5.69.

ყველაზე დაბალი შეფასება კი მიიღო ღირებულებებმა:

1. „სოციალური ძალა (სხვებზე კონტროლი, დომინანტობა)“ – 1.18;
2. „ავტორიტეტი (ლიდერობის ან მბრძანებლობის უფლება)“ – 1.93;
3. „სიმდიდრე (ქონება, ფული)“ – 3.04 (იხ. ცხრილი 15).

საშუალოთა განაწილება ტერმინალური ღირებულებების მიხედვით რესპონდენტთა ყველა ჯგუფისათვის

ცხრილი 15

რიგითობა	ტერმინალური ღირებულება	რესპონდენტთა საერთო N	დიპაზონი	მინიმ. მნიშვნელობა	მაქსიმ. მნიშვნელობა	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტ გადახრა
1	1.22 ოჯახის უსაფრთხოება (ახლობლების უსაფრთხოება)	600	6	1	7	5.87	0.73
2	1.17 მშვიდობა მთელ მსოფლიოში	600	8	-1	7	5.82	1.16
3	1.28 ნამდვილი მეგობრობა	600	5	2	7	5.69	0.71
4	1.13 ეროვნული უშიშროება (ერის დაცულობა გარეშე მტრისაგან)	600	7	0	7	5.55	1.05

5	1.30 სოციალური სამართლიანობა (უსამართლობის გამოსწორება, სუსტზე ზრუნვა)	600	6	1	7	5.50	0.92
6	1.11 ზრდილობა (თავაზიანობა, კარგი მანერები)	600	6	1	7	5.42	0.99
7	1.8 სოციალური ნესრიგი (საზოგადოების სტაბილურობა)	600	8	-1	7	5.24	1.19
8	1.18 ტრადიციების პატივისცემა (ეროვნული ტრადიციების, ადამიანების შენარჩუნება)	600	8	-1	7	5.21	1.41
9	1.1 თანასწორობა (თანაბარი შესაძლებლობა ყველასათვის)	600	8	-1	7	5.08	1.70
10	1.15 სხვისი აზრის პატივისცემა (სხვების ინტერესების გათვალისწინება, კონფრონტაციის თავიდან არიდება)	600	8	-1	7	5.03	1.20
11	1.10 ცხოვრების საზრისი (ცხოვრების მიზნები)	600	8	-1	7	5.01	1.37

12	1.5 თავისუფლება (აზრისა და მოქმედების თავისუფლება)	600	8	-1	7	4.87	1.54
13	1.2 შინაგანი ჰარმონია (ჰარმონია საკუთარ თავთან)	600	8	-1	7	4.84	1.63
14	1.14 საკუთარი თავის პატივისცემა	600	8	-1	7	4.65	1.65
15	1.26 სიბრძნე (მონიჭულობა)	600	8	-1	7	4.59	1.57
16	1.6 სულიერი ცხოვრება (აქცენტი სულიერ და არა მატერიალურ სფეროზე)	600	8	-1	7	4.59	2.47
17	1.20 თვითდისციპლინა (თვითშეზღუდვა, ცდუნების დაძლევა)	600	8	-1	7	4.26	1.78
18	1.21 განმარტობის უფლება (პირადი ცხოვრების უფლება)	600	8	-1	7	4.23	1.75
19	1.29 მშვენიერების სამყარო (ბუნება და ხელოვნება)	600	7	-1	6	4.19	1.79
20	1.23 სოციალური აღიარება (პატივისცემა სხვების მხრიდან)	600	8	-1	7	4.15	1.72

21	1.9 შთაბეჭდილებებით აღსავსე ცხოვრება (სიახლისაკენ სწრაფვა)	600	8	-1	7	4.14	2.03
22	1.19 მონივრული სიყვარული (ღრმა ემოციური და სულიერი სიახლოვე)	600	8	-1	7	3.99	1.88
23	1.16 შემოქმედებითობა (უნიკალურობა, თვითმყოფადობა, მდიდარი წარმოსახვა)	600	8	-1	7	3.89	1.79
24	1.7 სოციალური კუთვნილება (განცდა იმისა, რომ სხვები შენზე ზრუნავენ)	600	8	-1	7	3.83	2.03
25	1.24 ბუნებასთან ერთიანობა	600	7	-1	6	3.56	1.89
26	1.25 მრავალფეროვანი ცხოვრება (სიახლით, ცვლილებებითა და რისკით აღსავსე ცხოვრება)	600	8	-1	7	3.39	2.18
27	1.4 სიამოვნება (სურვილების დაკმაყოფილება)	600	8	-1	7	3.17	2.20
28	1.12 სიმდიდრე (ქონება, ფული)	600	8	-1	7	3.04	2.17

29	1.27 ავტორიტეტი (ლიდერობის ან მბრძანებლობის უფლება)	600	7	-1	6	1.93	2.41
30	1.3 სოციალური ძალა (სხვებზე კონტროლი, დომინანტობა)	600	8	-1	7	1.18	2.34

აღნიშნული შედეგები საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ რადგან ადამიანი არის სოციალური არსება, ადამიანური თვისებები მისი სოციალური ბუნებისთვისაა დამახასიათებელი, თავის ოჯახზე, ახლობლებზე ზრუნვა და საყოველთაო მშვიდობის სურვილი ნებისმიერ კულტურაში წამყვანი იქნება.

როგორც პირველი სამი, ასევე მომდევნო შვიდი ღირებულება („ეროვნული უშიშროება“, „სოციალური სამართლიანობა“, „ზრდილობა“, „სოციალური ნესრიგი“, „ტრადიციების პატივისცემა“, თანასწორობა“, „სხვისი აზრის პატივისცემა“) შეეხება სხვებზე ზრუნვასა და კოლექტივის ინტერესების გათვალისწინებას.

ისეთი ღირებულებები, რომლებიც ადამიანის პირად ინტერესებს მოიცავს, განაწილდა მე-11 („ცხოვრების საზრისი“), მე-12 („თავისუფლება“), მე-14 („საკუთარი თავის პატივისცემა“), მე-20 („სოციალური აღიარება“) ადგილებზე.

რაც შეეხება „სოციალურ ძალასა“ და „ავტორიტეტს“, რომელთაც ყველაზე დაბალი შეფასება მიიღეს. ამ კატეგორიებში იგრძნობა ადამიანზე ძალადობის, მისი ჩაგვრის, მასზე მანიპულირების მოთხოვნილება, რაც ნეგატიურად არის დანახული, როგორც ღირებულება, ასეთი თვისებები ადამიანის ბუნებისთვის მიუღებელია.

„სიმდიდრემ“ მესამე ადგილი დაიკავა ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვან ღირებულებათა ჩამონათვალში, რაც, სავარაუდოდ, იმით

არის გამონვეული, რომ სიმდიდრე ხშირად არის გაკრიტიკებული როგორც რელიგიურ ტექსტებში, ისე სოციალურ სამართლიანობაზე აგებულ საზოგადოებაში. მდიდარი ასოცირდება ხარბ, გაუმაძღარ, მომხვეჭელ ადამიანთან და ამიტომ არ იქნა აღქმული დადებითად.

რაც შეეხება „სულიერ ცხოვრებას“, მან 30 ღირებულებიდან მე-16 ადგილი დაიკავა. კვლევაში გამოყენებულ კითხვარში „სულიერება“ ახსნილია შემდეგნაირად: აქცენტი სულიერ და არა მატერიალურ სფეროზე. ამ გაგებით, სულიერება თითქოს მაღალი მნიშვნელობით უნდა ხასიათდებოდეს, თუმცა, როგორც ვნახეთ, „ღირებულებათა რუკაზე“ საქართველო განთავსებულია პოსტსაბჭოთა და სამხრეთ აზიის ქვეყნების გადაკვეთაზე, მისი ადგილი რუკის მარცხენა ნახევარში იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანაში წინა პლანზე ისევ თვითგადარჩენის ღირებულებებია. სავარაუდოდ, ასეთი სურათი განპირობებულია საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური მოვლენებით. სოციალურ-ეკონომიკური ფონი ჯერ-ჯერობით მძიმეა, რაც აისახება საზოგადოების დიდი ნაწილის ცხოვრების პირობებზე, რის გამოც ფიზიკური და ეკონომიკური უსაფრთხოება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითგამოხატვის ღირებულებები.

აღნიშნული ცხრილი წარმოგვიდგენს კვლევაში მონაწილე 6-ვე ჯგუფის რესპონდენტთა შედეგებს. ჩვენ ასევე შევაჯამეთ იგივე მონაცემები ცალ-ცალკე, მორწმუნე და ათეისტი რესპონდენტებისათვის (იხ. ცხრილი 16 და 17).

მორწმუნეებში კიდევ უფრო მაღალი მნიშვნელობები მიიღო შემდეგმა ღირებულებებმა:

1. „მშვიდობა მთელ მსოფლიოში“ – 5.93;
2. „ოჯახის უსაფრთხოება (ახლობლების უსაფრთხოება)“ – 5.91;
3. „ნამდვილი მეგობრობა“ – 5.71.

კიდევ უფრო ნაკლები მნიშვნელობის აღმოჩნდა ღირებულებები:

1. „სოციალური ძალა (სხვებზე კონტროლი, დომინანტობა)“ – 0.66;
2. „ავტორიტეტი (ლიდერობის ან მბრძანებლობის უფლება)“ – 1.58;
3. „სიმდიდრე (ქონება, ფული)“ – 2.77.

საშუალოთა განაწილება ტერმინალური ღირებულებების მიხედვით
 მორწმუნე რესპონდენტებისთვის

ცხრილი 16

რიგითობა	ტერმინალური ღირებულება	რესპონდენტთა საერთო N	დიაპაზონი	მინიმ. მნიშვნელობა	მაქსიმ. მნიშვნელობა	საშუალო მაჩვენ.	სტანდარტ გადახრა
1	1.17 მშვიდობა მთელ მსოფლიოში	500	8	-1	7	5.93	1.06
2	1.22 ოჯახის უსაფრთხოება (ახლობლების უსაფრთხოება)	500	4	3	7	5.91	0.71
3	1.28 ნამდვილი მეგობრობა	500	5	2	7	5.71	0.70
4	1.6 სულიერი ცხოვრება (აქცენტი სულიერ და არა მატერიალურ სფეროზე)	500	7	0	7	5.56	1.23

5	1.13 ეროვნული უშიშროება (ერის დაცულობა გარეშე მტრისაგან)	500	7	0	7	5.55	1.06
6	1.30 სოციალური სამართლიანობა (უსამართლობის გამოსწორება, სუსტზე ზრუნვა)	500	6	1	7	5.50	0.93
7	1.11 ზრდილობა (თავაზიანობა, კარგი მანერები)	500	5	2	7	5.48	0.92
8	1.18 ტრადიციების პატივისცემა (ეროვნული ტრადიციების, ადათ-წესების შენარჩუნება)	500	8	-1	7	5.45	1.05
9	1.8 სოციალური წესრიგი (საზოგადოების სტაბილურობა)	500	8	-1	7	5.21	1.19
10	1.15 სხვისი აზრის პატივისცემა (სხვების ინტერესების	500	8	-1	7	5.13	1.13

	გათვალისწინება, კონფრონტაციის თავიდან არიდება)						
11	1.1 თანასწორობა (თანაბარი შესაძლებლობა ყველასათვის)	500	8	-1	7	4.96	1.80
12	1.10 ცხოვრების საზრისი (ცხოვრების მიზნები)	500	8	-1	7	4.94	1.39
13	1.2 შინაგანი ჰარმონია (ჰარმონია საკუთარ თავთან)	500	8	-1	7	4.67	1.63
14	1.5 თავისუფლება (აზრისა და მოქმედების თავისუფლება)	500	8	-1	7	4.66	1.57
15	1.14 საკუთარი თავის პატივისცემა	500	8	-1	7	4.65	1.59
16	1.26 სიბრძნე (მონიფულობა)	500	8	-1	7	4.50	1.57
17	1.20 თვითდისციპლინა (თვითშეზღუდვა, ცდუნების დაძლევა)	500	8	-1	7	4.44	1.61

18	1.29 მშენიერების სამყარო (ბუნება და ხელოვნება)	500	7	-1	6	4.18	1.81
19	1.21 განმარტოების უფლება (პირადი ცხოვრების უფლება)	500	8	-1	7	4.09	1.74
20	1.23 სოციალური აღიარება (პატივისცემა სხვების მხრიდან)	500	7	-1	6	4.02	1.71
21	1.7 სოციალური კუთვნილება (განცდა იმისა, რომ სხვები შენზე ზრუნავენ)	500	8	-1	7	3.99	1.93
22	1.19 მონიჭული სიყვარული (ღრმა ემოციური და სულიერი სიახლოვე)	500	8	-1	7	3.96	1.86
23	1.9 შთაბეჭდილებებით აღსავსე ცხოვრება (სიახლისაკენ სწრაფვა)	500	8	-1	7	3.93	2.07
24	1.16 შემოქმედებითობა	500	8	-1	7	3.72	1.76

	(უნიკალურობა, თვითმყოფადობა, მდიდარი წარმოსახვა)						
25	1.24 ბუნებასთან ერთიანობა	500	7	-1	6	3.55	1.86
26	1.25 მრავალფეროვანი ცხოვრება (სიასლით, ცვლილებებითა და რისკით აღსავსე ცხოვრება)	500	8	-1	7	3.10	2.17
27	1.4 სიამოვნება (სურვილების დაკმაყოფილება)	500	8	-1	7	2.93	2.13
28	1.12 სიმდიდრე (ქონება, ფული)	500	8	-1	7	2.77	2.14
29	1.27 ავტორიტეტი (ლიდერობის ან მბრძანებლობის უფლება)	500	7	-1	6	1.58	2.27
30	1.3 სოციალური ძალა (სხვებზე კონტროლი, დომინანტობა)	500	7	-1	6	0.66	1.96

როგორც ვხედავთ, მორწმუნეებში აღნიშნული ღირებულებები კიდევ უფრო მეტად გამოხატული აღმოჩნდა რესპონდენტთა 6-ივე ჯგუფის მონაცემებთან შედარებით. მორწმუნეთა ღირებულებები ძირითადად ორიენტირებულია ახლობლებზე, ოჯახზე, საყოველთაო მშვიდობაზე და ეს ყველაფერი – ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ურთიერთობა, კონფლიქტის არარსებობა (როგორც მსოფლიოში, ისე სოციალურ ურთიერთობებში) მათ ანიჭებს შინაგან ჰარმონიას.

რაც შეეხება „სულიერ ცხოვრებას“, მან მე-4 ადგილზე გადაინაცვლა, რადგან მორწმუნეთათვის სულიერი ცხოვრება ალბათ უფრო მეტად ასოცირდება რელიგიური ადამიანის ცხოვრების წესთან. გარდა ამისა, მორწმუნისათვის რელიგია არ წარმოადგენს დომინანტურ ძალას, რელიგია ჰუმანურია, სიკეთესთან, სიყვარულთან და არაძალადობასთან ასოცირდება.

ისეთი ღირებულებები კი, რომლებიც ზოგადად საზოგადოებისათვის მიუღებელია (სოციალური ძალა, ავტორიტეტი, სიმდიდრე), მორწმუნეთათვის კიდევ უფრო მეტად ნაკლებმნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე რესპონდენტთა 6-ვე ჯგუფის შედეგებიდან ჩანს.

განსხვავებული სურათი მივიღეთ ათეისტებთან. ყველაზე მაღალი მნიშვნელობა მიიღო შემდეგმა ღირებულებებმა:

1. „თავისუფლება (აზრისა და მოქმედების თავისუფლება)“ – 5.91;
2. „თანასწორობა (თანაბარი შესაძლებლობები ყველასათვის)“ – 5.66;
3. „შინაგანი ჰარმონია (ჰარმონია საკუთარ თავთან)“ – 5.64.

ხოლო ყველაზე დაბალი შეფასების აღმოჩნდა შემდეგი ღირებულებები:

1. „სულიერი ცხოვრება (აქცენტი სულიერ და არა მატერიალურ სფეროზე)“ – „-0.32“;

2. „სოციალური კუთვნილება (განცდა იმისა, რომ სხვები შენზე ზრუნავენ)“ – 2.99;

3. „თვითდისციპლინა (თვითშეზღუდვა, ცდუნების დაძლევა)“ – 3.32 (იხ. ცხრილი 17).

სამუშალოთა განაწილება ტერმინალური ღირებულებების მიხედვით ათეისტი რესპონდენტებისთვის

ცხრილი 17

რიგითობა	ტერმინალური ღირებულება	რესპონდენტთა საერთო N	დიაპაზონი	მინიმ. მნიშვნელობა	მაქსიმ. მნიშვნელობა	საშუალო მარევენ.	სტანდარტ გადახრა
1	1.5 თავისუფლება (აზრისა და მოქმედების თავისუფლება)	100	4	3	7	5.91	0.79
2	1.1 თანასწორობა (თანაბარი შესაძლებლობა ყველასათვის)	100	4	3	7	5.66	0.86
3	1.2 შინაგანი ჰარმონია (ჰარმონია საკუთარ თავთან)	100	7	0	7	5.64	1.40
4	1.22 ოჯახის უსაფრთხოება (ახლობლების უსაფრთხოება)	100	6	1	7	5.64	0.79
5	1.28 ნამდვილი მეგობრობა	100	4	3	7	5.57	0.72

6	1.13 ეროვნული უშიშროება (ერის დაცულობა გარეშე მტრისაგან)	100	7	0	7	5.48	0.99
7	1.30 სოციალური სამართლიანობა (უსამართლობის გამოსწორება, სუსტზე ზრუნვა)	100	6	1	7	5.44	0.87
8	1.8 სოციალური ნესრიგი (საზოგადოების სტაბილურობა)	100	6	1	7	5.32	1.17
9	1.10 ცხოვრების საზრისი (ცხოვრების მიზნები)	100	6	1	7	5.32	1.25
10	1.17 მშვიდობა მთელ მსოფლიოში	100	7	0	7	5.24	1.43
11	1.9 შთაბეჭდილებებით აღსავსე ცხოვრება (სიახლისაკენ სწრაფვა)	100	8	-1	7	5.19	1.44
12	1.11 ზრდილობა (თავაზიანობა, კარგი მანერები)	100	6	1	7	5.11	1.27
13	1.26 სიბრძნე (მონიფულობა)	100	7	0	7	5.02	1.51
14	1.21 განმარტოების უფლება (პირადი ცხოვრების უფლება)	100	8	-1	7	4.90	1.64
15	1.23 სოციალური აღიარება (პატი-	100	7	0	7	4.82	1.62

	ვისცემა სხვების მხრიდან)						
16	1.25 მრავალფეროვანი ცხოვრება (სიახლით, ცვლილებებითა და რისკით აღსავსე ცხოვრება)	100	6	0	6	4.82	1.58
17	1.16 შემოქმედებითობა (უნიკალურობა, თვითმყოფადობა, მდიდარი წარმოსახვა)	100	8	-1	7	4.75	1.71
18	1.14 საკუთარი თავის პატივისცემა	100	7	-1	6	4.62	1.90
19	1.15 სხვისი აზრის პატივისცემა (სხვების ინტერესების გათვალისწინება, კონფრონტაციის თავიდან არიდება)	100	7	-1	6	4.52	1.41
20	1.4 სიამოვნება (სურვილების დაკმაყოფილება)	100	8	-1	7	4.33	2.17
21	1.12 სიმდიდრე (ქონება, ფული)	100	8	-1	7	4.32	1.85
22	1.29 მშვენიერების სამყარო (ბუნებადახელოვნება)	100	7	-1	6	4.22	1.70
23	1.19 მონიჭული სიყვარული (ღრმა ემოციური და სულიერი სიახლოვე)	100	8	-1	7	4.10	1.96

24	1.18 ტრადიციების პატივისცემა (ეროვნული ტრადიციების, ადათნესების შენარჩუნება)	100	8	-1	7	3.95	2.13
25	1.3 სოციალური ძალა (სხვებზე კონტროლი, დომინანტობა)	100	8	-1	7	3.76	2.37
26	1.27 ავტორიტეტი (ლიდერობის ან მბრძანებლობის უფლება)	100	7	-1	6	3.63	2.35
27	1.24 ბუნებასთან ერთიანობა	100	7	-1	6	3.57	2.03
28	1.20 თვითდისციპლინა (თვითმეზღვევა, ცდუნების დაძლევა)	100	7	-1	6	3.32	2.25
29	1.7 სოციალური კუთვნილება (განცდა იმისა, რომ სხვები შენზე ზრუნავენ)	100	8	-1	7	2.99	2.34
30	1.6 სულიერი ცხოვრება (აქცენტი სულიერ და არა მატერიალურ სფეროზე)	100	3	-1	2	-0.32	0.56

ათვისტებისთვის უმთავრესია თავისუფლება და თანასწორობა, როცა გარკვეულია მიმართებები სხვა ადამიანებისა და ჯგუფების მი-

მართ, გარკვეულია თითოეულის ადგილი, როლი და უფლებები. თანასწორობა და თავისუფლება არის პრინციპები, რომლებიც უქმნიან მათ შინაგან ჰარმონიას და უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მშვიდობა და მეგობრობა, რომელიც გულისხმობს გარკვეულ დათმობებს და სხვების აზრის გათვალისწინებას. მეგობრობა ნორმების დაცვა და კონფორმულობაა, „თვალის დახუჭვა“ არაჰარმონიულ ურთიერთობებზე მეგობრობის შენარჩუნების მიზნით. ეს კი არღვევს ათეისტის შინაგანი ჰარმონიას.

თუმცა ოჯახის უსაფრთხოება, მეგობრობა და ეროვნული უშიშროება მაინც მნიშვნელოვანია ათეისტებისთვის (მე-4, მე-5, მე-6 ადგილები), რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანი სოციალური არსებაა და აღნიშნული თვისებები ზოგადად ადამიანური ბუნებისთვისაა დამახასიათებელი.

ათეისტებისთვის ყველაზე დაბალი მნიშვნელობის (მისი საშუალო მაჩვენებელი უარყოფითია – „-0.32“) აღმოჩნდა სულიერი ცხოვრება. ეს არის ზნეობა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიასთან, მის მცნებებთან და დოგმატებთან, ცხოვრების გარკვეულ წესთან და აკრძალვებთან. ათეისტი არ იცავს ამ დადგენილ წესებს, ის თვითონ გადანყვევს, რა გააკეთოს, ქმნის ინდივიდუალურ მორალს. რელიგია მოდის ტრადიციული ღირებულებებიდან. ათეისტებთან სულიერი ცხოვრება, რელიგია მიუღებელია, ტრადიციულ ღირებულებებსაც დაბალი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული (24-ე ადგილი).

ათეისტებთან სოციალური კუთვნილება და თვითდისციპლინათვითშეზღუდვაც დაბალი მნიშვნელობისაა. აქაც ინდივიდის პიროვნული თავისუფლება უპირისპირდება ნორმებს, ტრადიციებსა და ჩარჩოებს, რომელიც წამყვანია მორწმუნეთათვის. ათეისტებთან წამყვანია „მე“ – „ჩვენ“-ს საპირისპიროდ, „მე“-ს კომფორტი უპირისპირდება „ჩვენ“-ს კომფორტს. მთავარია, როგორ ვგრძნობ თავს მე და არა როგორ მიღებენ ოჯახის წევრები. იგი მტკივნეულად აღიქვამს თვითშეზღუდვას, ოჯახურ, სოციალურ, მეგობრულ წნეხს, რაც მის

ინდივიდუალობას, „მე მინდა“-ს ზღუდავს; მისთვის მიუღებელია სოციალური კუთვნილება, რომელიც გარკვეული იერარქიის არსებობა და მორწმუნესთან მნიშვნელოვანია.

კვლევის შედეგების განხილვის ამ ეტაპზე, ტერმინალური ღირებულებების საშუალოთა შედარებისას, გამოიკვეთა ჩვენი პირველი ჰიპოთეზის მართებულობა, რომ მორწმუნისა და ათეისტის ღირებულებათა სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ჩვენი მეორე ჰიპოთეზა კი იმაში მდგომარეობდა, რომ სხვადასხვა რელიგიების აღმსარებლებების ღირებულებათა სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამიტომ კვლევის მონაცემები შევაჯამეთ აღმსარებლობის სხვადასხვა ჯგუფებში ტერმინალური ღირებულებების მიხედვით, რის შედეგადაც შემდეგი სურათი მივიღეთ (იხ. ცხრილები 18, 19, 20, 21, 22):

საშუალოთა განაწილება ტერმინალური ღირებულებების მიხედვით მართლმადიდებლებისთვის

ცხრილი 18

რიგითობა	ტერმინალური ღირებულება	რესპონდენტთა საერთო N	დიაპაზონი	მინიმ. მნიშვნელობა	მაქსიმ. მნიშვნელობა	საშუალო მანკენ.	სტანდარტ განზრ.
1	1.28 ნამდვილი მეგობრობა	100	5	2	7	5.88	0.64
2	1.22 ოჯახის უსაფრთხოება (ახლობლების უსაფრთხოება)	100	4	3	7	5.83	0.79
3	1.11 ზრდილობა (თავაზიანობა, კარგი მანერები)	100	4	3	7	5.59	0.73
4	1.13 ეროვნული უშიშროება (ერის დაცულობა გარეშე)	100	6	1	7	5.59	1.07

	მტრისაგან)						
5	1.6 სულიერი ცხოვრება (აქცენტი სულიერ და არა მატერიალურ სფეროზე)	100	7	0	7	5.50	1.37
6	1.30 სოციალური სამართლიანობა (უსამართლობის გამოსწორება, სუსტზე ზრუნვა)	100	6	1	7	5.44	1.10
7	1.10 ცხოვრების საზრისი (ცხოვრების მიზნები)	100	6	1	7	5.36	1.06
8	1.17 მშვიდობა მთელ მსოფლიოში	100	8	-1	7	5.27	1.56
9	1.8 სოციალური წესრიგი (საზოგადოების სტაბილურობა)	100	7	0	7	5.24	1.36
10	1.18 ტრადიციების პატივისცემა (ეროვნული ტრადიციების, ადათ-წესების შენარჩუნება)	100	8	-1	7	5.17	1.46
11	1.5 თავისუფლება (აზრისა და მოქმედების თავისუფლება)	100	8	-1	7	4.95	1.59
12	1.15 სხვისი აზრის ატივისცემა (სხვების ინტერესების გათვალისწინება, კონფრონტაციის თავიდან არიდება)	100	6	0	6	4.80	1.33
13	1.26 სიბრძნე (მონიფულობა)	100	7	0	7	4.76	1.34
14	1.2 შინაგანი ჰარმონია (ჰარმონია საკუთარ თავთან)	100	8	-1	7	4.7	1.85

15	1.9 შთაბეჭდილებებით აღსავსე ცხოვრება (სიახლისაკენ სწრაფვა)	100	8	-1	7	4.69	1.63
16	1.1 თანასწორობა (თანაბარი შესაძლებლობა ყველასათვის)	100	8	-1	7	4.67	1.93
17	1.29 მშვენიერების სამყარო (ბუნება და ხელოვნება)	100	7	-1	6	4.59	1.52
18	1.20 თვითღმრთობის (თვითმზრუნველობა, ცდუნების დაძლევა)	100	7	-1	6	4.48	1.80
19	1.21 განმარტობის უფლება (პირადი ცხოვრების უფლება)	100	6	0	6	4.46	1.66
20	1.16 შემოქმედებითობა (უნიკალურობა, თვითმყოფადობა, მდიდარი წარმოსახვა)	100	8	-1	7	4.29	1.50
21	1.24 ბუნებასთან ერთიანობა	100	6	0	6	4.26	1.57
22	1.19 მონიფული სიყვარული (ღრმა ემოციური და სულიერი სიახლოვე)	100	8	-1	7	4.06	2.02
23	1.14 საკუთარი თავის პატივისცემა	100	8	-1	7	3.94	2.26
24	1.23 სოციალური აღიარება (პატივისცემა სხვების მხრიდან)	100	6	0	6	3.91	1.76
25	1.25 მრავალფეროვანი ცხოვრება (სიახლით, ცვლილებებითა და რისკით აღსავსე ცხოვრება)	100	7	-1	6	3.69	1.97

26	1.7 სოციალური კუთვნილება (განცდა იმისა, რომ სხვები შენზე ზრუნავენ)	100	7	-1	6	3.43	2.19
27	1.12 სიმდიდრე (ქონება, ფული)	100	7	-1	6	3.14	1.95
28	1.4 სიამოვნება (სურვილების დაკმაყოფილება)	100	7	-1	6	2.86	2.17
29	1.27 ავტორიტეტი (ლიდერობის ან მბრძანებლობის უფლება)	100	7	-1	6	1.99	2.32
30	1.3 სოციალური ძალა (სხვებზე კონტროლი, დომინანტობა)	100	7	-1	6	0.64	2.08

საშუალოთა განაწილება ტერმინალური ღირებულებების მიხედვით კათოლიკებისთვის

ცხრილი 19

რიგითობა	ტერმინალური ღირებულება	რესპონდენტთა საერთო N	დიაპაზონი	მინიმ. მნიშვნელობა	მაქსიმ. მნიშვნელობა	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტ გადახრა
1	1.17 მშვიდობა მთელ მსოფლიოში	100	4	3	7	6.14	0.71
2	1.22 ოჯახის უსაფრთხოება (ახლობლების უსაფრთხოება)	100	4	3	7	5.93	0.71
3	1.6 სულიერი ცხოვრება (აქცენტი სულიერ და არა მატერიალურ სფეროზე)	100	6	1	7	5.63	0.93

4	1.28 ნამდვილი მეგობრობა	100	5	2	7	5.63	0.84
5	1.30 სოციალური სამართლიანობა (უსამართლობის გამოსწორება, სუსტზე ზრუნვა)	100	5	1	6	5.61	0.83
6	1.11 ზრდილობა (თავაზიანობა, კარგი მანერები)	100	4	3	7	5.51	0.77
7	1.13 ეროვნული უშიშროება (ერის დაცულობა გარეშე მტრისაგან)	100	7	0	7	5.47	1.35
8	1.1 თანასწორობა (თანაბარი შესაძლებლობა ყველასათვის)	100	8	-1	7	5.34	1.56
9	1.8 სოციალური წესრიგი (საზოგადოების სტაბილურობა)	100	6	1	7	5.30	0.99
10	1.18 ტრადიციების პატივისცემა (ეროვნული ტრადიციების, ადათ-წესების შენარჩუნება)	100	6	1	7	5.28	1.05
11	1.15 სხვისი აზრის პატივისცემა (სხვების ინტერესების გათვალისწინება, კონფრონტაციის თავიდან არიდება)	100	7	-1	6	5.20	1.18
12	1.5 თავისუფლება (აზრისა და მოქმედების თავისუფლება)	100	6	1	7	4.73	1.54

13	1.2 შინაგანი ჰარმონია (ჰარმონია საკუთარ თავთან)	100	7	0	7	4.62	1.59
14	1.10 ცხოვრების საზრისი (ცხოვრების მიზნები)	100	8	-1	7	4.59	1.48
15	1.14 საკუთარი თავის პა- ტივისცემა	100	6	1	7	4.48	1.39
16	1.29 მშვენიერების სამყა- რო (ბუნება და ხელოვ- ნება)	100	6	0	6	4.40	1.71
17	1.26 სიბრძნე (მონიფუ- ლობა)	100	8	-1	7	4.23	1.58
18	1.20 თვითდისციპლინა (თვითშეზღუდვა, ცდუ- ნების დაძლევა)	100	7	-1	6	3.93	1.60
19	1.7 სოციალური კუთვნი- ლება (განცდა იმისა, რომ სხვები შენზე ზრუ- ნავენ)	100	7	-1	6	3.88	1.91
20	1.21 განმარტოების უფ- ლება (პირადი ცხოვრე- ბის უფლება)	100	7	-1	6	3.73	1.80
21	1.24 ბუნებასთან ერთია- ნობა	100	7	-1	6	3.60	1.86
22	1.19 მონიფული სიყვა- რული (ღრმა ემოციური და სულიერი სიახლოვე)	100	7	-1	6	3.55	1.91
23	1.9 შთაბეჭდილებებით აღსავსე ცხოვრება (სი- ახლისაკენ სწრაფვა)	100	7	-1	6	3.48	2.09

24	1.16 შემოქმედებითობა (უნიკალურობა, თვით-მყოფადობა, მდიდარი წარმოსახვა)	100	7	-1	6	3.36	1.76
25	1.23 სოციალური აღიარება (პატივისცემა სხვების მხრიდან)	100	7	-1	6	3.23	1.80
26	1.25 მრავალფეროვანი ცხოვრება (სიახლით, ცვლილებებითა და რისკით აღსავსე ცხოვრება)	100	7	-1	6	2.67	2.08
27	1.12 სიმდიდრე (ქონება, ფული)	100	7	-1	6	3.57	2.03
28	1.4 სიამოვნება (სურვილების დაკმაყოფილება)	100	7	-1	6	3.32	2.25
29	1.27 ავტორიტეტი (ლიდერობის ან მბრძანებლობის უფლება)	100	8	-1	7	2.99	2.34
30	1.3 სოციალური ძალა (სხვებზე კონტროლი, დომინანტობა)	100	3	-1	2	-0.32	0.56

საშუალოთა განაწილება ტერმინალური ღირებულებების მიხედვით
 მონოფიზიტებისთვის

ცხრილი 20

რიგითობა	ტერმინალური ღირებულება	რესპონდენტთა საერთო N	დიაპაზონი	მინიმ. მნიშვნელობა	მაქსიმ. მნიშვნელობა	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტ გადახრა
1	1.22 ოჯახის უსაფრთხოება (ახლობლების უსაფრთხოება)	100	2	5	7	6.10	0.50
2	1.17 მშვიდობა მთელ მსოფლიოში	100	6	1	7	5.95	0.93
3	1.28 ნამდვილი მეგობრობა	100	2	4	6	5.68	0.55
4	1.11 ზრდილობა (თავაზიანობა, კარგი მანერები)	100	4	3	7	5.68	1.02
5	1.13 ეროვნული უშიშროება (ერის დაცულობა გარეშე მტრისაგან)	100	5	2	7	5.55	0.80
6	1.6 სულიერი ცხოვრება (აქცენტი სულიერ და არა მატერიალურ სფეროზე)	100	5	2	7	5.53	0.85
7	1.18 ტრადიციების პატივისცემა (ეროვნული ტრადიციების, ადათ-წესების შენარჩუნება)	100	5	2	7	5.51	0.83
8	1.30 სოციალური სამართლიანობა (უსამართლობის გამოსწორება, სუსტზე	100	4	2	6	5.37	1.00

	ზრუნვა)						
9	1.1 თანასწორობა (თანაბარი შესაძლებლობა ყველასათვის)	100	8	-1	7	5.35	1.23
10	1.8 სოციალური წესრიგი (საზოგადოების სტაბილურობა)	100	7	0	7	5.13	1.17
11	1.10 ცხოვრების საზრისი (ცხოვრების მიზნები)	100	7	0	7	5.12	1.27
12	1.15 სხვისი აზრის პატივისცემა (სხვების ინტერესების გათვალისწინება, კონფრონტაციის თავიდან არიდება)	100	4	2	6	5.11	1.02
13	1.14 საკუთარი თავის პატივისცემა	100	7	0	7	4.96	1.47
14	1.2 შინაგანი ჰარმონია (ჰარმონია საკუთარ თავთან)	100	7	0	7	4.67	1.55
15	1.20 თვითღიწობა (თვითშეზღუდვა, ცდუნების დაძლევა)	100	7	-1	6	4.66	1.44
16	1.5 თავისუფლება (აზრისა და მოქმედების თავისუფლება)	100	5	1	6	4.65	1.31
17	1.7 სოციალური კუთვნილება (განცდა იმისა, რომ სხვები შენზე ზრუნავენ)	100	6	0	6	4.50	1.57
18	1.26 სიბრძნე (მონიჭულობა)	100	5	1	6	4.43	1.44
19	1.23 სოციალური აღიარება (პატივისცემა სხვების მხრიდან)	100	6	0	6	4.35	1.46

20	1.29 მშენიერების სამყარო (ბუნება და ხელოვნება)	100	7	-1	6	4.21	1.56
21	1.19 მონიჭული სიყვარული (ღრმა ემოციური და სულიერი სიახლოვე)	100	7	0	7	4.13	1.58
22	1.9 შთაბეჭდილებებით აღსავსე ცხოვრება (სიახლისაკენ სწრაფვა)	100	6	0	6	3.91	1.63
23	1.21 განმარტოების უფლება (პირადი ცხოვრების უფლება)	100	7	-1	6	3.82	1.78
24	1.16 შემოქმედებითობა (უნიკალურობა, თვითმყოფადობა, მდიდარი წარმოსახვა)	100	6	0	6	3.68	1.52
25	1.24 ბუნებასთან ერთიანობა	100	6	0	6	3.09	1.71
26	1.4 სიამოვნება (სურვილების დაკმაყოფილება)	100	8	-1	7	3.00	1.90
27	1.25 მრავალფეროვანი ცხოვრება (სიახლით, ცვლილებებითა და რისკით აღსავსე ცხოვრება)	100	7	-1	6	2.24	2.05
28	1.12 სიმდიდრე (ქონება, ფული)	100	7	-1	6	2.09	1.89
29	1.27 ავტორიტეტი (ლიდერობის ან მბრძანებლობის უფლება)	100	7	-1	6	1.09	2.23
30	1.3 სოციალური ძალა (სხვებზე კონტროლი, დომინანტობა)	100	7	-1	6	0.72	1.87

საშუალოთა განაწილება ტერმინალური ღირებულებების მიხედვით
მაჰმადიანებისთვის

ცხრილი 21

რიგითობა	ტერმინალური ღირებულება	რესპონდენტთა საერთო N	დიაპაზონი	მინიმ. მნიშვნელობა	მაქსიმ. მნიშვნელობა	საშუალო მაჩვენ.	სტანდარტ გადახრა
1	1.17 მშვიდობა მთელ მსოფლიოში	100	6	1	7	6.13	0.77
2	1.22 ოჯახის უსაფრთხოება (ახლობლების უსაფრთხოება)	100	4	3	7	6.03	0.70
3	1.28 ნამდვილი მეგობრობა	100	4	3	7	5.79	0.61
4	1.18 ტრადიციების პატივისცემა (ეროვნული ტრადიციების, ადათ-წესების შენარჩუნება)	100	5	2	7	5.70	0.81
5	1.6 სულიერი ცხოვრება (აქცენტი სულიერ და არა მატერიალურ სფეროზე)	100	3	3	6	5.65	0.63
6	1.13 ეროვნული უშიშროება (ერის დაცულობა გარეშე მტრისაგან)	100	4	3	7	5.59	0.96
7	1.30 სოციალური სამართლიანობა (უსამართლობის გამოსწორება, სუსტზე ზრუნვა)	100	7	0	7	5.55	1.24
8	1.11 ზრდილობა (თავაზიანობა, კარგი მანერები)	100	4	3	7	5.38	1.04

9	1.8 სოციალური წესრიგი (საზოგადოების სტაბილურობა)	100	5	2	7	5.36	0.87
10	1.15 სხვის იაზრის პატივისცემა (სხვების ინტერესების გათვალისწინება, კონფრონტაციის თავიდან არიდება)	100	6	1	7	5.34	0.99
11	1.1 თანასწორობა (თანაბარი შესაძლებლობა ყველასათვის)	100	7	0	7	5.21	1.60
12	1.5 თავისუფლება (აზრისა და მოქმედების თავისუფლება)	100	6	1	7	4.85	1.27
13	1.14 საკუთარი თავის პატივისცემა	100	5	1	6	4.78	1.34
14	1.7 სოციალური კუთვნილება (განცდა იმისა, რომ სხვები შენზე ზრუნავენ)	100	7	0	7	4.45	1.62
15	1.10 ცხოვრების საზრისი (ცხოვრების მიზნები)	100	7	0	7	4.43	1.67
16	1.20 თვითდისციპლინა (თვითშეზღუდვა, ცდუნების დაძლევა)	100	6	1	7	4.29	1.65
17	1.2 შინაგანი ჰარმონია (ჰარმონია საკუთარ თავთან)	100	7	0	7	4.19	1.58
18	1.23 სოციალური აღიარება (პატივისცემა სხვების მხრიდან)	100	7	-1	6	4,02	1,68
19	1.21 განმარტოების უფლება (პირადი ცხოვრების უფლება)	100	7	-1	6	3.93	1.78

20	1.19 მონიფული სიყვარული (ღრმა ემოციური და სულიერი სიახლოვე)	100	8	-1	7	3.91	1.85
21	1.26 სიბრძნე (მონიფულობა)	100	7	-1	6	3.85	1.95
22	1.29 მშვენიერების სამყარო (ბუნება და ხელოვნება)	100	7	-1	6	3.65	2.28
23	1.16 შემოქმედებითობა (უნიკალურობა, თვითმყოფადობა, მდიდარი წარმოსახვა)	100	6	0	6	3.60	1.96
24	1.24 ბუნებასთან ერთიანობა	100	6	0	6	3.57	1.98
25	1.4 სიამოვნება (სურვილების დაკმაყოფილება)	100	7	-1	6	3.43	2.12
26	1.9 შთაბეჭდილებებით აღსავსე ცხოვრება (სიახლისაკენ სწრაფვა)	100	8	-1	7	3.26	2.61
27	1.25 მრავალფეროვანი ცხოვრება (სიახლით, ცვლილებებითა და რისკით აღსავსე ცხოვრება)	100	7	-1	6	3.01	2.17
28	1.12 სიმდიდრე (ქონება, ფული)	100	7	-1	6	2.75	2.36
29	1.27 ავტორიტეტი (ლიდერობის ან მბრძანებლობის უფლება)	100	7	-1	6	1.90	2.17
30	1.3 სოციალური ძალა (სხვებზე კონტროლი, დომინანტობა)	100	7	-1	6	0.84	1.84

საშუალოთა განაწილება ტერმინალური ღირებულებების მიხედვით
ოუდეველებისთვის

ცხრილი 22

რიგითობა	ტერმინალური ღირებულება	რესპონდენტთა საერთო N	დაბაზონი	მინიმ. მნიშვნელობა	მაქსიმ. მნიშვნელობა	საშუალო მაჩვენ.	სტანდარტ გადახრა
1	1.17 მშვიდობა მთელ მსოფლიოში	100	4	3	7	6.17	0.87
2	1.22 ოჯახის უსაფრთხოება (ახლობლების უსაფრთხოება)	100	4	3	7	5.70	0.75
3	1.18 ტრადიციების პატივისცემა (ეროვნული ტრადიციების, ადათ-წესების შენარჩუნება)	100	6	1	7	5.62	0.94
4	1.13 ეროვნული უშიშროება (ერის დაცულობა გარეშე მტრისაგან)	100	6	1	7	5.61	1.01
5	1.28 ნამდვილი მეგობრობა	100	3	3	6	5.61	0.82
6	1.6 სულიერი ცხოვრება (აქცენტი სულიერ და არა მატერიალურ სფეროზე)	100	7	0	7	5.48	1.53
7	1.30 სოციალური სამართლიანობა (უსამართლობის გამოსწორება, სუსტზე ზრუნვა)	100	5	1	6	5.47	1.03
8	1.11 ზრდილობა (თავაზიანობა, კარგი მანერები)	100	5	2	7	5.38	1.18

9	1.26 სიბრძნე (მონიფულობა)	100	5	1	6	5.26	1.09
10	1.10 ცხოვრების საზრისი (ცხოვრების მიზნები)	100	7	0	7	5.22	1.19
11	1.2 შინაგანი ჰარმონია (ჰარმონია საკუთარ თავთან)	100	8	-1	7	5.21	1.44
12	1.15 სხვისი აზრის პატივისცემა (სხვების ინტერესების გათვალისწინება, კონფრონტაციის თავიდან არიდება)	100	4	2	6	5.21	1.06
13	1.14 საკუთარი თავის პატივისცემა	100	4	2	6	5.11	1.01
14	1.8 სოციალური წესრიგი (საზოგადოების სტაბილურობა)	100	8	-1	7	5.06	1.48
15	1.20 თვითდისციპლინა (თვითშეზღუდვა, ცდუნების დაძლევა)	100	8	-1	7	4.86	1.43
16	1.23 სოციალური აღიარება (პატივისცემა სხვები სმხრიდან)	100	6	0	6	4.59	1.58
17	1.21 განმარტოების უფლება (პირადი ცხოვრების უფლება)	100	7	0	7	4.54	1.56
18	1.9 შთაბეჭდილებებით აღსავსე ცხოვრება (სიახლისაკენ სწრაფვა)	100	8	-1	7	4.32	1.95
19	1.1 თანასწორობა (თანაბარი შესაძლებლობა ყველასათვის)	100	7	0	7	4.26	2.28

20	1.19 მონიფული სიყვარული (ღრმა ემოციური და სულიერი სიახლოვე)	100	7	-1	6	4.17	1.91
21	1.5 თავისუფლება (აზრისა და მოქმედების თავისუფლება)	100	8	-1	7	4.14	1.98
22	1.29 მშვენიერების სამყარო (ბუნება და ხელოვნება)	100	7	-1	6	4.09	1.78
23	1.25 მრავალფეროვანი ცხოვრება (სიახლით, ცვლილებებითა და რისკით აღსავსე ცხოვრება)	100	8	-1	7	3.92	2.17
24	1.7 სოციალური კუთვნილება (განცდა იმისა, რომ სხვები შენზე ზრუნავენ)	100	7	-1	6	3.73	2.08
25	1.16 შემოქმედებითობა (უნიკალურობა, თვითმყოფადობა, მდიდარი წარმოსახვა)	100	8	-1	7	3.67	1.91
26	1.12 სიმდიდრე (ქონება, ფული)	100	7	-1	6	3,45	2,16
27	1.4 სიამოვნება (სურვილების დაკმაყოფილება)	100	7	-1	6	3,28	2,27
28	1.24 ბუნებასთან ერთიანობა	100	7	-1	6	3.24	1.98
29	1.27 ავტორიტეტი (ლიდერობის ან მბრძანებლობის უფლება)	100	7	-1	6	1.75	2.55
30	1.3 სოციალური ძალა (სხვებზე კონტროლი, დომინანტობა)	100	7	-1	6	0.91	2.41

როგორც მორწმუნეთა 5 ჯგუფის გამოკითხვის მონაცემებიდან ჩანს, ღირებულებათა გარკვეული ნაწილი მნიშვნელოვანია 5-ვე რელიგიური ჯგუფისათვის. ესენია: „ნამდვილი მეგობრობა“, „ოჯახის უსაფრთხოება“, „მშვიდობა მთელ მსოფლიოში“, „სულიერი ცხოვრება“, „ტრადიციების პატივისცემა“, „ზრდილობა“, „სოციალური სამართლიანობა“, „ეროვნული უშიშროება“. აღნიშნული ღირებულებები მიმართულია ოჯახისა და ახლობლების ინტერესების დაცვისაკენ, პირადულზე წინ კოლექტივის ინტერესების დაყენებისკენ, რაც მორწმუნე ადამიანისთვის პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია მცირედი განსხვავებები ღირებულებების რიგითობის მიხედვით. მაგ.: „ტრადიციების ერთგულება“ მეტად არის გამოხატული იუდეველებთან და მაჰმადიანებთან, ვიდრე დანარჩენი რელიგიების წარმომადგენლებთან. ეს ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ იუდეველები და მაჰმადიანები თავიანთ ტრადიციებსა და წარსულს იღებენ მსოფლმხედველობად, რომელზეც აგებენ ცხოვრების სტილს და ამით განსხვავდებიან არა მარტო ათეისტებისგან, არამედ სხვა რელიგიების წარმომადგენლებისგანაც. მათთვის ტრადიციების ერთგულება არის თვითგადარჩენისა და საკუთარი ავთენტობის შენარჩუნების საშუალება.

რაც შეეხება ნაკლებმნიშვნელოვან ღირებულებებს, 5-ვე რელიგიური ჯგუფისათვის ასეთებია: „სოციალური ძალა“, „სიამოვნება“, „ავტორიტეტი“, „სიმდიდრე“. ეს ის ღირებულებებია, რომლებიც ზოგადად საზოგადოებისათვის არის მიუღებელი, მორწმუნეთა ჯგუფშიც (იხ. ცხრილი 16) ნაკლებმნიშვნელოვანი აღმოჩნდა და მორწმუნეთა ცალკეული ჯგუფებისთვისაც არ შეცვლილა მნიშვნელობის მიხედვით.

მიღებული შედეგებიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ისეთი მკვეთრი განსხვავება, როგორც დაფიქსირდა მორწმუნე და ათეისტი ადამიანების ღირებულებათა სისტემების შედარებისას, მორწმუნეთა 5 ჯგუფის მონაცემების მიხედვით არ გამოჩნდა, თუმცა

აღინიშნა განსხვავებები ღირებულებათა რიგითობის მიხედვით. როგორც ჩანს, ყველა რელიგია დაახლოებით მსგავს ღირებულებებს ამკვიდრებს და საქართველოში მორწმუნეები ცხოვრების წესით მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ყველა მათგანის ცხოვრებისეული ღირებულებები მეტ-ნაკლებად თანხვედრაშია. ტრადიციული რელიგიები მსგავს ღირებულებებს უწევენ კულტივირებას, ამიტომ ეს ღირებულებები ერთმანეთს არ დაუპირისპირდება, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიები თავიანთი არსით ერთმანეთისაგან განსხვავდება და ეს განსხვავება მნიშვნელოვანია.

ბ) საშუალოთა განაწილება ინსტრუმენტული ღირებულებების მიხედვით

რაც შეეხება ინსტრუმენტულ ღირებულებებს, რესპონდენტთა 6-ვე ჯგუფის მონაცემების განხილვით, შეფასების 9 ქულიანი სკალიდან ყველაზე მაღალი შეფასებები მიიღო შემდეგმა ღირებულებებმა:

1. „ერთგული (თავისი მეგობრების, ჯგუფის)“ – 6.25;
2. „მშობლებისა და უფროსების პატივისმცემელი (პატივისცემის გამომხატველი)“ – 6.21;
3. „პატიოსანი (გულმართალი, წრფელი)“ – 6.08.

ყველაზე დაბალი შეფასება კი მიიღო ღირებულებებმა:

1. „განებივრებული (სასიამოვნოს კეთებისაკენ მიმართული)“ – 2.29;
2. „ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი“ – 2.58;
3. „ტკბება ცხოვრებით (საკვებით, გასართობით და სხვ.)“ – 2.58 (იხ. ცხრილი 23).

საშუალოთა განაწილება ინსტრუმენტული ღირებულებების მიხედვით რესპონდენტთა ყველა ჯგუფისათვის

ცხრილი 23

რიგითობა	ინსტრუმენტული ღირებულება	რესპონდენტთა საერთო N	დიაპაზონი	მინიმ. მნიშვნელობა	მაქსიმ. მნიშვნელობა	საშუალო მაჩვენ.	სტანდარტ გადახრა
1	2.3 ერთგული (თავისი მეგობრების, ჯგუფის)	600	6	1	7	6.25	0.88
2	2.10 მშობლებისა და უფროსების პატივისცემელი (პატივისცემის გამოხატუველი)	600	6	1	7	6.21	1.01
3	2.15 პატიოსანი (გულმართალი, ნრფელი)	600	7	0	7	6.08	1.08
4	2.22 პასუხისმგებელი (სანდო)	600	7	0	7	6.07	0.99
5	2.12 ჯანმრთელი (სულიერად და ფიზიკურად)	600	7	0	7	5.91	1.23
6	2.4 მიზანდასახული (თავდადებულად მომუშავე, მიზანსწრაფული)	600	8	-1	7	5.66	1.22
7	2.18 ჭკვიანი (ლოგიკურად მოაზროვნე)	600	7	0	7	5.65	1.16
8	2.1 დამოუკიდებელი (საკუთარ თავში დარწმუნებული)	600	8	-1	7	5.50	1.41
9	2.17 კანონმორჩილი	600	8	-1	7	5.46	1.55

10	2.24 მიმტვევებელი	600	8	-1	7	5.37	1.57
11	2.13 ნიჭიერი (მცოდნე, ეფექტურად მოქმედების უნარის მქონე)	600	8	-1	7	5.33	1.50
12	2.19 სასარგებლო (მუშაობს სხვათა კეთილდღეობისათვის)	600	8	-1	7	5.21	1.50
13	2.26 აკურატული	600	7	0	7	5.11	1.45
14	2.2 თავშეკავებული	600	8	-1	7	5.10	1.56
15	2.6 თავმდაბალი (არ ცდილობს ყურადღების მიპყრობას)	600	8	-1	7	5.04	1.74
16	2.25 წარმატებული (მიზნების მიმღწევი)	600	7	0	7	5.03	1.50
17	2.11 თავად განსაზღვრავს (ირჩევს) თავის მიზნებს	600	7	0	7	5.00	1.64
18	2.5 შემწყნარებელი (სხვადასხვა იდეის, სარწმუნოების მიმართ)	600	8	-1	7	4.96	1.76
19	2.21 ღვთისმოსავი	600	8	-1	7	4.88	2.57
20	2.8 გარემოს დამცველი	600	8	-1	7	4.55	1.70
21	2.16 იცავს საკუთარ იმიჯს (ცდილობს საკუთარი „სახის“ შენარჩუნებას)	600	8	-1	7	4.32	2.07
22	2.7 მამაცი (ეძებს თავგადასავალს, რისკს)	600	8	-1	7	3.65	2.15
23	2.23 ცნობისმოყვარე (ყველაფრით დაინტერესებული, მაძიებელი)	600	8	-1	7	3.61	2.29

24	2.9 გავლენიანი (გავლენას ახდენს ადამიანებსა და მოვლენებზე)	600	8	-1	7	3.22	2.13
25	2.20 ტკეპება ცხოვრებით (საკვებით, გასართობით და სხვ.)	600	8	-1	7	2.58	2.53
26	2.14 ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი	600	8	-1	7	2.58	2.43
27	2.27 განებივრებული (სასიამოვნოს კეთებისაკენ მიმართული)	600	8	-1	7	2.29	2.44

როგორც ვხედავთ, ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ღირებულებებმა: „ერთგული“, „მშობლებისა და უფროსების პატივისმცემელი“ და „პატიოსანი“. ამ მონაცემებიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საზოგადოებაში ყველაზე მოთხოვნადი ეს სოციალური დამოკიდებულებები და ფასეულობებია. ჩვენი საზოგადოება საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა პატრიარქალური ურთიერთობების დომინირების პირობებში (ეს არ ნიშნავს მხოლოდ კაცის როლის უპირატესობას, არამედ შვილების დამოკიდებულებას მშობლებზე და ტრადიციულ ურთიერთობებს). ასეთი ურთიერთობები გახდა ჩვენი საზოგადოებისთვის ცენტრალური ღირებულება, რომლის შეცვლა ხანმოკლე დროის მანძილზე ვერ მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ შეიცვალა სოციალური ვითარება და ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდა ევროპული ფასეულობები.

ყველაზე დაბალი შეფასების მქონე ღირებულებათა შორის არის „განებივრებული“ და „ტკეპება ცხოვრებით“. ჰედონისტურად ორიენტირებული ადამიანი, რომელიც მუდამ ცდილობს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, პრიმიტიულად მიიჩნევა, საზოგადოებრივი მორალი ებრძვის ასეთ ადამიანებს. მეორეს მხრივ, შესაძლოა,

საზოგადოება მიდრეკილი იყოს ჰედონიზმისკენ, მაგრამ შინაგანად ებრძოდეს ამ გამოვლინებებს.

დაბალი შეფასების მქონე ღირებულებათა ჩამონათვალში მეორე ადგილი დაიკავა „ცხოვრებისეული ვითარების მორჩილმა“. ასეთი მორჩილება, პასიურობა, დინების მიყოლა საზოგადოებაში ასევე ნეგატიურად არის შეფასებული.

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა 83,3%-ს მორწმუნეები შეადგენდნენ, ისეთმა ღირებულებამ, როგორცაა „ღვთისმოსავი“, 27 ღირებულებიდან მხოლოდ მე-19 ადგილი დაიკავა. ეს შედეგი, შესაძლოა, რამდენიმე მიზეზით იყოს განპირობებული. ღვთისმოსაობა, შესაძლოა, აღქმული იყოს, როგორც სასულიერო პირის ცხოვრებით ცხოვრება, გარკვეული შეზღუდვები, ასეთი ასპექტებში კი საზოგადოებისთვის არ არის პრიორიტეტული. შეიძლება ადამიანს სწამდეს ესა თუ ის რელიგიური მიმდინარეობა, ერკვეოდეს და იზიარებდეს შესაბამის დოგმატებს, მაგრამ რელიგიური მრწამსის გატარება ცხოვრებაში არ არის ადვილი და ზოგადად არ ახასიათებს საზოგადოებას. გარდა ამისა, დიდი ხანი არ არის გასული, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და რელიგია გათავისუფლდა იდეოლოგიური წნეხისა და შევიწროებისაგან. კომუნისტური წყობის პირობებში აღზრდილი თაობებისთვის კი ძნელია რელიგიური ცხოვრების გათავისება, რელიგიური ღირებულებების პრიორიტეტად მიჩნევა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ რელიგია „მოდა“ გახდა საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის, რაც გარკვეულ გაღიზიანებას იწვევს. ამ ყველაფერმა, და ალბათ სხვა გარემოებებმაც, განაპირობა ასეთი შედეგის მიღება კვლევის დროს.

რადგან ჩვენი პირველი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობდა, რომ მორწმუნეებისა და ათეისტების ღირებულებათა სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან, ინსტრუმენტული ღირებულებების საშუალო მაჩვენებლებიც შევაჯამეთ მორწმუნე და ათეისტი რესპონდენტებისათვის ცალ-ცალკე.

მორწმუნეებისთვის კიდევ უფრო მაღალი მნიშვნელობის აღმოჩნდა:

1. „მშობლებისა და უფროსების პატივისმცემელი (პატივისცემის გამოხატველი)“ – 6.34;
2. „ერთგული (თავისი მეგობრების, ჯგუფის)“ – 6.29;
3. „პატიოსანი (გულმართალი, წრფელი) „ – 6.14;

როგორც ჩანს, რელიგიურობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საზოგადოებაში მოთხოვნად ღირებულებებს, რომლებიც ორიენტირებულია სოციალურ ურთიერთობებზე და სხვისი ინტერესების გათვალისწინებაზე.

ხოლო კიდევ უფრო დაბალი მნიშვნელობა მიიღო შემდეგმა ღირებულებებმა:

1. „განებივრებული (სასიამოვნოს კეთებისაკენ მიმართული)“ – 1.99;
2. „ტკბება ცხოვრებით (საკვებით, გასართობით და სხვ.)“ – 2.21;
3. „ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი“ – 2.90 (იხ. ცხრილი 24).

საშუალოთა განაწილება ინსტრუმენტული ღირებულებების მიხედვით მორწმუნე რესპონდენტებისათვის

ცხრილი 24

რიგითობა	ინსტრუმენტული ღირებულება	რესპონდენტთა საერთო N	დიაპაზონი	მინიმ. მნიშვნელობა	მაქსიმ. მნიშვნელობა	საშუალო მაჩვენ.	სტანდარტ გადახრა
1	2.10 მშობლებისა და უფროსების პატივისცემელი (პატივისცემის გამოხატველი)	500	6	1	7	6.34	0.92
2	2.3 ერთგული (თავისი მეგობრების, ჯგუფის)	500	6	1	7	6.29	0.86
3	2.15 პატიოსანი (გულმართალი, წრფელი)	500	7	0	7	6.14	1.02
4	2.22 პასუხისმგებელი (სანდო)	500	5	2	7	6.08	0.95
5	2.21 ღვთისმოსავი	500	8	-1	7	5.88	1.32
6	2.12 ჯანმრთელი (სულიერად და ფიზიკურად)	500	7	0	7	5.87	1.26
7	2.18 ჭკვიანი (ლოგიკურად მოაზროვნე)	500	7	0	7	5.61	1.17
8	2.4 მიზანდასახული (თავდადებულად მომუშავე, მიზანსწრაფული)	500	8	-1	7	5,56	1,23
9	2.17 კანონმორჩილი	500	8	-1	7	5.54	1.49
10	2.24 მიმტვევებელი	500	8	-1	7	5.54	1.41

11	2.1 დამოუკიდებელი (საკუთარ თავში დარწმუნებული)	500	8	-1	7	5.38	1.44
12	2.19 სასარგებლო (მუშაობს სხვათა კეთილდღეობისათვის)	500	8	-1	7	5.25	1.53
13	2.13 ნიჭიერი (მცოდნე, ეფექტურად მოქმედების უნარის მქონე)	500	7	0	7	5.22	1.52
14	2.2 თავშეკავებული	500	8	-1	7	5.18	1.48
15	2.26 აკურატული	500	7	0	7	5.14	1.46
16	2.6 თავმდაბალი (არ ცდილობს ყურადღების მიპყრობას)	500	8	-1	7	5.13	1.69
17	2.5 შემწყნარებელი (სხვადასხვა იდეის, სარწმუნოების მიმართ)	500	8	-1	7	5.07	1.66
18	2.25 წარმატებული (მიზნების მიმღწევი)	500	7	0	7	4.85	1.53
19	2.11 თავად განსაზღვრავს (ირჩევს) თავის მიზნებს	500	7	0	7	4.79	1.66
20	2.8 გარემოს დამცველი	500	8	-1	7	4.50	1.73
21	2.16 იცავს საკუთარ იმიჯს (ცდილობს საკუთარი „სახის“ შენარჩუნებას)	500	8	-1	7	4.11	2.08
22	2.7 მამაცი (ეძებს თავგადასავალს, რისკს)	500	8	-1	7	3.47	2.16
23	2.23 ცნობისმოყვარე (ყველაფრით დაინტერესებული, მაძიებელი)	500	8	-1	7	3.29	2.24

24	2.9 გავლენიანი (გავლენას ახდენს ადამიანებსა და მოვლენებზე)	500	8	-1	7	2.99	2.10
25	2.14 ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი	500	8	-1	7	2.90	2.35
26	2.20 ტკეპა ცხოვრებით (საკვებით, გასართობით და სხვ.)	500	8	-1	7	2.21	2.40
27	2.27 განებივრებული (სასიამოვნოს კეთებისაკენ მიმართული)	500	8	-1	7	1.99	2.28

მორწმუნე ადამიანისათვის მხოლოდ საკუთარი სიამოვნებით ცხოვრება მიუღებელია, ხოლო რაც შეეხება „ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი“-ს დაბალ მაჩვენებელს, შესაძლოა ისე გავიგოთ, რომ ზოგადად ცხოვრების მორჩილება ნეგატიურადაა აღქმული, მორწმუნისთვის ცხოვრება ეწინააღმდეგება რელიგიას და მის ფასეულობებს, ამიტომ ასეთ ცხოვრებასთან შეგუება მისთვის მიუღებელია.

რაც შეეხება „ღვთისმოსავს“, ამ ღირებულებამ მორწმუნეებში მე-5 ადგილზე გადაინაცვლა, რადგან, ბუნებრივია, ადამიანის მორწმუნეობა მის ღვთისმოსაობას გულისხმობს.

ათეისტებთან მივიღეთ განსხვავებული სურათი მორწმუნეებთან შედარებით. მათთან ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ღირებულებებმა:

1. „მიზანდასახული (თავდადებულად მომუშავე, მიზანსწრაფული)“ – 6.15;
2. „დამოუკიდებელი (საკუთარ თავში დარწმუნებული)“ – 6.09;
3. „ჯანმრთელი (სულიერად და ფიზიკურად)“ – 6.06.

დაბალი მნიშვნელობის კი შემდეგი ღირებულებები აღმოჩნდა:

1. „ღვთისმოსავი“ – „-0.17“;
2. „ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი“ – 0.92;
3. „განებივრებული (სასიამოვნოს კეთებისაკენ მიმართული)“ – 3.79 (იხ. ცხრილი 25).

საშუალოთა განაწილება ინსტრუმენტული ღირებულებების მიხედვით ათეისტი რესპონდენტებისათვის

ცხრილი 25

რიგითობა	ინსტრუმენტული ღირებულება	რესპონდენტთა საერთო N	დიაპაზონი	მინიმ. მნიშვნელობა	მაქსიმ. მნიშვნელობა	საშუალო მაჩვენ.	სტანდარტ გადახრა
1	2.4 მიზანდასახული (თავდადებულად მომუშავე, მიზანსწრაფული)	100	6	1	7	6.15	1.09
2	2.1 დამოუკიდებელი (საკუთარ თავში დარწმუნებული)	100	6	1	7	6.09	1.04
3	2.12 ჯანმრთელი (სულიერად და ფიზიკურად)	100	6	1	7	6.06	1.03
4	2.11 თავად განსაზღვრავს (ირჩევს) თავის მიზნებს	100	6	1	7	6.05	1.04
5	2.3 ერთგული (თავის მეგობრების, ჯგუფის)	100	4	3	7	6.04	0.95
6	2.22 პასუხისმგებელი (სანდო)	100	7	0	7	5.97	1.18
7	2.25 წარმატებული(მიზნების მიმღწევი)	100	7	0	7	5.9	0.95

8	2.13 ნიჭიერი (მცოდნე, ეფექტურად მოქმედების უნარის მქონე)	100	8	-1	7	5.88	1.25
9	2.18 ჭკვიანი (ლოგიკურად მოაზროვნე)	100	6	1	7	5.83	1.04
10	2.15 პატიოსანი (გულმართალი, წრფელი)	100	6	1	7	5.74	1.26
11	2.10 მშობლებისა და უფროსების პატივისმცემელი (პატივისცემის გამომხატველი)	100	6	1	7	5.52	1.14
12	2.16 იცავს საკუთარ იმიჯს (ცდილობს საკუთარი „სახის“ შენარჩუნებას)	100	8	-1	7	5.34	1.73
13	2.23 ცნობისმოყვარე (ყველაფრით დაინტერესებული, მაძიებელი)	100	8	-1	7	5.21	1.82
14	2.17 კანონმორჩილი	100	8	-1	7	5.03	1.74
15	2.19 სასარგებლო (მუშაობს სხვათა კეთილდღეობისათვის)	100	6	1	7	4.99	1.35
16	2.26 აკურატული	100	7	0	7	4.95	1.36
17	2.8 გარემოს დამცველი	100	7	0	7	4.76	1.52
18	2.2 თავშეკავებული	100	7	0	7	4.66	1.84
19	2.6 თავმდაბალი (არ ცდილობს ყურადღების მიპყრობას)	100	8	-1	7	4.57	1.91
20	2.7 მამაცი (ეძებს თავგადასავალს, რისკს)	100	8	-1	7	4.51	1.92
21	2.24 მიმტყვებელი	100	8	-1	7	4.5	1.99

22	2.20 ტკბება ცხოვრებით (საკვებით, გასართობით და სხვ.)	100	8	-1	7	4.44	2.31
23	2.5 შემწყნარებელი (სხვადასხვა იდეის, სარწმუნოების მიმართ)	100	8	-1	7	4.38	2.11
24	2.9 გავლენიანი (გავლენას ახდენს ადამიანებსა და მოვლენებზე)	100	7	0	7	4.31	1.92
25	2.27 განებვივრებული (სასიამოვნოს კეთებისაკენ მიმართული)	100	8	-1	7	3.79	2.62
26	2.14 ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი	100	8	-1	7	0.92	2.18
27	2.21 ღვთისმოსავი	100	3	-1	2	-0.17	0.55

ათეისტისათვის მიღწევა, მიზანდასახულობა, დამოუკიდებლობა, საკუთარი თავის გარშემომყოფებზე მაღლა დაყენება პრიორიტეტულია მორწმუნისგან განსხვავებით, რომელთანაც ერთგულება, მშობლები და მათთან ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კარიერა და პირადი ინტერესები. „ჯანმრთელობაც“ ინდივიდუალისტურ ფასეულობას განეკუთვნება, ნიშნავს „მე“-ს კარგად ყოფნას როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად.

ღირებულებამ „ღვთისმოსავი“, უარყოფითი მნიშვნელობა მიიღო („-0.17“), რაც სავსებით ლოგიკურია. ათეისტი ადამიანისთვის ღვთის მორჩილება და რელიგიური შეხედულებები ნეგატიურად არის აღქმული და მიუღებელია.

როგორც მორწმუნეებში, ათეისტებშიც „ცხოვრებისეული ვითარების მორჩილმა“ დაბალი შეფასება მიიღო, ოღონდ სხვა მიზეზით – ცხოვრების მორჩილება „მე“-ს აქტივობას უპირისპირდება და ეწინააღმდეგება მის წინსვლასა და დამოუკიდებლობას.

„განებივრებული, სასიამოვნოს კეთებისკენ მიმართული“ ათეისტებში ასევე დაბალი მნიშვნელობისაა, რადგან მხოლოდ სიამოვნების მიღება მათში დადებითად არ აღიქმება. ეს ღირებულება ზოგადად საზოგადოებისათვის არის მიუღებელი.

ამ ჯგუფში პირველი ფაქტორი ხსნის საერთო დისპერსიის 33,85%-ს, ხოლო მეორე ფაქტორი – 22,23%-ს (ახსნილი დისპერსია ჯამში არის 56,08%).

როგორც ვხედავთ, მორწმუნეებში გამოიყოფა ფაქტორთა ორი ჯგუფი – I და II ფაქტორები. პირველ, ძირითად, ფაქტორში (ხსნის დისპერსიის 33,85%-ს) შედის ძირითადად კოლექტივისტური ღირებულებები, რაც კვლევის წინა ეტაპზეც გამოვლინდა: კონფორმულობა, ტრადიციულობა, კეთილგანწყობა, უნივერსალიზმი, შერეული ღირებულება – უსაფრთხოება. ძირითად ფაქტორში შევიდა ასევე მიღწევა, დამოუკიდებლობა და სტიმულირება, ამათგან ეს უკანას-

კნელი ორივე ფაქტორშია განთავსებული. სტიმულირება და მიღწევა მორწმუნებთან თავისებურად არის გაგებული – ისინი ცდილობენ საკუთარი თავის სრულყოფასა და მეტის მიღწევას იმ გზაზე, რასაც მათ თავიანთი რელიგია ასწავლის. ხოლო დამოუკიდებლობას მათ გარკვეულწილად რელიგიაც ანიჭებს, ოღონდ ეს დამოუკიდებლობა გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული და გულისხმობს გადანყვეტილებების მიღების თავისუფლებას და არა საკუთარი თავის წინ წანევას სხვების ხარჯზე.

მეორე ფაქტორში კი (ხსნის დისპერსიის 22,23%-ს) მორწმუნებთან მოხვდა მკვეთრად ინდივიდუალისტური ღირებულებები – ჰედონიზმი და ძალაუფლება, რაც კვლევის წინა ეპტაპზეც იყო აღნიშნული.

რაც შეეხება ათვისტებს, მათთან გამოყოფილია ორი ფაქტორი, რომელთაგან ორივე თანაბარმნიშვნელოვანია, პირველი ხსნის დისპერსიის 28,61%-ს, ხოლო მეორე – 28,52%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც კოლექტივისტური, ისე ინდივიდუალისტური ღირებულებები ათვისტში თანაბრად არის წარმოდგენილი. ისინი, მართალია, არ არიან რელიგიურები, თუმცა იძულებული არიან გარკვეული ანგარიშში გაუწიონ საზოგადოებას. ჰედონიზმი მათთან მეორე ფაქტორშია, ხოლო ძალაუფლება წარმოდგენილია როგორც პირველ ფაქტორში, ასევე მეორე ფაქტორში. მათი ღირებულებათა სისტემა გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია, ტრადიციულ გარემოში საკმაოდ არაადექვატურად გამოიყურებიან (იხ. ცხრილი 51).

მოტივაციური ტიპი	I ფაქტორი	II ფაქტორი
კონფორმულობა	0.476	0.461
ტრადიციულობა	0.514	0.575
კეთილგანწყობა	0.643	
უნივერსალიზმი	0.696	
დამოუკიდებლობა	0.549	
სტიმულირება	0.732	
ჰედონიზმი		0.606
მიღწევა	0.689	
ძალაუფლება	0.596	0.562
უსაფრთხოება	0.623	

ამ ჯგუფში პირველი ფაქტორი ხსნის საერთო დისპერსიის 28,61%-ს, ხოლო მეორე ფაქტორი – 28,52%-ს (ახსნილი დისპერსია ჯამში არის 57,13%).

როგორც ვხედავთ, ფაქტორული ანალიზის შედეგად მივიღეთ, რომ მორწმუნეებისა და ათეისტების ღირებულებათა სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება.

მეორე ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩავატარეთ ფაქტორული ანალიზი მორწმუნეთა ხუთივე ჯგუფში (კალ-კალკე, მართლმადიდებლების შემთხვევაში გამოიყო ორი ძირითადი ჯგუფი – I და II ფაქტორები. პირველ, ძირითად, ფაქტორში (ხსნის საერთო დისპერსიის 31,80%-ს) შედის ძირითადად კოლექტივისტური ღირებულებები. წამყვანი მათთვის არის კონფორმულობა – უარყოფითი, მიუღებელი სოციალური ქცევის დათრგუნვა, რელიგია ამ ადამიანების-

თვის დიდწილად განსაზღვრავს ცხოვრების წესს, მათ ქცევას აძლევს სიმყარეს.

მნიშვნელოვანია ტრადიციულობაც, მათ მოსწონთ წინაპრების მიერ დამკვიდრებული წესები, კრიტიკულად არ უყურებენ მას, მოსწონთ, რაც „მათია“. ისინი იქცევიან კეთილგანწყობის კრიტერიუმით ყველაფრის მიუხედავად, რადგან მათთვის ეს ღირებულებაც მნიშვნელოვანია. პირველ ფაქტორში მოხვდა უსაფრთხოება, რომელიც შერეული ღირებულებაა და გულისხმობს როგორც პირადი, ასევე ახლობლების უსაფრთხოების მოთხოვნილებას და უნივერსალიზმი, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობას მოიცავს.

მართლმადიდებლებისთვის ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და პირველ ფაქტორში განთავსდა მიღწევა. მათ სურთ თავის წარმოჩენა, სხვებთან შედარებით გარკვეული უპირატესობის მოპოვება. რელიგია არ ამბობს, რომ მიღწევა ცუდია, იგი გარკვეულწილად გულისხმობს საკუთარი თავის სრულყოფისათვის ბრძოლას რელიგიური ცხოვრების გზაზე. მნიშვნელოვანია, ქრისტიანული ცხოვრების წესით აჯობო სხვას, რადგან ქრისტემ აჯობა სხვებს ადამიანებისათვის თავდადებით.

რაც შეეხება მეორე ფაქტორს (ხსნის დისპერსიის 25,83%-ს), მასში განთავსდა ის ღირებულებები, რომლებიც ნაკლებად არის წარმოჩენილი და მიეკუთვნება ინდივიდუალისტურ ღირებულებებს: ძალაუფლება, ჰედონიზმი, სტიმულირება და დამოუკიდებლობა (იხ. ცხრილი 52).

მართლმადიდებლები

ცხრილი 52

მოტივაციური ტიპი	I ფაქტორი	II ფაქტორი
კონფორმულობა	0.734	
ტრადიციულობა	0.713	
კეთილგანწყობა	0.693	
უსაფრთხოება	0.681	
მიღწევა	0.659	
უნივერსალიზმი	0.644	
ძალაუფლება		0.667
ჰედონიზმი		0.636
სტიმულირება		0.528
დამოუკიდებლობა		0.507

ამ ჯგუფში პირველი ფაქტორი ხსნის საერთო დისპერსიის 31,80%-ს, ხოლო მეორე ფაქტორი – 25,83%-ს (ახსნილი დისპერსია ჯამში არის 57,63%).

კათოლიკებშიც ორი ფაქტორი გამოიყო. ისინი ჰგვანან მართლმადიდებლებს იმით, რომ მათთვისაც მნიშვნელოვანია კონფორმულობა, ტრადიციულობა, კეთილგანწყობა, უნივერსალიზმი, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი – დამოუკიდებლობა, სტიმულირება, ჰედონიზმი, ძალაუფლება. რაც შეეხება მიღწევას, ის კათოლიკებთან მეორე, ნაკლებადმნიშვნელოვან ფაქტორში შევიდა, თუმცა რიცხვითი მნიშვნელობა სხვებზე მაღალი აღმოაჩნდა. რაც შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ მიღწევა და საკუთარი თავის წარმოჩენა მათთვის მნიშვნელოვანია, თუმცა ამას არ აღიარებენ. ერთის მხრივ, არ უპირისპირდება უმრავლესობას და, მეორეს მხრივ, არ ითვალისწინებს მათ აზრს, ეს მიღწევაში არ აბრკოლებს. ის, რომ არ უპირისპირდება სხვებს, ასეთი ქცევა გამართლებულია გადარჩენის თვალსაზ-

რისით. მეორეს მხრივ, მილნევისთვის რომ არ იბრძოლოს, ვერ იქნება ჰარმონიაში საკუთარ თავთან.

უსაფრთხოების მიმართ კათოლიკეებში გამოიხატა საშუალო დამოკიდებულება, ეს ღირებულება გამოკვეთილად არცერთ ფაქტორში არ არის შესული. როგორც ჩანს, მათი ქცევა არ არის ნაკარნახევი გადარჩენით; გარემო, რომელშიც ცხოვრობენ, არ არის მათთვის საფრთხის შემცველი, თავს გრძნობენ კომფორტულად. მართლმადიდებლებისთვის უსაფრთხოება პირველ ფაქტორში იყო წარმოდგენილი, მათი უმეტესობა ქართველია, ქართველი კი საქართველოსთან ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიკაციას, საქართველოს ხიფათს საკუთარ ხიფათად მიიჩნევს, ეს შიშები კი აისახება მასზე. კათოლიკესთვის კი, როგორც აღვნიშნეთ, ეს გარემო არ არის საფრთხის შემცველი (იხ. ცხრილი 53).

კათოლიკეები

ცხრილი 53

მოტივაციური ტიპი	I ფაქტორი	II ფაქტორი
კონფორმულობა	0.684	
ტრადიციულობა	0.766	
კეთილგანწყობა	0.786	
უნივერსალიზმი	0.628	
დამოუკიდებლობა		0.761
სტიმულირება		0.720
ჰედონიზმი		0.442
მილწევა		0.810
ძალაუფლება		0.556
უსაფრთხოება	0.433	0.383

ამ ჯგუფში პირველი ფაქტორი ხსნის საერთო დისპერსიის 32,62%-ს, ხოლო მეორე ფაქტორი – 28,30%-ს (ახსნილი დისპერსია ჯამში არის 60,92%).

რაც შეეხება მონოფიზიტებს, მათთან გამოიყო ფაქტორთა 3 ჯგუფი. პირველ, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორში შევიდა კეთილგანწყობა, უნივერსალიზმი, დამოუკიდებლობა, ჰედონიზმი, მიღწევა, ძალაუფლება. ბოლო ოთხი მიეკუთვნება ინდივიდუალისტურ ღირებულებებს. როგორ ჩანს, მათი მოტივაციაა წარმოაჩინონ და დაიმკვიდრონ საკუთარი თავი და ცხოვრებისგან მიიღონ სიამოვნება.

მეორე ფაქტორში შევიდა უსაფრთხოება. როგორც ჩანს, მონოფიზიტები, კათოლიკების მსგავსად, აღნიშნულ გარემოში თავს კომფორტულად გრძნობენ. ამავე ფაქტორში განთავსდა სტიმულირება. როგორც ჩანს, სიახლის მიღება, ახლის ძიებისა და აღმოჩენის პროცესი მათთვის ნაკლებმნიშვნელოვანია. აქ, შესაძლოა, გამოხატული იყოს მოტივაციური კონფლიქტი – მიღწევა უნდათ, ხოლო სიახლის მიღებისთვის არ არიან განწყობილი.

კონფორმულობა მონოფიზიტებისთვის ასევე ნაკლებმნიშვნელოვანი აღმოჩნდა. როგორც ჩანს ეს გამოხატულია ქართული საზოგადოების მიმართ, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ტრადიციულობაც მესამე ფაქტორში შევიდა. ჩვენი აზრით, ასეთი დამოკიდებულება ასევე გამოხატულია ქართული ტრადიციების მიმართ, რომლებიც არ არის მათთვის ფასეული. თუმცა, შესაძლოა, ეს დამოკიდებულება გამოხატული იყოს სასომხეთში მცხოვრები სომხების ტრადიციების მიმართაც, რომლებიც უკვე აღარ არის მათში შემორჩენილი და, ამდენად, ნაკლებად ღირებულია მათთვის (იხ. ცხრილი 54).

მონოფიზიტები

ცხრილი 54

მოტივაციური ტიპი	I ფაქტორი	II ფაქტორი	III ფაქტორი
კონფორმულობა			0.657
ტრადიციულობა			0.605
კეთილგანწყობა	0.592		
უნივერსალიზმი	0.658		
დამოუკიდებლობა	0.785		
სტიმულირება		0.558	
ჰედონიზმი	0.749		
მიღწევა	0.781		
ძალაუფლება	0.728		
უსაფრთხოება		0.606	

ამ ჯგუფში პირველი ფაქტორი ხსნის საერთო დისპერსიის 30,56%-ს, მეორე ფაქტორი – 17,14%-ს, მესამე ფაქტორი კი – 13,47%-ს (ახსნილი დისპერსია ჯამში არის 61,17%).

მაჰმადიანებში გამოიყო ორი ფაქტორი. რვა ღირებულება გაერთიანებულია პირველ, ძირითად ფაქტორში, ხოლო მკვეთრად ინდივიდუალისტური ღირებულებები – ჰედონიზმი და ძალაუფლება – მეორე ფაქტორში. ჰედონიზმი (მაგ., ღვინის სმა, გარკვეული ხორცის მიღება და ა. შ.) აკრძალულია ისლამის მიერ. ეს მათთვის არ არის ნამყვანი, მამოძრავებელი ღირებულება. რაც შეეხება ძალაუფლებას, მაჰმადიანები ჩვენს ქვეყანაში ნაკლებად იღვნიან ძალაუფლებისთვის, ნაკლებად იკავებენ დიდ თანამდებობებს, ამდენად, ეს ღირებულებაც მათთვის ნაკლებადმნიშვნელოვანია.

პირველ ფაქტორში შესული ღირებულებები კი არის როგორც კოლექტივისტური (რელიგიიდან გამომდინარე), ასევე ინდივიდუალ-

ლისტური. მათთვის მნიშვნელოვანია მიღწევა, სტიმულირება, დამოუკიდებლობა, გამოირჩევიან შრომისმოყვარეობით, ქმნიან დოვლათს, საქართველოს ტერიტორიაზე ცალკე დასახლებებში ცხოვრობენ დამოუკიდებელ, იზოლირებულ სუბკულტურებად, რაც მათში აღნიშნულ თვისებებს განაპირობებს (იხ. ცხრილი 55).

მაჰმადიანები

ცხრილი 55

მოტივაციური ტიპი	I ფაქტორი	II ფაქტორი
კონფორმულობა	0.655	
ტრადიციულობა	0.665	
კეთილგანწყობა	0.699	
უნივერსალიზმი	0.750	
დამოუკიდებლობა	0.752	
სტიმულირება	0.796	
ჰედონიზმი		0.725
მიღწევა	0.770	
ძალაუფლება		0.631
უსაფრთხოება	0.607	

ამ ჯგუფში პირველი ფაქტორი ხსნის საერთო დისპერსიის 36,44%-ს, ხოლო მეორე ფაქტორი – 22,87%-ს (ახსნილი დისპერსია ჯამში არის 59,31%).

იუდეველებში, მონოფიზიტების მსგავსად, გამოიყო სამი ფაქტორი. პირველ, ძირითად ფაქტორში გაერთიანებულია ყველა კოლექტივისტური ღირებულება და დამოუკიდებლობა, ხოლო ნაკლებდმნიშვნელოვანია სტიმულირება, ძალაუფლება (II ფაქტორი) და ჰედონიზმი (III ფაქტორი). მიღწევის მხრივ კი აღინიშნა გარკვეული

ნინააღმდეგობა. ერთის მხრივ, მიღწევა დაფასებულია, მეორეს მხრივ კი რელიგიურობის მომატება ამცირებს მიღწევას (იხ. ცხრილი 56).

ოუდეველები

ცხრილი 56

მოტივაციური ტიპი	I ფაქტორი	II ფაქტორი	III ფაქტორი
კონფორმულობა	0.618		
ტრადიციულობა	0.600		
კეთილგანწყობა	0.799		
უნივერსალიზმი	0.581		
დამოუკიდებლობა	0.649		
სტიმულირება		0.735	
ჰედონიზმი			0.776
მიღწევა	0.690		0.542
ძალაუფლება		0.798	
უსაფრთხოება	0.702		

ამ ჯგუფში პირველი ფაქტორი ხსნის საერთო დისპერსიის 26,69%-ს, მეორე ფაქტორი – 22,27%-ს, მესამე ფაქტორი კი – 20,45%-ს (ახსნილი დისპერსია ჯამში არის 69,41%).

აღნიშნული შედეგები საშუალებას იძლევა ვთქვათ, რომ ჩვენი მეორე ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა რელიგიების აღმსარებლების ღირებულებათა სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან, დასტურდება.

4.5. რეგრესიული ანალიზი

ა) სარწმუნოების გავლენა ღირებულებებზე

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ჰიპოთეზების შემოწმება საკმარისი არ აღმოჩნდა კვლევის დასრულებისათვის. მნიშვნელოვან ფაქტორად მივიჩნიეთ თითოეული სარწმუნოების, როგორც დამოუკიდებელი ცვლადის, გავლენის მათემატიკური გამოთვლა თითოეულ ღირებულებაზე, როგორც დამოუკიდებელ ცვლადზე. ამისათვის საჭირო გახდა რეგრესიული ანალიზის ჩატარება. აღნიშნული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვიკვლიოთ, ამა თუ იმ ფაქტორის მომატება როგორ იმოქმედებს კონკრეტულ ღირებულებაზე – გაზრდის თუ შეამცირებს მის მნიშვნელობას.

ჩვენ ვანალიზებთ მხოლოდ იმ ღირებულებებს, რომელთა მონაცემებიც არის სანდო (სანდოობა $<0,05$ -ზე). მაგ., მორწმუნეებთან მივიღეთ, რომ რელიგიურობის მომატება ზრდის კოლექტივისტურ ღირებულებებს: კონფორმულობას, ტრადიციულობასა და კეთილგანწყობას, ხოლო ამცირებს დამოუკიდებლობასა და ძალაუფლებას. მცირდება ასევე უსაფრთხოება, რაც ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ რელიგიურობა ადამიანს მატებს დაცულობის შეგრძნებას და მას უსაფრთხოების მოთხოვნილება ნაკლებად აქვს (იხ. ცხრილი 57).

სარწმუნოების გავლენა ღირებულებებზე
მორწმუნე

ცხრილი 57

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტობ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდლობა	B-ს ექსპოდენტ. მნიშვ.
კონფორ- მულობა	0.443	0.193	5.285	1	0.022	1.557
ტრადიცი- ულობა	1.565	0.266	34.614	1	0.000	4.782
კეთილგან- წყობა	1.998	0.345	33.501	1	0.000	7.372
უნივერსა- ლიზმი	-1.095	0.262	17.517	1	0.000	0.334
დამოუკი- დებლობა	-0.692	0.247	7.816	1	0.005	0.501
სტიმული- რება	-0.286	0.165	3.019	1	0.082	0.751
ჰედონიზ- მი	-0.094	0.114	0.687	1	0.407	0.910
მიღწევა	-0.217	0.252	0.744	1	0.388	0.805
ძალაუფ- ლება	-0.423	0.169	6.280	1	0.012	0.655
უსაფ- რთხოება	-0.610	0.312	3.808	1	0.051	0.543

ათვისტებთან განსხვავებული სურათია: მათთან არარელი-
გიურობის მომატება ზრდის უნივერსალიზმს, დამოუკიდებლო-
ბასა და ძალაუფლებას, იმატებს ასევე უსაფრთხოების მოთ-
ხოვნილება, ხოლო კოლექტივისტური ღირებულებების მნიშ-
ვნელობა მცირდება (იხ. ცხრილი 58).

სარწმუნოების გავლენა ღირებულებებზე
ათეისტი

ცხრილი 58

	B(ლოგარ. მან- ხას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტზ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპოდენტ. მნიშვნ.
კონფორმულობა	-0.443	0.193	5.285	1	0.022	0.642
ტრადიციულობა	-1.565	0.266	34.614	1	0.000	0.209
კეთილგანწყობა	-1.998	0.345	33.501	1	0.000	0.136
უნივერსალიზმი	1.095	0.262	17.517	1	0.000	2.990
დამოუკიდებლობა	0.692	0.247	7.816	1	0.005	1.997
სტიმულირება	0.286	0.165	3.019	1	0.082	1.331
ჰედონიზმი	0.094	0.114	0.687	1	0.407	1.099
მიღწევა	0.217	0.252	0.744	1	0.388	1.243
ძალაუფლება	0.423	0.169	6.280	1	0.012	1.526
უსაფრთხოება	0.610	0.312	3.808	1	0.051	1.840

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი პირველი ჰიპოთეზის მართებულობას, რომ მორწმუნისა და ათეისტის ღირებულებათა სისტემები განსხვავდება ერთმანეთისგან.

რეგრესიული ანალიზი ჩავატარეთ სხვადასხვა სარწმუნოებრივ ჯგუფებშიც. როგორც აღმოჩნდა, მართლმადიდებლობის მომატება ზრდის კოლექტივისტურ და ამცირებს ინდივიდუალ-

ლისტურ ღირებულებებს, ამცირებს ასევე უსაფრთხოების მოთხოვნილებას. გამონაკლისია სტიმულირება, რომელიც მატულობს (იხ. ცხრილი 59).

მართლმადიდებლობის გავლენა ღირებულებებზე
ცხრილი 59

	B(ლოგარ. მას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპოდენც. მნიშვ.
კონფორმულობა	0.396	0.152	6.738	1	0.009	0.673
ტრადიციულობა	0.392	0.167	5.494	1	0.019	1.480
კეთილგანწყობა	0.608	0.219	7.699	1	0.006	1.837
უნივერსალიზმი	-0.272	0.153	3.150	1	0.076	0.762
დამოუკიდებლობა	0.001	0.141	0.000	1	0.995	1.001
სტიმულირება	0.240	0.097	6.102	1	0.014	1.271
ჰედონიზმი	-0.216	0.078	7.670	1	0.006	0.806
მიღწევა	-0.053	0.143	0.138	1	0.710	0.948
ძალაუფლება	0.096	0.122	0.611	1	0.434	1.100
უსაფრთხოება	-0.408	0.194	4.403	1	0.036	0.665

კათოლიკეებში რელიგიურობის მომატება ასევე ამცირებს ინდივიდუალისტურ ღირებულებებსა და უსაფრთხოებას (იხ. ცხრილი 60).

კათოლიციზმის გავლენა ღირებულებებზე

ცხრილი 60

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტიზ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპონენც. მნიშვ.
კონფორმულობა	-0.017	0.171	0.009	1	0.923	0.984
ტრადიციულობა	0.326	0.173	3.524	1	0.060	1.385
კეთილგანწყობა	-0.063	0.228	0.077	1	0.781	0.939
უნივერსალიზმი	0.372	0.170	4.790	1	0.029	1.450
დამოუკიდებლობა	-0.106	0.146	0.525	1	0.469	0.900
სტიმულირება	0.014	0.096	0.020	1	0.886	1.014
ჰედონიზმი	-0.244	0.084	8.518	1	0.004	0.783
მიღწევა	-0.322	0.149	4.678	1	0.031	0.725
ძალაუფლება	-0.267	0.134	3.976	1	0.046	0.766
უსაფრთხოება	-0.220	0.203	1.176	1	0.278	0.803

მონოფიზიტებში რელიგიურობის მომატება ამცირებს მიღწევასა და ძალაუფლებას, ხოლო ჰედონიზმს ზრდის (იხ. ცხრილი 61).

მონოფიზიტობის გავლენა ღირებულებებზე

ცხრილი 61

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტბ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდოობა	B-ს ექსპოდენტ-მნიშვ.
კონფორმულობა	0.261	0.165	2.499	1	0.114	1.299
ტრადიციულობა	-0.075	0.159	0.224	1	0.636	0.927
კეთილგანწყობა	0.029	0.212	0.019	1	0.891	1.030
უნივერსალიზმი	-0.079	0.153	0.264	1	0.607	0.924
დამოუკიდებლობა	0.213	0.144	2.186	1	0.139	1.237
სტიმულირება	-0.124	0.094	1.749	1	0.186	0.884
ჰედონიზმი	0.168	0.081	4.349	1	0.037	1.183
მიღწევა	-0.439	0.147	8.849	1	0.003	0.645
ძალაუფლება	-0.329	0.123	7.151	1	0.007	0.720
უსაფრთხოება	0.275	0.205	1.795	1	0.180	1.316

მაჰმადიანებში რელიგიურობის მომატება ამცირებს სტიმულირებასა და ჰედონიზმს, ზრდის უსაფრთხოებას (იხ. ცხრილი 62).

ისლამის გავლენა ღირებულებებზე

ცხრილი 62

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტზ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდოობა	B-ს ექსპოდენტ-მნიშვ.
კონფორმულობა	0.185	0.174	1.132	1	0.287	1.203
ტრადიციულობა	0.162	0.164	0.977	1	0.323	1.176
კეთილგანწყობა	0.151	0.221	0.465	1	0.496	1.163
უნივერსალიზმი	-0.158	0.158	1.006	1	0.316	0.854
დამოუკიდებლობა	-0.075	0.145	0.268	1	0.604	0.928
სტიმულირება	-0.265	0.096	7.688	1	0.006	0.767
ჰედონიზმი	-0.226	0.082	7.514	1	0.006	1.253
მიღწევა	-0.178	0.152	1.361	1	0.243	0.837
ძალაუფლება	-0.049	0.122	0.160	1	0.689	0.952
უსაფრთხოება	0.683	0.218	9.788	1	0.002	1.979

ხოლო იუდეველებში რელიგიურობის მომატება იწვევს ტრადიციულობისა და მიღწევის მომატებს და უნივერსალიზმისა და დამოუკიდებლობის დაქვეითებას (იხ. ცხრილი 63).

ოუღაიზმის გავლენა ღირებულებებზე

ცხრილი 63

	B(ლოგარ. მახს.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტიზ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპოდენც. მნიშვ.
კონფორმულობა	0.244	0.169	2.087	1	0.149	1.276
ტრადიციულობა	0.445	0.173	6.646	1	0.010	1.560
კეთილგანწყობა	0.415	0.224	3.441	1	0.064	1.515
უნივერსალიზმი	-0.517	0.159	10.600	1	0.001	0.596
დამოუკიდებლობა	-0.330	0.146	5.076	1	0.024	0.719
სტიმულირება	0.094	0.100	0.875	1	0.350	1.098
ჰედონიზმი	0.044	0.078	0.311	1	0.577	1.044
მიღწევა	0.616	0.158	15.148	1	0.000	1.851
ძალაუფლება	0.094	0.122	0.594	1	0.441	1.098
უსაფრთხოება	-0.470	0.203	5.365	1	0.021	0.625

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების ღირებულებები რეგრესიული ანალიზითაც განსხვავდება ერთმანეთისგან, რითაც ჩვენი მეორე ჰიპოთეზა დასტურდება.

უფრო თვალსაჩინოდ რომ გამოვსახოთ რეგრესიული ანალიზის შედეგები სარწმუნოების მხრივ, წარმოგიდგინთ ცხრილს (იხ. ცხრილი 64):

რეგრესიული ანალიზი

ცხრილი 64

მოტივა- ციური ტიპი	მორწმუნე	ათეისტი	მართლმად იდებელი	კათოლ იკე	მონოფი ზიტი	მაჰმად იანი	ოუდეველი
კონფორ- მულობა	†	-	†				
ტრადიციუ- ლობა	†	-	†				†
კეთილგან- წყობა	†	-	†				
უნივერსა- ლიზმი		†		†			-
დამოუკი- დებლობა	-	†					-
სტიმული- რება			†			-	
ჰედონიზმი			-	-	†	-	
მიღწევა				-	-		†
ძალაუფ- ლება	-	†		-	-		
უსაფ- რთხოება	-	†	-	-		†	-

ცხრილში † ნიშნავს ღირებულების გაზრდას, ხოლო - კი - შემცირებას.

ბ) სხვადასხვა ცვლადის (ეროვნება, ასაკი, სქესი, დასაქმება, განათლება, მატერიალური მდგომარეობა) გავლენა ღირებულებებზე

რეგრესიული ანალიზი ჩავატარეთ სხვა ცვლადების მიხედვითაც. აღვნიშნავთ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს: ეროვნების მიხედვით ქართველებში იმატებს დამოუკიდებლობა, რუსებში მცირდება კეთილგანწყობა, სომხებში იმატებს ჰედონიზმი, აზერბაიჯანელებსა და იტალიელებში ჰედონიზმი მცირდება, ებრაელებში ტრადიციულობა, მიღწევა და დამოუკიდებლობა იზრდება (იხ. ცხრილები 65-72).

ქართველები

ცხრილი 65

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპონენც. მნიშ.
კონფორმულობა	-0.094	0.117	0.646	1	0.421	0.910
ტრადიციულობა	-0.093	0.123	0.581	1	0.446	0.911
კეთილგანწყობა	-0.166	0.163	1.044	1	0.307	0.847
უნივერსალიზმი	0.123	0.120	1.060	1	0.303	1.131
დამოუკიდებლობა	0.289	0.116	6.187	1	0.013	1.336
სტიმულირება	0.017	0.075	0.052	1	0.819	1.017
ჰედონიზმი	-0.071	0.060	1.412	1	0.235	0.931
მიღწევა	0.061	0.115	0.288	1	0.592	1.063
ძალაუფლება	0.086	0.092	0.867	1	0.352	1.089
უსაფრთხოება	-0.137	0.153	0.801	1	0.371	0.872

რუსები

ცხრილი 66

	B(ლოგარ. მა- ხას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტიზ. კოეფიციენტი	თავისუფლე- ბის ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპო- ნენც. მნიშვ.
კონფორმულობა	-0.163	0.170	0.923	1	0.337	0.849
ტრადიციულობა	-0.140	0.192	0.531	1	0.466	0.869
კეთილგანწყობა	-0.524	0.252	4.305	1	0.038	0.592
უნივერსალიზმი	0.158	0.188	0.712	1	0.399	1.172
დამოუკიდებლო- ბა	-0.157	0.183	0.731	1	0.393	0.855
სტიმულირება	0.062	0.121	0.261	1	0.609	1.064
ჰედონიზმი	-0.099	0.097	1.043	1	0.307	0.906
მიღწევა	-0.003	0.184	0.000	1	0.985	0.997
ძალაუფლება	0.226	0.146	2.390	1	0.122	1.254
უსაფრთხოება	0.186	0.243	0.585	1	0.445	1.204

სომხები

ცხრილი 67

	B(ლოგარ. მა- ხას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტიზ. კოეფიციენტი	თავისუფლ- ბის ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპო- დენც. მნიშვ.
კონფორმულობა	0.067	0.154	0.192	1	0.661	1.070
ტრადიციულობა	-0.066	0.155	0.184	1	0.668	0.936
კეთილგანწყობა	0.048	0.206	0.053	1	0.817	1.049
უნივერსალიზმი	-0.080	0.149	0.290	1	0.590	0.923
დამოუკიდებლო- ბა	0.238	0.142	2.818	1	0.093	1.269
სტიმულირება	-0.120	0.092	1.691	1	0.193	0.887
ჰედონიზმი	0.170	0.079	4.648	1	0.031	1.186
მიღწევა	-0.397	0.144	7.625	1	0.006	0.672
ძალაუფლება	-0.309	0.120	6.650	1	0.010	0.734
უსაფრთხოება	0.252	0.198	1.616	1	0.204	1.286

აზერბაიჯანელები

ცხრილი 68

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტზ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპონენც. მნიშვ.
კონფორმულობა	-0.049	0.204	0.059	1	0.809	0.952
ტრადიციულობა	0.109	0.203	0.288	1	0.592	1.115
კეთილგანწყობა	0.218	0.274	0.635	1	0.426	1.244
უნივერსალიზმი	-0.148	0.192	0.591	1	0.442	0.863
დამოუკიდებლობა	-0.147	0.178	0.687	1	0.407	0.863
სტიმულირება	-0.299	0.118	6.437	1	0.011	0.742
ჰედონიზმი	-0.244	0.105	5.425	1	0.020	1.277
მიღწევა	-0.245	0.186	1.738	1	0.187	0.782
ძალაუფლება	-0.025	0.153	0.026	1	0.871	0.975
უსაფრთხოება	0.702	0.268	6.860	1	0.009	2.018

ბერძნები

ცხრილი 69

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდო- მილ.	სტანდარტიზ. კოე- ფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპოდენც. მნიშვ.
კონფორმულობა	-0.141	0.239	0.348	1	0.555	0.868
ტრადიციულობა	-0.244	0.240	1.038	1	0.308	0.783
კეთილგანწყობა	0.333	0.327	1.039	1	0.308	1.396
უნივერსალიზმი	0.435	0.248	3.067	1	0.080	1.545
დამოუკიდებლო- ბა	-0.072	0.209	0.117	1	0.732	0.931
სტიმულირება	0.312	0.148	4.413	1	0.036	1.366
ჰედონიზმი	-0.216	0.115	3.551	1	0.060	0.806
მიღწევა	-0.138	0.211	0.424	1	0.515	0.871
ძალაუფლება	-0.059	0.181	0.106	1	0.745	0.943
უსაფრთხოება	-0.147	0.295	0.250	1	0.617	0.863

იტალიელები

ცხრილი 70

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტობ. კოეფიციენტი	თავისუფლები ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპონენც. მნიშვ.
კონფორმულობა	0.124	0.344	0.129	1	0.719	1.131
ტრადიციულობა	0.437	0.316	1.904	1	0.168	1.548
კეთილგანწყობა	-0.503	0.442	1.295	1	0.255	0.604
უნივერსალიზმი	0.498	0.322	2.389	1	0.122	1.645
დამოუკიდებლობა	-0.359	0.259	1.919	1	0.166	0.699
სტიმულირება	-0.107	0.165	0.418	1	0.518	0.899
ჰედონიზმი	-0.488	0.175	7.797	1	0.005	0.614
მიღწევა	-0.199	0.256	0.603	1	0.437	0.820
ძალაუფლება	0.024	0.246	0.010	1	0.921	1.025
უსაფრთხოება	0.329	0.389	0.715	1	0.398	1.390

ფრანგები

ცხრილი 71

	B(ლოგარ. მა- ხას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტზ. კოეფიციენტი	თავისუფლ- ბის ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპო- დენც. მნიშვ.
კონფორმულობა	0.426	0.496	0.735	1	0.391	1.531
ტრადიციულობა	-0.473	0.496	0.907	1	0.341	0.623
კეთილგანწყობა	0.290	0.584	0.246	1	0.620	1.336
უნივერსალიზმი	0.197	0.478	0.171	1	0.680	1.218
დამოუკიდებლო- ბა	-0.486	0.386	1.586	1	0.208	0.615
სტიმულირება	0.632	0.308	4.214	1	0.040	1.881
ჰედონიზმი	0.463	0.250	3.426	1	0.064	1.589
მიღწევა	-0.221	0.438	0.253	1	0.615	0.802
ძალაუფლება	-0.965	0.382	6.379	1	0.012	0.381
უსაფრთხოება	-0.722	0.589	1.504	1	0.220	0.486

ებრაელები

ცხრილი 72

	B(ლოგარ. მახს.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპონენც. მნიშვ.
კონფორმულობა	0.244	0.169	2.087	1	0.149	1.276
ტრადიციულობა	0.445	0.173	6.646	1	0.010	1.560
კეთილგანწყობა	0.415	0.224	3.441	1	0.064	1.515
უნივერსალიზმი	-0.517	0.159	10.600	1	0.001	0.596
დამოუკიდებლობა	0.330	0.146	5.076	1	0.024	0.719
სტიმულირება	0.094	0.100	0.875	1	0.350	1.098
ჰედონიზმი	0.044	0.078	0.311	1	0.577	1.044
მიღწევა	0.616	0.158	15.148	1	0.000	1.851
ძალაუფლება	0.094	0.122	0.594	1	0.441	1.098
უსაფრთხოება	-0.470	0.203	5.365	1	0.021	0.625

ასაკის მიხედვით, 30 წელზე ნაკლები ასაკის ადამიანებში მატულობს დამოუკიდებლობა, სტიმულირება და ჰედონიზმი, ხოლო 30 წელზე მეტი ასაკისებში კი – ტრადიციულობა, კეთილგანწყობა, უნივერსალიზმი და უსაფრთხოება (იხ. ცხრილები 73-74).

30 წელზე მეტი ასაკის

ცხრილი 73

	B(ლოგარ. მა- ხას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტიზ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპოდენც. მნიშვ.
კონფორმულობა	-0.027	0.120	0.052	1	0.820	0.973
ტრადიციულობა	0.121	0.125	0.927	1	0.002	1.128
კეთილგანწყობა	0.159	0.164	0.933	1	0.009	0.853
უნივერსალიზმი	0.502	0.126	15.96 4	1	0.000	1.652
დამოუკიდებლო- ბა	-0.297	0.114	6.791	1	0.334	0.743
სტიმულირება	-0.285	0.076	14.00 1	1	0.984	0.752
ჰედონიზმი	-0.185	0.060	9.534	1	0.336	0.831
მიღწევა	0.167	0.119	1.962	1	0.161	1.182
ძალაუფლება	0.019	0.094	0.041	1	0.840	1.019
უსაფრთხოება	0.003	0.156	0.000	1	0.000	0.997

30 წლის ან ნაკლები ასაკის

ცხრილი 74

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტოზ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპოდენც. მნიშვ.
კონფორმულობა	0.027	0.120	0.052	1	0.820	1.028
ტრადიციულობა	-0.121	0.125	0.927	1	0.336	0.886
კეთილგანწყობა	0.159	0.164	0.933	1	0.334	1.172
უნივერსალიზმი	-0.502	0.126	15.96 4	1	0.000	0.605
დამოუკიდებლობა	0.297	0.114	6.791	1	0.009	1.345
სტიმულირება	0.285	0.076	14.00 1	1	0.000	1.329
ჰედონიზმი	0.185	0.060	9.534	1	0.002	1.203
მიღწევა	-0.167	0.119	1.962	1	0.161	0.846
ძალაუფლება	-0.019	0.094	0.041	1	0.840	0.981
უსაფრთხოება	0.003	0.156	0.000	1	0.984	1.003

სქესის მიხედვით, მამრობითი სქესის რესპონდენტებში იზრდება კონფორმულობა, სტიმულირება და ჰედონიზმი, ტრადიციულობა მცირდება, ხოლო მდედრობითი სქესის რესპონდენტებში მატულობს კონფორმულობა, კეთილგანწყობა, ტრადიციულობა. უსაფრთხოება მამრობითი სქესის რესპონდენტებში მცირდება, მდედრობითი სქესის რესპონდენტებში – იზრდება (იხ. ცხრილები 75-76).

მამრობითი სქესის

ცხრილი 75

	B(ლოგარ. მას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდოობა	B-ს ექსპონენც. მნიშ.
კონფორმულობა	0.366	0.116	9.989	1	0.002	1.442
ტრადიციულობა	-0.309	0.120	6.651	1	0.010	0.734
კეთილგანწყობა	0.024	0.157	0.023	1	0.880	1.024
უნივერსალიზმი	-0.001	0.116	0.000	1	0.993	0.999
დამოუკიდებლობა	-0.121	0.109	1.236	1	0.266	0.886
სტიმულირება	0.207	0.072	8.271	1	0.004	1.230
ჰედონიზმი	0.116	0.058	3.991	1	0.046	0.890
მიღწევა	0.025	0.110	0.051	1	0.822	1.025
ძალაუფლება	0.109	0.090	1.486	1	0.223	1.116
უსაფრთხოება	-0.368	0.148	6.153	1	0.013	0.692

მდედრობითი სქესის

ცხრილი 76

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდო- მილ.	სტანდარტიზ. კოე- ფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპოდენტ. მნიშვ.
კონფორმულობა	0.366	0.116	9.989	1	0.002	0.693
ტრადიციულობა	0.309	0.120	6.651	1	0.010	1.362
კეთილგანწყობა	0.024	0.157	0.023	1	0.046	0.977
უნივერსალიზმი	0.001	0.116	0.000	1	0.993	1.001
დამოუკიდებლობა	0.121	0.109	1.236	1	0.266	1.128
სტიმულირება	-0.207	0.072	8.271	1	0.004	0.813
ჰედონიზმი	0.116	0.058	3.991	1	0.880	1.124
მიღწევა	-0.025	0.110	0.051	1	0.822	0.975
ძალაუფლება	-0.109	0.090	1.486	1	0.223	0.896
უსაფრთხოება	0.368	0.148	6.153	1	0.013	1.444

დასაქმების მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებიდან დასაქმებულში სტიმულირება მცირდება, ხოლო დაუსაქმებელში – მატულობს (იხ. ცხრილები 77-78).

დასაქმებული

ცხრილი 77

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპონენც. მნიშ.
კონფორმულობა	-0.131	0.120	1.178	1	0.278	0.878
ტრადიციულობა	0.175	0.124	1.991	1	0.158	1.191
კეთილგანწყობა	0.023	0.163	0.019	1	0.889	1.023
უნივერსალიზმი	-0.066	0.121	0.302	1	0.582	0.936
დამოუკიდებლობა	-0.207	0.115	3.229	1	0.072	0.813
სტიმულირება	-0.187	0.077	5.885	1	0.015	0.830
ჰედონიზმი	-0.009	0.060	0.021	1	0.884	0.991
მიღწევა	0.031	0.115	0.071	1	0.789	1.031
ძალაუფლება	0.069	0.093	0.561	1	0.454	1.072
უსაფრთხოება	0.188	0.155	1.475	1	0.225	1.207

დაუსაქმებელი

ცხრილი 78

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდო- მილ.	სტანდარტიზ. კოე- ფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპოდენტ. მნიშვ.
კონფორმულობა	0.131	0.120	1.178	1	0.278	1.139
ტრადიციულობა	-0.175	0.124	1.991	1	0.158	0.840
კეთილგანწყობა	-0.023	0.163	0.019	1	0.889	0.977
უნივერსალიზმი	0.066	0.121	0.302	1	0.582	1.069
დამოუკიდებლობა	0.207	0.115	3.229	1	0.072	1.230
სტიმულირება	0.187	0.077	5.885	1	0.015	1.206
ჰედონიზმი	0.009	0.060	0.021	1	0.884	1.009
მიღწევა	-0.031	0.115	0.071	1	0.789	0.970
ძალაუფლება	-0.069	0.093	0.561	1	0.454	0.933
უსაფრთხოება	-0.188	0.155	1.475	1	0.225	0.829

განათლების მიხედვით, უმაღლესი განათლების მქონე რეს-
პონდენტებში მცირდება ტრადიციულობა და ჰედონიზმი, საშუ-
ალო განათლების მქონეში კი ორივე იზრდება (იხ. ცხრილები
79-80).

საშუალო განათლების

ცხრილი 79

	B(ლოგარ. მა- ხას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტიზ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპლენც- მნიშ.
კონფორმულობა	-0.026	0.116	0.049	1	0.825	0.975
ტრადიციულობა	0.291	0.123	5.609	1	0.018	0.748
კეთილგანწყობა	0.284	0.162	3.074	1	0.080	1.329
უნივერსალიზმი	-0.180	0.118	2.348	1	0.125	0.835
დამოუკიდებლობა	0.061	0.113	0.291	1	0.590	1.063
სტიმულირება	-0.039	0.075	0.278	1	0.598	0.961
ჰედონიზმი	0.142	0.061	5.437	1	0.020	1.153
მიღწევა	-0.099	0.114	0.762	1	0.383	0.905
ძალაუფლება	-0.009	0.092	0.010	1	0.919	0.991
უსაფრთხოება	-0.059	0.153	0.149	1	0.699	0.943

უმაღლესი განათლების

ცხრილი 80

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტიზ. კოეფიციენტი	თავისუფლების ხარისხი	სანდოობა	B-ს ექსპოდენც. მნიშ.
კონფორმულობა	0.026	0.116	0.049	1	0.825	1.026
ტრადიციულობა	-0.291	0.123	5.609	1	0.018	1.337
კეთილგანწყობა	-0.284	0.162	3.074	1	0.080	0.752
უნივერსალიზმი	0.180	0.118	2.348	1	0.125	1.198
დამოუკიდებლობა	-0.061	0.113	0.291	1	0.590	0.941
სტიმულირება	0.039	0.075	0.278	1	0.598	1.040
ჰედონიზმი	-0.142	0.061	5.437	1	0.020	0.867
მიღწევა	0.099	0.114	0.762	1	0.383	1.105
ძალაუფლება	0.009	0.092	0.010	1	0.919	1.009
უსაფრთხოება	0.059	0.153	0.149	1	0.699	1.061

მატერიალური მდგომარეობის მიხედვით, კარგი მატერიალური მდგომარეობის მქონეებში იზრდება ჰედონიზმი, მცირდება სტიმულირება; საშუალო მატერიალური მდგომარეობის მქონეებში სტიმულირება მატულობს, ხოლო მინიმალური მატერიალური მდგომარეობის მქონეებში იზრდება უსაფრთხოება (იხ. ცხრილები 81-83).

კარგი მატერიალური მდგომარეობის

ცხრილი 81

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდომილ.	სტანდარტობ. კოეფიციენტი	თავსუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპონენც. მნიშ.
კონფორმულობა	0.073	0.176	0.170	1	0.680	1.075
ტრადიციულობა	-0.018	0.185	0.009	1	0.924	0.982
კეთილგანწყობა	0.170	0.245	0.484	1	0.487	1.186
უნივერსალიზმი	-0.350	0.175	4.012	1	0.045	0.705
დამოუკიდებლობა	-0.020	0.170	0.014	1	0.907	0.980
სტიმულირება	-0.356	0.111	10.34 5	1	0.001	0.700
ჰედონიზმი	0.358	0.099	13.07 1	1	0.000	1.431
მიღწევა	0.120	0.175	0.469	1	0.494	1.127
ძალაუფლება	-0.248	0.141	3.106	1	0.078	0.780
უსაფრთხოება	-0.047	0.228	0.043	1	0.836	0.954

საშუალო მატერიალური მდგომარეობის

ცხრილი 82

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდო- მილ.	სტანდარტიზ. კოე- ფიციენტი	თავისუფლების ხა- რისხი	სანდობა	B-ს ექსპოდენც. მნიშვ.
კონფორმულობა	0.085	0.127	0.449	1	0.503	1.089
ტრადიციულობა	0.118	0.132	0.801	1	0.371	1.125
კეთილგანწყობა	-0.138	0.177	0.610	1	0.435	0.871
უნივერსალიზმი	0.008	0.128	0.004	1	0.949	1.008
დამოუკიდებლობა	0.120	0.120	0.998	1	0.318	1.128
სტიმულირება	0.168	0.079	4.520	1	0.033	1.183
ჰედონიზმი	-0.039	0.066	0.350	1	0.554	0.962
მიღწევა	-0.065	0.123	0.277	1	0.598	0.938
ძალაუფლება	-0.026	0.100	0.070	1	0.792	0.974
უსაფრთხოება	-0.215	0.166	1.674	1	0.196	0.806

მინიმალური მატერიალური მდგომარეობის

ცხრილი 83

	B(ლოგარ. მახას.)	სტანდარტ. ცდო- მილ.	სტანდარტიზ. კოე- ფიციენტი	თაფისუფლების ხარისხი	სანდობა	B-ს ექსპოდენც. მნიშვ.
კონფორმულობა	-0.285	0.178	2.570	1	0.109	0.752
ტრადიციულობა	-0.221	0.180	1.509	1	0.219	0.802
კეთილგანწყობა	0.248	0.248	0.999	1	0.317	1.281
უნივერსალიზმი	0.263	0.182	2.088	1	0.148	1.301
დამოუკიდებლო- ბა	-0.284	0.160	3.135	1	0.077	0.753
სტიმულირება	0.000	0.106	0.000	1	0.997	1.000
ჰედონიზმი	-0.208	0.090	5.317	1	0.397	0.813
მიღწევა	-0.036	0.164	0.049	1	0.825	0.964
ძალაუფლება	0.161	0.138	1.364	1	0.243	1.175
უსაფრთხოება	0.486	0.236	4.262	1	0.021	1.626

4.6. ბედნიერების განცდა სხვადასხვა
მაჩვენებლების მიხედვით

კვლევის პროცესში შვარცის ღირებულებების ნუსხის გარ-
და კითხვარში შეტანილი გვექონდა ორი დამატებითი კითხვა.
პირველი ეხებოდა ბედნიერების განცდას, მეორე კი – ტოლე-
რანტულობას ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებთან მიმართებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბედნიერების განცდა რთული ფენომენია. იგი წარმოადგენს სუბიექტური შეფასების პარამეტრს, რომელიც არ დაიყვანება ერთ რომელიმე მახასიათებელზე. ჩვენს კითხვარშიც არ იყო დაკონკრეტებული, რა იგულისხმებოდა ბედნიერებაში, რესპონდენტი საკუთარი შეხედულებისამებრ სცემდა მას პასუხს. ჩვენ ამ კითხვაზე პასუხი გვანტიერესებდა იმდენად, თუ როგორ კავშირშია ბედნიერება რელიგიურობასთან ან არარელიგიურობასთან, არის თუ არა რელიგია ბედნიერების განცდის მომტანი.

მ. სელიგმანის აზრით, მორწმუნეები მეტად ბედნიერნი და ცხოვრებით კმაყოფილნი არიან ათეისტებთან შედარებით, რადგან რელიგია მათებს მათ მომავლის რწმენასა და ოპტიმიზმს, რის გამოც მათ ადვილად გადააქვთ ცხოვრებისეული უსიამოვნებანი [53].

რ. გრანოვსკაია წიგნში „რწმენის ფსიქოლოგია“ წერს, რომ რელიგია ადამიანებს სთავაზობს არა მხოლოდ დაცვას, არამედ რომელიმე რელიგიისადმი მიკუთვნებულობა მას აძლევს კონკრეტულ ქცევის ნორმებსა და ტრადიციებს, და თუ იგი ცხოვრობს ამ ტრადიციებისა და ქცევის ნორმების შესატყვისობაში, იზიარებს კონკრეტული რწმენის სიღრმისეულ სიმბოლოებს, მას ექნება საყრდენი თავისი ცხოვრების ყველაზე რთულ და მშფოთვარე მომენტებში [38].

რესპონდენტთა ყველა ჯგუფის მონაცემების მიხედვით, ბედნიერების განცდის შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ 600 გამოკითხულიდან ბედნიერად თავს მიიჩნევს 87,1%, ხოლო უბედურად – 1,5%, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 600-დან 500 რესპონდენტი რელიგიურია (იხ. ცხრილი 84).

ბედნიერების განცდა რესპონდენტთა ყველა ჯგუფისათვის

ცხრილი 84

ხართ თუ არა ბედნიერი?	სიხშირე	პროცენტი
ბედნიერი	522	87,1
უბედური	9	1.5
მიჭირს პასუხის გაცემა	45	7.5
უარი პასუხზე	24	4.0
ჯამი	600	100.0

აღნიშნული მონაცემები შევაფასეთ რელიგიის მიხედვით რესპონდენტთა 6 ჯგუფის მიხედვით. როგორც აღმოჩნდა, ხუთივე რელიგიის წარმომადგენლებში ერთნაირად მაღალია ბედნიერების განცდა, ვიდრე ათეისტებში (80,0%), რომლებშიც, გარდა ამისა, საკმაოდ მაღალია დადებითი პასუხი ვარიანტზე „უბედური“ რელიგიურ რესპონდენტებთან შედარებით, რომლებთანაც აღნიშნული პასუხი არის 0% ან 1,0% (იხ. ცხრილი 85).

ბედნიერების განცდა სარწმუნოების მიხედვით

ცხრილი 85

ხართ თუ არა ბედნიერი?	მართლმადიდებ.	კათოლიკე	მონოფ.	მაჰმად.	რუდე.	ათეისტ.
ბედნიერი	91,0	90,0	88,0	81,0	92,0	80,0
უბედური	0	1,0	0	1,0	0	7,0
მიჭირს პასუხის გაცემა	7,0	9,0	9,0	8,0	7,0	5,0
უარი პასუხზე	2,0	0,0	3,0	10,0	1,0	8,0
ჯამი	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

რაც შეეხება სხვა ცვლადებს, ეროვნების, სქესის, ასაკის, განათლების, დასაქმებისა და მატერიალური მდგომარეობის მიხედვით განსაკუთრებული განსხვავება არ დაფიქსირდა პასუხებში, რაც, როგორც ზემოთ ვთქვით, იმით არის გამოწვეული, რომ რესპონდენტთა 5/6 რელიგიურია (იხ. ცხრილი 86-88).

ბედნიერების განცდა ეროვნების მიხედვით

ცხრილი 86

ხართ თუ არა ბედნიერი?	ქართვ.	რუსი	სომეხ.	აზერბ.	ბერძ.	იტალ.	ფრან.	ებრაე.
ბედნიერი	88,7	79,2	87,4	74,8	94,6	88,0	80,0	92,0
უბედური	1,9	3,4	0,9	1,6	0	4,0	0	0
მიჭირს პასუხის გაცემა	5,3	13,7	8,6	8,3	2,6	8,0	20,0	7,0
უარი პასუხზე	3,9	3,4	2,8	15,0	2,6	0	0	1,0
ჯამი	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

ბედნიერების განცდა ასაკისა და სქესის მიხედვით

ცხრილი 87

ხართ თუ არა ბედნიერი?	ასაკი		სქესი	
	30 წლის ან ნაკლები	30 წელზე მეტი	მამრობითი	მდელობითი
ბედნიერი	86,6	87,3	85,6	88,3
უბედური	2,0	1,0	0,7	2,3
მიჭირს პასუხის გაცემა	7,0	8,0	8,3	6,7
უარი პასუხზე	4,3	3,7	5,3	2,7
ჯამი	100,0	100,0	100,0	100,0

ბედნიერების განცდა განათლების, დასაქმებისა და
მატერიალური მდგომარეობის მიხედვით

ცხრილი 88

ხართ თუ არა ბედნიერი?	განათლება		დასაქმება		მატერიალური მდგომარეობა		
	საშუალო განათ.	უმაღლეს განათ.	დასაქმე- ბული	უუმუშევარი	კარგი	საშუალო	მინიმალ.
ბედნიერი	82,7	89,3	88,6	83,9	89,8	88,4	75,0
უბედური	1,9	1,3	1,0	2,5	1,4	1,3	2,8
მიჭირს პასუ- ხის გაცემა	8,2	7,1	6,5	9,6	7,2	6,8	12,5
უარი პასუხზე	7,2	2,3	4,0	4,0	1,4	3,5	9,7
ჯამი	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

რამდენად შესაძლებელია ბედნიერების განცდა იმ სიძნე-
ლეების პირობებში, რომელიც ჩვენი ცხოვრების მუდმივი თან-
მდეგია და მიუხედავად პრობლემების არსებობისა, ადამიანი
მაცნობს ბედნიერად გრძნობს თავს? მორწმუნე სხვაგვარად უყუ-
რებს ამ საკითხს და ათეისტი – სხვაგვარად. მორწმუნეს აქვს
იმქვეყნიური ცხოვრების იმედი, რომ ამქვეყნად განცდილ ტან-
ჯვას იმქვეყნიური სიხარული შეცვლის, ათეისტი კი რეალურად
აფასებს მოვლენებს და უფრო მძაფრად განიცდის არსებულ
პრობლემებს. ფროიდი ბედნიერების ასეთ განცდას „ილუზიას“
უწოდებდა, თუმცა ასეთი ილუზია, რომელიც ბედნიერების
მომნიჭებელია, ფსიქოლოგიურად ეხმარება და ოპტიმიზმს მა-
ტებს ადამიანს.

4.7. ტოლერანტულობა სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით

კითხვარში შეტანილი მეორე დამატებითი კითხვა ეხებოდა ტოლერანტულობას ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებთან მიმართებაში. ეს ჯგუფებია: სხვა რასის წარმომადგენელი, შიდასით დაავადებული, უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელი, სხვა რელიგიის ან კონფესიის მიმდევარი, ქორწინების გარეშე ერთად მცხოვრები წყვილი, ჩვენთან ტრადიციულად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, ლოთი, ნარკომანი, ჰომოსექსუალი. კითხვარში აღნიშნული კითხვა შევიტანეთ იმის გასარკვევად, ხომ არ არის რწმენაში ან ათეიზმში ისეთი ფასეულობა, რომელიც აჩენს დაპირისპირებას საზოგადოებაში რაიმე ნიშნით განსხვავებულობის გამო.

შედეგები შევაფასეთ ჩვენს კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა ყველა დამოუკიდებელი ცვლადის მიხედვით (სარწმუნოება, ეროვნება, ასაკი, სქესი, დასაქმება, განათლება, მატერიალური მდგომარეობა) დაჯგუფების გათვალისწინებით. როგორც კვლევის შედეგად აღმოჩნდა, ერთიდაიგივე კატეგორიის ადამიანთა მიმართ დამოკიდებულება მსგავსია სარწმუნოების, ეროვნების, ასაკის, სქესის და ა. შ. მიუხედავად. თუმცა, ჩვენ ძირითადად გვანტერესებდა, სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ თუ არა ადამიანთა აღნიშნული ჯგუფების მიმართ ჩვენს კვლევაში წარმოდგენილ 5 რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებსა და ათეისტებს. რადგან რელიგიური ეთიკა თუ რაიმეზე ამბობს, რომ ცუდია, ადამიანთა ერთობა, რომელიც ამ რელიგიის მიმდევარია, ითვალისწინებს აღნიშნულ თვალსაზრისს და თვითონაც მსგავსი შეხედულებებისა; თუ რელიგია უპირისპირდება ცხოვრების გარკვეულ წესს, მის მიმდევრებსაც აქვთ კონფლიქტი აღნიშნულ მოვლენასთან.

ყველაზე ტოლერანტული დამოკიდებულება გამოიქვანდა ჩვენთან ტრადიციულად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ (იხ. ცხრილი 89). ეს არცაა გასაკვირი, რად-

გან საქართველოში ტრადიციულად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობები და საზოგადოებას არასდროს ჰქონია გამოკვეთილი კონფლიქტი მათთან.

დამოკიდებულება ჩვენთან ტრადიციულად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის მიმართ

ცხრილი 89

	უარყოფითი	ნეიტრალური	არ ვიცი	რაოდენობა (%)	რაოდენობა
სულ				100,0	600
მათ შორის:					
მართლმადიდებელი	5,0	89,0	6,0	100,0	100
კათოლიკე	0,0	89,0	11,0	100,0	100
მონოფიზიტი	0,0	95,0	5,0	100,0	100
მაჰმადიანი	8,0	87,0	5,0	100,0	100
ოუდეველი	6,0	81,0	13,0	100,0	100
ათეისტი	3,0	87,0	10,0	100,0	100
მათ შორის:					
ქართველი	3,4	89,2	7,3	100,0	205
რუსი	5,1	84,4	10,3	100,0	58
სომეხი	0,0	94,2	5,7	100,0	104
აზერბაიჯანელი	10,0	85,0	5,0	100,0	60
ბერძენი	0,0	86,8	13,1	100,0	38
იტალიელი	0,0	96,0	4,0	100,0	25
ფრანგი	0,0	90,0	10,0	100,0	10
ებრაელი	6,0	81,0	13,0	100,0	100
მათ შორის:					
30 წლის ან ნაკლები ასაკის	2,6	87,7	9,6	100,0	300,0
30 წელზე მეტი ასაკის	4,6	88,2	7,0	100,0	300,0
მათ შორის:					
მამრობითი	4,6	87,3	8,0	100,0	300,0

მდედრობითი	2,6	88,6	8,6	100,0	300,0
მათ შორის:					
დასაქმებული	3,7	87,8	8,4	100,0	402,0
უმუშევარი	3,5	88,3	8,0	100,0	198,0
მათ შორის:					
საშუალო განათლების	4,3	85,5	10,1	100,0	207,0
უმაღლესი განათლების	3,3	89,3	7,3	100,0	393,0
მათ შორის:					
კარგი მატერიალ. მდგომარეობის	1,4	92,8	5,8	100,0	69,0
საშუალო მატერიალ. მდგომარეობის	3,9	88,0	8,1	100,0	459,0
მინიმალური მატერ. მდგომარეობის	4,2	83,3	12,5	100,0	72,0

ასევე საკმაოდ შემწყნარებლური დამოკიდებულება გამოიკვეთა სხვა რასის წარმომადგენელთადა სხვა რელიგიის ან კონფესიის მიმდევართა მიმართ (იხ. ცხრილები: 90 და 91).

დამოკიდებულება სხვა რასის წარმომადგენლის მიმართ

ცხრილი 90

	უარყოფითი	ნეიტრალური	არ ვიცი	რაოდენობა (%)	რაოდენობა
სულ				100,0	600
მათ შორის:					
მართლმადიდებელი	15,0	77,0	8,0	100,0	100
კათოლიკე	13,0	82,0	5,0	100,0	100
მონოფიზიტი	0,0	99,0	1,0	100,0	100
მაჰმადიანი	4,0	91,0	5,0	100,0	100
ოუდეველი	1,0	92,0	7,0	100,0	100
ათეისტი	4,0	85,0	11,0	100,0	100
მათ შორის:					

ქართველი	9,7	82,9	7,3	100,0	205
რუსი	10,3	84,4	5,1	100,0	58
სომეხი	0,0	99,0	0,9	100,0	104
აზერბაიჯანელი	3,3	93,3	3,3	100,0	60
ბერძენი	7,9	73,6	18,4	100,0	38
იტალიელი	8,0	84,0	8,0	100,0	25
ფრანგი	30,0	70,0	0,0	100,0	10
ებრაელი	1,0	92,0	7,0	100,0	100
მათ შორის:					
30 წლის ან ნაკლები ასაკის	6,9	87,3	5,6	100,0	300,0
30 წელზე მეტი ასაკის	5,3	87,9	6,6	100,0	300,0
მათ შორის:					
მამრობითი	9,3	83,6	7,0	100,0	300,0
მდედრობითი	3,0	91,6	5,3	100,0	300,0
მათ შორის:					
დასაქმებული	5,9	87,3	6,7	100,0	402,0
უმუშევარი	6,5	88,3	5,0	100,0	198,0
მათ შორის:					
საშუალო განათლების	6,7	87,9	5,3	100,0	207,0
უმაღლესი განათლების	5,8	87,5	6,6	100,0	393,0
მათ შორის:					
კარგი მატერიალ. მდგომარეობის	1,4	95,7	2,9	100,0	69,0
საშუალო მატერიალ. მდგომარეობის	6,8	86,3	7,0	100,0	459,0
მინიმალური მატერ. მდგომარეობის	6,9	88,9	4,2	100,0	72,0

დამოკიდებულება სხვა რელიგიის ან კონფესიის მიმდევარის მიმართ

ცხრილი 91

	უარყოფითი	ნეიტრალური	არ ვიცი	რაოდენობა (%)	რაოდენობა
სულ				100,0	600
მათ შორის:					
მართლმადიდებელი	17,0	76,0	7,0	100,0	100
კათოლიკე	12,0	84,0	4,0	100,0	100
მონოფიზიტი	0,0	100,0	0,0	100,0	100
მაჰმადიანი	7,0	68,0	25,0	100,0	100
ოუდეველი	8,0	85,0	7,0	100,0	100
ათეისტი	6,0	82,0	12,0	100,0	100
მათ შორის:					
ქართველი	9,7	79,5	10,7	100,0	205
რუსი	12,0	86,2	1,7	100,0	58
სომეხი	0,0	99,0	0,9	100,0	104
აზერბაიჯანელი	1,6	68,3	30,0	100,0	60
ბერძენი	23,6	65,7	10,5	100,0	38
იტალიელი	8,0	84,0	8,0	100,0	25
ფრანგი	30,0	70,0	0,0	100,0	10
ებრაელი	8,0	85,0	7,0	100,0	100
მათ შორის:					
30 წლის ან ნაკლები ასაკის	9,9	80,4	9,6	100,0	300,0
30 წელზე მეტი ასაკის	6,6	84,6	8,7	100,0	300,0
მათ შორის:					
მამრობითი	9,3	84,3	6,3	100,0	300,0
მდედრობითი	7,3	80,6	12,0	100,0	300,0

მათ შორის:					
დასაქმებული	8,7	81,8	9,4	100,0	402,,0
უმუშევარი	7,5	83,8	8,5	100,0	198,0
მათ შორის:					
საშუალო განათ- ლების	7,7	76,8	15,4	100,0	207,0
უმღლესი განათ- ლების	8,6	85,5	5,8	100,0	393,0
მათ შორის:					
კარგი მატერიალ. მდგომარეობის	10,1	78,3	11,6	100,0	69,0
საშუალო მატერი- ალ. მდგომარეობის	8,5	82,8	8,7	100,0	459,0
მინიმალური მა- ტერ. მადგომარეო- ბის	5,6	84,7	9,7	100,0	72,0

სხვა რასის წარმომადგენლები, მართალია, ტრადიციულად არ ცხოვრობდნენ საქართველოში და ბოლო ათწლეულებში გამოჩნდნენ, მაგრამ საზოგადოება მაინც არ არის მათ მიმართ ნეგატიურად განწყობილი, ხოლო სხვა კონფესიის წარმომადგენლები კი, ისევე როგორც ეთნიკური ჯგუფები, საუკუნეების განმავლობაში მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ ეს დამოკიდებულება არ არის ახალი.

რესპონდენტთა დაახლოებით 15% უარყოფითად არის განწყობილი ქორწინების გარეშე ერთად მცხოვრები წყვილის მიმართ, მაგრამ მეტ ნაწილს მაინც ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ ადამიანთა ამ ჯგუფისადმი (იხ. ცხრილი 92).

დამოკიდებულება ქორწინების გარეშე ერთად მცხოვრები წყვილის მიმართ

ცხრილი 92

	უარყოფითი	ნეიტრალური	არ ფიცი	რაოდენობა (%)	რაოდენობა
სულ				100,0	600
მათ შორის:					
მართლმადიდებელი	16,0	76,0	8,0	100,0	100
კათოლიკე	5,0	84,0	11,0	100,0	100
მონოფიზიტი	14,0	72,0	14,0	100,0	100
მაჰმადიანი	23,0	56,0	21,0	100,0	100
ოუდეველი	24,0	58,0	18,0	100,0	100
ათეისტი	8,0	84,0	8,0	100,0	100
მათ შორის:					
ქართველი	13,6	78,0	8,2	100,0	205
რუსი	12,0	74,1	13,7	100,0	58
სომეხი	14,8	71,7	13,5	100,0	104
აზერბაიჯანელი	16,6	56,6	26,6	100,0	60
ბერძენი	15,7	76,3	7,8	100,0	38
იტალიელი	0,0	96,0	4,0	100,0	25
ფრანგი	0,0	70,0	30,0	100,0	10
ებრაელი	24,0	58,0	18,0	100,0	100
მათ შორის:					
30 წლის ან ნაკლები ასაკის	8,6	77,0	14,2	100,0	300,0
30 წელზე მეტი ასაკის	18,0	89,5	12,3	100,0	300,0
მათ შორის:					
მამრობითი	13,6	73,0	13,3	100,0	300,0
მდედრობითი	13,0	73,6	13,3	100,0	300,0
მათ შორის:					

დასაქმებული	11,9	73,3	14,6	100,0	402,0
უმუშევარი	16,1	73,2	10,6	100,0	198,0
მათ შორის:					
საშუალო განათლების	13,5	70,0	16,4	100,0	207,0
უმალესი განათლების	13,2	75,0	11,7	100,0	393,0
მათ შორის:					
კარგი მატერიალ. მდგომარეობის	15,9	71,0	13,0	100,0	69,0
საშუალო მატერიალ. მდგომარეობის	13,1	74,9	12,0	100,0	459,0
მინიმალური მატერ. მდგომარეობის	12,5	65,3	22,2	100,0	72,0

ქორწინების გარეშე მცხოვრები წყვილი მიუღებელია რელიგიოსათვის, ამიტომ უფრო მეტადაა გამოხატული მათ მიმართ ნეგატიური განწყობა. შედარებით ნაკლებად ნეგატიურად არიან მათ მიმართ განწყობილი კათოლიკები, ათეისტები, იტალიელები, ფრანგები და 30 წლამდე ახალგაზრდები. ეს გამოწვეულია იმით, რომ ბოლო ათწლეულებში უცხოეთიდან შემოვიდა განსხვავებული საერო ცხოვრების წესი. დემოკრატიული საზოგადოების სამოქალაქო ცხოვრება კი არ კრძალავს მსგავსი სახის კავშირებს. მართალია, რელიგია და ტრადიციები უპირისპირდება ამ მოვლენას, მაგრამ ახალგაზრდებში ტრადიციებისადმი ერთგულება ნაკლებია, რაც აისახა კიდევ შედეგებში.

უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელის მიმართ უფრო მეტად უარყოფითად არიან განწყობილი მართლმადიდებლები, მაჰმადიანები, ქართველები, აზერბაიჯანელები, უფროსი ასაკის ადამიანები და მინიმალური მატერიალური მდგომარეობის მქონენი (იხ. ცხრილი 93). ადგილობრივი მოსახლეობისთვის უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელი აღიქმება კონკურენტად, კონკურენტია კი განაპირობებს დაპირისპირებასა და მიუღებლობას.

დამოკიდებულება უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელის მიმართ

ცხრილი 93

	უარყოფითი	ნეიტრალური	არ ვიცი	რაოდენობა (%)	რაოდენობა
სულ				100,0	600
მათ შორის:					
მართლმადიდებელი	22,0	70,0	8,0	100,0	100
კათოლიკე	9,0	76,0	15,0	100,0	100
მონოფიზიტი	6,0	90,0	4,0	100,0	100
მაჰმადიანი	19,0	64,0	17,0	100,0	100
ოუდეველი	9,0	66,0	25,0	100,0	100
ათეისტი	10,0	71,0	19,0	100,0	100
მათ შორის:					
ქართველი	17,5	70,2	12,2	100,0	205
რუსი	15,5	67,2	17,2	100,0	58
სომეხი	5,7	89,4	4,8	100,0	104
აზერბაიჯანელი	16,6	65,0	18,3	100,0	60
ბერძენი	10,5	71,0	18,4	100,0	38
იტალიელი	4,0	84,0	12,0	100,0	25
ფრანგი	0,0	80,0	20,0	100,0	10
ებრაელი	9,0	66,0	25,0	100,0	100
მათ შორის:					
30 წლის ან ნაკლები ასაკის	8,3	77,7	13,9	100,0	300,0
30 წელზე მეტი ასაკის	16,7	67,8	15,3	100,0	300,0
მათ შორის:					
მამრობითი	13,6	70,3	16,0	100,0	300,0
მდედრობითი	11,3	75,3	13,3	100,0	300,0
მათ შორის:					
დასაქმებული	15,1	68,6	16,1	100,0	402,0

უმუშევარი	7,0	81,3	11,6	100,0	198,0
მათ შორის:					
საშუალო განათლების	12,0	73,9	14,0	100,0	207,0
უმღალესი განათლების	12,7	72,2	15,0	100,0	393,0
მათ შორის:					
კარგი მატერიალ. მდგომარეობის	11,6	72,5	15,9	100,0	69,0
საშუალო მატერიალ. მდგომარეობის	10,9	74,9	14,2	100,0	459,0
მინიმალური მატერ. მდგომარეობის	23,6	59,7	16,7	100,0	72,0

შედარებით მეტი უარყოფითი დამოკიდებულება გამოიკვეთა შიდსით დაავადებულთა მიმართ (იხ. ცხრილი 94).

დამოკიდებულება შიდსით დაავადებულის მიმართ

ცხრილი 94

	უარყოფითი	ნეიტრალური	არ ვიცი	რაოდენობა (%)	რაოდენობა
სულ				100,0	600
მათ შორის:					
მართლმადიდებელი	23,0	66,0	11,0	100,0	100
კათოლიკე	37,0	40,0	23,0	100,0	100
მონოფიზიტი	17,0	50,0	33,0	100,0	100
მაჰმადიანი	33,0	39,0	28,0	100,0	100
ოუდეველი	23,0	54,0	23,0	100,0	100
ათეისტი	17,0	69,0	14,0	100,0	100
მათ შორის:					
ქართველი	27,8	56,1	16,1	100,0	205

რუსი	29,3	53,4	17,2	100,0	58
სომეხი	18,2	50,0	31,7	100,0	104
აზერბაიჯანელი	23,3	40,0	36,6	100,0	60
ბერძენი	26,3	57,8	15,7	100,0	38
იტალიელი	24,0	64,0	12,0	100,0	25
ფრანგი	40,0	40,0	20,0	100,0	10
ებრაელი	23,0	54,0	23,0	100,0	100
მათ შორის:					
30 წლის ან ნაკლები ასაკის	29,2	47,8	22,9	100,0	300,0
30 წელზე მეტი ასაკის	20,7	58,1	21,0	100,0	300,0
მათ შორის:					
მამრობითი	23,0	52,3	24,6	100,0	300,0
მდედრობითი	27,0	53,6	19,3	100,0	300,0
მათ შორის:					
დასაქმებული	21,3	55,2	23,3	100,0	402,0
უმუშევარი	32,3	48,4	19,1	100,0	198,0
მათ შორის:					
საშუალო განათლების	28,5	43,4	28,0	100,0	207,0
უმაღლესი განათლების	23,1	58,0	18,8	100,0	393,0
მათ შორის:					
კარგი მატერიალ. მდგომარეობის	21,7	52,2	26,1	100,0	69,0
საშუალო მატერიალ. მდგომარეობის	24,8	53,2	22,0	100,0	459,0
მინიმალური მატერ. მდგომარეობის	29,2	52,8	18,1	100,0	72,0

იმაში, რომ შიდსით დაავადებულთა მიმართ მეტი უარყოფითი დამოკიდებულება გამოქვეყნდა, რელიგიის წვლილი არ არის, რად-

გან რელიგია არაფერს ამბობს ამ მოვლენაზე. საზოგადოებაში აღნიშნული დაავადების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო მისი გავრცელების შიში იწვევს თავდაცვით ქცევებსა და მიუღებლობას დაავადებულთა მიმართ.

როგორც კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა, ყველაზე მეტი უარყოფითი განწყობა დაფიქსირებულია ლოთის (საშუალოდ 70-80%), ნარკომანისა (საშუალოდ 80-85%) და ჰომოსექსუალის (საშუალოდ 60-70%) მიმართ (იხ. ცხრილები: 95-97).

დამოკიდებულება ლოთის მიმართ

ცხრილი 95

	უარყოფითი	ნეიტრალური	არ ვიცი	რაოდენობა (%)	რაოდენობა
სულ				100,0	600
მათ შორის:					
მართლმადიდებელი	72,0	22,0	6,0	100,0	100
კათოლიკე	74,0	19,0	7,0	100,0	100
მონოფიზიტი	84,0	10,0	6,0	100,0	100
მაჰმადიანი	62,0	25,0	13,0	100,0	100
იუდეველი	58,0	29,0	13,0	100,0	100
ათეისტი	77,0	16,0	7,0	100,0	100
მათ შორის:					
ქართველი	71,2	22,4	6,3	100,0	205
რუსი	75,6	15,5	8,6	100,0	58
სომეხი	83,6	9,6	6,7	100,0	104
აზერბაიჯანელი	86,6	16,6	6,6	100,0	60
ბერძენი	71,0	23,6	5,2	100,0	38
იტალიელი	68,0	28,0	4,0	100,0	25
ფრანგი	80,0	10,0	10,0	100,0	10
ებრაელი	58,0	29,0	13,0	100,0	100
მათ შორის:					

30 წლის ან ნაკლები ასაკის	74,0	17,6	8,3	100,0	300,0
30 წელზე მეტი ასაკის	68,2	22,7	9,0	100,0	300,0
მათ შორის:					
მამრობითი	68,6	23,6	7,6	100,0	300,0
მდედრობითი	73,6	16,6	9,6	100,0	300,0
მათ შორის:					
დასაქმებული	69,6	22,6	7,7	100,0	402,0
უშუქმევაარი	74,2	15,1	10,6	100,0	198,0
მათ შორის:					
საშუალო განათლების	76,3	13,5	10,1	100,0	207,0
უმაღლესი განათლების	68,4	23,6	7,8	100,0	393,0
მათ შორის:					
კარგი მატერიალ. მდგომარეობის	52,2	29,0	18,8	100,0	69,0
საშუალო მატერიალ. მდგომარეობის	73,2	20,5	6,3	100,0	459,0
მინიმალური მატერ. მდგომარეობის	76,4	9,7	13,9	100,0	72,0

დამოკიდებულება ნარკომანის მიმართ

ცხრილი 96

	უარყოფითი	ნეიტრალური	არ ვიცი	რაოდენობა (%)	რაოდენობა
სულ				100,0	600
მათ შორის:					
მართლმადიდებელი	85,0	13,0	2,0	100,0	100
კათოლიკე	82,0	13,0	5,0	100,0	100
მონოფიზიტი	89,0	6,0	5,0	100,0	100
მაჰმადიანი	83,0	11,0	6,0	100,0	100
ოუდეველი	71,0	13,0	16,0	100,0	100
ათეისტი	81,0	11,0	8,0	100,0	100

მათ შორის:					
ქართველი	82,4	13,1	4,3	100,0	205
რუსი	84,4	12,0	3,4	100,0	58
სომეხი	89,4	5,7	4,8	100,0	104
აზერბაიჯანელი	85,0	5,0	10,0	100,0	60
ბერძენი	81,5	13,1	5,2	100,0	38
იტალიელი	72,0	20,0	8,0	100,0	25
ფრანგი	90,0	10,0	0,0	100,0	10
ებრაელი	71,0	13,0	16,0	100,0	100
მათ შორის:					
30 წლის ან ნაკლები ასაკის	83,0	9,6	7,3	100,0	300,0
30 წელზე მეტი ასაკის	80,6	12,7	6,6	100,0	300,0
მათ შორის:					
მამრობითი	80,3	12,6	7,0	100,0	300,0
მდედრობითი	83,3	9,6	7,0	100,0	300,0
მათ შორის:					
დასაქმებული	82,5	11,4	5,9	100,0	402,0
უმუშევარი	80,3	10,6	9,0	100,0	198,0
მათ შორის:					
საშუალო განათლების	81,6	10,6	7,7	100,0	207,0
უმაღლესი განათლების	81,9	11,4	6,6	100,0	393,0
მათ შორის:					
კარგი მატერიალ. მდგომარეობის	78,3	13,0	8,7	100,0	69,0
საშუალო მატერიალ. მდგომარეობის	82,6	11,3	6,1	100,0	459,0
მინიმალური მატერ. მდგომარეობის	80,6	8,3	11,1	100,0	72,0

დამოკიდებულება ჰომოსექსუალის მიმართ

ცხრილი 97

	უარ- ყოფი- თი	ნეიტ- რალუ- რი	არ ვი- ცი	რაო- დენო- ბა (%)	რაო- დენო- ბა
სულ				00,0	00
მათ შორის:					
მართლმადიდებელი	2,0	1,0	,0	00,0	00
კათოლიკე	0,0	8,0	2,0	00,0	00
მონოფიზიტი	7,0	0,0	3,0	00,0	00
მაჰმადიანი	9,0	3,0	,0	00,0	00
ოუღვეელი	7,0	5,0	8,0	00,0	00
ათეისტი	0,0	0,0	0,0	00,0	00
მათ შორის:					
ქართველი	9,0	0,2	0,7	00,0	05
რუსი	5,5	1,0	,4	00,0	8
სომეხი	4,4	3,0	2,5	00,0	04
აზერბაიჯანელი	8,3	1,6	0,0	00,0	0
ბერძენი	8,4	3,6	,8	00,0	8
იტალიელი	2,0	2,0	6,0	00,0	5
ფრანგი	0,0	0,0	,0	00,0	0

ებრაელი	7,0	5,0	8,0	00,0	00
მათ შორის:					
30 წლის ან ნაკლები ასაკის	9,8	9,9	0,3	00,0	00,0
30 წელზე მეტი ასაკის	1,8	5,7	2,3	00,0	00,0
მათ შორის:					
მამრობითი	8,6	2,0	,3	00,0	00,0
მდედრობითი	3,0	3,6	3,3	00,0	00,0
მათ შორის:					
დასაქმებული	2,1	8,1	,7	00,0	02,,0
უმუშევარი	8,0	7,2	4,6	00,0	98,0
მათ შორის:					
საშუალო განათლების	8,4	7,5	4,0	00,0	07,0
უმაღლესი განათლების	2,0	7,9	,9	00,0	93,0
მათ შორის:					
კარგი მატერიალ. მდგომარეობის	9,4	0,4	0,1	00,0	9,0
საშუალო მატერიალ. მდგომარეობის	9,7	9,4	0,9	00,0	59,0
მინიმალური მატერ. მადგომარეობის	9,4	5,3	5,3	00,0	2,0

რელიგია სამივე მოვლენას ცოდვად მიიჩნევს, მათ ეწინააღმდეგება ტრადიციებიც. გარდაამისა, ლოთობა და ნარკომანია არის მიჯაჭვულობა გარკვეული ნივთიერებების მიმართ, რაც საზოგადოებაში უარყოფითად აღიქმება, ამასთან, ნარკომანია

კანონით დასჯადია, ჰომოსექსუალს კი საზოგადოება არასრულფასოვან წევრად თვლის. მართალია, დემოკრატიული სამოქალაქო ცხოვრების წესი მოწოდებულია ტოლერანტობისაკენ, განსაკუთრებით ჰომოსექსუალთა მიმართ, მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ-ჯერობით არ არის მყარად კულტივირებული, ამიტომ მათ მიმართ ყველაზე მეტი ნეგატიური დამოკიდებულება დაფიქსირდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთიდაიგივე კატეგორიის ადამიანთა მიმართ დამოკიდებულება მსგავსია სარწმუნოების, ეროვნების, ასაკის, სქესის და ა. შ. მიუხედავად. ეს გამომწვეულია საქართველოში არსებული პირობებით. როდესაც წამყვანია თვითგადარჩენის ღირებულებები, მაღალ ფასეულობებზე საუბარი ნაადრევია. ერთი მხრივ, გვაქვს საზოგადოება, რომელშიც ისეთი კულტურული ნორმები და ურთიერთობები მოქმედებდა, რომელიც ითვალისწინებდა ტოლერანტულ დამოკიდებულებას, თუმცა განსხვავებული ადამიანების მიმართ დამოკიდებულება მაინც ვერ აღმოჩნდა მთლიანად მიმღებლური. თვითგადარჩენის პირობებში ვერც მორწმუნე იქცევა უნაკლოდ და ვერც ათეისტი. ასეთი დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, რომ არ არის ინდივიდუალური და პრობლემების მქონე ადამიანი ზოგადად საზოგადოებისათვის არის მიუღებელი.

კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება

საქართველოში მცხოვრები მორწმუნეებისა და ათეისტების ღირებულებათა კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა კუთხით. ერთ-ერთია მორწმუნისა და ათეისტის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა, რა არის პრიორიტეტული თითოეული ამ ჯგუფისათვის, რა სახის ქცევას უნდა ველოდოთ მათგან, რა გარეგანი თუ შინაგანი კონფლიქტი შეიძლება იყოს მათ პიროვნებაში, რისი მოლოდინი აქვს მორწმუნესა და ათეისტს ცხოვრებისგან, რა საფრთხეებია მათ წინაშე, რას შეიძლება გაუმკლავდნენ, ან პირიქით, რა წინააღმდეგობების გადალახვა გაუჭირდებათ, რა აშფოთებთ და რა აძლევთ სტიმულს და ა. შ.

კვლევის შედეგები გარკვეულწილად შეიძლება დაგვეხმაროს სახელმწიფო პოლიტიკის წარმოებაში – შესაბამისი რელიგიების წარმომადგენლებთან ურთიერთობის სწორად წარმართვაში, რომ გავერკვეთ, რა დაპირისპირებები შეიძლება მოხდეს განსხვავებული ღირებულებების მქონე ადამიანებსა და ჯგუფებს შორის და როგორ შეიძლება ეს წარმოჩინდეს სხვადასხვა ვითარებაში (თვითგადარჩენა თუ თვითგამოხატვა), როგორ წარემართოთ სიტუაცია, მათი ურთიერთობა კონფლიქტში შეიძლება გადაიზარდოს თუ პირიქით, იყოს ურთიერთგამამდიდრებელი – დისკუსიები გაიმართოს მათ შორის და სხვა.

ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ეთნოპოლიტიკის წარმართვაში, რადგან გარკვეული რელიგიის წარმომადგენლები ეკუთვნიან გარკვეულ ეთნოსებს, მაგ., მონოფიზიტები საქართველოში არიან მხოლოდ სომეხი ეროვნების წარმომადგენლები, ხოლო იუდეველები – ებრაელები.

კვლევის შედეგები დაეხმარება სხვადასხვა დარგის (ფსიქოლოგია, სოციოლოგია) მკვლევარებს რელიგიური და არარელიგიური ადამიანების, ასევე ზოგადად ქართველი საზოგადოე-

ბის ღირებულებათა სისტემის შემდგომი შესწავლის საქმეში, ასევე სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებს კვლევის დაგეგმვის, კვლევის დიზაინისა და კვლევის ამოცანების განსაზღვრისას.

აღნიშნული შედეგები შეიძლება გაითვალისწინონ სპეციალისტებმა სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებთან მუშაობაში მათი მსოფლმხედველობის მიხედვით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ქალთა უფლებების დაცვის პრობლემა ჯერ ისევ შეინიშნება. მიღებული შედეგების მიხედვით (ქალებში მეტია ისეთი ღირებულებების ხვედრითი წილი, როგორებიცაა: ტრადიციულობა, კეთილგანწყობა, უნივერსალიზმი, უსაფრთხოება), მიზანშეწონილი იქნება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქალთა ჩართულობის გაზრდა საქართველოში დღეს არსებული პრობლემების ფონზე (ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საგარეო ურთიერთობების დარეგულირება და სხვა).

ნაშრომი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საშუალო და უმაღლესი განათლების პედაგოგებს. კვლევის შედეგებმა დაასაბუთა, რომ ახალგაზრდებში დევს მნიშვნელოვანი პოტენციალი სტიმულირების, დამოუკიდებლობისა და მიღწევის კუთხით. ამასთან, რაც უფრო განათლებულია ადამიანი, უფრო მაღალი აქვს ზოგადი ადამიანური ღირებულებები. ეს საფუძველს ჩაუყრის ისეთი თაობის გაზრდას, რომელიც შექმნის განვითარებულ, დამოუკიდებელ, ერთიან, სოციალურად ორიენტირებულ და უსაფრთხო ქვეყანას. ამ საქმეში კი გასათვალისწინებელია თითოეული რელიგიური კონფესიის მიმდევარი ადამიანების მსოფლმხედველობრივი თავისებურებები.

კვლევის შედეგები შეიძლება გასათვალისწინებელი აღმოჩნდეს სასულიერო პირებისთვის მრევლთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

დაბოლოს, ნაშრომი შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს იმ ადამიანებისთვის, ვინც დაინტერესებულია ჩვენს საზოგადოებაში მომდინარე სოციალურ-ფსიქოლოგიური და რელიგიური პროცესებით.

დასკვნა

მოცემულ ნაშრომში განხილულია საქართველოში მცხოვრები მორწმუნე და ათეისტი ადამიანების ძირითადი ღირებულებები. პიროვნების ღირებულებები სიცოცხლის განმავლობაში შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით მუდამ განიცდის ცვლილებას. ზოგი შეხედულება მას ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება, ზოგი კი – არა. ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე მრავალი ცხოვრებისეული ფაქტორი მოქმედებს: ეროვნება, სარწმუნოება, სქესი, გეოგრაფიული საცხოვრისი, ასაკი, ტრადიციები, განათლება, კულტურა და ა.შ. თუმცა ერთ-ერთი ნამყვანი ადგილი სარწმუნოებას უჭირავს. ეს არცაა გასაკვირი. ადამიანის გონება და ფიქრი მუდამ ეხებოდა ამოუცნობი ბუნების გარკვევას. ამგვარი აქტივობები აყალიბებს შეხედულებას სულიერ ცხოვრებაზე, რწმენაზე.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მორწმუნე და ათეისტი ადამიანების ღირებულებათა სისტემები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ტერმინალური და ინსტრუმენტული ღირებულებების მიხედვით გამოიკვეთა, რომ მორწმუნეთათვის პრიორიტეტულია კოლექტივისტური ღირებულებები, ხოლო ათეისტებისთვის – ინდივიდუალისტური. მორწმუნეების ღირებულებათა სისტემა ორიენტირებულია ახლობლებზე, ოჯახზე, სხვების პატივისცემაზე, საყოველთაო მშვიდობაზე („მშვიდობა მთელ მსოფლიოში“, „ოჯახის უსაფრთხოება“, „ნამდვილი მეგობრობა“, „მშობლებისა და უფროსების პატივისცემელი“, „ერთგული“, „პატიოსანი“), ხოლო მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია ზოგადად საზოგადოებისთვის მიუღებელი ღირებულებები („სოციალური ძალა“, „ავტორიტეტი“, „სიმდიდრე“, „განებივრებულობა“, „ტკბება ცხოვრებით“).

ათეისტებისთვის უმთავრესია თავისუფლება, თანასწორობა და შინაგანი ჰარმონია, ვიდრე მეგობრობა და სხვების აზრის

გათვალისწინება. მათთვის ასევე პრიორიტეტულია საკუთარ თავზე ორიენტირებული ღირებულებები: „მიზანდასახული“, „დამოუკიდებელი“, „ჯანმრთელი“.

ღირებულებების მოტივაციურ ტიპებად დაჯგუფების შედეგად მორწმუნეებში საშუალოთა მაღალი მნიშვნელობა მიიღო კოლექტივისტურმა ღირებულებებმა (კეთილგანწყობა, კონფორმულობა, ტრადიციულობა), ათეისტებში კი ინდივიდუალისტურმა ღირებულებებმა (მიღწევა, დამოუკიდებლობა, სტიმულაცია, ძალაუფლება, ჰედონიზმი), რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ისინი მეტად არიან ორიენტირებული საკუთარ მიღწევებსა და ინდივიდუალურ წარმატებაზე.

მორწმუნეთათვის ასევე მნიშვნელოვანია სულიერი ცხოვრება, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ათეისტებისთვის, რადგან იგი დაკავშირებულია ცხოვრების გარკვეულ წესთან და აკრძალვებთან. მათთვის სოციალური კუთვნილება და თვითდისციპლინა-თვითშეზღუდვაც დაბალი მნიშვნელობისაა. აქაც ინდივიდის პიროვნული თავისუფლება უპირისპირდება ნორმებს, ტრადიციებსა და ჩარჩოებს, რომელიც წამყვანია მორწმუნეთათვის.

რელიგიურობის მომატება ზრდის კოლექტივისტურ ღირებულებებს: კონფორმულობას, ტრადიციულობასა და კეთილგანწყობას, ხოლო ამცირებს დამოუკიდებლობასა და ძალაუფლებას. მცირდება ასევე უსაფრთხოება, რაც ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ რელიგიურობა ადამიანს მატებს დაცულობის შეგრძნებას და მას უსაფრთხოების მოთხოვნილება ნაკლებად აქვს.

ათეისტებთან კი არარელიგიურობის მომატება ზრდის უნივერსალიზმს, დამოუკიდებლობასა და ძალაუფლებას, იმატებს ასევე უსაფრთხოების მოთხოვნილება, ხოლო კოლექტივისტური ღირებულებების მნიშვნელობა მცირდება.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი პირველი ჰიპოთეზის მართებულობა დადასტურდა – მორწმუნე-

ბისა და ათეისტების ღირებულებათა სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან. კვლევის ასეთი შედეგი ბუნებრივი და ლოგიკურია, მორწმუნისა და ათეისტის მსოფლმხედველობა, განწყობები და ამის საფუძველზე განხორციელებული ქცევები განსხვავებულია.

შესწავლილ სხვადასხვა რელიგიის მიმდევარ ადამიანებს აქვთ ჩამოყალიბებული ერთმანეთის თითქოს მსგავსი, მაგრამ მთლიანობაში ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ღირებულებათა სისტემა.

ტერმინალური და ინსტრუმენტული ღირებულებების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ღირებულებათა გარკვეული ნაწილი მნიშვნელოვანია 5-ვე რელიგიური ჯგუფისათვის. ესენია: „ნამდვილი მეგობრობა“, „ოჯახის უსაფრთხოება“, „მშვიდობა მთელ მსოფლიოში“, „სულიერი ცხოვრება“, „ტრადიციების პატივისცემა“, „ზრდილობა“, „სოციალური სამართლიანობა“, „ეროვნული უშიშროება“, „მშობლებისა და უფროსების პატივისცემილი“, „პატიოსანი“, „ერთგული“, „პასუხისმგებელი“, „ღვთისმოსავი“.

ასევე მსგავსია 5-ვე რელიგიური ჯგუფისათვის ნაკლებ-მნიშვნელოვანი ღირებულებები: „სოციალური ძალა“, „სიამოვნება“, „ავტორიტეტი“, „სიმდიდრე“. „განებივრებული“, „ტკბება ცხოვრებით“, „ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი“, „გავლენიანი“, „მამაცი“.

თუმცა 57 ღირებულების მიხედვით განსხვავებები მნიშვნელოვან ზღვარს აღწევს და დასაბუთებულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესწავლილ სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს აქვთ ერთმანეთისგან განსხვავებული ღირებულებათა სისტემები. განსხვავება გამოვლინდა 10 ღირებულებათა ჯგუფიდან ყველგან გარდა უნივერსალიზმისა. ეს კი ადასტურებს ჩვენს მეორე ჰიპოთეზას, რომლის თანახმად, სხვადასხვა რელიგიების

აღმსარებელთა ღირებულებების სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მართლმადიდებლობის მომატება ზრდის კოლექტივისტურ და ამცირებს ინდივიდუალისტურ ღირებულებებს, ამცირებს ასევე უსაფრთხოების მოთხოვნილებას. გამონაკლისია სტიმულირება, რომელიც მატულობს.

კათოლიკეებში რელიგიურობის მომატება ასევე ამცირებს ინდივიდუალისტურ ღირებულებებსა და უსაფრთხოებას.

მონოფიზიტებში რელიგიურობის მომატება ამცირებს მიღწევასა და ძალაუფლებას, ხოლო ჰედონიზმს ზრდის.

მაჰმადიანებში რელიგიურობის მომატება ამცირებს სტიმულირებასა და ჰედონიზმს, ზრდის უსაფრთხოებას.

ხოლო იუდეველებში რელიგიურობის მომატება ინვეესტრადიციულობისა და მიღწევის მომატებს და უნივერსალიზმისა და დამოუკიდებლობის დაქვეითებას.

სხვა ფაქტორებიდან ღირებულებათა სისტემაზე შედარებით მეტ გავლენას ახდენს ეროვნება და ასაკი. დანარჩენი მაჩვენებლები (სქესი, დასაქმება, განათლება და მატერიალური მდგომარეობა) გვაძლევენ განსხვავებებს მხოლოდ ცალკეული ღირებულებების მიხედვით.

თუ ამ მოვლენას გავანალიზებთ, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავება სარწმუნოების გარდა ღირებულებათა სისტემაზე სხვა ფაქტორების მიხედვითაც ყალიბდება, თუმცა ისინი სხვადასხვა ინტენსივობით მოქმედებენ. ჯერ ერთი, მიუხედავად ბოლო პერიოდში მომძლავრებული ძალადობის ნიშნებისა, საუკუნეების განმავლობაში ეთნოკულტურული და ტრადიციული ნორმებიდან გამომდინარე, სქესთა შორის ფუნქციები ისე იყო შეთანხმებული, რომ ქალისა და მამაკაცის შეხედულება ბევრ რამეში ემთხვეოდა. მეორე, საბჭოთა კავშირის დროს ადამიანების მატერიალური მდგომარეობა და განათლება ზოგადი მასისთვის მეტ-ნაკლებად თანაბარი იყო და ეს ფაქტორიც არ იძ-

ლეოდა შეხედულებათა სხვაობას. მესამე, პარადოქსულია, მაგრამ დასაქმებული და დაუსაქმებელი ადამიანები ღირებულებათა თვალსაზრისით მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

შედარებით მეტი გავლენა დაფიქსირდა ასაკისა და ეროვნების მიხედვით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაბადებულმა თაობამ უკვე მოასწრო ღირებულებათა გადაფასება. აქ აღმზრდელიობითი კუთხით მეტი მუშაობაა საჭირო, რომ ღირებულებათა ცვლილება არ შეეხოს ზოგად ადამიანურ ღირებულებებს. რაც შეეხება ეროვნების მიხედვით გამოვლენილ ცვლილებებს, აქ მნიშვნელოვან როლს თაობიდან-თაობაზე გადაცემული და შენარჩუნებული ტრადიციები ასრულებს. თუმცა აღნიშნული ფაქტორები ისეთი ძლიერი გავლენის მქონე არ არიან, როგორც რელიგია.

კითხვარი მოიცავდა შეკითხვას ბედნიერების განცდის შესახებ, თუმცა მისი განმარტება ფორმულირებული არ იყო და შეფასების ხარისხი რესპონდენტზე იყო დამოკიდებული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი მაღალი აღმოჩნდა ყველა ჯგუფის რესპონდენტებისათვის, რაც თვითშეფასების თვალსაზრისით დადებით ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა ბედნიერების განცდა ხუთივე რელიგიის წარმომადგენლებში მაინც მაღალია (81-92%) ათეისტებთან შედარებით (80,0%), რომლებშიც, გარდა ამისა, საკმაოდ მაღალია დადებითი პასუხი ვარიანტზე „უბედური“ (7%) რელიგიურ რესპონდენტებთან მიმართებაში, რომლებთანაც აღნიშნული პასუხი არის 0%-1%. კვლევამ გვიჩვენა, რომ რელიგიურობა ბედნიერება-უბედურების შეფასების თვალსაზრისით გასათვალისწინებელი ფაქტორია.

როგორც კვლევის შედეგად აღმოჩნდა, 5-ვე რელიგიის აღმსარებლებისა და ათეისტების დამოკიდებულება ერთიდაიგივე კატეგორიის ადამიანთა მიმართ მსგავსია. ყველაზე ტოლერანტული დამოკიდებულება გამოქვავდა ჩვენთან ტრადიციუ-

ლად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ. ასევე საკმაოდ შემწყნარებლურია დამოკიდებულება სხვა რასის წარმომადგენელთა და სხვა რელიგიის ან კონფესიის მიმდევართა მიმართ. რესპონდენტთა დაახლოებით 15% უარყოფითად არის განწყობილი ქორწინების გარეშე ერთად მცხოვრები წყვილის მიმართ, მაგრამ მეტ ნაწილს მაინც ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ ადამიანთა ამ ჯგუფისადმი. უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელის მიმართ უფრო მეტად უარყოფითად არიან განწყობილი მართლმადიდებლები, მაჰმადიანები, ქართველები, აზერბაიჯანელები, უფროსი ასაკის ადამიანები და მინიმალური მატერიალური მდგომარეობის მქონენი. შედარებით მეტი უარყოფითი დამოკიდებულება გამოიკვეთა შიდსით დაავადებულთა მიმართ, და ყველაზე მეტი უარყოფითი განწყობა დაფიქსირდა ლოთის (საშუალოდ 70-80%), ნარკომანისა (საშუალოდ 80-85%) და ჰომოსექსუალის (საშუალოდ 60-70%) მიმართ, რაც აიხსნება ზოგადი ეთნოკულტურული ღირებულებებით. ასეთი შედეგი იმაზე მეტყველებს, რომ გარკვეული კატეგორიის ადამიანებთან მიმართებაში საზოგადოებაში არსებობს კონფლიქტები, რომელიც საჭიროებს პრევენციასა და საზოგადოების მეტად ინფორმირებულობას.

დანართი №1
კითხვარი

წინამდებარე კვლევის მიზანია ღირებულებათა სისტემის შესწავლა. გამოკითხვა ანონიმურია.

1. ქვემოთ ჩამოთვლილი ღირებულებებიდან აირჩიეთ ის ერთი, რომელიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია და აღნიშნეთ 7-ით, შემდეგ აირჩიეთ კიდევ ერთი, რომელიც თქვენ პრინციპებს ეწინააღმდეგება და აღნიშნეთ -1-ით. ამის შემდეგ შეაფასეთ სხვა დანარჩენი ღირებულების მნიშვნელობა 0-დან 6-მდე. (7 და -1 უნდა იყოს მხოლოდ თითო პასუხი)

		ჩემი პრინციპების საწინააღმდეგო	უმნიშვნელო	მნიშვნელოვანი					ძალიან მნიშვნელო ვანი	უმალესი მნიშვნელობის
				1	2	3	4	5		
1.1	თანასწორობა (თანაბარი შე- საძლებლობები ყველასათვის)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.2	შინაგანი ჰარ- მონია (ჰარმო- ნია საკუთარ თავთან)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.3	სოციალური და- ლა (სხვებზე კონტროლი, დომინანტობა)	-1	0	1	2	3	4	5	6	7

1.4	სიამოვნება (სურვილების დაკმაყოფილე- ბა)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.5	თავისუფლება (აზრისა და მოქმედების თავ- ვისუფლება)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.6	სულიერი ცხოვ- რება (აქცენტი სულიერ და არა მატერიალურ სფეროზე)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.7	სოციალური კუთვნილება (განცდა იმისა, რომ სხვები შენ- ზე ზრუნავენ)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.8	სოციალური წესრიგი (საზო- გადოების სტა- ბილურობა)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.9	შთაბეჭდილებე- ბით აღსავსე ცხოვრება (სი- ახლისაკენ სწრაფვა)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.10	ცხოვრების საზ- რისი (ცხოვრე- ბის მიზნები)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.11	ზრდილობა (თა-	-1	0	1	2	3	4	5	6	7

	ვაზიანობა, კარგი მანერები)									
1.12	სიმდიდრე (ქონება, ფული)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.13	ეროვნული უშიშროება (ერის დაცულობა გარეშე მტრისაგან)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.14	საკუთარი თავის პატივისცემა	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.15	სხვისი აზრის პატივისცემა (სხვების ინტერესების გათვალისწინება, კონფრონტაციისათვის თავიდან არიდება)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.16	შემოქმედებითობა (უნიკალურობა, თვითმყოფადობა, მდიდარი წარმოსახვა)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.17	მშვიდობა მთელ მსოფლიოში	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.18	ტრადიციების პატივისცემა	-1	0	1	2	3	4	5	6	7

	(ეროვნული ტრადიციების, ადათ-წესების შენარჩუნება)									
1.19	მონიფული სიყვარული (ღრმა ემოციური და სულიერი სიახლოვე)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.20	თვითდისციპლინა (თვითშეზღუდვა, ცდუნების დაძლევა)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.21	განმარტოების უფლება (პირადი ცხოვრების უფლება)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.22	ოჯახის უსაფრთხოება (ახლობლების უსაფრთხოება)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.23	სოციალური აღიარება (პატივისცემა სხვების მხრიდან)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.24	ბუნებასთან ერთიანობა	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.25	მრავალფეროვანი ცხოვრება (სიახლით,	-1	0	1	2	3	4	5	6	7

	(ცვლილებებითა და რისკით აღსავსე ცხოვრება)									
1.26	სიბრძნე (მონიფულობა)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.27	ავტორიტეტი (ლიდერობის ან მბრძანებლობის უფლება)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.28	ნამდვილი მეგობრობა	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.29	მშვენიერების სამყარო (ბუნება და ხელოვნება)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
1.30	სოციალური სამართლიანობა (უსამართლობის გამოსწორება, სუსტზე ზრუნვა)	-1	0	1	2	3	4	5	6	7

1.31. უარი პასუხზე

2. გთხოვთ, შეაფასოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ქვემოთ ჩამოთვლილი -1-დან 7-მდე. (ამ კითხვაში შეზღუდვა არ არის, -1-იც და 7-იც შეიძლება რამდენიმე იყოს)

		ჩემი პრიორიტეტების სანიშნააღმდეგო		უმნიშვნელო					მნიშვნელოვანი	ძალიან მნიშვნელოვანი	უმალესი მნიშვნელობის
		-1	0	1	2	3	4	5			
2.1	დამოუკიდებელი (საკუთარ თავში დარწმუნებული)	-1	0	1	2	3	4	5	6	7	
2.2	თავშეკავებული	-1	0	1	2	3	4	5	6	7	
2.3	ერთგული (თავისი მეგობრების, ჯგუფის)	-1	0	1	2	3	4	5	6	7	
2.4	მიზანდასახული (თავდადებულად მომუშავე, მიზანსწრაფული)	-1	0	1	2	3	4	5	6	7	
2.5	შემწყნარებელი (სხვადასხვა იდეის, სარწმუნოების მიმართ)	-1	0	1	2	3	4	5	6	7	
2.6	თავმდაბალი (არ ცდილობს ყურადღების მიპყრობას)	-1	0	1	2	3	4	5	6	7	
2.7	მამაცი (ეძებს თავგადასავალს, რისკს)	-1	0	1	2	3	4	5	6	7	
2.8	გარემოს დამცველი	-1	0	1	2	3	4	5	6	7	
2.9	გავლენიანი (გავლენას ახდენს ადამიანებსა და მოვლენებზე)	-1	0	1	2	3	4	5	6	7	
2.10	მშობლებისა და უფროსების პატივისცემელი	-1	0	1	2	3	4	5	6	7	

	(პატივისცემის გამომხატველი)									
2.11	თავად განსაზღვრავს (ირჩევს) თავის მიზნებს	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.12	ჯანმრთელი (სულიერად და ფიზიკურად)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.13	ნიჭიერი (მცოდნე, ეფექტურად მოქმედების უნარის მქონე)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.14	ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.15	პატიოსანი (გულმართალი, ნრფელი)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.16	იცავს საკუთარ იმიჯს (ცდილობს საკუთარი „სახის“ შენარჩუნებას)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.17	კანონმორჩილი	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.18	ჭკვიანი (ლოგიკურად მოაზროვნე)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.19	სასარგებლო (მუშაობს სხვათა კეთილდღეობისათვის)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.20	ტკბება ცხოვრებით (საკვებით, გასართობით და სხვ.)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.21	ღვთისმოსავი	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.22	პასუხისმგებელი (სანდო)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.23	ცნობისმოყვარე (ყველაფრით დაინ-	-1	0	1	2	3	4	5	6	7

	ტერესებული, მაძიებელი)									
2.24	მიმტვევბელი	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.25	წარმატებული (მიზნების მიმღწე- ვი)	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.26	აკურატული	-1	0	1	2	3	4	5	6	7
2.27	განებივრებული (სასიამოვნოს კე- თებისაკენ მიმარ- თული)	-1	0	1	2	3	4	5	6	7

2.28. უარი პასუხზე

3. საერთო ჯამში შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ ხართ....(აირჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- 3.1. ბედნიერი
- 3.2. უბედური
- 3.3. მიჭირს პასუხის გაცემა
- 3.4. უარი პასუხზე

4. როგორი იქნებოდა თქვენი დამოკიდებულება, თუ თქვენს მეზობლად დასახლდებიან ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების ადამიანები?

		უარყოფითი	ნეიტრალური	არვიცი
6.1	სხვა რასის წარმომადგენელი	1	2	3
6.2	შიდსით დაავადებული	1	2	3
6.3	უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელი	1	2	3
6.4	ჰომოსექსუალი	1	2	3
6.5	სხვა რელიგიის ან კონფესიის მიმდევარი	1	2	3

6.6	ლოთი	1	2	3
6.7	ქორწინების გარეშე ერთად მცხოვრები წყვილი	1	2	3
6.8	ჩვენთან ტრადიციულად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი	1	2	3
6.9	ნარკომანი	1	2	3

D1. სქესი: 1 – მამრობითი; 2 – მდედრობითი.

D2. ასაკი: ----- წლის.

D3. განათლება: 1–საშუალო; 2 – უმაღლესი.

D4. სარწმუნოება: 1– მართლმადიდებელი; 2 –კათოლიკე; 3 – სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლი; 4 – მაჰმადიანი; 5 – იუდეველი; 6– ათეისტი.

D5. დასაქმება: 1 – დასაქმებული; 2 – უმუშევარი.

D6. მატერიალური მდგომარეობა: 1– კარგი; 2 – საშუალო; 3 – მინიმალური.

D7. ეროვნება: 1. – ქართველი; 2. -რუსი; 3. -სომეხი; 4. - აზერბაიჯანელი; 5. -ბერძენი; 6. -იტალიელი; 7. -ფრანგი; 8. - ებრაელი.

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!
 დანართი №2
 კითხვარის გასაღები

ღირებულების ტი- პი	კითხვარის პუნქტების ნომრები
	ნორმატიული იდეალების დონე (ნუსხა 1 და 2)
კონფორმულობა	11, 20, 10, 17
ტრადიციულობა	18, 2, 6, 14, 21
კეთილგანწყობა	19, 28, 3, 15, 19, 22, 24
უნივერსალიზმი	1, 2, 6, 10, 14, 17, 24, 26, 29, 30, 5, 8
დამოუკიდებლობა	5, 16, 21, 1, 11, 23
სტიმულირება	9, 25, 7
ჰედონიზმი	4, 20, 27
მიღწევა	23, 4, 9, 13, 18, 25
ძალაუფლება	3, 12, 27, 16
უსაფრთხოება	7, 8, 13, 15, 22, 12, 26

Rezume

The aim of this research is the study of values religious believer and atheist residents – weather the value systems differ between atheists and representatives of various religious groups and if so, how significant the differences are and weather these differences will lead to difficulties with religious diversity in Georgia.

In the course of research we outlined two hypothesis:

- 1) Value systems of religious and non-religious people differ from each other.
- 2) Value systems differ between religions.

The scientific novelty of the research is, that there has never been a research conducted in Georgia comparing value systems between various religions and atheists. And also during research a person was previously considered religious according to his self-identification. We decided to consider only those people religious, that accept the most basic teachings of the faiths they identify with, as well as attend the services. The important novelty is that using statistical and mathematical methods we estimated how the quantitative change in each religious group affects the society, what kind of changes occur in person's system of values.

The survey used in this study presented the respondents with 4 issues, the first two of which include the list of values developed by Schwartz (30 terminal and 27 instrumental), the third question was concerning the feeling of happiness and the fourth – their views of other groups of people.

We surveyed members of 5 traditional religious organizations situated in Georgia (Orthodox Christians, Catholics, Oriental Orthodox Christians, Muslims and Judaists) as well atheists to study the peculiarities of their value systems.

Our initial hypothesis insinuated that value systems of religious people and atheists differ from one another. According to terminal and instrumental values religious people favor collectivist values, while atheists – individualist values. The value systems of religious

people are oriented towards their family, friends and respect for others, common good. Atheists' values on the other hand are centered more on the self: freedom, equality, inner harmony. Religious people also greatly emphasize spiritual life, what appears to be unacceptable for atheists.

The difference between religious people and atheists was clearly discernable as a result of classification of values by motivational types – among religious people high average values were attained by collectivist values (benevolence, conformity, tradition), while among atheists – individualist values (achievement, independence, stimulation, power, hedonism).

The difference between values of religious people and atheists was substantiated by dispersive analysis, which showed, that the values of religious people and atheists differ and the difference is statistically significant.

This difference appeared during the factorial analysis, more precisely, significant differences were observed with value prioritizing among religious people and atheists. With regressive analysis by religious people we got, that increase in religiosity is accompanied by increase in collectivist values: conformity, tradition and benevolence and decreases independence, and power. Security also decreases, which could be caused by increased sense of security by religious people, therefore lower priority.

Among atheists increase in non-religiosity is accompanied by increased prioritizing of universalism, independence and power, as well as the need for security, while collectivist values lose priority.

Our second hypothesis was that value systems differ across the religions. According to terminal and instrumental values it appears, that some part of the values is important for all 5 religious groups. And less important values are also similar. Among all 5 groups collectivist values occupied the first 3 spots and individualist – the last 3, when comparing the averages of values.

The difference among religious groups was observed via dispersion analysis, which showed, that there is a difference between religious groups in values and this difference is statistically significant. We conducted dispersion analysis by nationality, gender, age, employment status, education and material wealth to determine the trustworthiness of difference by different variables. The analysis showed, that the differences are the most trustworthy when conducted by religiosity, which means, that religious views play a major role in formation of person's value system.

The difference among religious groups became observable via factorial and regressive analysis as well. The aforementioned results enable us to say, that our second hypothesis is also validated.

As for the question of perception of happiness, the perception of happiness among all 5 religious groups are high in comparison to atheists (80%), among whom the answer 'unhappy' is higher (7%) than religious individuals, by whom the answer is either 0 or 1 percent.

As the research showed, the view of the same group as the respondent is similar among all 5 religious groups as well as atheists. The highest tolerance was exhibited towards ethnic minorities living in Georgia, while the least tolerant – towards people with alcohol or drug problems and homosexuals.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. არუთინოვი ბ. გამსახურდია ვ., ინდივიდის პრიორიტეტული ღირებულებები და სტერეოტიპული წარმოდგენები ქართული საზოგადოებისათვის წამყვან ღირებულებათა შესახებ, ფსიქოლოგიის მაცნე, თბილისი, 2007, №1, გვ.: 31-38;
2. გოგიავა ა., ქართული საზოგადოების ღირებულებათა სისტემის თავისებურებები, (ნაშრომი შესრულებულია ფსიქოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი), თბილისი, 2012, გვ.: 32;
3. გოგოტიშვილი თ., ანტისოციალური ქცევის კვლევა და პრევენციული სტრატეგიები, კრებული „მოზარდთა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური პრევენცია“, თბილისი, 2011, გვ.: 11-15;
4. დეკანოზი თეიმურაზ უიარალო, რელიგიების ისტორია, თბილისი, 2010, გვ.: 243-248, 255-266;
5. ვასეჩკო ვ., შედარებითი ღვთისმეტყველება, მართლმადიდებლობა და კათოლიციზმი, თბილისი, 2014, გვ.: 1-2, 15, 36, 64;
6. ზედანია გ., ღირებულებების სისტემატური და შედარებითი კვლევა, ქართული საზოგადოების ღირებულებები, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, თბილისი, 2006, გვ.: 7-16;
7. თარხნიშვილი ლ., საქართველო და თანამედროვე ღირებულებები, ქართული საზოგადოების ღირებულებები, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, თბილისი, 2006, გვ.: 20-21;

8. თეზელიშვილი ს., ფსიქოლოგიური ენციკლოპედია, თბილისი, 2004, გვ.: 459, 643;
9. თეზელიშვილი ს., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 2007, გვ.: 37;
10. კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო, (კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმოს ქართული თარგმანი), თბილისი, 1997, გვ.: 27, 45, 58, 195, 203;
11. „კვირის პალიტრა“, 2015, 24 ნოემბერი;
12. კოდუა ლ. ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ფუნქცია, თბილისი, 1995, გვ.: 34;
13. მსოფლიო საეკლესიო კრებები, (ა. ხაჩიძის თარგმნით), თბილისი, 2009, გვ.: 82-83;
14. მუსლიმი თუ ხარ, გმართებს იცოდე, შემდგენელი ჰაჯი რამინი, თბილისი, 2010, გვ.: 5-6;
15. ნადირაშვილი დ., მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენცია განწყობის თეორიის თვალსაზრისით, კრებული „მოზარდთა ანტისოციალური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური პრევენცია“, თბილისი, 2011, გვ.: 45-49;
16. ნადირაშვილი შ., განწყობის ანტროპული თეორია, თბილისი, 2001, გვ.: 17, 54, 57, 170;
17. ნადირაძე ე., მსოფლიოს რელიგიები, გამომცემლობა არტანუჯი, 2005, გვ.: 134, 168, 213;
18. ნიჟარაძე გ., სოციალიზაციის თავისებურებები თანამედროვე ქართულ კულტურაში, „ჩუბინი“, 2001, №1. გვ.: 5-11;
19. ნიჟარაძე გ. ლებტოპი და ჯვარი, კრებული „დაკარგული სივრცის ძიებაში: კულტურის პოლიტიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში“, თბილისი, 2010, გვ.: 41-64;
20. პაპუაშვილი ნ., მსოფლიო რელიგიები, თბილისი, 2002, გვ.: 63, 112-114, 145-148, 180, 184-186;

21. რატიანი ს., რამდენიმე შენიშვნა ქართველების რელიგიურობისა და ტრადიციულობის შესახებ, ქართული საზოგადოების ღირებულებები, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, თბილისი, 2006, გვ.: 39-46;
22. რობინსი გ. ს., ჯაჯი ტ., ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2009, გვ., 51-56;
23. სუმბაძე ნ., თაობები და ღირებულებები, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, გვ.: 52-56;
24. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1998, გვ.: 48, 95;
25. ქიქოძე გაბრიელ (ეპისკოპოსი), ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამოცემა, თბილისი, 1993, გვ. 149;
26. ჩიკვილაძე ნ., მართლმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები (სადოქტორო ნაშრომი), თბილისი, 2006, გვ.: 9, 15;
27. ჩიტაშვილი მ., რელიგიურობის ფსიქოლოგია: ემპირიული კვლევები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998, გვ. 102-119;121; 143-159; 287-294;
28. ჩიტაშვილი მ., რელიგიის ფსიქოლოგია თუ რელიგიურობის ფსიქოლოგია, ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, ფსიქოლოგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998, გვ.: 190-204;
29. ჩიტაშვილი მ., ღირებულებათა სისტემა საქართველოში, ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, ფსიქოლოგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998, გვ.: 205-220;

30. ჩიტაშვილი მ., გაფრინდაშვილი ლ., რელიგიურობის ფსიქოლოგიური მექანიზმები პროექციული მიდგომის პერსპექტივიდან, ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, ფსიქოლოგია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998, გვ.: 293-308;
31. ჩომახიძე ე., ქართველების ღირებულებათა სისტემის თავისებურებები, კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, №1, 2013, გვ. 89-96;
32. ჩომახიძე ე., სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულება პოსტსაბჭოურ საქართველოში, ფსიქოლოგიის მაცნე, №2, თბილისი, 2006, გვ.168-178;
33. ჩომახიძე ე., კოპალიანი კ., ლორთქიფანიძე შ., ქართული საზოგადოების ღირებულებათა სისტემის თავისებურებები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XI, 2013, გვ. 524-551;
34. ცეცხლაძე თომა (მღვდელი), ოჯახი და თაობები, ოჯახი, მოზარდების აღზრდა, თაობებს შორის ურთიერთკავშირი, თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის ერთობლივი კონფერენციის მასალები, თბილისი, 2012, გვ.: 16-24;
35. Берсенева Т. А. Религия, вера, Церковь в системе нравственных ценностей и духовных ориентиров старшеклассников и учителей, Вестник ПСТГУ IV, „Педагогика“, 2008, Вып.№1(8), стр.: 16-38;
36. Борозенец Т. И., Средства массовой информации и национальные духовные ценности, 2011 <http://www.religion.in.ua/main;>
37. Гидденс Э., Социология, Москва, 1999, стр.: 430-431;
38. Грановская Р. М., Психология веры, Москва, 2007, стр.: 3-9, 23-25, 253, 328, 334;

39. Груздев Н. В. Религиозно-психологические ориентации современных россиян и американцев – новые данные, Москва, 2004, стр.: 274-284;
40. Джемс В., Многообразие религиозного опыта, Санкт-Петербург, Андреев и сыновья~, 1993, стр.: 20-22;
41. Инглхарт Р., Вельцель К., Модернизация, культурные изменения и демократия: Последовательность человеческого развития, Москва, Новое издательство, 2011, стр.: 37;
42. Карандашев В. Н., Методика Шварца для изучения ценностей личности, Санкт-Петербург, 2004;
43. Конфуций, Я верю в древность, Москва, 1995, стр.: 27;
44. Леонтьев Д. А., Психология смысла: природа, строение и динамика смысловой реальности, Москва, 2003, стр.: 487;
45. Маслоу А. Г. Мотивация и личность. Санкт-Петербург, 2001. стр.: 82.
46. Массионис Дж., Социология, Москва, 2004, стр.: 634-637;
47. Некрасова Н. А., Некрасов С. И., Садикова О. Г., Тематический философский словарь: Учебное пособие. Москва.: МГУ ПС (МИИТ), 2008. Стр.: 164;
48. Новости, Научный семинар Влияет ли религия на базовые ценности людей?, htm;
49. Оллпорт Г., Личность в психологии, Москва, 1998, стр.:67;
50. Оллпорт Г., Становление личности, Избранные труды, Пер. с англ, Москва, 2002, стр.:10, 78;
51. Орманян магакия (Архиепископ), Армянская Церковь, Анкюнакар, Ереван, 2006, стр.: 103-105;
52. Разин А. С. Специфика этноконфессионального фактора и формирование этноконфессиональных отношений, журнал Волгоградского государственного университета, Серия 7: Философия Социология и социальные технологии, №7-12, Том 2, 2010, стр.: 63-68
53. Селигман М., Новая позитивная психология, София, 2006, стр: 87-89;

54. Семёнов В. Е., Духовно-нравственные ценности и установки российского населения и СМИ, [htm](#);
55. Смелзер Н., Социология, Москва, 1999, стр.: 411, 471;
56. Смирнов М. Ю., Религии и исследования религий в России, Журнал Ленинградского государственного университета им А. С. Пушкина, №1, том 2, 2015, стр.: 263-269;
57. Соловьев В. С., Философская публицистика, Т. 1, Москва, 1989, стр.: 35, 79;
58. Тиллих П., Избранное, Теология культуры, Москва, Юрист, 1995, стр.: 132-215;
59. Фейербах Л., Избранные философские произведения, Т. 2. Москва, 1955, стр.: 69;
60. Франкл В., Воля к смыслу, Москва, 2000, стр.: 206;
61. Фромм Э., Здоровое общество, Психоанализ и культура: избранные труды Карен Хорни и Эриха Фромма. – Москва, Юрист, 1995;
62. Хьелл Л., Зиглер Д., Теории личности, Питер пресс, 1997;
63. Чумакова Д. М., Методики диагностики религиозности личности, сборник тезисов Всероссийской научной конференции, 2008;
64. Эммонс Р., Психология высших устремлений, Москва, 2004, стр.: 10, 235;
65. Юнг К. Г., Человек и его символы, (fb2) – Флибуста.[htm](#);
66. Яхьяев М. Я., К вопросу об экстремизме в исламе, Журнал Исламоведение, №2, 2015, стр.: 37-42;
67. Allport G. W., The individual and his religion, New-York: Macmillan, 1950, p.: 35;
68. Allport G. W., The Religious Context of Prejudice, Journal for the Scientific Study of Religion, №5, 1966, p.: 17-21;
69. Allport G. W., The person in psychology, Boston, Beacon Press, 1968, p.: 10, 57, 117, 174;
70. Allport G. W., Ross J. M., Personal religious orientation and prejudice, Journal of Personality and Social Psychology, 1967, №4, p.: 36, 60, 65;

71. Barbour I. G., *The methods of science and religion*, Science ponders religion, New-York: Appleton-Century-Crofts, 1960, p.: 210;
72. Batson C. D., *Religion as Prosocial: Agent or Double Agent?* Journal for the Scientific Study of Religion, 1976, #1, p.: 15;
73. Batson C. D., Schoenrade P., Ventis W. L., *Religion and the individual, A social-psychological perspective*, New-York, Oxford University Press, 1992, p.: 78;
74. Beit-Hallahmi B., *Prolegomena to the psychological study of religion*, Lewisburg, Bucknell University Press, 1989, p.:11-12;
75. Clark W. H., *The psychology of religion*, New-York: Macmillan, 1958, p.: 22, 202;
76. Coe G., *The Psychology of religion*, Chicago, 1916, p.: 365;
77. Donahue M. J., *Intrinsic and Extrinsic Religiousness: The Empirical Research*, Journal for the Scientific Study of Religion, 1985, №4, p.: 24;
78. Dresser H. W., *Outlines of the psychology of religion*, Crowell, 1929, p.: 451;
79. Fowler J. W., *Stages of faith: The psychology of human development and the quest for meaning*, New-York: Harper Collins, 1981, p.: 14;
80. Heshel A., *God in search of man: A philosophy of Judaism*, New-York: Farrar, Strauss, & Cudahy, 1955, p.: 125;
81. Hofstede G., *Cultures Consequences: Comparing Values, Behaviors, Institutions and Organizations Across Nations*, Thousand Oaks, 2001, p.: 63;
82. Hood R. W., *Ways of studying the psychology of religion and spirituality*, International handbook of education for spirituality, care and wellbeing, N.Y., 2009, p.: 551;
83. Hood R. W., Hill P. S., *Measures of religiosity*, Birmingham, Alabama, 1999, p.: 402;
84. Kirkpatrick L. A., Hood R. W., Jr. *Intrinsic-Extrinsic Religious Orientation: The Boon or Bane of Contemporary Psychology*

- of Religion?, *Journal for the Scientific Study of Religion*, 1990, №4, p.:29;
85. Little D., *Human suffering in comparative perspective*, Colorado Associated University Press, 1989, p.: 53;
 86. Murray H. A., *Two versions of man, Science ponders religion*, New-York~ Appleton- Century-Crofts, 1960, p.: 147-181;
 87. Paloutzian R. F., *Invitation to the psychology of religion*, Needham Heights, MA: Allyn & Bacon, 1996, p.: 50;
 88. Pargament K.I., *The psychology of religion and coping: Theory, research practice*. New-York: Guilford Press, 1997, p.: 18-35;
 89. Pargament K.I., Park C. L, *The variety of religious means and ends*, *Journal of Social Issues*, 1995, #51, p.: 13-32;
 90. Rokeach M., *The Nature of Human Values*, New York: Free Press, 1973,p.: 5;
 91. Rokeach M., *Attitudes and Values, A Theory of Organization and Change*, London, 1972, p.: 73, 102;
 92. Schimmel S., *The seven deadly sins: Jewish, Christian and classical reflections on human psychology*, New-York: Oxford University Press, 1997, p.: 35;
 93. Schwartz S. H., Bilsky W., *Towards a Psychological Structure of Human Values*, *Journal of Personality and Social Psychology*, 1987, p.: 68;
 94. Schwartz S. H, Huisman S., *Value Priorities and Religiosity in Four Western Religions*, *Social Psychology Quarterly*, Vol.58, No.2 (Jun.,1995), pp.:88-107;
 95. Stratton G. M., *Psychology of the religious life*, London, George Allen, 1911, p.: 34-36;
 96. Triandis, Bontempo, Betancouit, Bond, Leung et al, 1986;
 97. Triandis, Mc Cusker, Betan-court, Iwao, Leung et al, 1986;
 98. Yinger J. M., *Pluralizm, religion and secularism*, *Journal for the Scientific Study of Religion*, 1967, №6, p.: 17-28;
 99. <http://ka.wikipedia.org/wikiiudaizmi>;
 100. <http://staff.um.edu.mt/aabe2/EVS.htm>;

101. <http://forum.myword.ru/index.php?/topic/11364-zhivotnie-ra-zichajut-dobro-i-zlo;>
102. www.worldvaluessurvey.org
103. [http://ruskline.ru/newsr/2014/06/06/segodnya evropa otrekaetsya ot religio znyhcennostei;](http://ruskline.ru/newsr/2014/06/06/segodnya_evropa_otrekaetsya_ot_religio_znyhcennostei;)
104. [http://www.bbc.com/russian/society/2012/02/religionforatheists.](http://www.bbc.com/russian/society/2012/02/religionforatheists)
105. [http://scholarworks.gvsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1116 &context=orpc](http://scholarworks.gvsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1116&context=orpc)
106. <http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13617670601001215?journalCode=cjbv2>
107. <https://scholar.google.com/scholar?q=Basic+Human+Values:+Theory,+Measurement,+and+Applications+Shalom+H.+Schwartz+The+Hebrew+University+of+Jerusalem&hl=en&as;>
108. [http://www.migration.uni-jena.de/project4/index.php;](http://www.migration.uni-jena.de/project4/index.php)
109. [http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Ateizm/Article/10mif.php.](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Ateizm/Article/10mif.php)



დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; universal@internet.ge